327.8
ს94

ჟან ჟაკ რუსო

საზოგადოებრივი ხელშეკრულება

-189903-

ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ

გრ. რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა

CIPDD
თბილისი
1997

რედაქტორი: ვახტანგ როდონაია

წინასიტყვა: თამაზ ბუაჩიძე

© ქართული თარგმანი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1997

ISBN 99928-37-26-8

Jean-Jacques Rousseau *Du Contrat Social ou Principes du droit politique*. Tbilissi, 1997.

Editeur: Institut Caucasien de Paix, de Démocratie et de Développement

გამომცემელი – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, ტელ. 334081, ფაქსი 334163
ვებ გვერდი: http://www.cipdd.org

სარჩევი

წინასიტყვა თამაზ ბუაჩიძე 5
ავტორის გაფრთხილება 9

პირველი წიგნი

I თავი – პირველი წიგნის საგანი 10
II თავი – პირველი საზოგადოებები 11
III თავი – ყველაზე ძლიერის უფლება 13
IV თავი – მონობა 14
V თავი – ყოველთვის პირველი ხელშეკრულებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ 19
VI თავი – საზოგადოებრივი ხელშეკრულება 20
VII თავი – სუვერენი 22
VIII თავი – სამოქალაქო მდგომარეობა 25
IX თავი – რეალური სამფლობელო 26

მეორე წიგნი

I თავი – სუვერენიტეტის განუსხვისებლობა 29
II თავი – სუვერენიტეტის განუყოფელობა 30
III თავი – შესაძლებელია თუ არა საყოველთაო ნება ცდებოდეს . 32
IV თავი – სუვერენული ხელისუფლების ზღვრები 33
V თავი – სიკვდილისა და სიცოცხლის უფლება 37
VI თავი – კანონი 39
VII თავი – კანონმდებელი 42
VIII თავი – ხალხი 46
IX თავი – გაგრძელება 48
X თავი – გაგრძელება 51
XI თავი – კანონმდებლობის სხვადასხვა სისტემა 54
XII თავი – კანონთა დაყოფა 56

წიგნი მესამე

I თავი – ზოგადად მმართველობის შესახებ 58
II თავი – მმართველობის სხვადასხვა ფორმათა განმსაზღვრელი პრინციპი 63
III თავი – მმართველობათა დაყოფა 66

IV თავი – დემოკრატია 67
V თავი – არისტოკრატია 69
VI თავი – მონარქია 71
VII თავი – შერეული მმართველობები 77
VIII თავი – მმართველობის ნებისმიერი ფორმა ყველა ქვეყნისათვის არ გამოდგება. 78
IX თავი – კარგი მმართველობის ნიშნები 83
X თავი – მმართველობის ბოროტად გამოყენება და მისი მიდრეკილება დაცემისაკენ 85
XI თავი – პოლიტიკური კორპუსის კვდომა 88
XII თავი – როგორ ინარჩუნებს არსებობას სუვერენული ძალაუფლება 89
XIII თავი – გაგრძელება 90
XIV თავი – გაგრძელება 92
XV თავი – დეპუტატები ანუ წარმომადგენლები 93
XVI თავი – მმართველობის დადგენა ხელშეკრულება არ გახლავთ .. 96
XVII თავი – მმართველობის დადგენა 97
XVIII თავი – მმართველობის უზურპაციის თავიდან ასაცილებელი საშუალებები 99

წიგნი მეოთხე

I თავი – საერთო ნების დაურღვევლობა 101
II თავი – საარჩევნო ხმები 103
III თავი – არჩევნები 106
IV თავი – რომის კომიციები 108
V თავი – ტრიბუნატი 118
VI თავი – დიქტატურა 120
VII თავი – ცენზურა 123
VIII თავი – სამოქალაქო რელიგია 124
IX თავი – დასკვნა 136

შენიშვნები 137

წინასიტყვა

ჟან ჟაკ რუსო და მისი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“

ჟან ჟაკ რუსო შევიდა აზროვნების ისტორიაში როგორც ორიგინალური მამაცი, მებრძოლი პიროვნება, როგორც თავისი დროის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე კრიტიკოსი, რომლის იდეებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შემდგომ ფილოსოფიაზე, პედაგოგიკაზე, მწერლობაზე, სულიერად მოამზადა საფრანგეთის რევოლუცია.

ჟან ჟაკ რუსო დაიბადა ჟენევაში 1712 წლის 28 ივნისს მესაათის ოჯახში. ბავშვობისა და სიყრმის წლები გაჭირვებაში გაატარა. 1728 წელს მოუსვენარი რუსო მშობლიურ ჟენევას გამოეთხოვა. იგი ცხოვრობდა პარიზში, ტურინში, ლიონში, ლოზანში, ბერნში და ხან ოჯახის მასწავლებლობით ირჩენდა თავს, ხან ნოტების გადაწერით, ხან ლაქიად მუშაობით; ამ პერიოდში ის გატაცებულია მხატვრული ლიტერატურით, მუსიკით, გულმოდგინედ სწავლობს დეკარტის, ლაიბნიცის, ჰობსის, ლოკის, მალბრანშის ფილოსოფიურ თხზულებებს.

1741 წელს რუსო პარიზს დაუბრუნდა და დაუახლოვდა ენციკლოპედისტებს, განსაკუთრებით დიდროს, რომლის წინადადებითაც რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ენციკლოპედიაში. ნელ-ნელა რუსომ თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ფრანგ განმანათლებელთა შორის.

1749 წელს დიჟონის აკადემიამ გამოაცხადა კონკურსი, რომლის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „შეუწყო თუ არა ხელი მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესებას“. ერთი წლის შემდეგ ამ აკადემიამ პირველი პრემია მიაკუთვნა რუსოს საკონკურსო შრომას: „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ“, რომელშიც მან უარყოფითი პასუხი გასცა დასმულ კითხვას. ნაშრომის ძირითადი აზრი ასეთი იყო: ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თავისუფალი, კეთილი, უდანაშაულო, მარტივი, ყველა სხვა ადამიანთა თანასწორია. მეცნიერება და ხელოვნება ზღვარს ავლებს ადამიანსა და ბუნებას შორის. ადამიანები თანდათან შორდებიან ბუნებას, მათ ურთიერთობაში ბატონდება ხელოვნურობა, პირფერობა. ადამიანში თავს იჩენს

ეგოიზმი, ცინიზმი, ბოროტება; საზოგადოებაში აღარ არსებობს თავისუფლება. ამიტომ ფრანგი მოაზროვნე მოითხოვს ადამიანის დაახლოებას ბუნებასთან. ამ შრომის გამოქვეყნებამ დიდი სახელი მოუხვეჭა რუსოს.

1754 წელს რუსომ დიჟონის აკადემიას წარუდგინა მეორე საკონკურსო შრომა „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ“, რომელშიც ჩამოაყალიბა კონცეფცია საზოგადოებაში უთანასწორობის გაჩენის მიზეზების შესახებ. თხზულების ავტორი კვლავ ბუნებას ეთაყვანება და იმეორებს თავის აზრს იმის შესახებ, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანები თავისუფალი და პოლიტიკურად თანასწორნი არიან; არ არსებობს ბატონი -- მჩაგვრელი, არ არსებობს მონა – ჩაგრული. თანდათანობით იარაღებისა და შრომის სრულყოფის პროცესში საფუძველი ეყრება ადამიანთა თანაცხოვრებას: მიწათმოქმედებაზე გადასვლა წარმოშობს უთანასწორობის მთავარ მიზეზს – კერძო საკუთრებას. რუსოს აზრით, ვინც პირველად მიწის ნაკვეთი შემოღობა და თქვა – ეს ჩემიაო, შემდეგ კი იპოვა ამ სიტყვების დამჯერი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები, იყო სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი შემქმნელი. რუსოს თანახმად კერძო საკუთრება არის უთანასწორობის საფუძველი. წარმოიშობიან მდიდარი და ღარიბები. მდიდრები ღარიბებთან დებენ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე იქმნება სახელმწიფო, ხელისუფლება. ეს შრომა გაცილებით მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონეა, მაგრამ მას პრემია არ მოჰყვა. სამაგიეროდ ავტორის პოპულარობა გაიზარდა.

1776 წელს რუსომ გამოაქვეყნა ეპისტოლარულ-ფილოსოფიური რომანი „იულია ანუ ახალი ელოიზა“, 1762 წელს კი – ფილოსოფიური რომანი „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“. ამ თხზულებებში კვლავ ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის უპირატესობაზეა ლაპარაკი. რუსო გრძნობას და გონებას უპირისპირებს ერთმანეთს. განცდებს, ადამიანის შინაგან ცხოვრებას, ვნებებს ფრანგი მოაზროვნე ცივ განსჯაზე მაღლა აყენებს. ამ ფაქტში კარგად ჩანს ერთ დროს განმანათლებელ რუსოს ბრძოლა ფრანგული განმანათლებლობისვე წინააღმდეგ. შემთხვევითი როდი იყო მისი კონფლიქტი თავის ძველ მეგობრებთან – ენციკლოპედისტებთან.

1762 წელს გამოვიდა რუსოს ტრაქტატი „ საზოგადოებრივი ხელშეკრულება ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“. წიგნის ავტორს აინტერესებდა, როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანთა ის კავშირი, ასოციაცია, რომელიც დაიცავდა პიროვნებას, მის საკუთრებას და ამავე დროს თანაცხოვრების პირობებში მას თავისუფლებას მიანიჭებდა. ამ მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობად წიგნის ავტორს მიაჩნია ის, რომ ამ ასოციაციის ყოველი წევრი უარს ამბობს თავის ყველა უფლებაზე მთელი საზოგადოების სასარგებლოდ. აღარ არსებობენ კერძო ნებანი, აღარ არსებობენ ცალკეული ნებანი, არსებობს მხოლოდ საერთო, ზოგადი ნება. როცა ადამიანს საკუთარი გულისთქმა ალაპარაკებს, ის მონაა, როცა ემორჩილება კანონს, რომელიც თავის თავს თვითონ დაუწესა, ის თავისუფალია. საზოგადოებრივი ხელშეკრულების წყალობით ინსტინქტი სამართლიანობად, ხოლო ბუნებრივი მისწრაფებები უფლებად და მოვალეობად გადაიქცევა. ცალკეული პიროვნება იძულებით კი არა, თავისი საკუთარი არჩევანის საფუძველზე აბატონებს ხალხის სუვერენობას და იმავდროულად მთელი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად რჩება. ამგვარად მიიღწევა საზოგადოებრივი კავშირის მთავარი მიზნები.

რუსო საგანგებოდ იკვლევს, თუ რა არის ის უდიდესი სიკეთე, რაც ნებისმიერი საკანონმდებლო სისტემის მიზანი უნდა იყოს. მისი მტკიცებით, ამ სიკეთეს ორი უმთავრესი რამ განაპირობებს – თავისუფლება და თანასწორობა. თავისუფლება – რადგან ყოველი კერძო დამოკიდებულება სახელმწიფო კორპუსისათვის რაღაც ძალის წართმევის ტოლფასია; თანასწორობა, რადგან თავისუფლებას არ ძალუძს თანასწორობის გარეშე არსებობა.

რუსოს თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში არსებული ნაკლოვანებები ის მთავარი დაბრკოლებაა, რომელიც უნდა აღმოიფხვრას, რათა უფრო სრულყოფილ კანონმდებლობას ხორცი შეესხას. რუსო ასევე გვაფრთხილებს, რომ ყოველი კარგი კანონმდებლობის მიზნები თითოეულ ქვეყანაში უნდა იცვლებოდეს იმ დამოკიდებულებათა შესაბამისად, რომლებსაც ადგილ–მდებარეობის ხასიათი ისევე განაპირობებს, როგორც მის ბინადართა ხასიათი: „სწორედ ამ მიმართებათა საფუძველზე უნდა განესაზღვროს ყოველ ხალხს განსაკუთრებული საკანონმდებლო სისტემა, შესაძლოა, ზოგადად არც საუკეთესო, მაგრამ საუკეთესო იმ ქვეყნისათვის, რომლისთვისაც არის იგი განკუთვნილი“. რუსოს აზრით, ყველა ხალხისთვის საერთო წესებს გარდა, ყოველ ხალხს აქვს თავისებურებები, ის თავის თავში ატარებს რაღაც ისეთს, რაც მის კანონმდებლობას მხოლოდ მისთვის გამოსადეგსა ხდის. რუსოს თანახმად კონსტიტუციის სრულყოფის კრიტერიუმი შეიძლება მხოლოდ ბუნებრივ მიმართებებთან მისი შესატყვისობა იყოს. თავისთავად რაგინდ კარგიც არ უნდა იყოს კანონები, მათი გამოცემა ბრძენ კანონმდებელს არ შეუძლია, სანამ წინასწარ არ გაარკვევს, შეუძლია თუ არა ხალხს, ვისთვისაც განკუთვნილია კანონები, მათი შესრულება. ამიტომ, სანამ ხალხებს კანონებს დაუქვემდებარებ, „ჯერ მათი სიმწიფის დადგომას უნდა დაელოდო. თუ მას ვერ ეღირსე, მთელი გარჯა ამაო იქნება“.

რუსოს მტკიცებით, ხალხს მის პირველად თავისუფლებას მხოლოდ მმართველობის ბოროტად გამოყენება ართმევს, და არა საზოგადოების განვითარების შინაგანი აუცილებლობა. როდესაც მმართველობა თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით უმაღლესი ხელისუფლების უზურპაციას ახდენს, საზოგადოებრივი ხელშეკრულება ირღვევა და რიგითი მოქალაქეები კანონით უბრუნდებიან რა ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობას, ვალდებულების ნაცვლად, იძულებით მორჩილებენ.

ამგვარი გახლავთ სხვადასხვა პირობები, რომელთა დაცვაც რუსოს თეორიის თანახმად, აუცილებელია კანონთა დასადგენად, მათ შესასრულებლად და დასაცავად.

თავის მსჯელობაში რუსო გამოთქვამს მთელ რიგ მოსაზრებებს სახელმწიფოს მართვის თაობაზე. ის ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მართვის სირთულე იზრდება მისი ტერიტორიის ზრდის შესაბამისად. სახელმწიფო თავისი ტერიტორიით არც ძალიან ვრცელი უნდა იყოს და არც ძალზე მცირე. „ყოველ პოლიტიკურ კორპუსს აქვს ძალის მაქსიმუმი, რასაც მან არ უნდა გადააჭარბოს. ამ მაქსიმუმს იგი ზრდის გამო ხშირად სცილდება“.

ასეთია ამ ტრაქტატის ძირითადი შინაარსი, ტრაქტატისა, რომელიც ერთ-ერთი თეორიული საფუძველი გახდა საფრანგეთის რევოლუციისა. სიცოცხლის ბოლო წლებში რუსომ შექმნა ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „აღსარება“, რომელიც მსოფლიო მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლია. ჟან ჟაკ რუსო გარდაიცვალა 1778 წლის 2 ივლისს. მისი ნეშტი განისვენებს პარიზის პანთეონში, ვოლტერის გვერდით.

ახროვნების ისტორია იცნობს ადამიანებს, რომლებიც გამოთქვამენ ერთი შეხედვით მოულოდნელ, უცნაურ, პარადოქსულ აზრებს და თითქოს უხვევენ გაკვალული გზიდან. მერე აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ შეუმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ადრე შემჩნეული არ იყო და ჩვენ აზროვნებას აიძულებენ უფრო ღრმად, საფუძვლიანად და მრავალმხრივად იკვლიოს თავისი პრობლემები. მაგალითისათვის დავასახელებდი ჰერაკლიტეს ან ნიცშეს. XVIII საუკუნეში ასეთი გახლდათ ჟან ჟაკ რუსო.

ჟან ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ პირველი თარგმანია ქართულ ენაზე, შესრულებულია ფრანგული დედნიდან J. J. Rousseau „Du Contrat Social“; La Renaissance du Livre, Ed. Mignot, Editeur, Paris.

თამაზ ბუაჩიძე

ავტორის გაფრთხილება

ეს მცირე ტრაქტატი ნაწილია უფრო ვრცელი თხზულებისა რომლის წერაც ოდესღაც საკუთარი ძალების გაუთვალისწინებლად წამოვიწყე და მალევე მივატოვე.[1] ამ თხზულების სხვადასხვა ფრაგმენტთაგან, რომლებიც შეიძლებოდა შეგვეთავაზებინა საზოგადოებისათვის, წინამდებარე ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვანია და, ჩემი აზრით, იმსახურებს გამოქვეყნებას. აღნიშნული თხზულების დანარჩენი ნაწილი აღარ არსებობს.

პირველი წიგნი

Foederis aequas
Dicamus leges.*
Virg. AEneid.
XI, V, 321

მე მსურს შევისწავლო – საზოგადოებრივ წყობაში, თუ ადამიანები დარჩებიან ისეთებად, როგორებიც არიან, ხოლო კანონები იქნებიან იმგვარნი, როგორადაც მათ ძალუძთ ყოფნა – შესაძლებელია თუ არა მმართველობის რაიმე კანონიერი და მყარი წესის არსებობა. ამ გამოკვლევაში გამუდმებით ვეცდები ურთიერთკავშირში განვიხილო ის, რის ნებასაც გვრთავს სამართალი და ის, რასაც ადგენს სარგებელი, რათა ეს ორი რამ – სარგებელი და სამართალი – ერთმანეთისაგან არ იქნას განცალკავებული.

იმის მტკიცებას არ მოვყვები, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის საგანი; უშუალოდ მასზე მსჯელობით დავიწყებ. შესაძლოა მკითხონ: ხელმწიფე ან კანონმდებელი ხომ არ ხარ, პოლიტიკაზე რომ წერ? ცხადია, არა, – მივუგებ პასუხად, – და სწორედ ამიტომაც ვწერ პოლიტიკაზე; ხელმწიფე ან კანონმდებელი რომ ვიყო, დროს არ დავკარგავდი იმაზე საუბრით, რა უნდა მეკეთებინა; მე მას უსიტყვოდ შევასრულებდი ან დუმილს ვამჯობინებდი.

რაოდენ სუსტიც არ უნდა იყოს ჩემი, როგორც პიროვნების, ხმის გავლენა საზოგადოებრივ საქმეებზე, ჩემთვის, როგორც თავისუფალი სახელმწიფოს[2] მოქალაქისა და სუვერენული ხალხის წარმომადგენლისათვის, თავად ხმის უფლებაც კმარა და მავალდებულებს აღნიშნული საქმეების შესწავლას. ყოველთვის, როდესაც მმართველობის ფორმებზე ვფიქრობ, ბედნიერად ვრაცხ თავს, ვინაიდან ასეთ დროს გამუდმებით მიძლიერდება ჩემი ქვეყნის მმართველობის სიყვარული.

I თავი

პირველი წიგნის საგანი

თავისუფალ არსებად შობილ ადამიანს, ყველგან ბორკილი ადევს*. ზოგი, თავს სხვათა გამგებლად რომ მიიჩნევს, სინამდვილეში მათზე არანაკლები მონაა. რა არის ასეთი ცვლილების მიზეზი, ვერ გეტყვით, მაგრამ – რა არის ის, რასაც ძალუძს კანონიერი გახადოს ეს ცვლილება, ვფიქრობ, ამაზე პასუხის გაცემა უნდა შევძლო.

მე რომ მხოლოდ ამ ცვლილებიდან მომდინარე ძალმოსილება და შედეგი გამეთვალისწინებინა, ვიტყოდი: ხალხი კარგად იქცევა, როდესაც იძულებულია მორჩილებდეს და კიდეც მორჩილებს. მაგრამ იგი გაცილებით უფრო უკეთ იქცევა, როდესაც შესაძლებლობა ეძლევა, ეს უღელი გადაიგდოს და ამას კიდეც იქმს. ხალხი, რომელიც თავისუფლებას იმავე უფლებით იბრუნებს, რომლითაც იგი მას ჩამოერთვა, ყველანაირად უფლებამოსილია იგი დაიბრუნოს ანდა, სხვაგვარად თუ ვიტყვით, არავითარი საფუძველი არ არსებობდა მის წასართმევად. საზოგადოებრივი წყობა წმიდათაწმიდა ნებაა, ყველა სხვა დანარჩენთა საფუძველი, მაგრამ არა ბუნების მიერ ბოძებული; მაშასადამე, ეს ნება ეფუძნება შეთანხმებებს. ამდენად, არსებითია ის, როგორია ეს შეთანხმებები; ვიდრე მათ განვიხილავდე, მსურს დავასაბუთო ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

II თავი

პირველი საზოგადოებები

საზოგადოებათა შორის უძველესი და ერთადერთი ბუნებრივი საზოგადოება არის ოჯახი; მაგრამ ოჯახშიც შვილები მამასთან მანამდე რჩებიან,სანამ მას თავიანთი არსებობის შესანარჩუნებლად საჭიროებენ. ასეთი აუცილებლობა როგორც კი გაქრება, ბუნებრივი კავშირი ირღვევა. მამის წინაშე მორჩილებისაგან თავდახსნილი შვილები და შვილებზე ზრუნვისაგან თავისუფალი მამები დამოუკიდებლობას თანაბრად იბრუნებენ; და, თუ ისინი მაინც აგრძელებენ გვერდიგვერდ ცხოვრებას, ესაა ნებაყოფლობითი და არა ბუნებრივი აქტი; ოჯახის ერთიანობა შენარჩუნებულია მხოლოდ შეთანხმებით.

ეს საყოველთაო თავისუფლება ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს. მისი პირველი კანონი საკუთარი არსებობის შენარჩუნებაზე ზრუნვაა, პირველი საზრუნავი კი ის, რაც საკუთარი თავის მიმართ უნდა ჰქონდეს. საკმარისია, ადამიანმა სრულწლოვანების ასაკს მიაღწიოს, იგი საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და თავისივე არსებობის შესანარჩუნებლად გამოსადეგ საშუალებათა ერთადერთი განმსჯელი ხდება.

* ჩვენ მოგითხრობთ სამართლიან კანონებზე, ხელშეკრულებას რომ ეფუძნებიან ვირგილიუსი, ენეიდა XI, V, 321

ამგვარად, თქვენ წარმოიდგინეთ, ოჯახი პოლიტიკური საზოგადოების პირველი ნიმუშია; ბელადი მამის ხატია, ხალხი – შვილებისა; ყველანი, თავისუფალად და თანასწორად შობილნი, თავისუფლებას მხოლოდ საკუთარი სარგებლისათვის ასხვისებენ. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ ოჯახში მამისადმი შვილების სიყვარული ერთგვარი საზღაურია იმ ზრუნვისა, რასაც მშობელი თავისი სისხლისა და ხორცის მიმართ იჩენს; სახელმწიფოში კი სიყვარულს, რასაც გამგებელი არ განიცდის თავისი ხალხის მიმართ, ენაცვლება გამგებლობით მიღებული სიამოვნება.

გროციუსი[3] უარყოფს მოსაზრებას, თითქოს ყოველგვარი ძალაუფლება გამგებელთა სასარგებლოდ იყოს დადგენილი. ნათქვამის დასტურად იგი მონობას ასახელებს. ფაქტით უფლების დადგენა მისთვის მსჯელობის ჩვეული წესი გახლავთ*. შედარებით თანმიმდევრული მეთოდით ხელმძღვანელობაც შეიძლებოდა, მაგრამ ტირანებისათვის უფრო ხელსაყრელ მეთოდს ვერ იპოვით.

ამგვარად, გროციუსის თანახმად, საეჭვოა: კაცთა მოდგმა ასობით პირის მიერ იქმნება თუ, პირიქით, – ასობით პირი ქმნის კაცთა მოდგმას. და, როგორც ჩანს, გროციუსი თავის თხზულებაში უფრო პირველი მოსაზრებისაკენ იხრება. ჰობსიც[4] ამავე აზრისაა. ამგვარად გამოდის, რომ ადამიანები დაყოფილი არიან ჯოგებად; თითოეულ ამ ჯოგს ჰყავს თავისი ბელადი, რომელიც მხოლოდ იმიტომ იცავს მას, რომ შესანსლოს.

როგორც მწყემსი დგას თავისი არსით ჯოგზე მაღლა, ასევე ადამიანთა მწყემსებიც ანუ ბელადები უფრო მაღალი ბუნებისანი არიან, ვიდრე მათი მორჩილი ხალხი. ფილონის[6] თანახმად, ასე მსჯელობდა იმპერატორი კალიგულა[7] და ამგვარი მსჯელობიდან საკმაოდ მარჯვე დასკვნაც გამოჰქონდა: მეფენი ღმერთები არიან, ხალხები – პირუტყვები.

კალიგულას აზრი ტყუპის ცალივით ჰგავს ჰობსის და გროციუსის მსჯელობას. არისტოტელემ[8] მათზე ბევრად უფრო ადრე განაცხადა, რომ ადამიანები ბუნებით სრულებითაც არ არიან თანასწორნი: ერთნი მონობისთვის არიან გაჩენილნი, მეორენი გამგებლობისთვის.

არისტოტელე მართალი გახლდათ, მაგრამ მას შედეგი მიზეზად მიაჩნდა. მონობაში შობილი ადამიანი მონობისათვის იბადება; ეს ცხადზე უცხადესია. თავიანთი ბორკილებით მონები ყველაფერს კარგავენ, თვით ამ ბორ-

*სახალხო სამართლის შესახებ წარმოებული მეცნიერული კვლევა – ძიებები, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ძველ დანაშაულთა ისტორიაა.სრულიად უმართებელია ის სიჯიუტე, რითაც მათ შესწავლას ცდილობენ. Traité des Interets de la France avec ses voisins par M D Argenson.[5] გროციუსის კვლევა–ძიებებიც ასეთივეა.

კილთაგან განთავისუფლების სურვილსაც კი. ისინი მონური მდგომარეობით ისევე კმაყოფილნი არიან, როგორც ულისეს[9] ცხოველებად ქცეული მეგობრები.* ამგვარად, თუ არსებობენ ბუნებით მონები, ეს იმიტომ, რომ მანამდეც მონები იყვნენ ბუნების საწინააღმდეგოდ. პირველი მონები შვა ძალამ, სიმხდალემ კი იგი სამუდამოდ დაამკვიდრა.

არაფერი მითქვამს მეფე ადამზე[10], იმპერატორ ნოეზე[11]– მამაზე სამი უდიდესი მონარქისა, სატურნის[12] შვილების მსგავსად სამყარო რომ გაიყვეს და რომლებშიც წინამორბედთა შეცნობას ცდილობდნენ. ვიმედოვნებ, თავის შეკავებისათვის კმაყოფილნი დამრჩებიან. ამ ხელმწიფეთა ერთერთი პირდაპირი ჩამომავალი, შესაძლოა უფროსის შტოდან, ვინ უწყის საკუთარ წოდებათა გადამოწმებით, იქნებ ადამიანთა მოდგმის კანონიერი მეფეც კი აღმოვჩენილიყავი? ასეა თუ ისე, შეუძლებელია არ აღიარო, რომ ადამი იყო მსოფლიო სუვერენი, ისევე როგორც რობინზონი[13] – თავისი კუნძულის მპყრობელი, ვიდრე იგი მისი ერთადერთი მკვიდრი გახლდათ; ამ იმპერიაში ხელსაყრელი გახლდათ ის, რომ საკუთარი ტახტის უსაფრთხოებაში დარწმუნებულ მონარქს არც ამბოხებებისა უნდა შინებოდა, არც – ომებისა და არც – შეთქმულებებისა.

III თავი

ყველაზე ძლიერის უფლება

ყველაზე ძლიერი არასოდეს არ არის ისე ძლიერი, რომ მუდამ ბატონი იყოს; ცხადია, თუ თავის ძალას უფლებად, ხოლო მორჩილებას მოვალეობად არ გარდაქმნის. სწორედ აქედან იღებს სათავეს გარეგნულად თითქოს ირონიულად მიჩნეული, სინამდვილეში კი პრინციპად დადგენილი უფლება ყველაზე ძლიერისა; ნუთუ არასოდეს არ აგვიხსნიან ამ სიტყვას – უფლება? ცხადია, არსებობს ფიზიკური ძლიერება და არ მესმის, რა მორალი შეიძლება ახლდეს მის შედეგებს. ძალის წინაშე დათმობა არის აუცილებლობით გამოწვეული და არა – ნებაყოფლობითი აქტი. ასეთი დათმობა, დიდი-დიდი, შეიძლება, სიფრთხილის აქტად ჩაითვალოს. მაშ, რა ნიშნით შეიძლება ძალის წინაშე მორჩილება მოვალეობად მიიჩნეოდეს?

* იხ.პლუტარქეს პატარა ტრაქტატი: "იმის შესახებ, თუ როგორ სარგებლობენ ცხოველები გონებით."

ერთი წამით დავუშვათ ამ ეგრეთ წოდებული უფლების არსებობა. მე მიმაჩნია, რომ ასეთ დაშვებას მხოლოდ აბდაუბდა მოჰყვება, ვინაიდან, თუ ძალა ქმნის უფლებას, მაშინ შედეგი მიზეზის ადგილზე აღმოჩნდება: ყოველი ძალა, რომელიც აღემატება წინა ძალას, ამ უკანასკნელის უფლებასაც მემკვიდრეობით იღებს. თუ შესაძლებელია დაუმორჩილებლობამ დაუსჯელად იარსებოს, მაშასადამე, ამის ქმნა შეიძლება კანონის საფუძველზეც და ვინაიდან ყველაზე ძლიერი ყოველთვის მართალია, მაშინ მთავარია, ეცადოთ, ყველაზე ძლიერი იყოთ. მაინც რა არის ეს უფლება, რომელიც ძალის მოსპობისთანავე ქრება? თუ ძალას უნდა მორჩილებდნენ, მაშინ მოვალეობისადმი მორჩილება აუცილებელი როდია; თუ იძულებულნი არ არიან მორჩილებდნენ, მაშინ აღარც ვალდებულნი იქნებიან მორჩილებდნენ. თქმულიდან გამომდინარე, სიტყვა **უფლება** არაფერს ჰმატებს ძალას; ამ შემთხვევაში მას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

დაჰმორჩილდით ხელისუფალთ! თუ ამით სურთ თქვან, დანებდით ძალასო, მაშინ ეს რიგიანი, მაგრამ ზედმეტი რჩევა-დარიგებაა; მე ვამტკიცებ, რომ მას არასოდეს დაარღვევენ. ყოველი ხელისუფლება ღმერთიდან მომდინარეობს;[14] ასეა, მაგრამ ყოველი დაავადებაც ხომ ღვთის ნებაა; და ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ექიმს მიმართო?! თუ უსიერ ტყეში ყაჩაღი თავს დამესხა, იძულებული გავხდები ქისა მივცე. მაგრამ ქისის დამალვა რომ შემძლებოდა, განა სინდისი ყაჩაღისათვის მის დათმობას მაიძულებდა? ბოლოს და ბოლოს, ყაჩაღის ხელში დამბაჩაც ხომ ერთგვარი ძალაუფლებაა.

მაშასადამე, შევთანხმდეთ: ძალა არ ქმნის უფლებას, ადამიანი ვალდებულია მორჩილებდეს მხოლოდ კანონიერ ხელისუფალთ. ასე რომ, კვლავ ჩემს პირველ კითხვას ვუბრუნდებით.

IV თავი

მონობა

ვინაიდან არც ერთ ადამიანს თავისსავე მსგავსზე ძალაუფლების გავრცელება ბუნებით არა აქვს მინიჭებული და ვინაიდან ძალა არავითარ უფლებას არ ქმნის, ამიტომ ნებისმიერი კანონიერი ძალაუფლება ადამიანთა შორის შეთანხმებებს ეფუძნება.

გროციუსის აზრით, თუ კერძო პირს შეუძლია საკუთარი თავისუფლების გასხვისება და რომელიმე ბატონის მონად გახდომა, რატომ არ შეიძლება ხალხმაც გაასხვისოს თავისი თავისუფლება და რომელიმე მეფის ქვეშევრდომად იქცეს? აქ საკმაოდ ბევრი ორაზროვანი სიტყვაა და ამდენად განმარტებას საჭიროებს. შევრჩერდეთ სიტყვა გასხვისებაზე: იგი ნიშნავს რაიმეს გაცემას ან გაყიდვას. მონად ქცეული ადამიანი სხვას კი არ აძლევს თავის თავს, არამედ ყიდის, რათა არსებობა მაინც შეძლოს. მაგრამ რატომ უნდა გაყიდოს თავი ხალხმა? მეფე არათუ უზრუნველყოფს ქვეშევრდომთა არსებობას, არამედ თავადაც მათ ხარჯზე ცხოვრობს. რაბლეს[15] თანახმად მეფე მცირედს როდი სჯერდება. მაშასადამე, ქვეშევრდომები იმ პირობით ელევიან თავიანთ პიროვნებას, რომ მათ ქონებასაც ჩამოართმევენ? არ მესმის, რაღა რჩებათ მათ დასაცავი?!

გვეტყვიან: დესპოტი ქვეშევრდომთა სამოქალაქო სიმშვიდეს უზრუნველყოფსო. ვთქვათ ასეა, მაშინ ამ უკანასკნელთ რაღა სარგებელი აქვთ, თუ მეფისავე პატივმოყვარეობით თავსმოხვეული ომები, მისი დაუოკებელი სიხარბე, მისგან განცდილი შევიწროება, ჩაგვრა, იმაზე უფრო მეტად აჩანაგებს მათ, ვიდრე ამას ერთმანეთს შორის უთანხმოებები გამოიწვევდა? რა სარგებელი აქვთ მათ, თუ თავად ეს სიმშვიდეც ერთერი მათი უბედურებათგანია? საპყრობილეებშიც მშვიდად ცხოვრობენ, მაგრამ განა ეს იკმარებს იმის სამტკიცებლად, რომ პატიმრები იქ თავს კარგად გრძნობენ? ციკლოპის[16] გამოქვაბულში დამწყვდეული ბერძნები მშვიდად ელოდნენ თავიანთი შთანთქმის რიგს.

იმის თქმა, რომ ადამიანი უსასყიდლოდ გაიღებს თავის თავს, წარმოუდგენელი უაზრობაა. ასეთი აქტი უკანონო და ფუჭია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ჩამდენი საღ გონებაზე არაა. ხალხზეც იმავეს თქმა ნიშნავს იმის დაშვებას, რომ მასში[17] მხოლოდ უგნურები ყოფილან, უგუნურება კი უფლებას არ ქმნის.

თითოეულ ადამიანს საკუთარი თავის გასხვისება კიდეც რომ შეეძლოს, შვილების გასხვისება მაინც არ ძალუძს. ისინი არიან თავისუფლად შობილნი, თავისუფლება მათივე საკუთრებაა და მათ გარდა არავისა აქვს უფლება იგი განაგოს. ვიდრე შვილები მოწიფულ ასაკს მიაღწევდნენ, მამას შეუძლია შვილების სახელით შეთანხმებები დადოს მათივე არსებობის უზრუნველყოფისა და კეთილდღეობის მიზნით. მაგრამ ამ შეთანხმებების სამუდამოდ და უპირობოდ დადება მას არ შეუძლია. ასეთი რამ ბუნებას ეწინააღმდეგება და მამის უფლებას აღემატება. მაშასადამე, იმისათვის რომ თვითნებური მმართველობა გამხდარიყო კანონიერი, ყოველი თაობის ადამიანები თავად უნდა ყოფილიყვნენ უფ-

ლებამოსილნი მიეღოთ მმართველობა ან უარეყოთ იგი. ასეთ შემთხვევაში ეს მმართველობა თვითნებური აღარ იქნება.

თავისუფლებაზე უარის თქმა საკუთარ ადამიანურ ღირსებაზე, ადამიანურ უფლებებზე, თვით მოვალეობებზე უარის თქმის ტოლფასია. არ არსებობს ისეთი საზღაური, ყველა ამ უარის შედეგს რომ აანაზღაურებდა. ასეთი უარი ადამიანის ბუნებასთან შეუთავსებელია. საკუთარ ნებას თავისუფლება აღუკვეთოთ, ეს ნიშნავს თქვენსავე ქმედებებს ზნეობრივი საფუძველი გამოაცალოთ. დაბოლოს, შეთანხმება, სადაც, ერთი მხრივ, აბსოლუტური ძალაუფლებაა გაცხადებული, მეორე მხრივ კი – უსაზღვრო მორჩილება, ფუჭი და წინააღმდეგობრივია. განა ნათელი არ არის, რომ ძალაუფლების მქონენი თავს არ დაივალდებულებენ მის მიმართ, ვისზეც აქვთ უფლება, ყველაფერი მოსთხოვონ? ეს ერთადერთი უექვივალენტო და აუნაზღაურებელი პირობა ხომ არ აბათილებს ამ აქტს? მართლაც, რა უფლება შეიძლებოდა ჰქონოდა ჩემს მიმართ ჩემსავე მონას, თუ ყველაფერი, რაც მას აბადია, მე მეკუთვნის; თუ მისი უფლება იმდროულად ჩემი უფლებაცაა; ჩემგან მომდინარე და ჩემს წინააღმდეგვე მიმართული უფლება ის სიტყვაა, არავითარი აზრი რომ არა აქვს.

გროციუსი და სხვები ეგრეთ წოდებული მონობის უფლების სხვა საფუძვლად ომს მიიჩნევენ. მათი მსჯელობის თანახმად, რაკი გამარჯვებულს უფლება აქვს, მოკლას დამარცხებული, ამ უკანასკნელს შეუძლია თავისუფლების ფასად სიცოცხლე იყიდოს. ასეთი შეთანხმება კანონიერია იმდენად, რამდენადაც ორივე მხარისათვის ხელსაყრელია.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს ეგრეთ წოდებული დამარცხებულის მოკვლის უფლება ომის მდგომარეობიდან არ მომდინარეობს თუნდაც იმის გამო, რომ თავდაპირველი დამოუკიდებელობის პირობებში მცხოვრებ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ არა აქვთ იმდენად უცვლელი მიმართებები, რომ ომის ან მშვიდობის მდგომარეობა შექმნან. ჩვეულებრივ, ისინი ერომანეთის მტრები არ არიან. ომს იწვევს არა ადამიანთა, არამედ საგანთა შორის მიმართება. საომარი მდგომარეობა არ შეიძლება წარმოიშვას უბრალო პირადი ურთიერთობებიდან; იგი მხოლოდ საგანთა მიმართებებიდან ჩნდება ხოლმე. ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს კერძო ომი, ე.ი. ომი ორ ადამიანს შორის არც ბუნებრივ მდგომარეობაში, სადაც საერთოდ საკუთრება მუდმივი არ არის, და არც საზოგადოებრივ მდგომარეობაში, სადაც ყველაფერი კანონთა ძალაუფლებას ექვემდებარება.

კერძო შეტაკებები, ორთაბრძოლები, შეხლა-შემოხლა ისეთი აქტებია, რომლებიც ომის ან მშვიდობიის მდგომარეობას არ ქმნის. რაც შეეხება საფრანგეთის მეფე ლუი IX -ს[18] დადგენილებით დაშვებულ და

-18903-

საღვთო ზავით[19] შეჩერებულ კერძო ომებს, ეს ოდესმე არსებულ სისტემათა შორის ყველაზე უგუნური სისტემის – ფეოდალური მმართველობის – ბოროტი გამოყენება გახლდათ, რაც თანაბრად ეწინააღმდეგებოდა როგორც ბუნებრივი უფლების, ისე ნებისმიერი კარგი საზოგადოებრივი მმართველობის პრინციპებს.

ამგვარად, ომი ერთი ადამიანის მეორესთან მიმართება კი არ არის, არამედ ერთი სახელმწიფოს მეორესთან მიმართებაა, რომლის დროსაც კერძო პირები შემთხვევათა წყალობით ეკიდებიან ერთმანეთს მტრად, თანაც არა როგორც ადამიანები ან მოქალაქეები,* არამედ როგორც ჯარისკაცები, არა როგორც საკუთარი სამშობლოს წარმომადგენლები, არამედ როგორც მისი დამცველები. დაბოლოს, ყოველი სახელმწიფოს მტერი შეიძლება იყოს მხოლოდ რომელიმე სხვა სახელმწიფო და არა ადამიანები, რადგან სხვადასხვა რიგის საგანთა შორის რაიმე ნამდვილი მიმართების დამყარება შეუძლებელია.

ეს პრინციპი ეთანადება ყველა დროის მაქსიმასა და ყველა ცივილიზებული ხალხის მყარ პრაქტიკას. ომის გამოცხადების მიზანი არა ხელისუფალთა, არამედ ქვეშევრდომთა გაფრთხილებაა. უცხოელი (თუნდაც მეფე იყოს იგი, კერძო პირი ან ხალხი), რომელიც ძარცავს, კლავს ან ტყვედ აჰყავს სხვა ქვეყნის ქვეშევრდომები მათი ხელმწიფისათვის ომის გამოუცხადებლად, მტერი კი არა, ყაჩაღია. ფიცხელი ომის დროსაც კი, სამართლიანი ხელმწიფე, რომელიც მტრის ქვეყანაში ეუფლება ყველაფერს, რაც საზოგადოების კუთვნილებაა, პიროვნებასა და კერძო ქონებას ხელუხლებლად ტოვებს. იგი პატივს მიაგებს იმ უფლებებს, რომლებსაც მისი საკუთარი უფლებებიც ეფუძნება. ვინაიდან ომის მიზანი მტრული სახელმწიფოს განადგურებაა, ამდენად, მომხდური უფ-

*რომაელები, რომელთაც ამ ქვეყნად ყველა ხალხზე უკეთ ესმოდათ, რა არის ომის უფლება და სათანადო პატივსაც მიაგებდნენ მას, ამ მხრივ იმდენად წესიერები იყვნენ, რომ მოხალისეობის უფლების ნებას არ რთავდნენ არც ერთ მოქალაქეს, თუ იგი მტრის (თანაც გარკვეული მტრის) წინააღმდეგ მებრძოლ ჯარში არ ირიცხებოდა. კატონმა (შვილმა)[20] პირველად პოპილიუსის[21] მხედარმთავრობით მიიღო ლაშქრობაში მონაწილეობა. კატონმა მამამ[22] დაშლილი ლეგიონის მხედართმთავარს, პოპილიუსს, მისწერა: თუ გსურს ჩემი ვაჟი, კატონ უმცროსი, კვლავ გემსახუროს, მაშინ მან სამხედრო ფიცი ხელახლა უნდა მიიღოს, ვინაიდან თავდაპირველი ფიცი უკვე გაუქმებულია და მას უფლება აღარ აქვს, მტრის წინააღმდეგ იარაღით გამოვიდესო. იმავე კატონმა თავის ვაჟს მისწერა: ვიდრე ახალ ფიცს არ დადებ, ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღოო. შესაძლოა, კლუზიუმის ალყაზე[23] და სხვა კერძო ფაქტებზე მიმითითონ, მაგრამ მე მხოლოდ კანონებსა და ადათებს განვიხილავ. რომაელები სხვებზე იშვიათად არღვევდნენ თავიანთ კანონებს, შესანიშნავი კანონები კი მხოლოდ მათ ჰქონდათ.

ბრ. როგაჭიძის სახელობის
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა

ლებამოსილია, ქვეყნის დამცველნი მანამდე ხოცოს, ვიდრე მათ ხელთ იარაღი უპყრიათ, მაგრამ, როგორც კი იარაღს დაყრიან და ტყვედ ჩაბარდებიან, ისინი უკვე მტრად აღარ ითვლებიან და კვლავ ჩვეულებრივი ადამიანები ხდებიან.[24] ამდენად, მოწინააღმდეგეს მათი სიცოცხლის ხელყოფის უფლება აღარა აქვს. ზოგჯერ შეიძლება სახელმწიფო ისე გაანადგუროთ, რომ არც ერთი მისი მკვიდრი არ მოკლათ. ომი მხოლოდ თავისივე მიზნისათვის აუცილებელ უფლებებს იძლევა. ეს ის პრინციპები როდი გახლავთ, გროციუსი რომ გვთავაზობს. ისინი პოეტთა ავტორიტეტს კი არ ეფუძნებიან, არამედ საგანთა ბუნებიდან მიმდინარეობენ და გონებას ემყარებიან.

რაც შეეხება დაპყრობის უფლებას, მისი საფუძველი სხვა არა არის რა, თუ არა უფრო ძლიერის უფლება. თუ ომი გამარჯვებულს დამარცხებული ხალხის გაჟლეტის უფლებას არ ანიჭებს, ძლიერის უფლება, რაკი გამარჯვებულს იგი არ გააჩნია, არ შეიძლება იქცეს დამარცხებულთა მონად ქცევის საფუძვლად. მტრის მოკვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ არ ძალუძთ მისი მონად ქცევა. გამოდის, რომ მტრის მონად ქცევის უფლება არ მომდინარეობს მისი მოკვლის უფლებიდან. მაშასადამე, ესაა უსამართლო გარიგება, აიძულოთ მტერი, თავისუფლების საზღაურად იყიდოს საკუთარი სიცოცხლე; ამის უფლება კი არავისა აქვს. სიკვდილ-სიცოცხლის უფლების მონობის უფლებაზე დაფუძნებით და, პირიქით, მონობის უფლების დაფუძნებით სიკვდილისა და სიცოცხლის უფლებაზე, განა ნათელი არ არის, რომ მოჯადოებულ წრეში ვექცევით?

ჩემი აზრით, ნებისმიერი ადამიანის მოკვლის ამ საშინელ უფლებას თუ მაინც დავუშვებთ, მონადქცეული სამხედრო ტყვე ან დაპყრობილი ხალხი თავისი მფლობელის მიმართ არაფრით ვალდებული აღარაა და მხოლოდ იძულებით დაემორჩილება მას. როდესაც დამარცხებულს მისი სიცოცხლის ტოლფასი ღირებულების საგანის გამორთმევით, უნარჩუნებს არსებობას, გამარჯვებული ამით მოწყალებას როდი გაიღებს. მისი მოკვლის დროს იგი არავითარ სარგებელს არ იღებდა, ახლა ცოცხალი დატოვა და პირადი სარგებელი ნახა. ძალის გარდა, გამარჯვებულმა ტყვეზე ვერავითარი სხვა უფლება ვერ მოიპოვა, საომარი მდგომარეობა მათ შორის უწინდებურად გრძელდება, რისი შედეგიცაა მათი ურთიერთდამოკიდებულება. ომის უფლების გამოყენება არ გულისხმობს სამშვიდობო ხელშეკრულებას. დავუშვათ, მოწინააღმდეგე მხარეებმა ასეთი ხელშეკრულება დადეს, საომარი მდგომარეობის აღკვეთის ნაცვლად, ეს ხელშეკრულება მაინც ომის გაგრძელებას ივარაუდებს.

ამგვარად, რა თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ საგნები, მონობის უფლება მაინც არაფერია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ უკანონოა, არამედ იმიტომაც, რომ უგნურებაა და არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. სიტყვები **მონობა და უფლება** ურთიერთსაწინააღმდეგო და შეუთავსებელია. ერთი ადამიანი გინდა მეორეს მიმართავდეს, გინდა – მთელ ხალხს, ყველა შემთხვევაში ამგვარი მიმართვა "ვდებ რა შენთან ხელშეკრულებას, რომლის მთელი სიმძიმეც შენ გეკისრება, მთელი სარგებელი კი მე მეკუთვნის, მას დავიცავ მანამდე, სანამ ამისი სურვილი მე მექნება და შენც იქამდე დაიცავ მას, ვიდრე ეს მე მენებება" უგუნურება იქნება.

V თავი

ყოველთვის პირველი ხელშეკრულებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ

მე რომ დავთანხმდებოდი ყოველივე იმას, რაც იქამდე უარვყავი, დესპოტიზმის დამცველნი ბევრს ვერაფერს მოიგებდნენ. მასების დამონებასა და საზოგადოების მართვას შორის ყოველთვის დიდი სხვაობა იქნება. ერთმა პიროვნებამ ცალკეული ადამიანები მათი რაოდენობის მიუხედავად თანადათანობითაც რომ დაიმონოს, ამ შემთხვევაში მე მაინც მფლობელსა და მონებს დავინახავ და არა – ხალხს და მის წინამძღოლს; ეს უმალ აგრეგაციაა და არა – ასოციაცია. აქ არც საზოგადოებრივი კეთილდღეობაა, არც – პოლიტიკური კორპუსი. ესა თუ ის ადამიანი, თუდაც მან ნახევარი მსოფლიო დაიმონოს, მაინც კერძო პირია. მას კერძო ინტერესები ამოძრავებს და სხვათა ინტერესებისაგან სხვაობს. თუ ეს ადამიანი დაღუპება, მისი სიკვდილის შემდეგ იმპერია ისევე ჩაიფერფლება და დაემხობა, როგორც ცეცხლისაგან შთანთქმული მუხა.

გროციუსის თქმით, ხალხმა შეიძლება საკუთარი გამგებლობა მეფეს მიანდოს. ამგვარად, გროციუსი ჯერ კიდევ მეფის მორჩილების გამოცხადებამდე ცნობს მას ხალხად. თავად ეს მორჩილება უკვე სამოქალაქო აქტია და საჯარო განხილვას გულისხმობს. ვიდრე ხალხის მიერ მეფის არჩევის აქტს განვიხილავდეთ, კარგი იქნებოდა, შეგვესწავლა ის, რაც ხალხს აქცევს ხალხად. ეს აქტი აუცილებლად წინ უსწრებს მეფის არჩევას და საზოგადოების ჭეშმარიტი საფუძველია.

პუსს, რომელიც იმდენი წევრისაგან შედგება, რამდენი ხმაც აქვს კრებას; ეს კორპუსი ამავე აქტის მეშვეობით იძენს თავის ერთიანობას, თავის საზოგადო „მეს“, ცხოველმყოფლობას და ნებას. ყველა სხვა პიროვნების შეკავშირებით ჩამოყალიბებულ ასეთ საზოგადოებრივ პიროვნებას, ოდესღაც **სამოქალაქო საზოგადოება** რომ ეწოდებოდა, (cite)*, **ახლა კი – რესპუბლიკა ანუ პოლიტიკური კორპუსი**, მისი პასიურობის შემთხვევაში მისი წევრები **სახელმწიფოს** უწოდებენ, აქტიურობის შემთხვევაში კი – სუვერენს, მისივე მსგავსთან შედარებისას – **ხელისუფლებას**. რაც შეეხება ასოციაციის წევრებს, კოლექტიურად მათ ხალხი ეწოდებათ, ინდივიდუალურად **მოქალაქეები**, ხოლო, როგორც სახელმწიფოს კანონების მორჩილთ – **ქვეშევრდომები**. ეს ტერმინები ხშირად ერთმანეთში ირევა და ერთიმეორის ნაცვლად გამოიყენება. როდესაც ისინი თავიანთი მნიშვნელობით არიან გამოყენებულნი, მათი განსხვავება უნდა შეგვეძლოს.

VII თავი

სუვერენი

წინამდებარე ფორმულა მოწმობს, რომ ასოციაციის აქტი საზოგადოებასა და კერძო პირთა შორის ურთიერთვალდებულებას გულისხმობს და თითოეული ინდივიდი, ასე ვთქვათ, საკუთარ თავთან ხელშეკრულების

*cité – ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა თანამედროვეებმა თითქმის სრულებით დაივიწყეს. ბევრს ქალაქი მოქალაქეთა საზოგადოება ჰგონია, ქალაქელი კი მოქალაქეში ერევა. მათ არ უწყიან, რომ ქალაქს სახლები, მოქალაქეთა საზოგადოებას კი მოქალაქეები ქმნიან. ოდესღაც ეს შეცდომა კართაგენელებს ძვირად დაუჯდათ. არსად წამიკითხავს, რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომისათვის რომ cives ეწოდებინოთ. ძველად ასეთი რამ მაკედონელებშიც არ მომხდარა; ჩვენს დროში ასეთი რამ არც ინგლისელებში შეინიშნება, თუმცა ისინი ყველა სხვა ერებზე უფრო ახლოს დგანან თავისუფლებასთან. მხოლოდ ფრანგები უწოდებენ თავიანთ თავს ძალზე უბრალოდ „მოქალაქეებს,“ ვინაიდან მათ სრულებით არ ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა. ამას მათი ლექსიკონებიც მოწმობს. ფრანგებს ამ სიტყვის მნიშვნელობა რომ ესმოდეთ, მისი უზურპაციით ერთგვარად არ შეურაცხყოფდნენ მის უდიდესებულობას: ეს სიტყვა მათთან უფლებას კი არა, სიქველეს ნიშნავს. როდესაც ბოდენმა[25] ჩვენს მოქალაქეებსა და ქალაქელებზე საუბარი ისურვა, უხეში შეცდომა დაუშვა, ვინაიდან ერთნი მეორეებად მიიღო. ბ-ნი დ. ალამბერი[26] არ შემცდარა; მან თავის სტატიაში „ჟენევა“ სწორად გამოყო ჩვენს ქალაქში მცხოვრებ ადამიანთა ოთხი რანგი (უცხოლთა ჩათვლით ხუთიც). მათგან მხოლოდ ორი ქმნის რესპუბლიკას. სხვა ფრანგ ავტორთაგან, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, სიტყვა „მოქალაქის“ ნამდვილი მნიშვნელობა ვერავინ გაიგო.

დადებით თავს ორმაგად ივალდებულებს: ერთი – როგორც სუვერენის წევრი კერძო პირთა მიმართ და მეორე – როგორც სახელმწიფოს წევრი სუვერენის მიმართ. მაგრამ ამ შემთხვევაში სამოქალაქო უფლების მაქსიმა – საკუთარი თავის მიმართ ვინმეს დავალდებულება – არ გამოდგება, ვინაიდან ერთმანეთისაგან ძალზე დიდად სხვაობენ ვალდებულებები საკუთარი თავისა და მთელის წინაშე, რომლის ნაწილიცა ხარ.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს ქვეშევრდომის ვალდებულება სუვერენის წინაშე, ვინაიდან თითოეული ქვეშევრდომი სხვადასხვა მიმართებით განიხილება. მაგრამ, საპირისპირო მოსაზრების თანახმად, შეუძლებელია სუვერენს მოვალეობა დაუდგინოთ საკუთარი თავის მიმართ. პოლიტიკური კორპუსის ბუნებას ეწინააღმდეგება სუვერენის მიერ საკუთარი თავის დავალდებულება კანონით, რომლის დარღვევაც მას არ შეუძლია. სუვერენს საკუთარი თავი შეუძლია განიხილოს მხოლოდ ერთადერთი მიმართებით; ამდენად, იგი იმ კერძო პირის მდგომარეობაშია, საკუთარ თავთან რომ დებს ხელშეკრულებას; აქედან ნათელია, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე სავალდებულო ძირითადი კანონი ხალხის კორპუსისათვის; მისთვის არც საზოგადოებრივი ხელშეკრულებაა სავალდებულო. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებრივ კორპუსს არ შეეძლოს თავის დავალდებულება სხვათა წინაშე ყოველივე იმაში, რაც არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, რადგან უცხო ქვეყნის მკვიდრის მიმართ იგი ჩვეულებრივი ადამიანი, ინდივიდი ხდება.

მაგრამ პოლიტიკურ კორპუსს ანუ სუვერენს, რომელიც მხოლოდ ხელშეკრულების სიწმინდის წყალობით არსებობს, არ ძალუძს ოდესმე თავი სხვის მიმართ ისეთი რამით დაივალდებულოს, რაც ამ პირველად აქტს ხელყოფს; მაგალითად, თავისი თავის რაღაც ნაწილი გაასხვისოს, ანდა სხვა სუვერენს დამორჩილდეს. დარღვევა აქტისა, რისი წყალობითაც თავად არსებობს, საკუთარი თავისი განადგურების ტოლფასი იქნებოდა, ხოლო არარაობას არაფრის შექმნა არ ძალუძს.

როგორც კი ადამიანთა ბრბო ამგვარ ერთ კორპუსად გაერთიანდება, შეუძლებელია ერთ-ერთი მისი წევრი ისე შეურაცხყოთ, რომ ამით მთელ კორპუსს არ მიაყენოთ შეურაცხყოფა; მით უფრო შეუძლებელია, რომ მთელი შეურაცხყოთ და ამ დროს მისმა ყველა წევრმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს. ამგვარად, მოვალეობა და სარგებელი ურთიერთდახმარებას თანაბრად ავალდებულებენ ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს; ერთი და იგივე ადამიანები უნდა ცდილობდნენ ასეთი ორმაგი მიმართებით გაერთიანონ ამ ურთიერთობიდან მომდინარე ყველა სიკეთე.

სუვერენს, როგორც კერძო პირთა ერთობლიობას, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მათი ინტერესების საწინააღმდეგო ინტერესები; ამიტომ ქვეშევრდომები სუვერენული ხელისუფლების წინააღმდეგ არ გამოვლენ; მათ ამისთვის თავდები არ სჭირდებათ, რადგან შეუძლებელია დავუშვათ, რომ კორპუსს გაუჩნდეს თავისი წევრისათვის ზიანის მიყენების სურვილი; ქვემოთ ვნახავთ, რომ მას არ ძალუძს, ვინმეს ინდივიდუალურად ავნოს. სუვერენი, რაკი არსებობს, მუდამჟამს არის ის, რაც უნდა იყოს.

მაგრამ სუვერენისადმი ქვეშევრდომთა მიმართება ასეთი არ გახლავთ; საერთო ინტერესის მიუხედავად, ქვეშევრდომებს საეჭვოა, შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულებები, თუ სუვერენი არ გამონახავდა საშუალებებს, რაც მათი ერთგულების თავდები იქნებოდა.

მართლაც, ყოველ ინდივიდს, როგორც მოქალაქეს, შეიძლება ჰქონდეს კერძო ნება, საერთო ნების საპირისპირო ან მისგან განსხვავებული. საკუთარმა კერძო ინტერესმა შესაძლოა მას საერთო ინტერესისაგან სრულიად განსხვავებული რამ შთააგონოს. მისმა შეუზღუდავმა და, რასაკვირველია, დამოუკიდებელმა არსებობამ შესაძლოა მას აფიქრებინოს, რომ ის, რაც მან საერთო საქმისათვის ბეგარის სახით უსასყიდლოდ უნდა გაიღოს, უფრო მძიმეა მისთვის, ვიდრე არგაღების შემთხვევაში – ნაკლებ საზიანო სხვებისათვის; მორალურ პიროვნებას, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, თუ ისე განვიხილავთ, როგორც გონიერ არსებას (ვინაიდან ის ადამიანი არ არის), მაშინ ყოველი ინდივიდი მოქალაქის უფლებებით ისარგებლებდა, ქვეშევრდომის მოვალეობათა შესრულებას კი არ მოისურვებდა. ამგვარი უსამართლობის ზრდა პოლიტიკური კორპუსის განადგურებას გამოიწვევდა.

ეს საზოგადოებრივი ხელშეკრულება ფუჭ ფორმალობად რომ არ იქცეს, იგი უსიტყვოდ შეიცავს ისეთ შეუვალ ვალდებულებას, რაც სხვა ვალდებულებებს ანიჭებს ძალას; კერძოდ, თუ ვინმე უარს იტყვის საერთო ნების მორჩილებაზე, მას თავისუფალად ყოფნას მთელი კორპუსი აიძულებს. ხელშეკრულების პირობის თანახმად, თითოეული მოქალაქე სამშობლოს განკარგულებაში იმყოფება. ამით იგი იცავს მას ყოველგვარი პიროვნული დამოკიდებულებისაგან. ეს პირობა პოლიტიკური მანქანის მამოძრავებელი ხელოვნება გახლავთ; სამოქალაქო ვალდებულებებს კანონიერს მხოლოდ იგი ხდის; მის გარეშე ეს ვალდებულებები უაზრო და ტირანული იქნებოდა და უდიდეს ბოროტებათა მიზეზი გახდებოდა.

VIII თავი

სამოქალაქო მდგომარეობა

ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო მდგომარეობაში გადასვლა ადამიანში ძალზე შესამჩნევ ცვლილებას იწვევს; მის ქმედებებში ინსტიქტს ცვლის მართლმსაჯულება; მის ქმედებებს ენიჭება ზნეობრიობა, რაც მათ აქამდე არ გააჩნდათ. მოვალეობის ხმა ფიზიკურ იმპულსს, უფლება-სურვილს, მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყვება და ადამიანი, აქამდე რომ მხოლოდ საკუთარ თავს აქცევდა ყურადღებას, ახლა იძულებული ხდება, სხვა პრინციპებით იმოქმედოს და, ვიდრე ბუნებრივ ვნებებს დანებდებოდეს, გონების ხმას ყური მიუგდოს. ცხადია, სამოქალაქო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თმობს თავის ზოგიერთ უპირატესობას, რაც ბუნებიდან აქვს მიღებული, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი გაცილებით უფრო ღირებულ უპირატესობას იძენს. მისი უნარები უფრო იხვეწება და ვითარდება, მისი იდეები უფრო ფართოვდება, მისი გრძნობები უფრო კეთილშობილური ხდება, იგი მთელი სულით იმდენად მაღლდება (თუ არა, – ცხოვრების ახალი პირობებიდან გამომდინარე, ხშირად უწინდელ მდგომარეობაზე მეტად დამამდაბლებელი ბოროტი ქმედებანი), რომ მარად სალოცავი უნდა ჰქონოდა იმ ჟამის დადგომა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გამოგლიჯა იგი ძველ მდგომარეობას და უგუნური, შეზღუდული ცხოველიდან მოაზროვნე არსებად – ადამიანად – აქცია.

მთელი ეს დასკვნა შედარებით უფრო იოლი ტერმინებით გამოვთქვათ: საზოგადოებრივი ხელშეკრულებით ადამიანი კარგავს საკუთარ ბუნებრივ თავისუფლებას და განუსაზღვრელ უფლებას ყოველივეზე, რაც მას იზიდავს და რასაც შეიძლება დაეუფლოს; აღნიშნული ხელშეკრულების სარგებელი კი ის გახლავთ, რომ ადამიანი იღებს სამოქალაქო თავისუფლებას და საკუთარ უფლებას ყოველივეზე, რაც მას აბადია. ამ კომპენსაციებში აღრევა რომ არ მოხდეს, ბუნებრივი თავისუფლება, მხოლოდ ინდივიდის ძალებით შემოფარგლული, მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ საერთო ნებით შეზღუდული სამოქალაქო თავისუფლებისაგან; ასევე აუცილებელია მხოლოდ ძალის გამოყენების შედეგად გამოვლენილი მფლობელობა, ან პირველი დამპყრობის უბრალო უფლება, განვასხვაოთ საკუთრებისაგან, რომელიც მხოლოდ დადებით უფლებას შეიძლება ეფუძნებოდეს.

ყოველივე იმისათვის, რაც წინ უსწრებს სამოქალაქო მდგომარეობას, შეიძლებოდა დაგვემატებინა მორალური თავისუფლებაც – ერთა-

დერთი იგი აქცევს ადამიანს მართლაც საკუთარი თავის ბატონ-პატრონად; სანამ ადამიანს მხოლოდ გულისთქმა ამოძრავებს, იგი მონობაში იმყოფება; კანონისადმი მორჩილებით, თავის თავს თვითონ რომ დაუწესა, იგი თავისუფლებას მოიპოვებს. მე ამ საკითხს საკმაოდ ვრცლად შევეხე; სიტყვა **თავისუფლების** ფილოსოფიური მნიშვნელობა კი ჩემი საკვლევი საგანი არ გახლავთ.

IX თავი

რეალური სამფლობელო

ყოველი ინდივიდი საზოგადოების ჩამოყალიბების დროს ხდება მისი წევრი. იგი ამ საზოგადოებას ისეთად ეძლევა, როგორიცაა მოცემულ მომენტში; თავად და მთელი მისი ძალები ნაწილია საზოგადოების საკუთრებისა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მფლობელის შეცვლის აქტით სამფლობელოს არსი იცვლება და სუვერენის ხელში საკუთრება ხდება; ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების (la cité) ძალები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცალკეული ადამიანისა, ამიტომ საზოგადოებრივი საკუთრება რეალურად ასევე ბევრად უფრო ძლიერი და ხელშეუხლებელია, ვიდრე კერძო საკუთრება, თუმც კი უფრო კანონიერი არ გახლავთ, ყოველ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მკვიდრთათვის მაინც. საკუთარ წევრებს რაც შეეხება, სახელმწიფო მათი ქონების მეპატრონეა – სახელმწიფოში ყველა უფლების საფუძვლის – საზოგადოებრივი ხელშეკრულების წყალობით; მაგრამ სხვა სახელმწიფოთა შეხედულების თანახმად, ქვეშევრდომთა ქონება სახელმწიფოს ეკუთვნის მხოლოდ პირველი დამპყრობის უფლებით, რაც მან კერძო პირთაგან მიიღო.

პირველი დამპყრობის უფლება, თუმც კი უფრო რეალურია, ვიდრე ძლიერისა, ჭეშმარიტი მხოლოდ საკუთრების უფლების დადგენის შემდეგ ხდება. ბუნებრივია, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ყველაფერზე, რაც მისთვის აუცილებელია, მაგრამ დადებითი უფლება, რაც მას რაღაც ქონების მესაკუთრედ აქცევს, სხვა დანარჩენის ფლობის უფლებას ართმევს. მისი წილი განსაზღვრულია, ამით უნდა დაკმაყოფილდეს და საეროო საკუთრებაზე მას აღარავითარი უფლება აღარა აქვს. აი, რატომ სცემს პატივს ყოველი ცივილიზებული ადამიანი პირველდამპყრობის უფლებას, რომელიც ასე სუსტია ბუნებრივ მდგომარეობაში. ამ

უფლებაში ადამიანები პატივს მიაგებენ არა იმას, რაც სხვას ეკუთვნის, არამედ უფრო იმას, რაც თავად არ ეკუთვნით.

საერთოდ, მიწის ნებისმიერ ნაკვეთზე პირველდამპყრობის უფლების აღიარებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობები: ჯერ ერთი, იგი დაუსახლებელი უნდა იყოს; მეორე-დამპყრობმა უნდა დაიკავოს მხოლოდ მიწის ის რაოდენობა, რაც მისი არსებობისათვის არის აუცილებლი; და მესამე – დასაკუთრება უნდა მოხდეს არა ფუჭად, არამედ შრომით, მიწის დამუშავებით – საკუთრების ერთადერთი ნიშნით, რასაც იურიდიული საფუძვლების უქონლობის შემთხვევაშიც კი სხვა პირებმა პატივი უნდა სცენ.

მართლაც, მოთხოვნილებებისა და შრომის ნიშნით პირველდამპყრობის უფლების განსაზღვრა განა ამ უფლების შეძლებისდაგვარად გაფართოებას არ ნიშნავს? შესაძლებელია თუ არა ამ უფლების ზღვრების დადგენა? საერთო მიწის ნაკვეთზე ფეხის დადგმა განა საკმარისია, იმისთვის, რომ მყის მის ბატონ-პატრონად იგრძნოთ თავი? განა მხოლოდ ძალა კმარა იმისთვის, რომ სხვებს იმავე ადგილზე ოდესმე დასაბრუნებლად უფლება წაართვათ? როგორ შეიძლება, ერთი ადამიანი ან ერთი რომელიმე ხალხი დაეპატრონოს უზარმაზარ ტერიტორიას, ადამიანთა დანარჩენ ნაწილს ამ მიწით სარგებლობის უფლება აღუკვეთოს და არ დაისაჯოს უზურპაციისათვის, იმისთვის რომ სხვა ადამიანებს მთელი კაცობრიობისათვის ბუნებით ბოძებულ ადგილ-სამყოფელსა და სარჩოს ართმევს? როდესაც ნუნეს ბალბოა[27], კასტილიის[28] მეფის სახელით, სამხრეთის ზღვასა და მთელ სამხრეთ ამერიკას დაეპატრონა, ნუთუ მხოლოდ ეს იყო საკმარისი, რომ მისი ყველა მკვიდრისათვის სამფლობელო ჩამოერთმია და მსოფლიოს ყველა ხელმწიფისათვის ამგვარი უფლება აღეკვეთა? ასეთი ქმედებანი საკმაოდ ხშირად მეორდებოდა, კათოლიკე მეფესაც შეეძლო, თავისი კაბინეტიდან ერთბაშად დაუფლებოდა მთელ მსოფლიოს, შემდეგ კი თავისი იმპერიისათვის ჩამოეშორებინა ის, რასაც მანამდე სხვა ხელმწიფეები ფლობდნენ.

აქედან გასაგებია, თუ როგორ იქცევა კერძო პირთა მომიჯნავე და გაერთიანებული მიწები სახელმწიფო ტერიტორიად და ქვეშევრდომებიდან მათ კუთვნილ მიწებზეც გავრცელებული სუვერენიტეტის უფლება როგორ ხდება ერთდროულად ნივთიერიც და პიროვნულიც; ამით მიწათმფლობელნი ბევრად უფრო დამოკიდებულნი ხდებიან, ხოლო მათი საკუთარი ძალები მათივე ერთგულების თავდებად იქცევა. ძველი მონარქები, ეტყობა, არასაკმარისად აფასებდნენ ამ უპირატესობას, ვინაიდან იწოდებოდნენ რა სპარსთა, სკვითთა თუ მაკედონელთა მეფეებად, თავს უფრო ადამიანთა განმგებლად მიიჩნევდნენ და არა – ქვეყნის

მეუფეებად. თანამედროვენი უფრო მარჯვედ უწოდებენ საკუთარ თავს საფრანგეთის, ესპანეთის თუ ინგლისის მეფეებს. ამგვარად, მიწის მფლობელობაში დარწმუნებულნი, თავს მის მკვიდრთა მეუფედაც ჰრაცხენ.

ამგვარი გასხვისების თავისებურება ის გახლავთ, რომ საზოგადოება, კერძო პირთა საკუთრების მიღებით, მათ წილის გარეშე არ ტოვებს; პირიქით, მის კანონიერ მფლობელობას უზრუნველყოფს და უზურპაციას რეალურ უფლებად გარდაქმნის, სარგებლობას კი – საკუთრებად. ვინაიდან მფლობელები საზოგადოებრივი საკუთრების დამცველებად მიიჩნევიან, მათ უფლებებს პატივს სცემს სახელმწიფოს ყველა წევრი და მათ მთელი ძალით იცავენ უცხო ქვეყნის მკვიდრთა თავდასხმისაგან; ერთი მხრივ, საზოგადოებისათვის და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტად, მფლობელისთვის ხელსაყრელი ამგვარი გადაცემით, ნათელია, რომ მფლობელებმა, ასე ვთქვათ, ყველაფერი დაიბრუნეს, რაც კი გაიღეს. ამ პარადოქსს, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ადვილად ხსნის მიწის ერთსა და იმავე სამფლობელოზე სუვერენისა და მესაკუთრის უფლებებს შორის არსებული სხვაობა.

შესაძლოა ადამიანებმა მანამდე დაიწყონ გაერთიანება, სანამ რამეს დაეუფლებოდნენ, ხოლო როდესაც ყველასათვის საკმარის მიწის ნაკვეთს დაეპატრონებიან, მისით ერთად ისარგებლებენ, ანდა გაიყოფენ მას თანაბრად ან სუვერენის მიერ დადგენილი ოდენობით. მაგრამ ეს შეძენა როგორადაც არ უნდა მოხდეს, საკუთარი მიწის სამფლობელოზე კერძო პირის უფლება ყოველთვის დაექვემდებარება მთელ სამფლობელოზე საზოგადოების უფლებას; ამის გარეშე სუვერენიტეტის განხორციელებისას საზოგადოებრივ კავშირს არც სიმტკიცე ექნება და არც – რეალური ძალა.

წინამდებარე თავსა და წიგნსაც სოციალური სისტემის საფუძვლად გამოსადეგი ერთი შენიშვნით დავასრულებ: ნაცვლად იმისა, რომ დაარღვიოს ბუნებრივი თანასწორობა, პირითადი ხელშეკრულება, პირიქით მორალური და კანონიერი თანასწორობით ცვლის იმ ფიზიკურ უთანასწორობას, რომელიც ბუნებას შეეძლო შეეტანა ადამიანებს შორის; ძალითა და გონებით არათანასწორი ადამიანები, ხელშეკრულებისა* და სამართლის ძალით თანასწორნი ხდებიან.

---

*ცუდი მმართველობების დროს ეს თანასწორობა მხოლოდ მოჩვენებითი და ილუზორულია; იგი მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ღარიბი სიღატაკეში ჰყავდეს და მდიდრისაგან მისი უზურპაციის თავდები იყოს. არსებითად, კანონები ყოველთვის სასარგებლოა მათთვის, ვინც რაღაცას ფლობს, და საზიანო – არაფრის მქონეთათვის; აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანებისათვის სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ყველა ისინი რაღაცას ფლობენ და რამდენადაც არც ერთი მათგანი ჭარბად არაფერს ფლობს.

მეუფეებად. თანამედროვენი უფრო მარჯვედ უწოდებენ საკუთარ თავს საფრანგეთის, ესპანეთის თუ ინგლისის მეფეებს. ამგვარად, მიწის მფლობელობაში დარწმუნებულნი, თავს მის მკვიდრთა მეუფედაც ჰრაცხენ.

ამგვარი გასხვისების თავისებურება ის გახლავთ, რომ საზოგადოება, კერძო პირთა საკუთრების მიღებით, მათ წილის გარეშე არ ტოვებს; პირიქით, მის კანონიერ მფლობელობას უზრუნველყოფს და უზურპაციას რეალურ უფლებად გარდაქმნის, სარგებლობას კი – საკუთრებად. ვინაიდან მფლობელები საზოგადოებრივი საკუთრების დამცველებად მიიჩნევიან, მათ უფლებებს პატივს სცემს სახელმწიფოს ყველა წევრი და მათ მთელი ძალით იცავენ უცხო ქვეყნის მკვიდრთა თავდასხმისაგან; ერთი მხრივ, საზოგადოებისათვის და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტად, მფლობელისთვის ხელსაყრელი ამგვარი გადაცემით, ნათელია, რომ მფლობელებმა, ასე ვთქვათ, ყველაფერი დაიბრუნეს, რაც კი გაიღეს. ამ პარადოქსს, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ადვილად ხსნის მიწის ერთსა და იმავე სამფლობელოზე სუვერენისა და მესაკუთრის უფლებებს შორის არსებული სხვაობა.

შესაძლოა ადამიანებმა მანამდე დაიწყონ გაერთიანება, სანამ რამეს დაეუფლებოდნენ, ხოლო როდესაც ყველასათვის საკმარის მიწის ნაკვეთს დაეპატრონებიან, მისით ერთად ისარგებლებენ, ანდა გაიყოფენ მას თანაბრად ან სუვერენის მიერ დადგენილი ოდენობით. მაგრამ ეს შეძენა როგორადაც არ უნდა მოხდეს, საკუთარი მიწის სამფლობელოზე კერძო პირის უფლება ყოველთვის დაექვემდებარება მთელ სამფლობელოზე საზოგადოების უფლებას; ამის გარეშე სუვერენიტეტის განხორციელებისას საზოგადოებრივ კავშირს არც სიმტკიცე ექნება და არც – რეალური ძალა.

წინამდებარე თავსა და წიგნსაც სოციალური სისტემის საფუძვლად გამოსადეგი ერთი შენიშვნით დავასრულებ: ნაცვლად იმისა, რომ დაარღვიოს ბუნებრივი თანასწორობა, პირითადი ხელშეკრულება, პირიქით მორალური და კანონიერი თანასწორობით ცვლის იმ ფიზიკურ უთანასწორობას, რომელიც ბუნებას შეეძლო შეეტანა ადამიანებს შორის; ძალითა და გონებით არათანასწორი ადამიანები, ხელშეკრულებისა* და სამართლის ძალით თანასწორნი ხდებიან.

---

*ცუდი მმართველობების დროს ეს თანასწორობა მხოლოდ მოჩვენებითი და ილუზორულია; იგი მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ღარიბი სიღატაკეში ჰყავდეს და მდიდრისაგან მისი უზურპაციის თავდები იყოს. არსებითად, კანონები ყოველთვის სასარგებლოა მათთვის, ვინც რაღაცას ფლობს, და საზიანო – არაფრის მქონეთათვის; აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანებისათვის სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ყველა ისინი რაღაცას ფლობენ და რამდენადაც არც ერთი მათგანი ჭარბად არაფერს ფლობს.

მეორე წიგნი

I თავი

სუვერენიტეტის განუსხვისებლობა

ზემოთ დადგენილი პრინციპთაგან პირველი და უმნიშვნელოვანესი დასკვნა ის გახლავთ, რომ მხოლოდ საყოველთაო ნებას ძალუძს სახელმწიფო ძალების მართვა მისივე (ამ სახელმწიფოს) ინსტიტუტის მიზნის – საერთო კეთილდღეობის – შესაბამისად. მართალია, საზოგადოებათა შექმნა კერძო ინტერესების დაპირისპირებამ განაპირობა, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ იმავე ინტერესთა თანხმობამ გახადა შესაძლებელი. საზოგადოებრივ კავშირს ქმნის ის, რაც საერთოა სხვადასხვა კერძო ინტერესისთვის; ისეთი წერტილის გარეშე, სადაც თავს მოიყრიდა ყველა ინტერესი, ვერავითარი საზოგადოება ვერ იარსებებდა.

მე ვამტკიცებ, რომ სუვერენიტეტი, როგორც საერთო ნების გამოხატულება, განუსხვისებელია, რომ სუვერენი, როგორც კოლექტიური არსება, მხოლოდ საკუთარი თავით წარმოდგება. ამგვარად, ძალაუფლების გადაცემა შესაძლებელია, ნებისა – არა.

მართლაც, თუ შესაძლებელია კერძო და საერთო ნების თანხვედრა რაღაც საკითხის გარშემო, შეუძლებელია, ასეთი თანხმობა ხანგრძლივი და უცვლელი იყოს, ვინაიდან კერძო პირის ნება თავისი ბუნებით უპირატესობისაკენ, საერთო ნება კი თანასწორობისაკენ ილტვის. კიდევ უფრო შეუძლებელია ამ თანხმობის გარანტიის ქონა, თუნდაც იგი უცვლელი იყოს; ასეთი რამ შემთხვევითობის წყალობა იქნებოდა და არა – ხელოვნებისა. სუვერენს შეუძლია თამამად განაცხადოს: „ახლა მეც იგივე მსურს, რაც ზოგსა სურს, ან ამბობს, რომ სურს.“ მაგრამ მას არ შეუძლია თქვას: „რასაც ეს კაცი ხვალ მოისურვებს, ჩემი სურვილიც იგივე იქნება“. უგნურება იქნებოდა, ნებას სამომავლოდ რომ შეეზღუდა საკუთარი თავი; ვინაიდან არავის ნებაზე არაა დამოკიდებული დასთანხმდეს ისეთ რაიმეს, რაც ნებისავე მფლობელის კეთილდღეობის საწინააღმდეგო იქნება. ამგვარად, თუ ხალხი უბრალოდ, მორჩილებას, ჰპირდება ვინმეს, ამ დაპირებით საკუთარ თავს სპობს და კარგავს თავის თვისებას; როგორც კი მბრძანებელი ჩნდება, სუვერენი წყვეტს არსებობას და ამ მომენტიდან პოლიტიკური კორპუსი ინგრევა.

ეს არ ნიშნავს, რომ გამგებელთა განკარგულებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საერთო ნების გამოვლინებებად მანამდე, ვიდრე სუვერენი რომელსაც შეუძლია დაპირისპირება, ამისგან თავს იკავებს. ასეთ შემთხვევაში საყოველთაო სიჩუმე ხალხის თანხმობად უნდა იქნას აღქმული. ქვემოთ ეს უფრო ვრცლად იქნება განხილული.

II თავი

სუვერენიტეტის განუყოფელობა

იმავე საფუძველზე, რის თანახმადაც სუვერენიტეტი განუსხვისებელია, იგი განუყოფელიცაა; ნება ან საყოველთაოა,* ან – არა, ან მთელი ხალხის ნებაა, ან – მხოლოდ მისი ნაწილისა. პირველ შემთხვევაში ეს საყოველთაო, გაცხადებული ნება სუვერენიტეტის აქტია და კანონს ქმნის. მეორე შემთხვევაში იგი მხოლოდ კერძო ნება, ან მაგისტრატურის აქტია; დიდი-დიდი, ეს დეკრეტი გახლავთ.

ჩვენი პოლიტიკოსები,[29] რომელთაც სუვერენიტეტის პრინციპული დაყოფა არ ძალუძთ, მის საგანს ყოფენ; ისინი სუვერენიტეტს ყოფენ ძალად და ნებად; საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად; გადასახადების დაწესების, სასამართლოსა და ომის უფლებად; შიდა გამგებლობად და უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადების უფლებად. ყველა ამ შემადგენელ ნაწილს ისინი ხან ერთმანეთში ურევენ, ხან ერთმანეთისაგან აცალკევებენ. სუვერენს ისინი წარმოაჩენენ სხვადასხვა ნაწილთაგან შეკოწიწებულ რაღაც ფანტასტიკურ არსებად. ეს იგივეა, რომ ადამიანი შეედგინათ რამდენიმე სხეულისაგან, რომელთაგანაც ერთს მხოლოდ თვალები, მეორეს ხელები, მესამეს კი ფეხები ექნებოდა. ამბობენ, იაპონელი ფაკირები მაყურებელთა თვალწინ ასო-ასო კუწავენ ბავშვს, შემდეგ მისი სხეულის ნაწილებს ერთიმეორის მიყოლებით ისვრიან ჰაერში და ბავშვს მიწაზე კვლავ ცოცხალსა და საღსალამათს აბრუნებენო. ჩვენი პოლიტიკოსების ფანდებიც დაახლოებით ამგვარია. ბაზრობაზე საჩვენებელი ოინებით დანაწევრებულ სოციალურ კორპუსს, არავინ უწყის, კვლავ როგორ აერთებენ.

* ნების საყოველთაობა ყოველთვის როდი გულისხმობს მის ერთსულოვნებას, მაგრამ აუცილებელია ყველა ხმის დათვლა; ყოველგვარი ფორმალური გამონაკლისი სპობს საყოველთაობას.

ეს შეცდომა მომდინარეობს იქიდან, რომ პოლიტიკოსებმა სათანადოდ ვერ გაიცნობიერეს უმაღლესი ხელისუფლების არსი და შემადგენელ ნაწილებად მიიჩნიეს ის, რაც მხოლოდ მისი ემანაციები იყო. ასე მაგალითად, ომისა და მშვიდობის გამოცხადება სუვერენიტეტის აქტებად მიიჩნიეს. სინამდვილეში ეს ასე არ გახლავთ, ვინაიდან თითოეული ამ აქტთაგანი კანონი კი არ არის, არამედ მხოლოდ კანონის გამოყენება, კერძო აქტი, კანონის გამოყენებას რომ განსაზღვრავს. ეს ნათლად წარმოჩინდება სიტყვა **კანონის** მნიშვნელობის დადგენისას.

თუ სხვა დაყოფებსაც ასევე განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ ყოველთვის ცდებიან, როდესაც ფიქრობენ, თითქოს სუვერენიტეტი დაყოფილია; უფლებები, რომელთაც ამ სუვერენიტეტის ნაწილებად მიიჩნევენ, მასვე ექვემდებარებიან და ყოველთვის უმაღლესი ნების არსებობას გულისხმობენ. ეს უფლებები სუვერენიტეტის ნება-სურვილთა განხორციელებაა.

ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ ბუნდოვანი გახადა ამ უზუსტობამ პოლიტიკური სამართლის დარგში მომუშავე თეორეტიკოსთა დასკვნები, როდესაც მათ თავისივე პრინციპების თანახმად იწყეს მსჯელობა ხალხისა და მეფეთა უფლებებზე ერთმანეთის მიმართ. გროციუსის პირველი წიგნის მესამე[30] და მეოთხე თავებში ყველა შენიშნავს, როგორ ებნევათ თავგზა ამ სწავლულსა და მის მთარგმნელ ბარბეირაკს; ისინი სოფიზმებში ეფლობიან იმის შიშით, რომ არაფერი დააკლონ, ან არ წააჭარბონ და ერთმანეთს არ დაუპირისპირონ ის შეხედულებები, რომელთა შეთანხმებაც სწადიათ. სამშობლოზე განაწყენებულმა გროციუსმა თავი საფრანგეთს შეაფარა. ამ წიგნის მიძღვნის ობიექტის, ლუი XIII-ის[31], გულის მოსაგებად, იგი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ხალხს ჩამოართვას ყველა მისი უფლება და მეფეებს მიანიჭოს. ასეთივე გახლდათ ბარბეირაკის ცნობილი სურვილიც; მან თავისი თარგმანი ინგლისის მეფეს, გიორგი I-ს[32], უძღვნა. სამწუხაროდ, იაკობ II-ის[33] გაძევებამ, რასაც ბარბეირაკი განკვეთას უწოდებს, იგი აიძულა, გაფრთხილებულიყო და სათქმელი ბოლომდე არ ეთქვა, ეშმაკობისათვის მიემართა, რათა ვილჰელმი[34] უზურპატორად არ წარმოეჩინა. ამ ორ მწერალს სწორი პრინციპებით რომ ეხელმძღვანელა, ყველა სირთულე დაძლეული იქნებოდა და მათი შეხედულებანი თანმიმდევრული აღმოჩნდებოდა. მაგრამ ისინი ასეთ შემთხვევაში ნაღვლიანად იტყოდნენ სიმართლეს, რითაც მხოლოდ ხალხს აამებდნენ. ჭეშმარიტება სიმდიდრეს არ მოგიხვეჭს, ხოლო ხალხი არც ელჩის თანამდებობას გიბოძებს, არც – კათედრებს და არც – პენსიებს.

III თავი

შესაძლებელია თუ არა საყოველთაო ნება ცდებოდეს

თქმულიდან გამომდინარე, საერთო ნება ყოველთვის სწორია და საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ ისწრაფვის, თუმცა ეს იმას არ ნიშავს, რომ ხალხის გადაწყვეტილებები ყოველთვის ერთნაირად სწორია. ადამიანების მარადიული სურვილია საკუთარი კეთილდღეობა, მაგრამ მას ყოველთვის ნათლად როდი ხედავენ. ხალხის მოსყიდვა შეუძლებელია, მაგრამ მას ხშირად ატყუებენ. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მას ის სურს, რაც ცუდია.

ყველას ნებასა და საყოველთაო ნებას შორის ხშირად დიდი სხვაობა. საყოველთაო ნება მხოლოდ საერთო ინტერესებს ითვალისწინებს, ყველას ნება კი, როგორც ცალკეულ ადამიანთა ნებათა ერთობლიობა, – კერძო ინტერესებს. თუ ამ ნებათა ერთობლიობას ყველა არსებულ წინააღმდეგობას ჩამოვაცილებთ*, დარჩება სხვაობათა შენაჯამები. იგი იქნება საყოველთაო ნება.

თუ საკმაო შეგნების მქონე ხალხში მოქალაქეებს ერთმანეთთან არავითარი ურთიერთობა არ ექნებათ გადაწყვეტილების გამოტანისას, მაშინ უმნიშვნელო სხვაობათა სიჭარბე მუდამ საერთო ნების საწყისი იქნება და გადაწყვეტილებაც ყოველთვის მართებული აღმოჩნდება. მაგრამ როდესაც დიდი ასოციაციის საზიანოდ, პარტიები და კერძო ასოციაციები იქმნება, მაშინ თითოეული მათგანის ნება საერთოა მისივე წევრებისათვის და კერძო სახელმწიფოსთან მიმართებაში; ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ხმის მიმცემი პირი იმდენია, რამდენიც ასოციაციაა და არა – ინდივიდი; სხვაობა ნაკლებ მრავალრიცხოვანია, შედეგიც ნაკლებად საერთოა. დაბოლოს, თუ ერთ-ერთი ამ ასოციაციათაგანი იმდენად დიდია, რომ ყველას აღემატება, მაშინ შედეგად გვექნება არა უნიშვნელო სხვაობათა შენაჯამები, არამედ ერთადერთი სხვაობა. ასეთ შემთხვევაში საერთო ნება აღარა გვაქვს და იმარჯვებს კერძო აზრი.

---

* ყოველ ინტერესს, – ამბობს მარკიზი დ' არჟანსონი, – სხვადასხვაგვარი პრინციპი განსაზღვრავს. ორი კერძო ინტერესის თანხმობას მესამე პირის ინტერესისადმი წინააღმდეგობა განაპირობებს. მარკიზს შეეძლო დაემატებინა: თითოეული კერძო პირის ინტერესისადმი წინააღმდეგობა ქმნის ყველას ინტერესთა თანხმობას. ინტერესთა სხვაობა რომ არ ყოფილიყო, არც საერთო ინტერესი იქნებოდა საგრძნობი, ვინაიდან იგი არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა; ყველაფერი თავისთავად მოხდებოდა და პოლიტიკა ხელოვნება აღარ იქნებოდა.

მაშასადამე, საერთო ნების გამოსავლენად ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოში არ არსებობდეს ცალკეული საზოგადოებები და თითოეული მოქალაქე მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა აძლევდეს ხმას.*

ამგვარი გახლდათ ლიკურგეს ერთადერთი და დიდებული ინსტიტუტი. თუ სახელმწიფოში კერძო საზოგადოებები არსებობს, მათი რიცხვი უნდა გავზარდოთ, და ამგვარად აღვკვეთოთ უთანასწორობა მათ შორის, როგორც ეს სოლონმა,[36] ნუმამ[37] და სერვიუსმა[38] გააკეთეს. ამგვარი სიფრთხილე ერთადერთი მართებული საშუალებაა, რათა საერთო ნება მუდამ გაცხადებული იყოს და ხალხი არ მოტყუვდეს.

IV თავი

სუვერენული ხელისუფლების ზღვრები

თუ სახელმწიფო ან სამოქალაქო საზოგადოება (la cité) მხოლოდ მორალური პირია, რომლის მიზანიც საკუთარ წევრთა გაერთიანებაა, უმნიშვნელოვანესი საზრუნავი კი – არსებობის შენარჩუნება, მაშინ მას ესაჭიროება საყოველთაო და მაიძულებელი ძალა, რათა ყოველი ნაწილი მთელისათვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმით მოყავდეს მოქმედებაში და განაგებდეს მათ. ისევე როგორც ყოველ ადამიანს ბუნება ანიჭებს აბსოლუტურ ძალაუფლებას სხეულის ყოველ ნაწილზე, საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც პოლიტიკურ კორპუსს აბსოლუტურ ძალაუფლებას ანიჭებს ყოველ მის წევრზე; ეს ის ძალაუფლებაა, საერთო ნება რომ განაგებს და, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვი, სუვერენიტეტი ეწოდება.

გარდა საზოგადოებრივი პირისა, ჩვენ უნდა განვიხილოთ მისი შემადგენელი კერძო პიროვნებები, რომელთა სიცოცხლე და თავისუფლება, ბუნებრივია, მისგან დამოუკიდებელია. ამგვარად, გულდასმით უნდა გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, მოქალაქეთა და სუვერენის** უფლებები ერ-

---

* მართლაც, ზოგი დაყოფა რესპუბლიკისათვის საზიანოა, ზოგი-სასარგებლო; დაყოფები სექტებად და პარტიებად საზიანოა; ისეთი დაყოფები; რომელთაც არაფერი აქვთ მათთან საერთო, სასარგებლოა. ამიტომ რესპუბლიკის დამაარსებელმა, რომელიც თავიდან ვერ აიცილებს შუღლს, ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა სექტები არ ჩამოყალიბდეს. (მაკიაველი[35], „ფლორენციის ისტორია", წ.VII)

** გულისხმიერო მკითხველებო, გთხოვთ, ნუ იჩქარებთ ჩემს დადანაშაულებას, თითქოს წინააღმდეგობაში ვვარდებოდე. ტერმინებში წინააღმდეგობას მხოლოდ და მხოლოდ ენის სიღარიბის გამო ვერ დავაღწიე თავი; კეთილი ინებეთ და მადროვეთ!

თმანეთის მიმართ და მეორე მხრივ, მოქალაქეთა, როგორც ქვეშევრდომთა, მოვალეობები და ბუნებრივი უფლება, რითაც ისინი როგორც ადამიანები უნდა სარგებლობდნენ.

შევთანხმდეთ, რომ ყველაფერი, რასაც თითოეული ინდივიდი თავისი შესაძლებლობებიდან, ქონებიდან და თავისუფლებიდან ასხვისებს საზოგადოებრივი ხელშეკრულებით, მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც საზოგადოებისათვის არის აუცილებელი; ასევე უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ მხოლოდ სუვერენი წყვეტს, რა ესაჭიროება მას.

მოქალაქემ სუვერენის პირველსავე მოთხოვნაზე სახელმწიფოს უნდა გაუწიოს ყველა ის სამსახური, რაც მას ძალუძს; თავის მხრივ, სუვერენმაც არ უნდა დააკისროს ქვეშევრდომებს საზოგადოებისათვის უსარგებლო მძიმე ტვირთი. ასეთ რამ მან არც უნდა ისურვოს, ვინაიდან როგორც გონების, ისე ბუნების კანონთა თანახმად, არაფერი ხდება უმიზეზოდ.

მოვალეობები, რომლებიც საზოგადოებრივ კორპუსთან გვაკავშირებს, სავალდებულოა იმდენად, რამდენადაც ისინი ორმხრივია; გამომდინარე მათი ბუნებიდან, სხვისთვის მუშაობა იმავდროულად საკუთარი თავისათვის მუშაობაცაა. რატომ არის საერთო ნება ყოველთვის სწორი და ყველას რატომ სურს თითოეული მოქალაქის ბედნიერება, თუ არა იმიტომ, რომ ყველა ადამიანი სიტყვაში **თითოეული** საკუთარ თავს გულისხმობს და ყველასათვის ხმის მიცემისას საკუთარ თავზე ფიქრობს? ეს შემდეგს ადასტურებს: უფლებების თანასწორობა და მისგან მომდინარე სამართლიანობის შეგნება იმ უპირატესობიდან იღებს სათავეს, თითოეული საკუთარ თავს რომ ანიჭებს, მაშასადამე, ადამიანის ბუნებიდან; საერთო ნება, მართლაცდა საერთო რომ იყოს, როგორც თავის საგანთან, ისე არსთან მიმართებაში საყოველთაო უნდა იყოს და ყველასაგან უნდა მომდინარეობდეს, რათა ასევე ყველას მიმართ გამოიყენებოდეს; იგი კარგავს თავის ბუნებრივ სამართლიანობას (la rectitude), როდესაც მიმართულია რომელიმე ინდივიდუალური და განსაზღვრული საგნისაკენ; ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის უცხო საგანზე ვმსჯელობთ და ვეღარ ვხელმძღვანელობთ სამართლიანობის ჭეშმარიტი პრინციპით.

მართლაც, როგორც კი საქმე საერთო შეთანხმებით წინასწარ მოუგვარებელ რაიმე ფაქტს ან კერძო უფლებას შეეხება, იგი სადავო ხდება. ესაა ეროგვარი პროცესი, რომლის ერთი მხარე დაინტერესებული კერძო პირები არიან, ხოლო მეორე მხარე – საზოგადოება. აქ მე ვერც იმ კანონს ვხედავ, რითაც უნდა იხელმძღვანელონ, და ვერც იმ მსაჯულს, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. სასაცილო იქნებო-

და, ასეთ დროს საერთო ნების მიერ საგანგებოდ მიღებული გადაწყვეტილების დამოწმება.; მხოლოდ ერთი მხარის მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება მეორე მხარისათვის უსამართლობისა და მცდარობის ნიშნით დაღმდასმული უცხო, კერძო ნების გამოვლინება იქნებოდა; ამგვარად, როგორც კერძო ნებას არ ძალუძს, საერთო ნება წარმოადგინოს, ასევე საერთო ნებაც, თუ მისი საგანი კერძო შემთხვევაა, თავის ბუნებას იცვლის და არც რომელიმე ინდივიდის, არც რომელიმე ფაქტის მიმართ გადაწყვეტილების მიღება აღარ ძალუძს. მაგალითად, როდესაც ათენელი ხალხი თავის გამგებლებს ირჩევდა ან ცვლიდა, ერთს პატივს მიაგებდა, მეორეს სასჯელს ადებდა და ყველა მმართველობით აქტს მრავალრიცხოვანი კერძო დეკრეტებით განურჩევლად ახორციელებდა. კაცმა რომ თქვას, მაშინ ამ ხალხს საერთო ნება აღარ გააჩნდა. ხალხი მოქმედებდა როგორც მაგისტრატი და არა როგორც – სუვერენი. ეს საყოველთაოდ მიღებული აზრის საპირისპიროდ მოგეჩვენებათ, მაგრამ მადროვეთ, ჩემი შეხედულებები გადმოვცე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა განვაცხადო, რომ ნების საყოველთაო ხასიათს უზრუნველყოფს არა ხმათა რაოდენობა, არამედ უფრო მათი გამაერთიანებელი საერთო ინტერესი. ასეთი ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში თითოეული პირი აუცილებლობით ექვემდებარება იმ პირობებს, რომელთაც სხვებს უწესებს. იქმნება სარგებლისა და სამართლიანობის ჩინებული თანხმობა, რაც საერთო საქმეთა განხილვისას გადაწყვეტილებებს თანასწორობის ბეჭედს ასვამს, ხოლო ნებისმიერი კერძო საქმის შემთხვევაში მყის უჩინარდება იმ საერთო ინტერესის უქონლობის გამო, რომელიც მოსამართლისა და მოსარჩლე მხარის მდგომარეობას ერთმანეთთან გააერთიანებდა და გააიგივებდა.

რა მხრითაც არ უნდა მივუდგეთ პრინციპს, ყოველთვის ერთსა და იმავე დასკვნამდე მივალთ; კერძოდ: საზოგადოებრივი ხელშეკრულება მოქალაქეთა შორის ადგენს ისეთ თანასწორობას, რომლის თანახმადაც ყველა ისინი, კისრულობენ რა ერთსა და იმავე ვალდებულებებს ერთი და იმავე უფლებებით უნდა ისარგებლონ. ამგვარად, ხელშეკრულების ბუნების თანახმად, სუვერენიტეტის ყოველი აქტი, ე.ი. საერთო ნების ყოველი უტყუარი აქტი, ყველა მოქალაქეს ერთნაირად ავალდებულებს ან მფარველობს. ასე რომ, სუვერენი ცნობს მხოლოდ ხალხს და ერთმანეთისაგან არ ასხვავებს მის წევრებს. მაინც რა არის თავად სუვერენიტეტის აქტი? ეს არ გახლავთ რანგით ზემდგომის შეთანხმება მისდამი დაქვემდებარებულ პირთან; ესაა მთელის თანხმობა თითოეულ მის წევრთან; იგი კანონიერი შეთანხმებაა, ვინაიდან საზოგადოებრივ ხელ-

შეკრულებას ეფუძნება; სწორია, ვინაიდან ყველას ეხება; სასარგებლოა, ვინაიდან მისი საგანი მხოლოდ და მხოლოდ საერთო კეთილდღეობაა; მყარია, ვინაიდან თავადებად საზოგადოებრივი ძალა და უმაღლესი ხელისუფლება ჰყავს. ვიდრე ქვეშევრდომები მხოლოდ ამგვარ შეთანხმებებს მორჩილებენ, ისინი, გარდა საკუთარი ნებისა, არავის ექვემდებარებიან. იკითხო, თუ სადამდე ვრცელდება სუვერენისა და მოქალაქეთა უფლებები ერთმანეთის მიმართ, იგივეა, კითხვა ასე დასვა: რა ზღვრამდე შეიძლება მოქალაქეებმა თავი დაივალდებულონ თითეულმა – ყველას მიმართ, და ყველამ – თითოეულის მიმართ.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ სუვერენული ხელისუფლება, რაოდენ აბსოლუტური, წმინდა და შეუვალიც არ უნდა იყოს იგი, არ გადალახავს და არც შეუძლია გადალახოს საყოველთაო შეთანხმებათა ზღვრები და რომ ყოველ ადამიანს ძალუძს სრულად განაგოს ამ შეთანხმებებით დადგენილი საკუთარი ქონებისა და თავისუფლების წილი; სუვერენს უფლება არა აქვს, ერთი ქვეშევრდომი მეორეზე მეტად დატვირთოს გადასახადებით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქმე კერძო ხასიათს შეიძენს და მისი ძალაუფლება კომპეტენტური აღარ იქნება.

რაკი ერთხელ დავუშვებთ ამ სხვაობებს, უკვე უმართებლო იქნება მტკიცება, რომ რეალურად საზოგადოებრივი ხელშეკრულება განაპირობებს კერძო პირთა უარს რაიმეზე. სინამდვილეში მათი მდგომარეობა ამ ხელშეკრულების წყალობით უწინდელთან შედარებით ბევრად უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან, გასხვისების ნაცვლად, მათ მხოლოდ საკუთარი თავის ხელსაყრელი გაცვლა განახორციელეს; თავიანთი ბუნდოვანი და უიმედო არსებობა უკეთესი და ბევრად უფრო უსაფრთხო გახადეს. ბუნებრივი დამოუკიდებლობა შეცვალეს თავისუფლებით, სხვისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა – საკუთარი უსაფრთხოებით და საკუთარი ძალა, რომლის დაძლევაც სხვას შეეძლო, – უფლებით, საზოგადოებრივი კავშირი უძლეველს რომ ხდის. სახელმწიფოსათვის გასაწირი მათი სიცოცხლეც სახელმწიფოს მიერ არის დღენიადაგ დაცული. როდესაც სახელმწიფოს დასაცავად ადამიანები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიან, განა ამით იმასვე არ უბრუნებენ სახელმწიფოს, რაც მისგან მიიღეს? ასეთ დროს განა ეს იგივე არ არის, რაც მათ ბევრად უფრო დიდი საფრთხის ფასად უნდა მოიმოქმედონ ბუნებრივ მდგომარეობაში, თუ გარდაუვალ ბრძოლაში სიცოცხლის ფასად მათ მოუწევთ იმის დაცვა, რაც მათივე სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება.

ცხადია, საჭიროების შემთხვევაში სამშობლოს დასაცავად, ყველა უნდა იბრძოდეს, მაგრამ საკუთარი თავისთვის არავინ უნდა იბრძოდეს.

განა სარგებელი არ არის, საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად თავი საფრთხეში მხოლოდ იმ ზომით ჩავიგდოთ, როგორც ეს ჩვენთვის უსაფრთხოების ჩამორთმევისას მოგვიწევდა?

V თავი

სიკვდილისა და სიცოცხლის უფლება

ისმის კითხვა: თუ კერძო პირებს უფლება არა აქვთ, განაგონ საკუთარი სიცოცხლე, როგორ უნდა გადასცენ მათ ეს უფლება სუვერენს. ეს საკითხი არასწორად არის დასმული და ამიტომ მხოლოდ გარეგნულად ჩანს ძნელად გადასაწყვეტი. ყოველ ადამიანს უფლება აქვს საფრთხეში ჩაიგდოს თავი, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს. განა შეიძლება თვითმკვლელობაში დაადანაშაულოთ ადამიანი, რომელიც ხანძრისაგან თავის დასაღწევად ფანჯრიდან ხტება? ქარიშხლის დროს დაღუპული ნუთუ ოდესმე დაუდანაშაულებიათ ამგვარი ქმედებისათვის, თუმცა იგი ზღვაში შესვლამდეც არ უგულებელყოფდა ასეთ საფრთხეს?

საზოგადოებრივი ხელშეკრულების მიზანი ხელშეკრულების დამდებ პირთა დაცვაა. ვინც მიზანს ამართლებს, იგი მის მისაღწევ საშუალებებსაც მართებულად მიიჩნევს, მაგრამ ამ საშუალებათა განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან, თვით მსხვერპლთანაც კი. ვისაც საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნება სხვათა მეშვეობით სურს, საჭიროების შემთხვევაში, სხვებს ასევე უშურველად უნდა დაეხმაროს. მოქალაქე ვეღარ განსჯის ამგვარ მოსალოდნელ საფრთხეს, რაკი კანონი ავალდებულებს და ხელმწიფე მიუთითებს: „სახელმწიფოს სჭირდება შენი სიცოცხლე, შენ უნდა მოკვდე“ – იგი უნდა მოკვდეს, ვინაიდან აქამდე უსაფრთხოდ, მხოლოდ ამ პირობით ცხოვრობდა, ვინაიდან მისი სიცოცხლე არა მხოლოდ ბუნებისაგან ნაბოძევი, არამედ გარკვეული პირობით სახელმწიფოსაგან გაღებული ძღვენიცაა.

დამნაშავეთა მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენიც შეიძლება იმავე თვალთახედვით განვიხილოთ: ადამიანები მკვლელის მსხვერპლად გახდომას სიკვდილს ამჯობინებენ, თუ თავად გახდებიან მკვლელი. ამ ხელშეკრულების თანახმად, მისი დამდებნი საკუთარ სიცოცხლეს არ განაგებენ, მხოლოდ მის შენარჩუნებაზე ფიქრობენ და ძნელი დასაჯერებელია, რომელიმე მათგანი წინასწარვე ჩამოხრჩობის თანახმა იყოს.

ყოველი დამნაშავე, რომელიც თავს ესხმის საზოგადოებრივ უფლებას, მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამო მეამბოხე და მოღალატე ხდება; საზოგადოების კანონების დარღვევით იგი წყვეტს მის წევრად ყოფნას, უფრო მეტიც – ომსაც უცხადებს მას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს დაცვა და დამნაშავის ქცევა შეუთავსებელია. ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად უნდა დაიღუპოს და, როდესაც დამნაშავეს სიკვდილით სჯიან, მას სიცოცხლეს უსპობენ უფრო როგორც მტერს და არა – როგორც მოქალაქეს. სასამართლო პროცესი და განაჩენი, არის სამხილი და დადასტურება, რომ დამნაშავემ დაარღვია საზოგადოებრივი ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე, იგი აღარაა სახელმწიფოს წევრი: თუ აქამდე საზოგადოებაში ყოფნით მაინც თავს მის წევრად მიიჩნევდა, ახლა იგი საზოგადოებიდან უნდა მოიკვეთოს როგორც ხელშეკრულების დამრღვევი, ან სიკვდილით დაისაჯოს როგორც საზოგადოების მტერი: ვინაიდან ასეთი მტერი არის არა ზნეობრივი პიროვნება, არამედ ადამიანი და ასეთ შემთხვევაში ომის კანონი დამარცხებულის მოკვლის უფლებას იძლევა.

შესაძლოა თქვან, რომ დამნაშავის დასჯა კერძო აქტია. გეთანხმებით: ამიტომ მისი დასჯა სუვერენის საქმე არ გახლავთ. ეს ისეთი უფლებაა, სხვებს რომ შეუძლია გადასცეს სუვერენმა, ვინაიდან თავად არ ძალუძს მისი აღსრულება. ჩემი ყველა მოსაზრება ურთიერთკავშირშია, მაგრამ არ შემიძლია ყველა ერთდროულად გადმოვცე.

ბოლოს და ბოლოს, სიკვდილით დასჯის სიხშირე მუდამ მმართველობის სისუსტის ან მისი უმოქმედობის ნიშანია. არ არსებობს ხელიდან წასული ისეთი ადამიანი, რაიმეს მაქნისი რომ არ იყოს. სხვებისათვის სამაგალითოდ სიკვდილით უნდა დასაჯონ მხოლოდ ის, ვისი სიცოცხლეც საფრთხეს უქმნის საზოგადოებას.

შეწყალების უფლებას ან კანონით დადგენილი და მოსამართლის მიერ გაცხადებული სასჯელისაგან დამნაშავის განთავისუფლებას რაც შეეხება, ასეთი უფლება მხოლოდ მოსამართლისა და კანონზე ზემდგომის ე.ი. სუვერენის პრეროგატივაა, თუმცა შეწყალების ეს უფლება არასაკმარისადაა განსაზღვრული და ძალზე იშვიათად გამოიყენება. კარგად მართულ სახელმწიფოში დასჯის სიმცირე განპირობებულია არა შეწყალების სიხშირით, არამედ ამ სახელმწიფოში დამნაშავეთა სიმცირით. როდესაც სახელმწიფო იღუპება, დანაშაულებათა რიცხვის დიდი ზრდა მათ დაუსჯელობას იწვევს. რომის რესპუბლიკაში სენატი და კონსულები ცდილობდნენ შეწყალებისათვის არ მიემართათ; ამ უფლებას არც ხალხი მიმართავდა, თუმცა ხშირად თავადვე ცვლიდა საკუთარ განაჩენს. ხშირი შეწ-

ყალებები იმის ნიშანია, რომ დამნაშავეებს მალე აღარ დასჭირდებათ შეწყალება; ყველასათვის გასაგებია, ამას რაც მოჰყვება. ვგრძნობ, რასაც ჩამჩურჩულებს გული და როგორ არ აძლევს კალამს გასაქანს. ამ საკითხთა განსჯა იმ სამართლიან ადამიანებს მივანდოთ, არასოდეს რომ არ შეუცოდავთ და არც არასოდეს დასჭირვებიათ შეწყალება.

VI თავი

კანონი

საზოგადოებრივი ხელშეკრულებით, პოლიტიკურ კორპუსს არსებობა დავუმკვიდრეთ და სიცოცხლე მივანიჭეთ; ახლა აუცილებელია მისი ამოქმედება და ნების მინიჭება კანონმდებლობის მეშვეობით, ვინაიდან პირველადი აქტი, რითაც ეს კორპუსი იქმნება და ერთიანდება, სრულებით არ განსაზღვრავს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მან საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად.

ის, რაც კარგია და წესრიგს ეთანადება, რაც თავად საგნის ბუნებისაგან მოდის, ადამიანთა შეთანხმებებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ყოველგვარი სიმართლე ღმერთიდან მომდინარეობს, იგია მისი ერთადერთი სათავე. მაგრამ ჩვენ მისი ზეგარდმო მიღება რომ შეგვძლებოდა, არც მთავრობა დაგვჭირდებოდა და არც კანონი. ცხადია, არსებობს ერთი საყოველთაო სამართლიანობა, მხოლოდ გონიდან მომდინარე. მაგრამ ჩვენთვის მისაღები რომ გახდეს, იგი აუცილებლად თანაზიარი უნდა იყოს. თუ საგნებს ადამიანური თვალთახედვით განვიხილავთ, მაშინ, ბუნების სანქციის უქონლობის გამო, სამართლიანობის კანონები მიუღებელია ადამიანებისათვის. ისინი მხოლოდ ბოროტის სარგებელსა და სამართლიანის ზარალს ემსახურებიან, როდესაც სამართლიანი მათ ყველას მიმართ იცავს, ხოლო მის მიმართ კი მათ (ამ კანონებს) არავინ იცავს. ამრიგად, უფლებების მოვალეობებთან დასაკავშირებლად და სამართლიანობის განსახორციელებლად, აუცილებელია შეთანხმებები და კანონები. ბუნებრივ მდგომარეობაში, როდესაც ყველაფერი საერთოა, მე არ ვარ ვალდებული იმათ წინაშე, ვისაც არაფერს დავპირებივარ. მე სხვის საკუთრებად ვაღიარებ მხოლოდ იმას, რაც არ მჭირდება. მაგრამ საზოგადოებრივ ყოფაში ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, აქ ყველა უფლება კანონითაა განსაზღვრული.

და მაინც, რა არის კანონი? ზოგიერთები მსჯელობას ისე გააგრძელებენ, რომ ერთმანეთს ვერაფერს გააგებინებენ, სანამ ამ სიტყვისათვის მხოლოდ მეტაფიზიკური მნიშვნელობის მინიჭება კმაყოფილებას მოჰგვრით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბუნების კანონის რაობას დაადგენენ, სახელმწიფო კანონის არსი მაინც მათთვის გაუგებარი დარჩება.

როგორც მოგახსენეთ, საერთო ნება არ შეიძლება კერძო საგანზე იყოს მიმართული. მართლაც, ეს კერძო საგანი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმა. თუ იგი სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება, მაშინ ეს უცხო ნება მისთვის საერთო არ იქნება. თუ ეს საგანი სახელმწიფოშია, მაშინ იგი მისი ნაწილია და მყარდება მიმართება მთელსა და მის ნაწილს შორის; ასეთი მიმართება მათგან ქმნის ორ ცალკე არსებას, რომელთაგანაც ერთი ნაწილია, მეორე – მთელი, ამ ნაწილის გარეშე. მაგრამ მთელი, ნაწილის გარეშე, მთელი არაა; ვიდრე ეს მიმართება არსებობს, მთელი აღარაა; არის მხოლოდ ორი არათანასწორი ნაწილი; აქედან გამომდინარე, ერთი ნაწილის ნება მეორე ნაწილის მიმართ საერთო ნებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ, როდესაც მთელი ხალხი რაიმეს ადგენს უკლებლივ ყველასათვის, მაშინ იგი გულისხმობს მხოლოდ საკუთარ თავს; და თუ ასეთ შემთხვევაში დგინდება მიმართება, ესაა მთელი საგნის მიმართება მთელთან, განხილული ერთი თვალთახედვით, მეორე თვალთახედვით – მიმართება მთელ საგანთან ყოველგვარი დაყოფის გარეშე. მაშინ საგანი, რის შესახებაც დადგენილება გამოაქვთ, ისევე საერთოა, როგორც მისი დამდგენი ნება. ეს სწორედ ის აქტია, რასაც მე კანონს ვუწოდებ.

როდესაც ვამბობ, რომ კანონთა საგანი ყოველთვის ზოგადია-მეთქი, ამით იმას ვგულისხმობ, რომ კანონი ქვეშევრდომებს უცქერის როგორც ერთი მთელის შემადგენელთ, ხოლო ქმედებებს როგორც განყენებულ ცნებებს. კანონი არასოდეს ეხება ადამიანს, როგორც ინდივიდს და არც მის კერძო ქმედებას. ამრიგად, ცხადია, კანონს შეუძლია პრივილეგიების დადგენა, მაგრამ არა პიროვნებათა სახელდებით. კანონს შეუძლია მოქალაქეები დაყოს რამდენიმე კლასად, ასევე გამოყოს ის ნიშნები, რითაც მათ ამა თუ იმ კლასს მიაკუთვნებს, მაგრამ მას არ შეუძლია ცალკეული მოქალაქეები ჩარიცხოს რომელიმე ამ კლასში; კანონს შეუძლია დაადგინოს მეფის მმართველობა და ტახტის მემკვიდრეობითობა, მაგრამ არ შეუძლია მეფის არჩევა, არც სამეფო გვარის დადგენა. ერთი სიტყვით, ნებისმიერი ფუნქცია, თუ იგი ინდივიდუალურ ობიექტს უკავშირდება, საკანონმდებლო ხელისუფლების საგანი არ გახლავთ.

ამ მოსაზრებიდან მყისვე ნათელი ხდება, რომ აღარ უნდა ვიკითხოთ (რადგან კანონები საერთო ნების აქტებია), ვინ უნდა ადგენდეს მათ; არც ეს: დგას თუ არა ხელმწიფე, როგორც სახელმწიფოს წევრი, კანონებზე მაღლა; არც ეს: შეიძლება თუ არა კანონი იყოს უსამართლო საკუთარი თავის მიმართ; არც ეს: ვინაიდან კანონები მხოლოდ ჩვენ ნებათა ნუსხაა, როგორ შეიძლება ერთდროულად თავისუფალიც იყოთ და კანონებს დაქვემდებარებულიც.

ისიც ნათელია, რომ ერთი პიროვნების მიერ საკუთარი სახელით გაცემული ბრძანება, ვინც არ უნდა გასცეს იგი, კანონი არ არის, ვინაიდან კანონი აერთიანებს ნებისა და საგნის საყოველთაობას; ის, რასაც სუვერენი ბრძანებს კერძო საგანთან დაკავშირებით, ასევე კანონი კი არ არის, არამედ მხოლოდ დეკრეტია, სუვერენიტეტის აქტი კი არ არის, არამედ – მაგისტრატურისა.

ასე რომ, მმართველობის ფორმის მიუხედავად, მე რესპუბლიკას ვუწოდებ კანონებით მართულ ნებისმიერ სახელმწიფოს, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში განაგებს საზოგადოებრივი ინტერესი სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ინტერესიც წარმოადგენს რაღაცას. ყოველი კანონიერი მმართველობა რესპუბლიკური მმართველობაა.* ქვემოთ განვმარტავთ, თუ რა არის მმართველობა.

თავისთავად, კანონები ესაა სამოქალაქო საზოგადოების პირობები. ხალხი უნდა იყოს შემომქმედი იმ კანონებისა, რომელთაც თავადვე ჰმორჩილებს. საზოგადოებაში თანაცხოვრების პირობებს ასოციაციის წევრები უნდა ადგენდნენ. მაგრამ როგორ დაადგენენ ისინი ამ პირობებს – საყოველთაო შეთანხმებით, თუ წამიერი შთაგონებით? პოლიტიკურ კორპუსს მოეპოვება ორგანო თავისი ნების გამოსახატავად? ვინ განსაზღვრავს გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო წინდახედულების გამოჩენას და მათ დროულ გამოქვეყნებას? ან როგორ განაცხადებს მათ საჭირო მომენტში? როგორ შექმნის უგუნური ბრბო ისეთ მნიშვნელოვან და რთულ საქმეს, როგორიცაა საკანონმდებლო სისტემა, ხშირად არც კი იცის, თავად რა სურს და იშვიათად აცნობიერებს, რა არის მისთვის უმჯობესი? ხალხს თავისთვის ყოველთვის სიკეთე სურს, მაგრამ იგი მას ყოველთვის ვერ ხედავს. საერთო ნება მუდამ ჟამს სწორია, მაგრამ

* ამ სიტყვით მე ვგულისხმობ არა მხოლოდ არისტოკრატიას ან დემოკრატიას, არამედ – ზოგადად მმართველობას, რომელსაც განაგებს საერთო ნება და რაც გახლავთ კანონი. კანონიერი რომ იყოს, ამისთვის სრულებით არაა საჭირო მმართველობა სუვერენს ერწყმოდეს; იგი სუვერენის სახელით უნდა განაგებდეს, მაშინ მონარქიაც კი რესპუბლიკა არის; ამას მომდევნო წიგნში აგიხსნით.

მისი წარმმართველი მსჯელობა ყოველთვის ნათელი როდია. საგნები მას ისეთად უნდა დავანახოთ, როგორიც სინამდვილეშია, ზოგჯერ კი ისეთად, როგორადაც მისთვის სასურველია ეჩვენებოდეს; მას უნდა მივუთითოთ იმ სწორ გზაზე, რომელსაც იგი ეძიებს, დავიცვათ იგი კერძო პირთა ნებათაგან, რომლებიც აცდენენ მას ამ გზიდან და ნათლად დავანახოთ მაი კავშირი ქვეყნებსა და ეპოქებს შორის, აშკარა და უახლოესი უპირატესობების მიმზიდველობა, გავაზომიეროთ ფარული და შორეული ბოროტებების საფრთხით.

ცალკეული პირები ხედავენ სიკეთეს რომელსაც უარყოფენ; საზოგადოება ილტვის სიკეთისაკენ, მაგრამ ვერ ხედავს მას. მეგზურებს ყველანი ერთნაირად საჭიროებენ. ერთნი უნდა ვაიძულოთ თავიანთი ნება გონებას შეუთანხმონ, სხვებს უნდა ვასწავლოთ საკუთარი სურვილის შეცნობა. ასეთი თანდათანობითი განათლება საზოგადოებრივ კორპუსში შექმნის გაგებისა და ნების ერთობლიობას; ნაწილებს შორის ასე წარმოიშობა სწორი მეტოქეობა და საბოლოოდ – მთელის უდიდესი ძალა. აი, საიდან მოდის კანონმდებლობის აუცილებლობა.

VII თავი

კანონმდებელი

ხალხისთვის მისაღები საუკეთესო საზოგადოებრივი წესების საპოვნელად, საჭირო იქნებოდა უმაღლესი გონი, რომელიც ყველა ადამიანურ ვნებათა ღელვას შენიშნავდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ განიცდიდა, მას საერთო არაფერი არ ექნებოდა ჩვენს ბუნებასთან, მაგრამ საფუძვლიანად ეცოდინებოდა იგი; მისი ბედნიერება, თუმც ჩვენზე დამოკიდებული არ იქნებოდა და ჩვენს ბედნიერებაზე იგი მაინც იზრუნებდა. დაბოლოს, თავისი დიდების შორეულ მომავალში გადავადებით შეძლებდა ერთ საუკუნეში ეღვაწა, მისი შედეგით კი სხვა საუკუნეში დამტკბარიყო.* ადამიანებისათვის კანონების საბოძებლად ღმერთებია საჭირო.

კალიგულამ ფაქტთან მიმართებაში გამოიყენა იგივე მსჯელობა, რომელსაც პლატონი[39], თხზულებაში „მმართველობის შესახებ“ იყენებდა სამართლის მიმართ, რათა დაედგინა სამოქალაქო თუ სამეფო პირის თვისებები. თუ დიდი ხელმწიფე მართლა იშვიათობაა, მაშინ დიდი კანონმდებელი ხომ უფრო მეტი იშვიათობა იქნება? პირველი მხოლოდ მეორის მიერ შექმნილ ნიმუშს უნდა მიჰყვეს. კანონმდებელი ის მექანიკოსია, მანქანას რომ იგონებს, ხელმწიფე კი მხოლოდ მუშას ჰგავს, რომელიც მანქანას აწყობს და მოძრაობაში მოჰყავს. „საზოგადოებათა წარმოშობისას, – ამბობს მონტესკიე[40], – რესპუბლიკათა მეთაურები ქმნიან ინსტიტუტს, შემდეგში ინსტიტუტი აყალიბებს რესპუბლიკათა მეთაურებს“.

ის, ვინც გაბედავს და განიზრახავს, ხალხს ახალი ინსტიტუტები მისცეს, საკუთარ თავში დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შეძლებს, ასე ვთქვათ, შეცვალოს ადამიანური ბუნება, გარდაქმნას თითოეული ინდივიდი, რომელიც თავისთავად სრულყოფილი და განცალკევებული მთელია, უფრო დიდი მთელის ნაწილად, რომლისგანაც ეს ინდივიდი ერთგვარად უკან იბრუნებს თავის სიცოცხლესა და თავის არსებობას. მას უნდა შეეძლოს ადამიანის ბუნების შეცვლა, რათა გააძლიეროს იგი; ბუნების მიერ ბოძებული ჩვენი ფიზიკური და დამოუკიდებელი არსებობა, ნაწილობრივი (მთელის შემადგენელი ნაწილისა) და ზნეობრივი არსებობით უნდა შეცვალოს. ერთი სიტყვით, აუცილებელია, რომ მან (კანონმდებელმა) ადამიანს ჩამოართვას მისი საკუთარი ძალები და შეცვალოს ისინი მისთვის უცხოთი, რომელთა გამოყენებასაც ადამიანი სხვა პირის დაუხმარებლად ვერ შეძლებდა. რაც უფრო მეტადაა ჩახშობილი და დაუძლურებული ეს ბუნებრივი ძალები, მით უფრო ძლიერი და დღეგრძელია შეძენილი ძალები, მით უფრო ძლიერი და სრულქმნილია შექმნილი ინსტიტუტი; ასე რომ, თითოეული მოქალაქე თავისთავად თუ არარაობაა და სხვების გარეშე არაფერი ძალუძს, თუ მთელის მიერ შექმნილი ძალა ტოლია ან აღემატება ყველა ინდივიდის ბუნებრივ ძალებს ერთად აღებულს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობამ მიაღწია იმ უმაღლეს სრულყოფილებას, რისი მიღწევაც მას შეეძლო.

კანონმდებელი სახელმწიფოში არა მარტო თავისი გენიით, არამედ თავისი მდგომარეობითაც ყოველმხრივ არაჩვეულებრივი კაცი უნდა იყოს. ეს არც მაგისტრატურაა და არც – უმაღლესი ხელისუფლება. ეს მოვალეობა აწესებს რესპუბლიკას, მაგრამ იგი არ შედის მის დაწესებულებებში. იგი საგანგებო და უმაღლესი თანამდებობაა, რომელსაც ჩვეულებრივ ხელისუფლებასთან არაფერი აქვს საერთო. მართლაც, თუ ადამიანთა გამგებელი კანონებს არ უნდა განაგებდეს, არც კანონთა გამგებელი უნდა განაგებდეს ადამიანებს. სხვაგვარად, მისივე ვნებათა მსახური კანონები, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მის მიერ ჩადენილ უსამარ-

* ხალხი მხოლოდ მაშინ ხდება ცნობილი, როდესაც მისი კანონმდებლობის დაცემა იწყება. ჩვენთვის უცნობია, რამდენი საუკუნის განმავლობაში უზრუნველყოფდა სპარტელთა კეთილდღეობას ლიკურგეს[41] ინსტიტუტი, სანამ მის შესახებ დანარჩენ საბერძნეთში ალაპარაკდებოდნენ.

თლობებს უკვდავყოფენ; იგი თავიდან ვერასოდეს აიცდენს იმას, რომ კერძო ინტერესებმა მისი ქმნილების სიწმინდე არ შერყვნას.

როდესაც ლიკურგემ თავის სამშობლოს კანონები შეუდგინა, იმით დაიწყო, რომ მეფის ხელისუფლებაზე თქვა უარი. უმრავლეს ბერძნულ ქალაქებში, ადათის თანახმად, კანონთა შედგენას უცხოელებს ავალებდნენ. იტალიის ახლანდელი რესპუბლიკები ხშირად ბაძავენ ამ ადათს; ზუსტად ასევე მოიქცა ჟენევის რესპუბლიკა და კარგიც ქნა*. თავისი არსებობის საუკეთესო პერიოდში რომი ხედავდა, როგორ გამოიკვეთა მის წიაღში ტირანიის მთავარი ნიშანი – ბოროტმოქმედება, რითაც დაღუპვის ზღურბლზე აღმოჩნდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ მან ერთსა და იმავე პირებს მიანდო საკანონმდებლო და სუვერენული ხელისუფლება.

თქმულის მიუხედავად, დეცემვირებს[43] არასოდეს მიუთვისებიათ კანონთა გამოცემის უფლება მხოლოდ თავიანთი ძალაუფლების მეშვეობით. „ჩვენ ამას გთავაზობთ: თქვენი თანხმობის გარეშე არაფერი იქცევა კანონად; რომაელებო, თქვენ თავად იყავით ავტორები იმ კანონებისა, რომლებმაც თქვენი ბედნიერება უნდა უზრუნველყონ.“– ეუბნებოდნენ ისინი ხალხს.

მაშასადამე, მას, ვინც კანონებს ადგენს, არა აქვს ან არ უნდა ჰქონდეს არავითარი საკანონმდებლო ხელისუფლება; ხალხს, რომც მოისურვოს, თავად არ შეუძლია საკუთარ თავს ჩამოართვას კანონთა შედგენის განუსხვისებელი უფლება, ვინაიდან, ძირითადი ხელშეკრულების თანახმად, მხოლოდ საერთო ნებას ძალუძს კერძო პირთა დავალდებულება; კერძო ნება რომ საერთო ნებას ეთანხმება შეუძლებელია გჯეროდეთ მანამდე, ვიდრე ეს კერძო ნება არ დაექვემდებარება ხალხის თავისუფალ კენჭისყრას. ეს უკვე მოგახსენეთ, თუმცა გამეორება ურიგო არ იქნება.

ამრიგად, კანონმდებლის საქმიანობას ორი მხარე აქვს, რაც ერთმანეთთან შეუთავსებლად გვეჩვენება: ადამიანურ ძალებზე აღმატებული წამოწყება და მის განსახორციელებლად საჭირო ძალაუფლება, რომელიც თავისთავად არარაობაა.

ყურადსაღებია ერთი სირთულეც: ბრძენი კაცები თუ უბირ ადამიანებთან საუბარს თავიანთ და არა მათ ენაზე მოისურვებენ, მათ ვერაფერს გააგებინებენ. თუმცა საკმაოდ მრავლადაა ისეთი აზრი, რომელთა

* ისინი, ვინც კალვინს[42] მხოლოდ თეოლოგად მიიჩნევენ, ცუდად იცნობენ მისი ნიჭის შესაძლებობებს. ჩვენი ქვეყნის გონივრულ ედიქტთა რედაქცია, რაშიც მას დიდი წვლილი მიუძღვის, ისეთსავე პატივს მიაგებს მას, როგორც – მისი დადგენილებები. რა ცვლილებებიც არ უნდა შეიტანოს დრომ ჩვენს კულტურაში, ვიდრე ჩვენში სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარული არ ჩაქრება, ამ დიდ ადამიანს ლოცვა–კურთხევით მოიხსენიებენ.

გადმოცემაც ხალხისათვის გასაგებ ენაზე შეუძლებელია. უზოგადესი შეხედულებების და მიუწვდომელი თემების გაგების უნარი ხალხს არა აქვს. ყოველი ინდივიდი იწონებს მმართველობის მხოლოდ იმ გეგმას, რომელიც მის კერძო ინტერესებს შეესაბამება; იგი ძნელად იგებს იმ უპირატესობებს, რაც კანონებში მოცემულ აკრძალვებს მოსდევს. ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ხალხმა პოლიტიკის გონივრული მაქსიმები რომ მიიღოს და სახელმწიფო გონების ძირითად წესებს რომ გაჰყვეს, აუცილებელია, ქმედების მიზეზად ქცევა შეეძლოს; საზოგადოებრივი სულისკვეთება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის ქმნილება, თავად წარმართავდეს ინსტიტუტს და რომ ადამიანები კანონთა შექმნამდე იყვნენ ისეთები, როგორებიც უნდა გახდნენ ამ კანონთა წყალობით. ამგვარად, კანონმდებელი, რომელსაც არ ძალუძს არც ძალის და არც გონების გამოყენება, ძალაუნებურად მიმართავს სხვა რიგის ძალაუფლებას, რომელსაც ძალუძს, ძალადობის გარეშე მიაღწიოს შედეგს და ადამიანები დარწმუნების გარეშეც დაიყოლიოს.

აი, ყველა დროში რა აიძულებდა ხალხთა წინამძღოლებს, ზეცათა დახმარებისათვის მიემართათ და საკუთარი გონიერება ღმერთებისათვის მიეწერათ, რათა ხალხი ისევე დამორჩილებოდა სახელმწიფო კანონებს, როგორც ბუნებრივ კანონებს, რათა მას, თავისუფლებაში მყოფს, მორჩილება გამოეჩინა და თვინიერად ეტარებინა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უღელი.

ჩვეულებრივი გონების დონეს აღმატებული უზენაესი გონის გადაწყვეტილება კანონმდებელმა უკვდავ ღმერთებს წარმოათქმევინა, რათა ღვთაებრივი ავტორიტეტის ძალით წარემართა ისინი, ვისაც ადამიანური კეთილგონიერებისა არა სწამდა;* მაგრამ ყველა ადამიანს, ვისაც კი თავი ღმერთების განმმარტებლად გამოუცხადებია, როდი ძალუძს ხალხი დააჯეროს. ერთადერთი სასწაული რისი მეშვეობითაც კანონმდებელს თავისი მისიის გამართლება შეუძლია, თვით კანონმდებლის დიადი სულისკვეთებაა. ყოველ ადამიანს შეუძლია ქვის დაფების გამოკვეთა, ან ორაკულის მოსყიდვა, ან თავის ისე მოჩვენება, თითქოს ფარული კავშირი ჰქონდეს ღვთაებასთან, ან გაწვრთნა ჩიტისა, რომელიც მწვრთნელს ყურში უჩურჩულებს, ანდა ხალხზე ზემოქმედებისათვის სხვა უხამსი სა-

* მართლაც, არც ერთ ხალხში არ მომხდარა, რომ საგანგებო კანონთა დამფუძნებელს – არ მიემართოს ღმერთებისათვის სხვაგვარად იგი მათ (ამ კანონებს) ვერ დაანებებდა; არსებობს მრავალი არათვალნათლივი სიკეთე, რომელთაც ბრძენი კაცი შეიტყობს, მაგრამ უჭირს სხვები დააჯეროს. მაკიაველი „მსჯელობა ტიტუს ლივიუსზე“ წიგნი I, თ. XI

შუალებების გამონახვაც. ის ვინც მხოლოდ ამას მოახერხებს, უგნურთა ბრბოს შემოიკრებს, მაგრამ სახელმწიფოს შექმნას ვერასოდეს შეძლებს, მისი უაზრო ქმნილება კი მალე მასთან ერთად გაქრება. ფუჭი ცდუნებით მხოლოდ ხანმოკლე კავშირი იქმნება, მას სიმტკიცეს მარტო სიბრძნე ანიჭებს. კვლავაც მოქმედი ძველებრაელთა[44] კანონი, ისმაილის ვაჟის კანონი,[45] აგერ უკვე ათი საუკუნეა, რაც მართავს ნახევარ მსოფლიოს. კვლავაც იმას მოწმობს, რომ ისინი დიდმა ადამიანებმა შექმნეს. ქედმაღლური ფილოსოფია ან დაბრმავებული პარტიული ჭკუა თუ დაინახავს ამ კანონთა ავტორებში მხოლოდღა იღბლიან თაღლითებს; ჭეშმარიტ პოლიტიკოსს ამ კანონებში აოცებს ის დიადი და მძლავრი გენია, რომელიც ცოცხლობს ხანგრძლივ საზოგადოებრივ ინსტიტუტებში.

ყოველივე აქედან, უორბერტონივით[46], დასკვნის სახით ის კი არ უნდა განვაცხადოთ, რომ პოლიტიკას და რელიგიას ჩვენში ერთი საერთო საგანი აქვს, არამედ მხოლოდ ის, რომ საზოგადოებათა წარმოშობის დროს რელიგია პოლიტიკის იარაღია.

VIII თავი

ხალხი

არქიტექტორი, ვიდრე შენობას ააგებდეს, ჯერ ნიადაგს სინჯავს და სწავლობს, რათა დარწმუნდეს – გაუძლებს თუ არა იგი ნაგებობის სიმძიმეს; ბრძენი კანონმდებელიც ასე იქცევა – ვიდრე კარგ კანონებს შეადგენდეს, წინასწარ სწავლობს, ხალხი, ვისთვისაც მან ისინი უნდა შექმნას, შეძლებს თუ არა ამ კანონთა ატანას. არკადელებისა[47] და კირენელებისათვის[48] კანონთა შედგენაზე უარი პლატონმა სწორედ ამ მოსაზრებით განაცხადა, ვინაიდან იცოდა, რომ ორივე ხალხი მდიდარი იყო და თანასწორობას ვერ იტანდა. მინოსი[49] ცდილობდა, ბიწიერებით აღსავსე ადამიანები წესრიგისათვის დაემორჩილებინა. აი, რატომ იყო კრეტაში კარგი კანონები და ცუდი ადამიანები.

დედამიწის ზურგზე მრავალი ისეთი ხალხი ბრწყინავდა, კარგ კანონებს ვერასოდეს რომ ვერ აიტანდა; იმ ხალხებსაც კი, რომელთაც ამის უნარი შესწევდათ, მთელი თავიანთი ისტორიული არსებობის მანძილზე საამისოდ ძალზე ხანმოკლე დრო ჰქონდათ. ამ მხრივ ხალხთა უმრავლესობა ისევე როგორც ადამიანებისა, დამჯერნი მხოლოდ ახალგაზრდობაში არიან, სიბერეში კი გამოუსწორებელნი ხდებიან. როცა ხალხის ადათ-

წესები დამკვიდრებულია, ამასთან ერთად ცრურწმენებსაც ფესვები ღრმადა აქვთ გადგმული, მათი შეცვლის სურვილი არა მარტო ფუჭი საქმეა, არამედ სახიფათოც. ხალხსაც, უგუნური და მშიშარა ავადმყოფივით ექიმის დანახვაზე რომ აკანკალებს, საკუთარ წყლულებთან მიკარების ატანაც არ შეუძლია, ამის მიზანი თუნდაც ამ წყლულთა განკურნება იყოს.

ზოგიერთი დაავადების მსგავსად, ადამიანთა თავებში ცვლილებებს რომ იწვევს და წარსულს ავიწყებს, სახელმწიფოთაც არ გააჩნიათ ბობოქარი პერიოდები, როცა რევოლუციები ისეთსავე გავლენას ახდენენ ხალხზე, როგორსაც გარკვეული კრიზისები – ცალკეულ ინდივიდებზე. ასეთ დროს წარსულის საშინელებები დავიწყებას ეძლევა და სამოქალაქო ომებგამოვლილი სახელმწიფო ხელახლა იბადება საკუთარი ფერფლიდან და, სიკვდილის მკლავებიდან თავდახსნილი, კვლავ იძენს ახალგაზრდულ ძალას. ასეთი გახლდათ სპარტის მდგომარეობა ლიკურგეს დროს, რომისა – ტარკვინიუსების[50] შემდეგ, ხოლო ჩვენს დროში – ჰოლანდიისა და შვეიცარიისა ტირანთა[51] გაძევების შემდეგ.

მაგრამ ასეთი მოვლენები იშვიათია. ესაა გამონაკლისები, რომელთა მიზეზი სახელმწიფოს განსაკუთრებულ წყობაში ძევს. ასეთი მოვლენების გამეორება ერთსა და იმავე ხალხში შეუძლებელია, ვინაიდან ხალხს შეუძლია მანამდე განთავისუფლდეს, ვიდრე იგი ბარბაროსია. როდესაც სამოქალაქო სულისკვეთების მამოძრავებელი ზამბარა მოდუნდება, ხალხს ეს აღარ ძალუძს. მაშინ ამბოხებებმა შესაძლოა იგი ისე გაანადგუროს, რომ რევოლუციებმა ვეღარ შეძლონ მისი აღდგენა. როგორც კი ამ ხალხის ბორკილები დაიმსხვრევა, ეს ხალხი იშლება და წყვეტს არსებობას; ამიერიდან მას გამგებელი ესაჭიროება და არა – განმათავისუფლებელი. თავისუფალო ხალხებო, გახსოვდეთ ეს მაქსიმა, თავისუფლება შეიძლება ერთხელ მოიპოვოთ, მაგრამ მისი ხელახლა მოპოვება შეუძლებელია.

ახალგაზრდობა ბავშვობა როდია. ხალხებს, ადამიანთა მსგავსად, აქვთ ყრმობის პერიოდი ანდა, თუ გნებავთ, სიმწიფის პერიოდი. ამიტომ სანამ ხალხებს კანონებს დაუქვემდებარებდეთ, ჯერ მათ სიმწიფის დადგომას უნდა დაელოდოთ; მაგრამ ხალხის მოწიფულობა ყოველთვის იოლი შესაცნობი როდია; თუ მას ვერ ეღირსე, მაშინ მთელი გარჯა ამაო იქნება. ზოგი ხალხი დისციპლინისათვის გაჩენისთანავეა მომწიფებული, ზოგს კი ამისთვის ათი საუკუნე მაინც სჭირდება. რუსები ვერასოდეს იქნებიან ჭეშმარიტად ცივილიზებული ხალხი, ვინაიდან ისინი დროზე ადრე ეზიარნენ ცივილიზაციას. პეტრეს მიბაძვის[52] უნარი გაჩნდა, მას არ ჰქონდა ჭეშმარიტი ნიჭი, ისეთი, რომელიც არაფრისაგან ყველაფერს აკეთებს და ქმნის. ზოგიერთი რამ მან კარგი გააკეთა, უმეტეს

შემთხვევაში კი მისი რეფორმები უმართებულო იყო. იგი ხედავდა, რომ რუსი ხალხი ბარბაროსი იყო, მაგრამ ვერ ამჩნევდა, რომ იგი ჯერ მოწიფული არ იყო ცივილიზებული მმართველობისათვის (la police). მან მოისურვა მისი ხალხი ცივილიზაციას ზიარებოდა მაშინ, როდესაც ჯერ იგი ამგვარ ყოფასთან დაკავშირებულ სირთულეებში უნდა გამოეწროო. მან მოისურვა, თავისი ქვეშევრდომები ჯერ ინგლისელებად და გერმანელებად ექცია, ნაცვლად იმისა, რომ რუსები გაეხადა. პეტრე რუსებს უნერგავდა, რომ ისინი სხვანი არიან და არა ის, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდნენ, და ამით ხელი შეუშალა მათ, ოდესმე იმად გამხდარიყვნენ, რაც შეეძლოთ. იგი იმ ფრანგი აღმზრდელივით მოიქცა, რომელიც ცდილობს მისმა მოსწავლემ ბავშვობაში იბრწყინოს, შემდეგ კი საუდამო არარაობად დარჩეს. რუსეთის იმპერია ევროპის დაპყრობას მოისურვებს, მაგრამ თავად აღმოჩნდება დაპყრობილი. მისი ქვეშევრდომი თუ მეზობელი თათრები, იქნებიან ჩვენი და მისი ბატონები. ეს ცვლილება გარდუვალად მესახება. ევროპის ყველა მეფე ერთსულოვნად მოქმედებს ამ პროცესის დასაჩქარებლად.

IX თავი

გაგრძელება

როგორც ბუნებამ დაუდგინა საზღვრები კეთილაღნაგი ადამიანის სხეულს, რის იქითაც იგი ან გოლიათი გახდება, ან ჯუჯა, სახელმწიფოს საუკეთესო წყობაზეც იგივე შეიძლება ითქვას: არსებობს ტერიტორიული ზღვარი; იმისთვის რომ სახელმწიფო კარგად იმართებოდეს, იგი ძალზე ვრცელი არ უნდა იყოს. იგი ძალზე მცირეც არ უნდა იყოს, რათა საკუთარი ძალებით შეძლოს არსებობა. ყოველ პოლიტიკურ კორპუსს აქვს ძალის მაქსიმუმი, რასაც მან არ უნდა გადააჭარბოს, სინამდვილეში კი ამ მაქსიმუმს იგი ზრდის გამო ხშირად სცილდება. რაც უფრო მეტად ფართოვდება საზოგადოებრივი კავშირი, მით უფრო სუსტდება იგი. საერთოდ, პატარა სახელმწიფო შეფარდებითად უფრო ძლიერია, ვიდრე დიდი.

ეს მაქსიმა მრავალი მოსაზრებით დასტურდება. ჯერ ერთი, დიდი დაშორებულობისას სახელმწიფოს მართვა ისევე ძნელდება, როგორც ტვირთი მძიმდება გრძელი ბერკეტის ბოლოზე. რაც უფრო იზრდება

ადმინისტრაციული დაქვემდებარების საფეხურების რაოდენობა, მით უფრო დამამძიმებელი ხდება იგი, ვინაიდან თითოეულ ქალაქს თავისი გამგებლობა ჰყავს, თითოეულ მხარეს – თავისი; ერთსაც და მეორესაც ხალხი არჩენს. ახლა ოლქები, დიდი გუბერნიები, სატრაპიები, სამეფისნაცვლო, რომელთა რჩენაც რაც უფრო ზემოთ და ზემოთ მიდიხართ სულ უფრო და უფრო ძვირი ჯდება. და ყველაფერი ეს – ისევ იმავე საბრალო ხალხის ხარჯზე. დაბოლოს, სულ ზემოთ უმაღლესი მმართველობა, რომელიც ყველაფერს თრგუნავს. ასეთი აუტანელი ტვირთი დღენიადაგ ფიტავს ხელქვეითებს; მმართველობის ასეთი სხვადასხვაგვარი ქვედანაყოფის წყალობით, ისინი უკეთ სულაც არ იმართებიან; ახლა მათ გაცილებით უარესად მართავენ ვიდრე მაშინ, ზემოთ ერთი ხელისუფალი რომ ჰყოლოდათ. თანაც განსაკუთრებული შემთხვევისათვის სახსრები თითქმის აღარ რჩებათ და, როდესაც აუცილებელი ხდება, ამ საშუალებებს მიმართონ, სახელმწიფო ყოველთვის გაპარტახების ზღურბლზე აღმოჩნდება ხოლმე.

ეს კიდევ ყველაფერი როდია: არა მხოლოდ მმართველობას აქვს ნაკლები ძალა და შემართება კანონთა დაცვის უზრუნველსაყოფად, შეზღუდვათა დასაბრკოლებლად, ბოროტ ქმედებათა აღმოსაფხვრელად, შორეულ მხარეებში მომხდარ ამბოხებათა აღსაკვეთად, არამედ ხალხიც ნაკლებ ერთგულია იმ თავისი გამგებლებისა, რომელთაც ვერასოდეს ვერ ნახულობს, სამშობლოსი, რომელიც მის თვალში ისევე დიდია, როგორც მსოფლიო, და თანამოქალაქეებისა, რომელთა უმრავლესობაც მისთვის უცხოა. ერთი და იგივე კანონები შეუძლებელია ვარგისი იყოს ამდენი განსხვავებული ზნე-ჩვეულებების და კლიმატურ პირობების მქონე ოლქებისათვის. ამიტომ მათ არც მმართველობის ერთი და იმავე ფორმის ატანა ძალუძთ. ერთი და იმავე გამგებელთა ხელქვეით მცხოვრებ ხალხებს, რომელთაც განუწყვეტლივ უწევთ ურთიერთობა – ერთმანეთთან მიმოდიან, ერთმანეთზე ქორწინდებიან და სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებს ემორჩილებიან – განსხვავებული კანონები მხოლოდ არეულობას და დაბნეულობას უქმნის; არასოდეს იციან, საბოლოოდ მამული მართლაც მათ ეკუთვნით, თუ არა. ტალანტები მიჩქმალულნი არიან, ქველობა უგულებელყოფილია, ბიწიერება – დაუსჯელი; ასე ხდება უცნობ ადამიანთა ბრბოში, რომელსაც მხოლოდ უმაღლესი მმართველობითი აპარატი აერთიანებს. საქმეებით გართულ გამგებლებს თავად ვერაფერი გაურკვევიათ. სახელმწიფოს მოხელეები გონაგებენ. დაბოლოს, ყველა სახელმწიფო საზრუნავს ნთქავს საერთო ხელისუფლების შესანარჩუნებლად საჭირო საშუალებები; ეს ის ხე-

ლისუფლებაა რომლის მოშორება ანდა მოტყუება სურთ შორეულ მხარეთა მოხელეებს; ხალხის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ხელისუფალთ ძალა აღარ შესწევთ; ის კი არა, იმდენი ძალა ძლივს რჩებათ საჭიროების შემთხვევაში იგი დაიცვან. ამრიგად, თავისი წყობისათვის შეუსაბამო ძალზე დიდი სახელმწიფო სხეული, თავისივე სიმძიმით გაჭყლეტილი, ჩაწვება და იღუპება.

მეორე მხრივ, სახელმწიფომ უნდა შეიქმნას გარკვეული საფუძველი, რათა სიმტკიცე მოიპოვოს, წინააღმდეგობა გაუწიოს დროდადრო თავს დატეხილ განსაცდელს და გაუძლოს ზეწოლას საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად, ვინაიდან ყველა ხალხს აქვს ერთგვარი ცენტრიდანული ძალა, რისი გავლენითაც ისინი გამუდმებით გამოდიან ერთმანეთის წინააღმდეგ და დეკარტის[53] გრიგალებისა არ იყოს, თავიანთ მეზობელთა ხარჯზე ლამობენ გაფართოვებას. ასე რომ, სუსტებს შთანთქმის საშიშროება ემუქრებათ; არსებობას სხვაგვარად ვერავინ შეინარჩუნებს თუ სხვებთან, თავისივე მსგავსებთან ერთად, არ შექმნიან ერთგვარ თანაფარდობას, რომელიც ყოველგვარ ზეწოლას ყველგან დაახლოებით ერთნაირს გახდის.

აქედან ნათელია, რომ არსებობს მოსაზრებები, როგორც საზღვრების გაფართოების, ისე მათი შემცირების სასარგებლოდ; პოლიტიკოსს მცირე ნიჭი როდი მართებს, რათა პირველ და მეორე საფუძვლებს შორის სახელმწიფოს შესანარჩუნებლად ყველაზე ხელსაყრელი თანაფარდობა გამონახოს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიის გასაფართოებლად მოხმობილი მოსაზრებები იმის გამო, რომ, ისინი მხოლოდ გარეგნული და შეფარდებითია, უნდა დაექვემდებაროს საპირისპირო რიგის მოსაზრებებს, რომლებიც შინაგანი და აბსოლუტურია. პირველი, რაც უნდა დადგინდეს, ესაა ჯანსაღი და მტკიცე კონსტიტუცია. დიდი ტერიტორიებით ბოძებულ საშუალებებზე მეტად ყოველთვის კარგი მმართველობიდან მომდინარე ძალის მოიმედენი უნდა ვიყოთ.

თუმცა, იმგვარად მოწყობილი სახელმწიფოებიც არსებულა, რომელთა კონსტიტუციის არსს დაპყრობათა აუცილებლობა შეადგენდა; არსებობის შესანარჩუნებლად ისინი იძულებულნი იყვნენ, მუდამჟამს გაფართოებაზე ეზრუნათ. შესაძლოა, მათ ახარებდათ კიდეც ეს ბედნიერი აუცილებლობა, მაგრამ იგი, მათი სახელმწიფოს სიდიდისათვის ზღვარის დადებით, გარდუვალი დაცემის მაუწყებელიც იყო.

X თავი

გაგრძელება

პოლიტიკური კორპუსის საზომად ორი საშუალება არსებობს; კერძოდ: ტერიტორიის ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა. სახელმწიფოს სათანადო სიდიდის დასადგენად, ამ ორ სიდიდეს შორის გარკვეული მიმართება უნდა დავადგინოთ. სახელმწიფოს ადამიანები ქმნიან, მისი ტერიტორია მათი სარჩო-საბადებლის წყაროა. მათ შორის ისეთი მიმართება უნდა არსებობდეს, რომ მიწამ უზრუნველყოს სახელმწიფოს მკვიდრთა არსებობა, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა იმდენი უნდა იყოს, რამდენის გამოკვებასაც მიწა შეძლებს. სწორედ ამ თანაფარდობაში მდგომარეობს მოსახლეობის მოცემული რაოდენობის მაქსიმალური ძალა; თუ მიწა ჭარბადაა მისი მოვლა რთულდება, იგი სათანადოდ ვერ მუშავდება, პროდუქტი კი უხვადაა. სწორედ ესაა თავდაცვითი ომების უშუალო მიზეზი. თუ მიწა არასაკმარია, სახელმწიფო დამატებითი სარჩოს მოსაპოვებლად მეზობელ ქვეყნებზეა დამოკიდებული; ეს თავდასხმითი ომების უშუალო მიზეზი გახლავთ. ყოველი ხალხი, რომელიც თავისი მდგომარეობით იძულებულია ან ივაჭროს ან იომოს – თავისთავად სუსტია. იგი დამოკიდებულია თავის მეზობლებზე, მოვლენებზე; მისი არსებობა არამყარი და ხანმოკლეა. იგი იმორჩილებს სხვებს და იცვლის თავის მდგომარეობას, ან თავად ემორჩილება სხვას და იქცევა არარად. მას საკუთარი თავისუფლება შეუძლია უბადრუკობით ან სიდიადით შეინარჩუნოს.

შეუძლებელია მიწის ფართობსა და მოსახლეობის რაოდენობას შორის მათემატიკურად ზუსტი ისეთი მიმართების დადგენა, რომ ერთი მეორისათვის საკმარი იყოს. აქ მრავალი პირობაა გასათვალისწინებელი: ნიადაგთა შორის არსებული სხვაობა, მათი ნაყოფიერების ხარისხი, პროდუქტის ნაირგვარობა, ჰავის გავლენა. გარდა ამისა, არსებობს ამ მიწის ბინადარ ადამიანთა შორის ხასიათთა სხვაობა – ნოყიერი ნიადაგის მქონე ქვეყნის მკვიდრნი წაკლებს მოიხმარენ, მწირი ნიადაგის მკვიდრნი – ბევრს; გასათვალისწინებელია ქალთა მაღალი თუ დაბალი შვილოსნობის უნარიც. ისიც, თუ ქვეყნისათვის რამდენად ხელსაყრელია მოსახლეობის რაოდენობა, ვისთვისაც დახმარების გაწევას თავისი დადგენილებით ფიქრობს კანონმდებელი. ასე რომ, მსჯელობა უნდა ეფუძნებოდეს არა იმას, რაც ჩანს, არამედ იმას, რასაც იგი წინასწარ

ჭვრეტს; იგი მოსახლეობის არსებულ მდგომარეობაზე კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ უნდა გაითვალისწინოს ის მდგომარეობა, რასაც მან ბუნებრივად უნდა მიაღწიოს. დაბოლოს, არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც განსაკუთრებული ადგილობრივი პირობები იმაზე მეტი რაოდენობის მიწების დაკავებას ითხოვენ ან საშუალებას ქმნიან, ვიდრე ამის აუცილებლობაა. ამგვარი გაფართოება გარდუვალია მთიანი ქვეყნებისათვის, სადაც ბუნებრივი სავარგულები – ტყე, საძოვრები – ნაკლებ გარჯას ითხოვენ, სადაც გამოცდილების მიხედვით, ქალები უფრო მაღალი შვილოსნობით ხასიათდებიან, ვიდრე ბარის მცხოვრებნი და სადაც ნიადაგის დიდი დახრილობის გამო ძალზე მცირეა დასამუშავებლად ვარგისი ვაკე ფართობები. პირიქით, ზღვის სანაპიროზე, თუნდაც კლდოვანი ნაპირებისა და უნაყოფო ქვიშის პირობებში, უფრო მჭიდროდაც შეიძლება დასახლება, ვინაიდან თევზს მნიშვნელოვანწილად შეუძლია მიწის პროდუქტების შეცვლა; ადამიანები აქ უფრო მჭიდროდ უნდა ცხოვრობდნენ, რათა მეკობრეთაგან თავი დაიცვან. გარდა ამისა, აქ უფრო მეტი შესაძლებლობაა სხვა მხარეებში კოლონიზაციის შედეგად შექმნილი ჭარბი მოსახლეობისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.

ხალხის ჩამოსაყალიბებლად ყველა ამ პირობებს საჭიროა დაემატოს კიდევ ერთი, რომლის შეცვლაც რაიმე სხვა საფუძველით შეუძლებელია და ურომლისოდაც ყველა პირობა ფუჭია. კერძოდ: აუცილებელია ხალხი ტკბებოდეს სიუხვითა და მშვიდობით, ვინაიდან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოს, ისევე როგორც ახლად შექმნილ ათასეულს, ნაკლებად ძალუძს მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა და, ამდენად, მისი განადგურება ძალზე იოლია. სრული უწესრიგობისას წინააღმდეგობის გაწევა უფრო იოლია, ვიდრე მღელვარების დროს, როდესაც ყველა თავის მდგომარეობაზე ზრუნავს და არა საერთო საფრთხეზე. თუ კრიზისს დაერთვება ომი, შიმშილი, ამბოხი, სახელმწიფოს დაღუპვა გარდუვალია.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მსგავსი ქარიშხლების პერიოდებში მმართველობები არ ჩამოყალიბებულიყოს, მაგრამ მაშინ თავად ეს მმართველობები ანგრევენ სახელმწიფოს; ასეთ მღელვარე დროს ყოველთვის უზურპატორები ქმნიან ან ირჩევენ, რათა საზოგადოებრივი შიშის წყალობით, გაატარონ დამანგრეველი კანონები, რომელთაც მშვიდ მდგომარეობაში ხალხი არასოდეს დაუჭერდა მხარს. კანონთა მისაღებად დროის შერჩევა ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი ნიშანია, რომლის საფუძველზეც კანონმდებლის საქმიანობა შეიძლება ტირანის ქმედებისაგან განვასხვაოთ.

რომელ ხალხს შეუძლია კანონმდებლობის მიღება? ასეთი იქნება ის ხალხი, რომელიც უკვე გაერთიანებულია წარმომავლობით, ინტერესებით თუ შეთანხმებით, მაგრამ ჯერ არ უტარებია კანონთა ნამდვილი უღელი; რომელსაც არ ეშინია, რომ უეცარი თავდასხმით გაისრისება; რომელსაც მეზობელთა უთანხმოებებში ჩაურევლად შეუძლია თავად გაუწიოს წინააღმდეგობა თითოეულ მათგანს, ან ერთი მათგანის მეშვეობით მეორის თავდასხმა მოიგერიოს; ისეთი ხალხი, რომლის ყოველი წევრი შეიძლება ყველასათვის ნაცნობი იყოს და იძულებული არ არის ადამიანს ისეთი სიმძიმე აჰკიდოს, რისი ტარებაც მას არ შეუძლია, ის ხალხი, რომელსაც სხვა ხალხის გარეშეც შეუძლია არსებობა და ურომლისოდაც ნებისმიერი სხვა ხალხიც გაძლებს*. ასეთია ის ხალხი, რომელიც არც მდიდარია და არც ღარიბი და ძალუძს საკუთარი თავის დაკმაყოფილება; დაბოლოს, ეს ის ხალხია, რომელიც აერთებს ძველი ხალხის სიმტკიცეს და ახალი ხალხის მორჩილებას. კანონშემოქმედებით საქმიანობას იმდენად ის კი არ ართულებს, რაც დასამკვიდრებელია, არამედ ის, რისი დანგრევაც არის აუცილებელი. საკანონმდებლო გარდაქმნებში მიღწეული წარმატებები თუ ასე იშვიათია, ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ შეუძლებელია მოიძებნოს საზოგადოების მოთხოვნილებებთან შეხამებული ბუნებრივი უბრალოება. ყველა ეს პირობა, ცხადია, ძალზე ძნელია ერთად იყოს თავმოყრილი; სწორედ ამიტომაა ასე იშვიათი რიგიანი კანონმდებლობის მქონე სახელმწიფოოები.

ევროპაში ჯერ კიდევ არის კანონმდებლობისათვის ვარგისი ერთი ქვეყანა; ესაა კუნძული კორსიკა[55]. იმ სიმამაცისა და შეუპოვრობის გამო, რამაც ამ გულად ხალხს საკუთარი თავისუფლების მოპოვება და დაცვა შეაძლებინა, იგი იმსახურებს, რომელიმე გონიერმა ადამიანმა მისი შენარჩუნებაც ასწავლოს. ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ოდესმე ეს პატარა კუნძული ევროპას გააოცებს.

---

* თუ ორი მეზობელი ხალხიდან ერთს არ შეუძლია მეორის დაუხმარებლად თავის გატანა, იქმნება ძალზე მძიმე მდგომარეობა ერთისათვის და ძალზე საშიში მეორისათვის. ასეთ შემთხვევაში ყოველი ჭკუათმყოფელი ხალხი შეეცდება, მეორე მალე გაათავისუფლოს ასეთი დამოკიდებული მდგომარეობისაგან. მექსიკის იმპერიის წაღში მოქცეულმა ტლასკალას[54] რესპუბლიკამ მექსიკელებისაგან მარილის ყიდვას, ანდა თუნდაც უსასყიდლოდ მიღებას, მარილის ხმარებაზე უარი ამჯობინა. გონიერმა ტლასკალანელებმა ამ წყალობის მიღმა დაფარული ხაფანგი დაინახეს; მათ შეინარჩუნეს თავისუფლება და ყოველი მხრიდან დიდი იმპერიით გარშემორტყმული ეს პატარა სახელმწიფო, საბოლოოდ ამ იმპერიის განადგურების იარაღად იქცა.

XI თავი

კანონმდებლობის სხვადასხვა სისტემა

თუ გამოვიკვლევთ, რა არის სწორედ ის უდიდესი სიკეთე, რაც ნებისმიერი საკანონმდებლო სისტემის მიზანი უნდა იყოს, ვნახავთ, რომ მას ორი უმთავრესი რამ – **თავისუფლება და თანასწორობა** – განაპირობებს; თავისუფლება იმიტომ, რომ ყოველი კერძო დამოკიდებულება სახელმწიფო კორპუსისათვის რაღაც ძალის წართმევის ტოლფასია; თანასწორობა იმიტომ, რომ თავისუფლებას არ ძალუძს თანასწორობის გარეშე არსებობა.

სამოქალაქო თავისუფლების შესახებ უკვე მოგახსენეთ; რაც შეეხება თანასწორობას, ეს სიტყვა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საზოგადოების ყველა წევრს ძალაუფლებისა და სიმდიდრის ხარისხი სრულიად ერთი და იგივე უნდა ჰქონდეს; აუცილებელია მხოლოდ ის, რომ ცალკეული პირის ძალმოსილება არანაირ ძალადობაში არ გადაიზარდოს და მან იმოქმედოს მხოლოდ თავისი მდგომარეობის შესატყვისად და კანონების საფუძველზე. სიმდიდრეს რაც შეეხება, არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს ისე მდიდარი, რომ სხვისი ყიდვა შეეძლოს და პირიქით, არც ვინმე უნდა იყოს ისე ღარიბი, რომ თავი გასაყიდი გაუხდეს*. ეს ძლიერთა მხრივ ქონებისა და ზეგავლენის შეზღუდვას გულისხმობს, სუსტების მხრივ კი – ანგარებისა და სიხარბის შეზღუდვას.

გვეტყვიან, რომ ასეთი თანასწორობა გონებაჭვრეტით შექმნილი ქიმერაა და მისი რეალური არსებობაც შეუძლებელია. მაგრამ თუ ბოროტი ქმედებები გარდაუვალია, ნუთუ მათი მოგვარება მაინც არაა საჭირო? საგანთა ძალა მუდამ თანასწორობის გასანადგურებლად რომ ილტვის, კანონმდებლობის ძალა სწორედ ამიტომ უნდა ცდილობდეს გამუდმებით მის შენარჩუნებას.

მაგრამ ყველა კარგი ინსტიტუტისათვის საერთო ეს მიზნები, თითოეულ ქვეყანაში უნდა იცვლებოდეს იმ დამოკიდებულებათა შესაბამისად, რომლებსაც ადგილმდებარეობის ხასიათი ისევე განაპირობებს, როგორც მის ბინადართა ხასიათი. ამ მიმართებათა საფუძველზე უნდა განესაზღვროს ყოველ ხალხს განსაკუთრებული საკანონმდებლო სისტემა, შესაძლოა, თავისთავად არც საუკეთესო, მაგრამ საუკეთესო იმ ქვეყნისათვის, რომლისთვისაც არის იგი განკუთვნილი. მაგალითად, თუ ნიადაგი მწირი და უნაყოფოა, ან ძალზე მჭიდროდაა დასახლებული, განავითარეთ ხელოსნობა და მრეწველობა, რათა მათი ნაწარმი გაცვალოთ საკვებ პროდუქტზე, რომელიც არ გყოფნით. პირიქით, თუ ქვეყანაში ველ-მინდვრები ბარაქიანია, ფერდობები უხვმოსავლიანი, ნიადაგი ნაყოფიერი, მოსახლეობა კი მცირერიცხოვანი, მთელი ზრუნვა მიწათმოქმედებაზე უნდა გადავიდეს. იგი ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდას. შეზღუდეთ ხელოსნობა, ვინაიდან ის ქვეყნის ისედაც მცირერიცხოვან მოსახლეობას თავს უყრის რამდენიმე პუნქტში და ამით მხოლოდ აუკაცრიელებს ქვეყანას.* თუ თქვენს ქვეყანას ვრცელი და მოხერხებული სანაპიროები უჭირავს, აავსეთ ზღვები ხომალდებით, განავითარეთ ვაჭრობა და ნაოსნობა, თქვენ მცირე ხნით ბრწყინვალედ იარსებებთ. თუ ზღვა თქვენი ქვეყნის მიუვალ კლდეებს ეკვრის, დარჩით ბარბაროსებად და იხტიოფაგებად; თქვენ უფრო მშვიდად იცხოვრებთ, შესაძლოა სხვებზე უკეთ და ბედნიერადაც. ერთი სიტყვით ყველა ხალხისათვის საერთო წესებს გარდა, ყოველი ხალხი თავისთავში ატარებს რაღაც ისეთს, რაც განსაკუთრებული ფორმით განაგებს ამ წესებს და მის კანონმდებლობას მხოლოდ მისთვის გამოსადეგსა ხდის. ამგვარად, შორეულ წარსულში ებრაელთა, არცთუ დიდი ხნის წინათ კი არაბთა მთავარი საზრუნავი რელიგია გახლდათ, ათენელებისა – ლიტერატურა, კართაგენისა და ტვიროსისა[56] – ვაჭრობა, როდოსისა[57] – ზღვაოსნობა, სპარტისა – ომი, ხოლო რომისა – სიქველე.[58] „კანონთა გონის“ ავტორმა უამრავი მაგალითით დაგვიდასტურა, თუ როგორი ხელოვნებით წარმართავს კანონმდებელი სახელმწიფო ინსტიტუტს თითოეული ამ მიზნისაკენ.

ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციის ჭეშმარიტი სიმტკიცე და ხანგრძლივობა უზრუნველყოფილია, თუ ქვეყანაში დადგენილი ადათები იმდენადაა დაცული, რომ ერთი და იმავე საკითხისადმი ბუნებრივი მიმართებები და კანონები მუდამ ემთხვევა ერთმანეთს და კანონთა ქმედება, ასე ვთქვათ, ბუნებრივ მიმართებათა უზრუნველყოფა, დაცვა და

---

* თუ გსური, სახელმწიფოს სიმტკიცე უზრუნველყოთ შესაძლებლობისდაგვარად დაუახლოვეთ ერთმანეთს უკიდურესი რანგები; ნუ შეეგუებით ნურც ძალზე მდიდრების, ნურც ღატაკების არსებობას; ეს ორი, ბუნებრივად ერთმანეთისაგან განუყოფელი მდგომარეობა, თანაბრად დამყუპველია საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. ერთი ტირანიის თაკკაცებს წარმოშობს, მეორე – ტირანებს; მათ შორის მუდამ იმართება საზოგადოებრივი თავისუფლებით ვაჭრობა, ერთი ყიდის, მეორე ყიდულობს.

* საგარეო ვაჭრობის რომელიმე დარგი, – ამბობს ბ-ნი დ' არჟანსონი, – საერთოდ, მხოლოდ მოჩვენებითი სარგებელია სამეფოსათვის; მან შესაძლოა გაამდიდროს რამდენიმე ცალკეული პიროვნება, რამდენიმე ქალაქიც კი, მაგრამ მთელი ერი ამით ვერაფერს იხეირებს და არც ხალხის მდგომარეობა უმჯობესდება.

გაუმჯობესებაა. მაგრამ თუ თავისი მიზნის არსში შემცდარი კანონმდებელი საგანთა ბუნებიდან მომდინარე პრინციპისაგან განსხვავებულ პრინციპს იღებს, თუ ერთი პრინციპი მიმართულია მონობისაკენ, მეორე კი – თავისუფლებისაკენ, ერთი – სიმდიდრისაკენ, მეორე – მოსახლეობის ზრდისაკენ, ერთი – მშვიდობისაკენ, მეორე – დაპყრობისაკენ, მაშინ კანონები შეუმჩნევლად დასუსტდება, კონსტიტუცია დამახინჯდება და სახელმწიფოში ბოლო არ მოელება ამბოხებებს, ვიდრე იგი არ დაინგრევა, ან არ შეიცვლება და უძლეველი ბუნება ვიდრე ძალაუფლებას კვლავ არ დაიბრუნებს.

XII თავი

კანონთა დაყოფა

იმისათვის რომ მთელი მოვაგვაროთ, ანდა საზოგადოებას შეძლებისდაგვარად საუკეთესო ფორმა მივცეთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა მიმართება: ჯერ ერთი, მთელი საზოგადოებრივი კორპუსის ზემოქმედება საკუთარ თავზე ე.ი. მთელის მიმართება მთელთან, ანუ სუვერენის მიმართება სახელმწიფოსთან; ეს მიმართება შედგება შუალედურ სიდიდეთა მიმართებებისაგან, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

ამ მიმართების მომწესრიგებელ კანონებს პოლიტიკური კანონები ეწოდება და არცთუ უსაფუძვლოდ ძირითად კანონებად იწოდება, ცხადია, თუ ისინი გონივრული კანონებია. თუ ყოველი სახელმწიფოს სწორად მოსაწყობად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს, მაშინ მისმა მიმგნებმა ხალხმა, იგი უნდა დაიცვას. მაგრამ დადგენილი წესრიგი თუ ცუდია, მაშინ რატომ უნდა მივიჩნიოთ ძირითად კანონებად კარგი წესრიგისათვის ხელის შემშლელნი? თუმცა, ხალხს ყოველთვის შეუძლია თავისი თუნდაც საუკეთესო კანონების შეცვლა; თუ მას ნებავს, საკუთარ თავს ზიანი მიაყენოს, ვისა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს?

მეორეა წევრთა მიმართება ერთმანეთთან ან მთელ პოლიტიკურ კორპუსთან; პირველ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მცირე ეს მიმართება, მეორე შემთხვევაში შეძლებისდამაგვარად დიდი უნდა იყოს, რათა ყოველი მოქალაქე სრულიად დამოუკიდებული აღმოჩნდეს სხვებისაგან და სრულად დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოებაზე; ეს ყოველთვის ერთი და იმავე საშუალებებით მიიღწევა, ვინაიდან სახელმწიფოში მის წევრთა თავისუფლებას ქმნის მხოლოდ სახელმწიფოს ძალა. ამ მეორე მიმართებიდან იღებენ დასაბამს სამოქალაქო კანონები.

შეიძლება მივუთითოთ კიდევ მესამე მიმართებაზე ადამიანსა და კანონს შორის; კერძოდ, მიმართებაზე დაუმორჩილებლობასა და სასჯელს შორის, რაც დასაბამს აძლევს სისხლის სამართლის კანონებს; ესენი არსებითად სხვა დანარჩენ კანონთა გამოვლენა უფროა, ვიდრე კანონთა განსაკუთრებული სახეობა.

კანონთა ამ სამ სახეობას აუცილებლად უნდა დავურთოთ მეოთხე სახის, ყველაზე მნიშვნელოვანი კანონები; ისინი მარმარილოსა და ბრინჯაოზე არ გახლავთ ამოკვეთილი; ეს კანონები მოქალაქეთა გულებშია აღბეჭდილი; ისინი ქმნიან სახელმწიფოს ჭეშმარიტ კონსტიტუციას; ისინი ყოველდღიურად იძენენ ახალ ძალას. ისინი ავსებენ და სიცოცხლეს უბრუნებენ მოძველებულ ან უმოქმედო კანონებს, ხალხში ინარჩუნებენ სახელმწიფო ინსტიტუტის სულისკვეთებას და ჩვეულების ძალას შეუმჩნევლად ცვლის ხელისუფლების ძალა. მე მხედველობაში მაქვს ადათები და ზნე-ჩვეულებები, განსაკუთრებით – საზოგადოებრივი აზრი. კანონთა ეს ნაწილი უცნობია ჩვენი პოლიტიკოსებისათვის, თუმცა ყველა სხვა დანარჩენ კანონთა წარმატება მათზეა დამოკიდებული. დიდი კანონმდებელი მალულად მუშაობს კანონთა ამ ნაწილზე, გარეგულად კი მხოლოდ კერძო განკარგულებათა გამოცემით კმაყოფიდლება, ეს უკანასკნელნი მხოლოდ თაღის კამარაა, რომლის ურყევი საყრდენიც ზნე-ჩვეულებებია, რომლებიც გაცილებით ნელა წარმოდგებიან.

ამ სხვადასხვა სახის კანონთაგან ჩემს საგანთან მიმართებაშია მხოლოდ პოლიტიკური კანონები, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ მმართველობის ფორმას.

გაუმჯობესებაა. მაგრამ თუ თავისი მიზნის არსში შემცდარი კანონმდებელი საგანთა ბუნებიდან მომდინარე პრინციპისაგან განსხვავებულ პრინციპს იღებს, თუ ერთი პრინციპი მიმართულია მონობისაკენ, მეორე კი – თავისუფლებისაკენ, ერთი – სიმდიდრისაკენ, მეორე – მოსახლეობის ზრდისაკენ, ერთი – მშვიდობისაკენ, მეორე – დაპყრობისაკენ, მაშინ კანონები შეუმჩნევლად დასუსტდება, კონსტიტუცია დამახინჯდება და სახელმწიფოში ბოლო არ მოეღება ამბოხებებს, ვიდრე იგი არ დაინგრევა, ან არ შეიცვლება და უძლეველი ბუნება ვიდრე ძალაუფლებას კვლავ არ დაიბრუნებს.

XII თავი

კანონთა დაყოფა

იმისათვის რომ მთელი მოვაგვაროთ, ანდა საზოგადოებას შეძლებისდაგვარად საუკეთესო ფორმა მივცეთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა მიმართება: ჯერ ერთი, მთელი საზოგადოებრივი კორპუსის ზემოქმედება საკუთარ თავზე ე.ი. მთელის მიმართება მთელთან, ანუ სუვერენის მიმართება სახელმწიფოსთან; ეს მიმართება შედგება შუალედურ სიდიდეთა მიმართებებისაგან, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

ამ მიმართების მომწესრიგებელ კანონებს პოლიტიკური კანონები ეწოდება და არცთუ უსაფუძვლოდ ძირითად კანონებად იწოდება, ცხადია, თუ ისინი გონივრული კანონებია. თუ ყოველი სახელმწიფოს სწორად მოსაწყობად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს, მაშინ მისმა მიმგნებმა ხალხმა, იგი უნდა დაიცვას. მაგრამ დადგენილი წესრიგი თუ ცუდია, მაშინ რატომ უნდა მივიჩნიოთ ძირითად კანონებად კარგი წესრიგისათვის ხელის შემშლელნი? თუმცა, ხალხს ყოველთვის შეუძლია თავისი თუნდაც საუკეთესო კანონების შეცვლა; თუ მას ნებავს, საკუთარ თავს ზიანი მიაყენოს, ვისა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს?

მეორეა წევრთა მიმართება ერთმანეთთან ან მთელ პოლიტიკურ კორპუსთან; პირველ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მცირე ეს მიმართება, მეორე შემთხვევაში შეძლებისდამაგვარად დიდი უნდა იყოს, რათა ყოველი მოქალაქე სრულიად დამოუკიდებული აღმოჩნდეს სხვებისაგან და სრულად დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოებაზე; ეს ყოველთვის ერთი და იმავე საშუალებებით მიიღწევა, ვინაიდან სახელმწიფოში მის წევრთა თავისუფლებას ქმნის მხოლოდ სახელმწიფოს ძალა. ამ მეორე მიმართებიდან იღებენ დასაბამს სამოქალაქო კანონები.

შეიძლება მივუთითოთ კიდევ მესამე მიმართებაზე ადამიანსა და კანონს შორის; კერძოდ, მიმართებაზე დაუმორჩილებლობასა და სასჯელს შორის, რაც დასაბამს აძლევს სისხლის სამართლის კანონებს; ესენი არსებითად სხვა დანარჩენ კანონთა გამოვლენა უფროა, ვიდრე კანონთა განსაკუთრებული სახეობა.

კანონთა ამ სამ სახეობას აუცილებლად უნდა დავურთოთ მეოთხე სახის, ყველაზე მნიშვნელოვანი კანონები; ისინი მარმარილოსა და ბრინჯაოზე არ გახლავთ ამოკვეთილი; ეს კანონები მოქალაქეთა გულებშია აღბეჭდილი; ისინი ქმნიან სახელმწიფოს ჭეშმარიტ კონსტიტუციას; ისინი ყოველდღიურად იძენენ ახალ ძალას. ისინი ავსებენ და სიცოცხლეს უბრუნებენ მოძველებულ ან უმოქმედო კანონებს, ხალხში ინარჩუნებენ სახელმწიფო ინსტიტუტის სულისკვეთებას და ჩვეულების ძალას შეუმჩნევლად ცვლის ხელისუფლების ძალა. მე მხედველობაში მაქვს ადათები და ზნე-ჩვეულებები, განსაკუთრებით – საზოგადოებრივი აზრი. კანონთა ეს ნაწილი უცნობია ჩვენი პოლიტიკოსებისათვის, თუმცა ყველა სხვა დანარჩენ კანონთა წარმატება მათზეა დამოკიდებული. დიდი კანონმდებელი მალულად მუშაობს კანონთა ამ ნაწილზე, გარეგულად კი მხოლოდ კერძო განკარგულებათა გამოცემით კმაყოფიდლება, ეს უკანასკნელნი მხოლოდ თაღის კამარაა, რომლის ურყევი საყრდენიც ზნე-ჩვეულებებია, რომლებიც გაცილებით ნელა წარმოდგებიან.

ამ სხვადასხვა სახის კანონთაგან ჩემს საგანთან მიმართებაშია მხოლოდ პოლიტიკური კანონები, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ მმართველობის ფორმას.

წიგნი მესამე

კიდრე მმართველობის სხვადასხვა ფორმაზე ვისაუბრებდე, შევეცადოთ, დავადგინოთ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ საკმარისად რომ არაა განმარტებული.

I თავი

ზოგადად მმართველობის შესახებ

მკითხველს ვაფრთხილებ, გულისყურით წაიკითხოს ეს თავი, ვინაიდან არ ვფლობ საკუთარი აზრების ნათელყოფის ხელოვნებას მათთვის, ვინც უყურადღებოა.

ნებისმიერ თავისუფალ ქმედებას აქვს ორი ერთდროულად განმაპირობებელი მიზეზი: ერთი – მართებული, კერძოდ, ნება – აქტის განმაზღვრელი და მეორე – ფიზიკური, კერძოდ, ძალა – მისი განმახორციელებელი. თუ განვიზრახავ რაიმე საგნისაკენ სვლას, პირველ რიგში, საჭიროა გამაჩნდეს სვლის სურვილი და შემდეგ – ჩემმა ქვედა კიდურებმა მიმიყვანონ ამ საგნამდე. თუ დამბლადაცემული ადამიანი გაქცევას მოისურვებს, ცქვიტი კი – არა, ორივე ადგილზე დარჩება. პოლიტიკურ კორპუსსაც იგივე მამოძრავებელი ძალები აბადია. მასშიც ასევე გამოყოფენ ძალას და ნებას. ეს მეორე **საკანონმდებლო ხელისუფლებად**, პირველი კი **აღმასრულებელ ხელისუფლებად** იწოდება. მათი დახმარების გარეშე არაფერი ხდება ან არ უნდა ხდებოდეს.

როგორც ვნახეთ, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და ეს ასეც უნდა იყოს. ზემოთ დადგენილ პრინციპთაგან ასევე გასაგებია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება შეუძლებელია ეკუთვნოდეს მთელ საზოგადოებას, როგორც კანონმდებელს ანუ სუვერენს, ვინაიდან ეს ხელისუფლება მხოლოდ კერძო აქტებში ვლინდება, რაც კანონები არ გახლავთ და, მაშასადამე, არც სუვერენის ქმედებათა სფეროს ეკუთვნის; სუვერენის ნებისმიერი ქმედების აქტი მხოლოდ კანონია.

ამგვარად, საზოგადოებრივ ძალას ესაჭიროება ისეთი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მას გააერთიანებს და აამოქმედებს საყოველთაო ნების მითითებით და სუვერენისა და სახელმწიფოს შემაკავშირებელი იქნება; ამასთან, საზოგადოებაში, როგორც კოლექტიურ არსებაში, იგი ერთგვარად იმავეს მოიმოქმედებს, რასაც სულისა და ხორცის ერთობლიობა იწვევს ადამიანში. აი, როგორია მმართველობის ფუნქცია სახელმწიფოში, უხეიროდ რომ ურევენ სუვერენის ფუნქციასთან, რაც მხოლოდ მისი დამხმარეა.

რა არის მმართველობა? ეს არის ქვეშევრდომებსა და სუვერენს შორის კავშირის უზრუნველმყოფელი საშუალედო კორპუსი, რომელსაც ევალება კანონთა აღსრულება და როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო თავისუფლების დაცვა.

ამ კორპუსის წევრები იწოდებიან მაგისტრატებად, ანუ **მეფეებად** ე.ი. **მმართველებად**, ხოლო მთელ კორპუსს ეწოდება **სახელმწიფო**.* ამგვარად, სავსებით მართალია, ვინც ამტკიცებს, რომ აქტი, რომლის მეშვეობითაც ხალხი, ემორჩილება გამგებლებს (les chefs), ხელშეკრულება არ გახლავთ. ეს სხვა არაფერია, თუ არა დავალება, საქმიანობა; ამ დავალების შესრულებით, სუვერენის რიგითი მოხელეები, სუვერენისავე სახელით ახორციელებენ იმ ძალაუფლებას, რომლის დამცველებადაც მან ისინი დანიშნა. სუვერენს შეუძლია, როცა მოესურვება, ეს ძალაუფლება შეზღუდოს, შეცვალოს და ჩამოართვას, ვინაიდან საზოგადოებრივი კორპუსის ბუნებასთან შეუთავსებელი ამგვარი უფლების გასხვისება ასოციაციის მიზანს ეწინააღმდეგება.

ამრიგად, **მმართველობას** ანუ უმაღლეს გამგებლობას მე ვუწოდებ აღმასრულებელი ხელისუფლების კანონიერ აღსრულებას, ხოლო ხელმწიფეს ანუ მაგისტრატს – ადამიანს ან კორპუსს, ვისაც ეს ძალაფულება ეკისრება.

მმართველობაში თავმოყრილია ის შუალედური ძალები, რომელთა მიმართებებიც ქმნიან მთელის მიმართებას მთელთან ან სუვერენისას – სახელმწიფოსთან. ეს ბოლო მიმართება შეიძლება წარმოვიდგინოთ უწყვეტი პროპორციის კიდურ წევრთა მიმართების სახით, რომლის საშუალო პროპორციულიც გახლავთ მმართველობა. მმართველობა სუვერენისაგან იღებს განკარგულებებს, რომელთაც ხალხს გადასცემს; იმისათვის, რომ სახელმწიფო კარგად იყოს გაწონასწორებული, საჭიროა, ნებისმიერ პირობებში არსებობდეს თანაფარდობა ორ ქმნილებას შორის: ერთია მმართველობის ძალაუფლება, როგორც ასეთი და მეორე – ძალაუფლება მოქალაქეებისა, რომლებიც, ერთი მხრივ, სუვერენები არიან და მეორე მხრივ – ქვეშევრდომები.

გარდა ამისა, შეუძლებელია თანაფარდობის სამი წევრიდან რომელიმე შეცვალოთ და ამით თანაფარდობა არ დაარღვიოთ. თუ სუვერენი

* ვენეციაში ამიტომ უწოდებენ კოლეგიას უგანათლებულეს ხელმწიფეს მაშინაც კი, როდესაც მას დოჟი არ ესწრება.

მოსურვებს მმართველობას, ანდა მაგისტრატი – კანონების გამოცემას, თუ ქვეშევრდომები უარს იტყვიან მორჩილებაზე, მაშინ წესრიგის ნაცვლად უწესრიგობა დაისადგურებს, ძალა და ნება თანხმობით ქმედებას შეწყვეტს და ასეთნაირად დაცემული სახელმწიფო ან დესპოტიზმში ან ანარქიაში გადაიზრდება. დაბოლოს, ისევე როგორც ნებისმიერ მიმართებაში მხოლოდ ერთია საშუალო პროპორციული, ასევე სახელმწიფოშიც შესაძლებელია მხოლოდ ერთი კარგი მმართველობა. მაგრამ ვინაიდან ათასგვარ შემთხვევას შეუძლია ნებისმიერ ხალხში არსებული მიმართებების შეცვლა, სხვადასხვაგვარი მმართველობები შესაძლოა ვარგისი იყოს არა მხოლოდ სხვადასხვა ხალხისათვის, არამედ ერთი და იმავე ხალხისთვისაც, ოღონდ სხვადასხვა დროს.

პროპორციის ამ ორ ბოლო წევრს შორის შესაძლო სხვადასხვა მიმართებებზე წარმოდგენა რომ შევიქმნათ, მაგალითისათვის ავიღებ ხალხის რაოდენობას, როგორც ყველაზე იოლად გადმოსაცემ მიმართებას.

დავუშვათ, სახელმწიფო შედგება ათი ათასი მოქალაქისაგან. სუვერენი შეიძლება განხილულ იქნას როგორც კრებითი ცნება და როგორც ერთგვარი მთელი, მაგრამ ყოველი კერძო პირი, როგორც ქვეშევრდომი, განიხილება ცალკე ინდივიდად. ამგვარად, სუვერენი ისეთსავე მიმართებაშია ქვეშევრდომთან, როგორც ათი ათასი – ერთთან; ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ყოველი წევრის წილი უმაღლეს ხელისუფლებაში ერთი მეათიათასედის ტოლია, თუმცა იგი მთლიანად მორჩილებს ამ ხელისუფლებას.

თუ სახელმწიფო ასი ათასი ადამიანისაგან შედგება, ქვეშევრდომთა მდგომარეობა არც ამ შემთხვევაში შეიცვლება და თითოეული ასევე დაექვემდებარება კანონთა მთელ ძალაუფლებას; მის ერთ მეასიათასედ ხმას კანონთა შედგენისას ათასჯერ ნაკლები წონა აქვს. ვინაიდან ქვეშევრდომი ყოველთვის ერთეული რჩება, ამიტომ სუვერენის მიმართება მოქალაქეთა რიცხვის ზრდის პროპორციულად იზრდება. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტად იზრდება სახელმწიფო, მით უფრო მცირდება თავისუფლება.

როდესაც ვამბობ, მიმართება იზრდება-მეთქი, ამით მე ვგულისხმობ იმას, რომ იგი შორდება თანასწორობას. ამგვარად, მიმართება რაც უფრო დიდია გეომეტრიის კანონთა თანახმად, მით უფრო მცირეა იგი ჩვეულებრივი მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში, რაოდენობითი თვალთახედვით განხილული მიმართება მაჩვენებლით იზომება; მეორე შემთხვევაში იდენტურობის მიხედვით განხილული მიმართება მსგავსებით ფასდება.

ამგვარად, რაც უფრო ნაკლები შესაბამისობაა კერძო პირთა ნებასა და საერთო ნებას შორის ე.ი. ზნეებსა და კანონებს შორის, ჩამწყობი

ძალა მით უფრო უნდა იზრდებოდეს. ამგვარად, იმისათვის რომ მმართველობა ამართლებდეს თავის დანიშნულებას, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ხალხი, მით უფრო უნდა გამოირჩეოდეს იგი ძლიერებით.

მეორე მხრივ, ვინაიდან სახელმწიფოს ზრდა სახელმწიფო ძალაუფლების მეთვალყურეებს თავიანთ ძალაუფლების ბოროტად გამოსაყენებლად უფრო მეტ ცდუნებებსა და საშუალებებს აძლევს, მმართველობას უფრო მეტი ძალა უნდა მოეპოვებოდეს ხალხის შესაკავებლად და თავის მხრივ სუვერენსაც მმართველობის შესაკავებლად მით უფრო მეტი ძალა უნდა ჰქონდეს. აქ მხედველობაში მაქვს სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილთა არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ძალა.

ამ ორმაგი მიმართებიდან გამომდინარეობს ის, რომ მუდმივი თანაფარდობა სუვერენს, ხელმწიფესა და ხალხს შორის თვითნებური იდეა კი არა, პოლიტიკური კორპუსის ბუნებიდან გამომდინარე აუცილებელი შედეგია. ასევე, პროპორციის ერთ-ერთი ბოლო წევრი, სახელდობრ, ხალხი, როგორც ქვეშევრდომი, უცვლელია და ერთიანი, ამდენად, ყოველთვის გაორკეცებული მიმართების გაზრდა-შემცირების კვალობაზე ასევე გაიზრდება ან შემცირდება უბრალო მიმართებაც და, შესაბამისად, შეიცვლება საშუალო წევრიც. თქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს ერთადერთი და აბსოლუტური მმართველობითი წყობა; თავისი ბუნებით იმდენი სახის მმართველობაა, რამდენი სიდიდის სახელმწიფოცაა.

თუ ჩემს ამ სისტემას აბუჩად აიგდებენ და იტყვიან, რომ ჩემი აზრით, ამ საშუალო პროპორციულის მოსანახად და მმართველობითი კორპუსის შესაქმნელად, ხალხის რაოდენობიდან მხოლოდ კვადრატული ფესვი უნდა ამოვიღოთო, პასუხად მივუგებდი: ამ შემთხვევაში აღნიშნული რაოდენობა მე მაგალითად ავიღე; მიმართებები, რომლებზედაც ვსაუბრობ, იზომება არა მხოლოდ ადამიანთა რაოდენობით, არამედ ზოგადად მრავალი მიზეზისაგან განპირობებული მოქმედების ოდენობით. ყოველ შემთხვევაში ჩემი აზრის შეძლებისდაგვარი სიმოკლით გადმოსაცემად დროებით თუ გეომეტრულ ტერმინებს ვსესხულობ, ისიც ჩინებულად ვიცი, რომ ზნეობრივ მაჩვენებლებს გეომეტრული სიზუსტე არ ახასიათებთ.

მმართველობა არის შემცირებული ასლი იმისა, რაც დიდი მასშტაბით მისივე შემცველი პოლიტიკური კორპუსია. ესაა სუვერენივით აქტიური, სახელმწიფოსავით პასიური, გარკვეული უნარით დაჯილდოებული მორალური პირი; მმართველობაში შეიძლება გამოვყოთ ზოგი სხვა მსგავსი მიმართებები, რომლებიც, შესაბამისად, დასაბამს აძლევენ ახალ თანაფარდობას; ეს ბოლო თანაფარდობაც, თავის მხრივ, კვლავ მმართველო-

ბითი დაწესებულებების (des tribunaux) კვლავ ახალ თანაფარდობას წარმოშობს რანგისდა მიხედვით. ასე გრძელდება, ვიდრე საბოლოოდ არ მივიღებთ საშუალო გაუყოფელ წევრს, ე.ი. ერთადერთ გამგებელს, ანუ უმაღლეს მაგისტრატს, რომელიც ამ პროგრესიაში, წილადთა და რიცხვთა მწკრივს შორის შეიძლება ერთეულად წარმოვიდგინოთ.

ტერმინთა დამაბნეველი სიმრავლის თავიდან ასაცილებლად, იმით დავკმაყოფილდებით, რომ მმართველობას განვიხილავთ როგორც ხალხისა და სუვერენისაგან განსხვავებულ, მათ შორის შუალედურად არსებულ ახალ კორპუსს სახელმწიფოში.

ამ ორ კორპუსს შორის ძირეული სხვაობა ის გახლავთ, რომ სახელმწიფო არსებობს თავისთავად, მმართველობა კი – მხოლოდ სუვერენის წყალობით. ამგვარად, ხელმწიფის უპირატესი ნება არის ან უნდა იყოს მხოლოდ საერთო ნება, ანუ კანონი. მისი ძალა მხოლოდ და მხოლოდ მისსავე პიროვნებაში კონცენტრირებული საზოგადოებრივი ძალაა. როგორც კი იგი საკუთარი ნებით მოისურვებს, რაიმე აბსოლუტური და დამოუკიდებელი აქტი წამოიწყოს, მთელის კავშირი დასუსტებას იწყებს. დაბოლოს, თუ ხელმწიფეს ექნება უფრო აქტიური კერძო ნება, ვიდრე სუვერენის ნებაა, და, თუ იგი ამ კერძო ნების ინტერესებისათვის გამოიყენებს მისდამი დაქვემდებარებულ საზოგადოებრივ ძალას ისე, რომ, ასე ვთქვათ, აღმოჩნდება ორი სუვერენი, ერთი – კანონით, მეორე – რეალური, მაშინ საზოგადოებრივი მთლიანობა მყისვე გაქრება და პოლიტიკური კორპუსი დაიშლება.

თქმულის მიუხედავად, იმისთვის, რომ მმართველობის კორპუსმა იარსებოს და სახელმწიფო კორპუსისაგან განმასხვავებელი რეალური სიცოცხლე ჰქონდეს; იმისთვის, რომ ყველა მის წევრს შეეძლოს თანხმობით მოქმედება და უპასუხოს იმ მიზანს, რისთვისაც შექმნილია მმართველობა, საჭირო მას ჰქონდეს განსაკუთრებული „მე“, ყველა მისი წევრისათვის საერთო მგრძნობელობა, ძალა, საკუთარი ნება, რომელიც მის შესანარჩუნებლად ისწრაფვის. ეს მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული არსებობა გულისხმობს კრებებს, საბჭოებს, მსჯელობის უფლებას, დადგენილებების მიღებას, წოდებებს, პრივილეგიებს, რასაც მხოლოდ ხელმწიფე განაგებს და რაც მაგისტრატის მოღვაწეობას მით უფრო საპატიოს ხდის, რაც უფრო მეტად მძიმეა იგი. სირთულეს იწვევს ის, თუ მთელის საზღვრებში მყოფ დაქვემდებარებულ მთელს როგორ მისცენ ისეთი წყობა, რომ ამ დაქვემდებარებულმა მთელმა საკუთარი კონსტიტუციის განმტკიცებით საერთო კონსტიტუცია არ შეცვალოს, რათა მუდამ განასხვავებდეს თავისივე არსებობის შესანარჩუნებელ კერძო ძალას და სახელმწიფოს შესანარჩუნებლად განკუთვნილ საზოგადო ძალას. ერთი სიტყვით, იგი მუდამ მზად უნდა იყოს ხალხისათვის მმართველობა მსხვერპლად გაიღოს და არა პირიქით – ხალხი მმართველობისათვის.

თუმცა, მმართველობის ხელოვნურ კორპუსს, როგორც სხვა ხელოვნური კორპუსის მემკვიდრეს, მხოლოდ ნასესხები და დაქვემდებარებული სიცოცხლე აქვს, ეს ხელს არ უშლის მას, მოქმედებდეს მეტი ან ნაკლები ძალითა და სისწრაფით, სარგებლობდეს, ასე ვთქვათ, მეტ-ნაკლებად ურყევი სიმრთელით. დაბოლოს, მმართველობას, ისე რომ არ დაშორდეს უშუალო მიზანს, რისთვისაც შექმნილია, შეუძლია მეტად ან ნაკლებად გადაიხაროს მიზნისაგან იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი წყობა.

ყველა ამ სხვაობიდან მომდინარეობს ის მიმართებები, რომლებიც მმართველობასა და სახელმწიფო კორპუსს შორის უნდა არსებობდეს, შესაბამისად შემთხვევითი და კერძო მიმართებებისა, რომლებიც თვით ამ სახელმწიფოს უცვლიან სახეს. ვინაიდან ხშირად თავისთავად საუკეთესო მმართველობაც კი ყველაზე მანკიერად გადაიქცევა ხოლმე, თუ ეს მიმართებები იცვლება იმ პოლიტიკური კორპუსის ნაკლოვნებათა მიხედვით, რომელსაც ეს მმართველობა ეკუთვნის.

II თავი

მმართველობის სხვადასხვა ფორმათა განმსაზღვრელი პრინციპი

ამ სხვადასხვაობის ზოგადი მიზეზის წარმოსადგენად საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ხელმწიფე და მმართველობა, ისევე როგორც ზემოთ გავმიჯნე სახელმწიფო და სუვერენი.

მაგისტრატის კორპუსი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს წევრთა ძალზე დიდი ან მცირე რაოდენობით. ჩვენ ვთქვით, რომ სუვერენის მიმართება ქვეშევრდომებთან მით უფრო დიდია, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ხალხი; თვალნათლივი ანალოგიის თანახმად, შეგვიძლია იგივე ვთქვათ მმართველობის მიმართებაზეც მაგისტრატებთან.

მმართველობის ტოტალური ძალა, ყოველთვის სახელმწიფოს ძალაც რომ არის, უცვლელია; აქედან გამომდინარე, მმართველობა რაც უფრო მეტად ხარჯავს ამ ძალას საკუთარ წევრებზე ზემოქმედებისათვის, მით უფრო ნაკლები რჩება იგი ხალხზე ზემოქმედებისათვის.

ამგვარად, რაც უფრო მრავალრიცხოვანნი არიან მაგისტრატები, მით უფრო სუსტია მმართველობა. – ვინაიდან ეს ძირითადი მაქსიმა გახლავთ, შეეცადოთ, უკეთ განვმარტოთ იგი.

მაგისტრატის პიროვნებაში შეგვიძლია გამოვყოთ სამი არსებითად განსხვავებული ნება: ერთი – ინდივიდის საკუთარი ნება, მიმართული მხოლოდ საკუთარი სარგებლისაკენ; მეორე – მაგისტრატისათვის დამახასიათებელი საერთო ნება, მიმართული უშუალოდ ხელმწიფის სარგებლისაკენ, რასაც კორპუსის ნება შეიძლება ვუწოდოთ; ეს ნება მმართველობასთან მიმართებაში საერთოა, სახელმწიფოსთან მიმართებით კი, რომლის ნაწილიცაა მმართველობა, კერძო ნება; მესამეა ხალხის ანუ სუვერენული ნება, რომელიც საერთოა სახელმწიფოსთან, როგორც მთელთან, ისე მმართველობასთან, როგორც მთელის ნაწილთან.

სრულყოფილ კანონმდებლობაში კერძო ანუ ინდივიდუალური ნება ნულის ტოლფასი უნდა იყოს, მმართველობითი კორპუსის ნებას ძალზე დაქვემდებარებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს; შესაბამისად, საერთო ანუ სუვერენული ნება მუდამ გაბატონებული და სხვა ნებათა ერთადერთი გამგებელი უნდა იყოს.

საგანთა ბუნებრივი რიგის თანახმად, ეს სხვადასხვა ნება მით უფრო ქმედითია, რაც უფრო კონცენტრირებულია. ამგვარად, ყველაზე სუსტი ყოველთვის საერთო ნებაა; შემდეგ კორპუსის ნება მოდის, ხოლო კერძო ნება პირველ ადგილზეა – იგი ყველაზე ძლიერია. ასე რომ, მმართველობის ყოველი წევრი, პირველყოვლისა, ჯერ თავად პიროვნებაა, შემდეგ – მაგისტრატი და ბოლოს მოქალაქე. ასეთი თანმიმდევრობა საპირისპიროა იმ თანმიმდევრობისა, რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგი ითხოვს.

თუ ამას დავუშვებთ, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველობა ერთი პირის ხელთ მოიყრის თავს, კერძო და კორპორაციის ნებათა შორის ჩინებული ერთიანობა დამყარდება. შესაბამისად ამისა, ეს უკანასკნელი შეძლებისდაგვარად აღწევს ისეთ უმაღლეს საფეხურს, რისი მიღწევაც კი ძალუძს, ვინაიდან ძალის გამოყენება ნების ხარისხზეა დამოკიდებული, მმართველობის აბსოლუტური ძალა კი სრულიად უცვლელია; აქედან გამომდინარე, მმართველობათაგან ყველაზე ქმედითი ერთმმართველობაა.

პირიქით, თუ მმართველობას საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შევაერთებთ, თუ სუვერენს ხელმწიფედ, ხოლო ყველა მოქალაქეს მაგისტრატად ვაქცევთ, მაშინ საერთო ნებასთან შეერთებული კორპუსის ნება, საერთო ნებაზე ქმედითი არ იქნება და კერძო ნებას მთელი თავისი ძალა შეუნარჩუნდება. ამ შემთხვევაში, მუდამ აბსოლუტური ძალის მქონე მმართველობა, შეფარდებითი ძალის ანუ აქტიურობის **მინიმუმის** მფლობელი იქნება.

ეს უდავო მიმართებებია, მათი სისწორის დასადგენად შეიძლებოდა სხვა მოსაზრებებიც მოგვეტანა. მაგალითად, ცნობილია, რომ ყოველი მაგისტრატი უფრო მეტ აქტიურობას იჩენს იმ კორპუსში, რომლის წევრიცაა, ვიდრე თითოეული მოქალაქე – საზოგადოებრივ კორპუსში და, შესაბამისად, კერძო ნებას ბევრად უფრო მეტი გავლენა აქვს მმართველობით აქტებზე, ვიდრე სუვერენულზე. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ მაგისტრატი ყოველთვის რაიმე მმართველობითს ფუნქციას ასრულებს, მაშინ, როდესაც თითოეულ მოქალაქეს, როგორც ინდივიდს, სუვერენიტეტის არავითარი ფუნქცია არ ეკისრება. რაც უფრო დიდია სახელმწიფო, მით უფრო მეტია მისი რეალური ძალა, თუმცა იგი მისი ტერიტორიის პირდაპირ პროპორციულად არ იზრდება. მაგრამ რადგან სახელმწიფო იგივე რჩება, მაგისტრატთა რაოდენობა შეიძლება ნებისმიერად გავზარდოთ. ამით მმართველობა არ შეიძენს უფრო მეტ რეალურ ძალას, იმიტომ რომ ეს ძალა სახელმწიფოს ძალაა, რომლის საზომი მუდამ ერთია. ამგვარად, მმართველობის შეფარდებითი ძალა ანუ ქმედითობა მცირდება, მის აბსოლუტურ ანუ რეალურ ძალას არ ძალუძს გაზრდა.

უდავოა, რაც უფრო მეტ ადამიანს ევალება საქმის შესრულება, მით უფრო ნაკლებ სრულდება იგი; რაც უფრო მეტ წინდახედულებას იჩენენ, მით მეტად აღწევენ თავს ბედისწერას. ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან უშვებენ და რაც უფრო მეტს ბჭობენ, ბჭობაც მით უფრო უშედეგო ხდება.

მე დავამტკიცე: რაც უფრო იზრდება მაგისტრატთა რაოდენობა, მით უფრო სუსტდება მმართველობა; მანამდე ესეც დავადგინე: ხალხი, რაც უფრო მრავალრიცხოვანია, მით უფრო უნდა იზრდებოდეს დამთრგუნველი ძალა. აქედან გამომდინარე, მაგისტრატების რაოდენობის მიმართება მმართველობასთან, უკუპროპორციული უნდა იყოს სუვერენთან ქვეშევრდომების რაოდენობის მიმართებისა, ე.ი. რაც უფრო გაიზრდება სახელმწიფო, მით უფრო უნდა შემცირდეს მმართველობა, ისე რომ გამგებელთა რაოდენობა შემცირდეს ხალხის რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

თუმცა, აქ მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ მმართველობის შეფარდებითი ძალა და არა – მის ქმედებათა სამართლიანობა; ვინაიდან, პირიქით, რაც უფრო მრავალრიცხოვანია მაგისტრატურა, მით უფრო ახლოა კორპუსის ნება საერთო ნებასთან; ერთადერთი მაგისტრატის დროს კი კორპუსის ეს ნება, როგორც უკვე შოგახსენეთ, მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირის ნებაა. ამგვარად, ერთი მხრივ იკარგება ის, რაც შეიძლებოდა მეორე მხრივ მოგვეგო. კანონმდებლის ხელოვნება გახლავთ ის უნარი, რომლის მეშვეობითაც იგი პოულობს საზღვრებს, სადაც მუდმივ ურთიერთთანაფარდობაში მყოფი მმართველობის ძალა და ნება ერთმანეთს ეთანხმება სახელმწიფოსათვის ყველაზე ხელსაყრელ მიმართებაში.

III თავი

მმართველობათა დაყოფა

წინა თავში ვნახეთ, თუ რატომ გამოყოფენ შემადგენელ წევრთა რაოდენობის მიხედვით მმართველობის სხვადასხვა სახეს ანუ ფორმას; ახლა ვნახოთ, როგორ ხდება ეს გამოყოფა.

ჯერ ერთი, სუვერენს შეუძლია მმართველობითი ფუნქცია დააკისროს მთელ ხალხს, ან მის უდიდეს ნაწილს ისე, რომ რიგით მოქალაქეებს მოქალაქე-მაგისტრატები სჭარბობდნენ. მმართველობის ასეთ ფორმას **დემოკრატიას** უწოდებენ.

მეორე, სუვერენს შეუძლია მმართველობა შეზღუდოს და მიანდოს მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ისე, რომ უბრალო მოქალაქეები სჭარბობდნენ მაგისტრატებს. მმართველობის ამ ფორმას არისტოკრატია ჰქვია.

დაბოლოს, სუვერენს შეუძლია მთელი მმართველობა მოაქციოს ერთი მაგისტრატის ხელში, ვისგანაც მთელი თავისი ძალაუფლება სხვა მაგისტრატებს მიეცემა. მმართველობის ეს მესამე ფორმა ყველაზე მეტად არის გავრცელებული და მას **მონარქია** ანუ მეფის მმართველობა ეწოდება.

უნდა შევნიშნოთ, რომ მმართველობის ყველა ეს ფორმა ან, ყოველ შემთხვევაში, პირველი ორი მაინც, მეტ-ნაკლებად ვარგისია და მათ მოქმედების საკმაოდ დიდი თავისუფლებაც კი აქვთ; ვინაიდან დემოკრატიას ძალუძს მოიცვას მთელი ხალხი, ან მისი ნახევარი. არისტოკრატიას, თავის მხრივ, შეუძლია ხალხის უმცირესი რაოდენობით შემოიფარგლოს. მეფის მმართველობაც კი ერთგვარად ექვემდებარება დაყოფას. კონსტიტუციით სპარტას მუდამ ორი მეფე ჰყავდა, რომის იმპერიაში ერთდროულად რვა იმპერატორიც[59] ჰყოლიათ, მაგრამ ვერ იტყოდით, რომ იმპერია[60] დაქუცმაცებული იყო. ამგვარად, არსებობს ისეთი ზღვარი, რომლის იქითაც მმართველობის ყოველი ფორმა შეერწყმის მომდევნო ფორმას; შეიძლება მხოლოდ სამი სახელწოდების მმართველობამ რეალურად იმდენი განსხვავებული ფორმა მიიღოს, რამდენი მოქალაქეცაა სახელმწიფოში.

უფრო მეტიც: ვინაიდან მმართველობის ერთი და იგივე ფორმა გარკვეული მიმართებით შეიძლება კიდევ დაიყოს სხვაგვარად მართულ ნაწილებად, (რომელთაგანაც ერთი გარკვეული ფორმით იქნება მართული, მეორე – სხვაგვარით), ამდენად სამი დასახელებული ფორმის შეხამებით შესაძლოა შეიქმნას მმართველობის უამრავი შერეული ფორ-

მა, რომელთაგანაც თითოეულმა, თავის მხრივ, სხვა მარტივ ~~ფორმებ~~-თან შერწყმით შესაძლოა, კიდევ მოგვცეს ახალი ფორმები.

ყველა დროში ბევრს კამათობდნენ მმართველობის საუკეთესო ფორმების გამო, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ, რომ თითოეული ამ ფორმათაგანი, ზოგ შემთხვევაში საუკეთესო, სხვა დროს ყველაზე უარესია.

თუ სხვადასხვა სახელმწიფოში უმაღლეს მაგისტრატთა რაოდენობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს მოქალაქეთა რაოდენობასთან, მაშინ, აქედან გამომდინარე, ზოგადად დემოკრატიული მმართველობის ფორმა შეესაბამება პატარა სახელმწიფოებს, არისტოკრატიული – საშუალოთ, ხოლო მონარქიული – დიდ სახელმწიფოებს. ეს წესი უშუალოდ პრინციპიდან მომდინარეობს. მაგრამ როგორ გავითვალისწინოთ მთელი რიგი გარემოებები, რომელთაც ძალუძთ გამონაკლისები გამოიწვიონ?

IV თავი

დემოკრატია

კანონის შემდგენელმა ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა შესრულდეს და განიმარტოს იგი. ასეთ შემთხვევაში თითქოს საუკეთესო ის კონსტიტუცია უნდა იყოს, რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლოსთან არის შეერთებული. მაგრამ ხელისუფლებათა ასეთი შეერთება, გარკვეული მიმართებით, ნაკლოვანს ხდის მმართველობას, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაცული არ არის სხვაობა, რომელიც გარკვეულ საგნებს შორის უნდა არსებობდეს; ასეთ დროს ხელმწიფე და სუვერენი, ვინაიდან ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდებიან, შექმნიან, ასე ვთქვათ, მმართველობას მმართველობის გარეშე.

არ ვარგა, როდესაც კანონთა შემდგენი თავადვე ახორციელებს მათ, ან როდესაც ხალხი თავს არიდებს საერთო საკითხებს და მთელი ყურადღება კერძო საგნებზე გადააქვს. კერძო ინტერესები საზოგადოებრივ საქმეებზე ზეგავლენას რომ ახდენენ, ამაზე უფრო საშიში არაფერია; მმართველობის მიერ კანონთა ბოროტად გამოყენება უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე კანონმდებლის კორუფცია – კერძო ინტერესთა გარუვალი შედეგი. თუ სახელმწიფო თავის არსშივეა გახრწნილი, ყოველგვარი რეფორმა ამაოა. ხალხი, რომელიც არასოდეს გამოიყენებს ბოროტად მმართველობას, არც თავის დამოუკიდებლობას გამოიყენებს ბო-

როტად. ხალხს, რომელსაც შეეძლებოდა მუდამ კარგად ემართა, არ დასჭირდებოდა თავად ყოფილიყო მართული.

თუ ტერმინ „დემოკრატიას“ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ ჭეშმარიტი დემოკრატია არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. ბუნებრივი რიგის საწინააღმდეგოა, რომ ხალხის უმრავლესობა იყოს მმართველი, უმცირესობა კი – მართული. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ხალხი დაუსრულებლად იკრიბებოდეს საზოგადოებრივ საქმეთა აღსასრულებლად; ისიც ადვილი გასაგებია, რომ, მმართველობის ფორმის შეუცვლელად, საქმეთა შესასრულებლად, იგი ვერ შეძლებდა ოვით კომისიათა შექმნასაც კი.

მართლაც, მე შესაძლებლად მიმაჩნია ასეთი პრინციპი, როდესაც მმართველობის ფუნქცია განაწილებულია რამდენიმე დაწესებულებას (les tribunaux) შორის, მათგან მცირერიცხოვანნი, ადრე თუ გვიან, უფრო მეტ ავტორიტეტს მოიპოვებენ, თუნდაც იმიტომ, რომ ბუნებრივია მათთვის უფრო იოლია საქმეთა გაძღოლა.

ძნელად შესაკავშირებელი რამდენი საგნის ერთობლიობას გულისხმობს ეს მმართველობა! ჯერ ერთი, ძალზე პატარა სახელმწიფოს, სადაც იოლი იქნება ხალხის შეკრება, სადაც თითოეულ მოქალაქეს საშუალება ექნება სხვა დანარჩენს გაეცნოს; მეორე – ზნეთა უშუალობას, რაც მრავალ საჩოთირო საქმესა თუ კამათს აღკვეთდა; შემდეგ – საზოგადო მდგომარეობისა და ქონების დიდ თანასწორობას, ურომლისოდაც დიდხანს ვერ იარსებებდა უფლებებისა და ძალაუფლების თანასწორობა; დაბოლოს, მცირედი ფუფუნება ან სულაც უმისობა, ვინაიდან ფუფუნება ან სიმდიდრის შედეგია, ან აუცილებელს ხდის მას. ფუფუნება ერთდროულად მდიდარსაც ხრწნის და ღარიბსაც: ერთს – ქონებით, მეორეს– მისდამი სწრაფვით. ფუფუნება ყველა მოქალაქეს განცხრომასა და ამაოებაზე აყიდვინებს სამშობლოს, სახელმწიფოს ართმევს მათ, რათა ერთნი მეორეთ დაუმონოს, ყველანი ერთად კი – სიმდიდრის მოხვეჭის სურვილს.

აი, რატომ მიიჩნევდა ერთი ცნობილი ავტორი*[61] ქველობას რესპუბლიკის პრინციპად; მის გარეშე ვერც ერთი ეს პირობა ვერ იარსებებდა. მაგრამ აუცილებელ სხვაობათა დაუდგენლობის გამო ამ დიდებულმა გენიოსმა, რომელიც ხშირად არასწორ, ზოგჯერ კი ბუნდოვან აზრებს გამოთქვამდა, ვერ შენიშნა, რომ ვინაიდან სუვერენული ხელისუფლება ყველგან ერთია, ამდენად, ნებისმიერ კარგად მოწყობილ სახელმწიფოს ერთი და იგივე პრინციპი უნდა ედოს საფუძვლად (ცხადია, მეტ-ნაკლებად შესაბამისი მმართველობის ფორმასთან).

*რუსოს მხედველობაში ჰყავს მონტესკიე.

ისიც უნდა დავსძინო, რომ სამოქალაქო ომებსა და შინა მღელვარებებს მმართველობათაგან ყველაზე მეტად დემოკრატია ანუ სახალხო მმართველობა ექვემდებარება, ვინაიდან არც ერთი მმართველობა არ იღწვის ასე ძლიერ და ასე გამუდმებით ფორმის შესაცვლელად და არ საჭიროებს უფრო მეტ სიფხიზლესა და გამბედაობას ფორმის უცვლელად შესანარჩუნებლად. მმართველობის ამ ფორმაში მოქალაქე განსაკუთრებულ ძალასა და სიმტკიცეს უნდა ფლობდეს და ყოველდღე გულში უნდა იმეორებდეს მამაცი ვოევოდას*[62] მიერ პოლონეთის ერთ-ერთ სეიმზე წარმოთქმულ სიტყვებს: Malo periculosam libertatem quam quietum servitium.**

რომ ეარსება ღმერთების ერს, იგი დემოკრატიულად უნდა მართულიყო. ასეთი სრულყოფილი მმართველობა ადამიანებისათვის შეუფერებელია.

V თავი

არისტოკრატია

არისტოკრატიულ მმართველობაში ორი, ერთმანეთისაგან სრულად განსხვავებული მორალური პირი გვაქვს: მმართველობა და სუვერენი; შესაბამისად, გვაქვს ორი საერთო ნება: ერთი – ყველა მოქალაქეთა მიმართ, მეორე – მხოლოდ მმართველობის წევრთა მიმართ. მმართველობას თუმცა საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია თავისი შიდა მმართველობის მოწესრიგება, მას მაინც არ ძალუძს სხვაგვარად მიმართოს ხალხს, თუ არა როგორც სუვერენის, ე.ი. თავად ხალხის სახელით; ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

პირველი საზოგადოებების მართვა არისტოკრატიული პრინციპით ხდებოდა. გვარის უხუცესები ერთმანეთთან საზოგადოებრივ საქმეებზე ბჭობდნენ. ახალგაზრდები ძალდაუტანებლად მორჩილებდნენ გამოცდილ ავტორიტეტებს. აქედან წარმოიშვა **ქურუმთა, უხუცესთა, სენატის, გერონტთა**[63] სახელწოდებები. ჩრდილოეთ ამერიკის ველურები დღემდე ასე იმართებიან და საკმაოდ კარგადაც.

* პოზნანის ვოევოდა, პოლონეთის მეფის მამა, ლოთარინგიის ჰერცოგი.

** მონური ყოფის სიმშვიდეს თავისუფლებასთან დაკავშირებული მღელვარებები ჭირჩევნია.

მაგრამ მოხდა ისე, რომ უთანასწორობის პრინციპი საზოგადოებრივი ინსტიტუტიდან ბუნებრივ ყოფაზეც გავრცელდა და უპირატესობა მიენიჭა არა ასაკობრივ გამოცდილებას, არამედ სიმდიდრესა და ძალას;* ამან კი ის გამოიწვია, რომ არისტოკრატია არჩევითი გახდა. დაბოლოს, ვინაიდან ქონებასთან ერთად მამიდან შვილებზე ძალაუფლებაც გადადიოდა, შეიქმნა პატრიციების ოჯახები და მმართველობაც მემკვიდრეობითი გახდა; ასე რომ, სენატორები ოცი წლისანიც იყვნენ.

ამგვარად, არსებობს არისტოკრატიის სამი სახე: ბუნებითი, არჩევითი, მემკვიდრეობითი. პირველი მხოლოდ განვითარებად ხალხებს შეესაბამება; არისტოკრატიის მესამე ფორმა მმართველობათა შორის ყველაზე მიუღებელია; მეორე – ყველაზე საუკეთესო; კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს ბოლოა არისტოკრატიული მმართველობა.

გარდა იმ უპირატესობისა, რომ იგი ორ ძალაუფლებას მიჯნავს ერთმანეთისაგან, არისტოკრატიული მმართველობის ამ სახეს ის დადებითი მხარეცა აქვს, რომ მის წევრებს ირჩევენ; სახალხო მმართველობის დროს ყველა მოქალაქე მაგისტრატად იბადება, არისტოკრატიული მმართველობის ეს ფორმა იფარგლება არჩეულ მაგისტრატთა მცირე რაოდენობით.** ამ საშუალებით, პატიოსნება, განათლება, გამოცდილება, ღირსებისა და საზოგადოებრივი დამსახურების სხვა მოტივები იმის თავდებია, რომ სახელმწიფოს მართვა გონივრული იქნება.

გარდა ამისა, უფრო მშვიდად ტარდება სახალხო კრებები, უკეთ სჯიან საქმეებს, მეტი გულმოდგინებითა და დაყოვნების გარეშე ასრულებენ მათ; უცხო ქვეყნებში პატივსაცემი სენატორები უცნობ და ამზრზენ ბრბოზე უკეთ უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ღირსებას.

ერთი სიტყვით, საუკეთესო და ყველაზე ბუნებრივი წესი ისაა, როდესაც ყველაზე გონიერნი განაგებენ ბრბოს, როდესაც ცხადია, რომ ამ ბრბოს მისივე და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის მართავენ. საჭირო არ არის მმართველობითი სტრუქტურის გართულება, არც ის უნდა დავუშვათ, რომ ოცი ათას კაცს ვაკეთებინოთ ის, რასაც ასი რჩეული ადამიანი გაცილებით უკეთ შეასრულებს. მაგრამ ისიც უნდა შევნიშ-

*ცხადია, სიტყვა Optimates ძველად არა საუკეთესოებს, არამედ უძლიერესებს ნიშნავდა.

**აუცილებელია, კანონებით გულდასმით მოწესრიგდეს მაგისტრატთა არჩევის ფორმები; თუ ამ არჩევანს ხელმწიფის ნებას მიანდობთ, თავიდან ვერ ავიცილებთ მემკვიდრეობით არისტოკრატიად გარდაქმნის საშიშროებას, როგორც ეს ვენეციისა და ბერნის რესპუბლიკებს დაემართათ. პირველი, როგორც სახელმწიფო, დიდი ხანია დაშლილია; მეორე, სენატის საოცარი გონიერების წყალობით, განაგრძობს არსებობას; ეს ძალზე საპატიო, მაგრამ ასევე ძალზე სახიფათო გამონაკლისია.

ნოთ, რომ აქ საზოგადოებრივი კორპუსის ინტერესები ნაკლებად წარმართავენ სახალხო ძალას საერთო ნების მიერ დადგენილ წესთა დასაცავად და იქმნება გარდუვალი სწრაფვა, რაც კანონებს აღმასრულებელი ხელისუფლების რაღაც ნაწილს ართმევს.

არისტოკრატიული მმართველობის დროს კერძო მოტივებს რაც შეეხება, იგი ასეთია: სახელმწიფო არ უნდა იყოს ისე პატარა, ხალხიც – არა ისე უშუალო და ალალ-მართალი, რომ კანონთა აღსრულების მომდინარეობა პირდაპირ სახალხო ნებიდან არ იქნას დაშვებული, როგორც ეს კარგ დემოკრატიულ მმართველობაშია. ხალხიც არ უნდა იყოს ძალზე მრავალრიცხოვანი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საშიშია, სხვადასხვა ადგილებში მმართველებად გაგზავნილმა გამგებლებმა თავიანთ მხარეებში თავი სუვერენად არ წარმოიდგინონ, დამოუკიდებელი გამგებლობა არ დაიწყონ და ბოლოს თავადაც მეფეებად არ იქცნენ.

არისტოკრატიულ მმართველობას სახალხო მმართველობასთან შედარებით თუ რამდენადმე ნაკლები ქველობანი ახასიათებს, სამაგიეროდ, თავის მხრივ ახლავს სხვა ისეთი სიკეთენი, რომლებიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი; ეს გახლავთ მდიდართა ზომიერება და ღარიბთა კმაყოფილება საკუთარი ხვედრით; ჩანს, მეტისმეტად ზუსტი თანასწორობა აქ უადგილო იქნებოდა; ასეთი თანასწორობა სპარტაშიც კი არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, თუ მმართველობის ეს ფორმა ვარაუდობს გარკვეულ ქონებრივ უთანასწორობას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საერთოდ საზოგადოებრივ საქმეთა გამგებლობა უნდა ევალებოდეთ იმათ, ვისაც ძალუძთ, მთელი თავიანთი დრო ამ საქმეებს მოახმარონ და არა იმიტომ, რომ მდიდრებს ყოველთვის უპირატესობა მიანიჭონ, როგორც ამას არისტოტელე ამტკიცებს; პირიქით, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ საპირისპირო მოტივებით არჩევანმა ხალხს დაანახოს, რომ დამსახურებები უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებს ადამიანებს, ვიდრე სიმდიდრე.

VI თავი

მონარქია

აქამდე ხელმწიფეს განვიხილავდით კანონთა ძალით გაერთიანებულ მორალურ და კოლექტიურ პიროვნებად, სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების დამცველად. ახლა უნდა განვიხილოთ ეს ძალაუფლება იმ სახით, როგორითაც იგი გაერთიანებულია ფიზიკური პირის,

რეალური ადამიანის, ხელში, რომელსაც ერთადერთს ძალუძს კანონთა თანახმად მას ფლობდეს. ასეთ პიროვნებას მონარქს, ანუ ხელმწიფეს უწოდებენ.

საპირისპიროდ მმართველობის სხვა ფორმებისა, სადაც ინდივიდს კოლექტიური არსება წარმოადგენს, მონარქიული მმართველობის ფორმაში ინდივიდია კოლექტიური არსება; ასე რომ, მორალური ერთიანობა, ხელმწიფეს რომ ქმნის, იმავდროულად ფიზიკური ერთიანობაცაა, რომელშიც ყველა თვისება ბუნებრივადაა გაერთიანებული. სხვა შემთხვევაში ასეთ გაერთიანებას კანონის დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა.

ამგვარად, ხალხის ნება და ხელმწიფის ნება, სახელმწიფოს საზოგადო ძალა და მმართველობის კერძო ძალა – ყველაფერი ერთსა და იმავე მამოძრავებელ ძალას მორჩილებს, ერთი და იგივე ხელი მართავს მანქანის ყველა ზამბარას; ყველაფერი ერთი მიზნისაკენ წარიმართება. საპირისპირო, ურთიერგამანადგურებელი მოძრაობები არ არსებობს და შეუძლებელია, წარმოიდგინოთ სხვა სახელმწიფოებრივი წყობილება, სადაც უმცირესი ძალისხმევა უფრო მნიშვნელოვან ქმედებას გამოიწვევდა. მდინარის პირას მშვიდად მჯდომი არქიმედე ძალზე[64], იოლად რომ უშვებდა წყალში დიდ გემს, იმ გაწაფულ მონარქად მესახება, რომელიც საკუთარი სამუშაო ოთახიდან განაგებს თავის ვრცელ სამფლობელოებს და თავად თითქოს უძრავად მყოფი, ყველაფერს მოძრაობას ანიჭებს.

მაგრამ უფრო მეტი ძალის მქონე მმართველობა თუ არ არსებობს, მაშინ არც ისეთი მმართველობა არის, რომლის დროსაც კერძო ნებას მეტი ძალაუფლება ექნება და ადვილად გაბატონდება ყველა სხვა დანარჩენ ნებაზე. მართალია, აქ ყველაფერი მიმართულია ერთი და იმავე მიზნისაკენ, მაგრამ ეს მიზანი სრულებით არ არის მიმართული საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ, რადგან მმართველობის ძალა დაუსრულებლივ საზიანოდ უბრუნდება სახელმწიფოს.

მეფეებს სურთ შეუზღუდავნი იყვნენ; მათ იმთავითვე ჩასჩიჩინებენ, რომ ამის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა, საკუთარი ხალხი აიძულო შეგიყვარონ. ეს ჩინებული მაქსიმაა, გარკვეული თვალსაზრისით – ძალზე სწორიც; სამწუხაროდ, სამეფო კარზე მას ყოველთვის აბუჩად აიგდებენ. ხალხის სიყვარულზე დაფუძნებული ძლიერება უდავოდ ძალზე დიდია, მაგრამ მერყევია და არასაიმედო, რითაც ხელმწიფეები არასოდეს დაკმაყოფილდებიან. საუკეთესო მეფეებსაც სწადიათ როცა ინებებენ, ბოროტნიც იყვნენ და იმავდროულად გამგებლებადაც დარჩნენ. პოლიტიკური მოძღვარი ამაოდ გაირჯება, თუ შეეცდება მათ ასეთი რამ ჩააგონოს: რაკი ხალხის ძალა მეფის ძალაცაა, ამდენად, მას უზომოდ უნდა

აინტერესებდეს, რომ მის ქვეშევრდომთა ცხოვრება ყვაოდეს, ისინი იყვნენ მრავალრიცხოვანნი და ძლიერნი; მეფეებს კარგად მოეხსენებათ, რომ ეს ასე არ არის. მონარქის პირადი ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ ის, რომ ხალხი იყოს სუსტი და ღარიბი, რათა მან ვერასოდეს ვერ შეძლოს მეფისათვის წინააღმდეგობის გაწევა. თუ დავუშვებთ, რომ ქვეშევრდომები მუდამ მეტისმეტად მორჩილნი იქნებიან, მაშინ ხელმწიფისათვის სასურველი მართლაც ხალხის ძლიერება იქნება, რათა ამ ძლიერებამ საკუთარ ძლიერებასთან ერთად მეზობლები დააშინოს. მაგრამ ვინაიდან ასეთი ინტერესი მეორეხარისხოვანი და დაქვემდებარებულია, ვინაიდან ეს ორი რამ – ხალხის ძლიერება და მისი უპირობო მორჩილება – ერთმანეთთან შეუთავსებელია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ხელმწიფეები უპირატესობას ყოველთვის ანიჭებენ იმ მაქსიმას, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია პირადად მათთვის. ამაზე იუდეველებს მკვეთრად სამუელი[65] მიუთითებდა; ეს ნათლად გვიჩვენა მაკიაველმაც, რომელიც თითქოსდა მეფეებს ჭკუას არიგებდა, მაგრამ დიდი გაკვეთილები მისცა ხალხს. მაკიაველის „მთავარი“ რესპუბლიკელთა წიგნია.*

ზოგადი მიმართებების საფუძველზე ჩვენ დავინახეთ, რომ მონარქია მხოლოდ დიდ ქვეყნებს შეჰფერის; თავად მონარქიის შესწავლით კიდევ უფრო დავრწმუნდით ამ აზრის სისწორეში. რაც უფრო მრავალრიცხოვანია საზოგადოებრივი გამგებლობა, მით უფრო მცირდება და თანასწორობას უახლოვდება მიმართება ხელმწიფესა და ქვეშევრდომებს შორის. დემოკრატიის დროს ეს მიმართება ერთის ტოლია, ანუ თვით თანასწორობად იქცევა. იგივე მიმართება იზრდება მმართველობის შემცირებით და თავის მაქსიმუმს მაშინ აღწევს, როდესაც მმართველობა ერთი ადამიანის ხელშია. ამ დროს ხელმწიფესა და ხალხს შორის მანძილი ძალზე დიდია და სახელმწიფო კავშირის ნაკლებობას განიცდის; მის აღმოსაფხვრელად საჭიროა შუალედური ფენები – თავადები, დიდებულები, აზნაურები. ყოველივე ეს პატარა სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი არ არის, ეს რანგები მას გაანადგურებენ.

---

*მაკიაველი პატიოსანი ადამიანი და კარგი მოქალაქე იყო; როდესაც მისი სამშობლო იჩაგრებოდა, იგი, მედიჩების[66] კარს მიჯაჭვული, იძულებული იყო დაეფარა თავისუფლების სიყვარული. მისი უარყოფითი გმირის არჩევანიც საკმაოდ[67] ნათლად მიუთითებს ავტორის ფარულ ზრახვებზე; მის თხზულებებში: „მთავარი“, „მსჯელობა ტიტუს ლივიუსზე“ და „ფლორენციის ისტორია“ გამოთქმულ აზრთა შორის არსებული წინააღმდეგობა მოწმობს, რომ ამ ღრმა პოლიტიკოსს აქამდე მხოლოდ ძალზე ზერელე, ანდა გაქსუებული მკითხველები ჰყოლია. რომის კარმა[68] სასტიკად აკრძალა მისი წიგნი „მთავარი“. მე კარგად მესმის, რომ მან სწორედ პაპის კარი აღწერა ძალზე ნათლად.

დიდი სახელმწიფოს კარგად მართვა თუ ჭირს, კიდევ უფრო ძნელია, იგი კარგად მართოს ერთმა ადამიანმა, ხოლო როდესაც მეფე თავის ნაცვლად მოადგილეებს ნიშნავს, ამის შედეგი ყველასათვის ცნობილია.

მონარქიული მმართველობის უმთავრესი და გარდაუვალი ნაკლი რაც მას რესპუბლიკურ მმართველობაზე დაბლა აყენებს – ის, გახლავთ, რომ ასეთი მმართველობის დროს საზოგადოებრივი აზრი პირველ ადგილებზე მხოლოდ ნიჭიერ და განათლებულ ადამიანებს აყენებს და ისინიც ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ეს მაშინ, როდესაც მონარქიული მმართველობის დროს უფრო ხშირად წინაურდებიან პატარა შფოთის თავები, ციცქნა გაიძვერები და ინტრიგანები და ისინი, როგორც კი მაღალ თანამდებობებს მიაღწევენ, თავიანთი საშუალო ნიჭით, საზოგადოების წინაშე მხოლოდ საკუთარი უნიათობის გამოვლენას ახერხებენ. ხალხი ხელმწიფეზე ნაკლებ ცდება თავის არჩევანში; ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანი სამინისტროში ისეთივე იშვიათობაა, როგორც სულელი – რესპუბლიკური მმართველობის სათავეში. ამიტომ, როდესაც, რაიმე ბედნიერი შემთხვევის წყალობით მმართველობისათვის დაბადებულ ადამიანთაგან ერთ-ერთი ხელში იღებს ამ მონარქიული მმართველობის სადავეს, უამრავმა არხეინმა გამგებელმა დაღუპვის პირამდე რომ მიიყვანა, ყველა დიდად განცვიფრებულია, თუ როგორ შეძლო მან გამოსავლის მონახვა ამგვარი მდგომარეობიდან. ასეთი პიროვნების მმართველობა ეპოქას ქმნის ქვეყნის ისტორიაში.

იმისათვის, რომ მონარქიული სახელმწიფო კარგად იმართებოდეს, საჭიროა მისი სიდიდე ანუ ფართობი შეესაბამებოდეს ამ სახელმწიფოს მმართველის უნარს. დაპყრობა უფრო იოლია, ვიდრე გამგებლობა. საკმაო სიდიდის ბერკეტს თუ ფლობთ, ერთი თითითაც შეგიძლიათ მსოფლიო შეარყიოთ, მაგრამ იმისათვის რომ იგი შეინარჩუნოთ ჰერაკლეს[69] მხრებია საჭირო. თუ სახელმწიფოა მხოლოდ საკმაოდ დიდი, მაშინ მისთვის ხელმწიფე თითქმის ყოველთვის ძალზე პატარა არის. და პირიქით, როდესაც სახელმწიფო ძალზე პატარაა გამგებლისთვის, (რაც იშვიათობაა), იგი მაინც ცუდადაა მართული, ვინაიდან გამგებელი მხოლოდ თავის მიზანთა მნიშვნელობას ითვალისწინებს, ხალხის ინტერესებს კი ივიწყებს და უნიჭო მმართველზე არანაკლები უბედურება მოაქვს ხალხისთვის დიდი ნიჭის ბოროტად გამოყენებით. კარგი იქნებოდა, სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, შეეძლოს იზრდებოდეს, ან მცირდებოდეს ყოველი ახალი მეფის დროს თითოეული მათგანის უნარის შესაბამისად. ეს მაშინ, როდესაც ნიჭიერ ადამიანთა ნაზრევი სენატში უფრო მყარი თავდებია, ასეთი მმართველობის დროს სახელმწიფოს შესაძლოა უცვლელი საზღვრები ჰქონდეს და არც თუ ურიგო მმართველობა.

ერთპიროვნული მმართველობის ყველაზე საგრძნობი ნაკლი გახლავთ მისი დაუსრულებელი მემკვიდრეობითობა, რაც ორ განსხვავებულ მმართველობას შორის უწყვეტ კავშირს ქმნის. ერთი მეფე მოკვდა, საჭიროა მეორე, არჩევნები სახიფათო ინტერვალებს ქმნის, არჩევნები მძაფრად მიმდინარეობს; და თუ მოქალაქეები პატიოსნებით და უანგარობით არ გამოირჩევიან, რაც ამ მმართველობისათვის იშვიათია, არჩევნებში ინტრიგა და კორუფცია იჩენს თავს; ძნელია, ვისაც სახელმწიფომ თავი მიჰყიდა, თავის მხრივ, იგიც არ გაიყიდოს და სუსტთა ხარჯზე არ დაიბრუნოს ის ფული, ძლიერებმა ძალით რომ გააღებინეს. ამგვარი მმართველობის დროს, ადრე თუ გვიან, ყველაფრის ყიდვა ხდება შესაძლებელი და მშვიდობა, რითაც მეფეთა გამგებლობის დროს ასე ტკბებიან ხოლმე, უმეფობის დროინდელ უწესრიგობებზე უარესი აღმოჩნდება.

რა იღონეს ამგვარი ბოროტების აღსაკვეთად? გარკვეულ გვარში გვირგვინი მემკვიდრეობითი გახადეს და მემკვიდრეობითობის ისეთი წესი დაადგინეს, მეფის სიკვდილის შემდეგ ყოველგვარ დავას რომ გამორიცხავდა ე.ი. არჩევნების ნაცვლად რეგენტობის შემოღებით, ხალხმა გონივრულ გამგებლობას გარეგნული სიმშვიდე ამჯობინა, ღირსეულ მეფეთა ასარჩევად საჭირო მსჯელობა-კამათს სახელმწიფოს გამგებლებად ბალღების, გონჯების, სულელების ყოლა; მან არ გაითვალისწინა, რომ არჩევანის რისკისაგან თავის დაღწევით, საკუთარი თავის საწინააღმდეგო ყველა შესაძლებლობას ქმნიდა. როდესაც მამამ ერთი უღირსი საქციელის გამო ჭაბუკ დიონისეს[70] უსაყვედურა: "ნუთუ, მე ასეთი მაგალითი მოგეციო?" – შვილმა ძალზე გონივრული პასუხი გასცა: "ოჰ! მამათქვენი მეფე არ ყოფილა".

სხვათა გამგებლად აღზრდილ ადამიანს სამართლიანობა და გონიერება რომ წაერთვას, ამას ყველაფერი უწყობს ხელს. ამბობენ, დიდ მონდომებას იჩენენ, რათა ახალგაზრდა უფლისწულმა მართვის ხელოვნება შეისწავლოსო; არ ჩანს, რომ ამ აღზრდას რაიმე სარგებელი ახლდეს. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა მათთვის მორჩილების ხელოვნება ესწავლებინათ. ისტორიის მიერ დიდებით შემოსილი უდიდესი მეფეები, სამეფოდ არ აღზრდილან; მეფობა ისეთი მეცნიერებაა, რომელსაც რაც უფრო მეტად სწავლობ, მით უფრო ნაკლებად ეუფლები: მას თვინიერებით უკეთ ითვისებენ, ვიდრე მბრძანებლობით. Nam utilissimus idem ac brevissimus bonarum malarumque rerum delectus, cogitare quid aut nolueris sub alio principe, aut volueris.*

---

* ვინაიდან ყველაზე მარჯვე და სწრაფი საშუალება სიკეთის ბოროტებისაგან გასარჩევად, ესაა საკუთარ თავს ჰკითხო: რას ისურვებდი და რას არა, ხელმწიფედ შენ კი არა, სხვა რომ ყოფილიყო. ტაციტუსი, ისტორია წ.I 16

ამ თანმიმდევრობის უგულებელყოფის შედეგია მეფის მმართველობის დროს მერყეობა; მეფისა თუ მის ნაცვლად გამგებელ პირთა გუნების მიხედვით ხან ერთი, ხან მეორე გეგმით ხელმძღვანელობის გამო მმართველობას არ ძალუძს ხანგრძლივად შეაჩეროს ყურადღება ერთ გარკვეულ საგანზე, მას არც თანმიმდევრულად მოქმედება შეუძლია. მერყეობა აიძულებს სახელმწიფოს, ცვალოს მაქსიმები, გეგმები. სხვაგვარი მმართველობების დროს როცა ხელმწიფე ურყევია და თანმიმდევრულად მოქმედებს, ამას არ ვაწყდებით. ზოგადად შეიძლება შევნიშნოთ, რამდენადაც სამეფო კარი ცბიერებით ხასიათდება, იმდენად მეტ გონიერებას იჩენს სენატი; და რესპუბლიკებიც თავიანთი მიზნებისაკენ უფრო თანმიმდევრული და ურყევი გეგმების მიხედვით მიდიან. მაშინ როდესაც მინისტრთა კაბინეტში მომხდარი ყოველი რევოლუცია, რევოლუციასავე იწვევს სახელმწიფოშიც, ვინაიდან ყველა მინისტრისა და მეფისათვის საერთო მაქსიმა ასეთია: ნებისმიერ საქმეში თავიანთ წინამორბედთა საპირისპირო გადაწყვეტილების მიღება.

ამავე თანმიმდევრობის დარღვევიდან მომდინარეობს ერთი სოფიზმი – მეფის კარის პოლიტიკოსთათვის ძალზე დამახასიათებელი მსჯელობა, კერძოდ, ის რომ სამოქალაქო მმართველობა მხოლოდ საოჯახოსთან კი არ არის შედარებული, ხელმწიფე კი ოჯახის მამასთან (შეცდომა უკვე გამორიცხულია), არამედ ისიც, რომ ამ მაგისტრატს ყველა აუცილებელი ქველობა უხვადა აქვს მინიჭებული და გამუდმებით მკვიდრდება აზრი, რომ ხელმწიფე არის ისეთი, როგორიც ის უნდა იყოს; რომ მეფის მმართველობა ნებისმიერ სხვა მმართველობაზე უკეთესია, ვინაიდან იგი აშკარად ბევრად უფრო ძლიერია და საუკეთესო რომ გახდეს, ამისათვის მას არ ჰყოფნის მხოლოდ კორპუსის ნება, საერთო ნებასთან უფრო მეტად შეთანხმებული.

მაგრამ პლატონის თანახმად, ბუნებით ბოძებული მეფობის უნარის მფლობელი თუ ძალზე იშვიათია, მაშინ ასეთი ადამიანის მეფედ კურთხევისთვის რა ზომით და რამდენჯერ მოხდება ბუნებისმიერისა და ბედისწერის დამთხვევა? თუ სამეფოდ აღზრდილნი აუცილებლად იხრწნებიან, მაშინ რას უნდა ველოდოთ არასამეფოდ აღზრდილთა მეფობისაგან? ამგვარად, მეფის მმართველობის აღრევა კარგი მეფის მმართველობასთან მხოლოდ თავის მოტყუებაა. იმის დასანახად, თუ რა არის თავისთავად ეს მმართველობა, საჭიროა განვიხილოთ მეფობა გონებაშეზღუდული ან ბოროტი ხელმწფეებისა, ვინაიდან ისინი ტახტზე ან ასეთები ადიან, ან ტახტი ხდის ასეთებად.

ეს სირთულეები არ გამოპარვიათ ჩვენს ავტორებს, თუმცა ამის გამო სრულებითაც არ შეშფოთებულან. მათი აზრით, გამოსავალი უსიტყვო

მორჩილებაშია; ღმერთს გავარისხებთ და ცუდ მეფეებს მოგვივლენს ხოლმე; ჩვენ ისინი, როგორც ციური სასჯელი უნდა ავიტანოთ. უდავოდ დამრიგებლური ხასიათის ეს მსჯელობა მქადაგებლის კათედრას უფრო უხდება, ვიდრე პოლიტიკურ წიგნს. რა გვეთქმის იმ ექიმზე, სასწაულებს რომ გვპირდება, მთელი მისი ხელოვნება კი მხოლოდ ავადმყოფისათვის მოთმინების ჩაგონებაა? ცუდი მმართველობა რომ უნდა აიტანოს, ეს ყველას კარგად მოეხსენება, საქმე ისაა კარგ მმართველობას მიაგნო.

VII თავი

შერეული მმართველობები[71]

კაცმა რომ თქვას, მარტივი მმართველობა საერთოდ არ არსებობს; საჭიროა, სახელმწიფოს ერთადერთ გამგებელს ჰყავდეს დაქვემდებარებული მაგისტრატები; საჭიროა, სახალხო მმართველობას ჰყავდეს მეთაური. ასე რომ, აღმასრულებელი ხელისუფლების დაყოფის დროს ყოველთვის არსებობს გრადაცია დიდი რიცხვიდან მცირისკენ იმ გამონაკლისით, რომ ზოგჯერ უმეტესობაა დამოკიდებული უმცირესობაზე, ზოგჯერ კი – უმცირესობა უმრავლესობაზე.

ზოგჯერ ხდება ძალაუფლების თანაბარი დაყოფა, როდესაც, ინგლისის მმართველობისა არ იყოს, შემადგენელი ნაწილები მუდმივ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან, ან როდესაც, პოლონეთის მსგავსად, თითოეული ნაწილის ძალაუფლება დამოუკიდებელი, მაგრამ არასრულყოფილია. მმართველობის ეს ბოლო ფორმა მიუღებელია, რადგან არაერთიანია, სახელმწიფო კი – კავშირს მოკლებული.

რომელი მმართველობაა უკეთესი: მარტივი თუ შერეული? ეს კითხვა ძალზე აღელვებდა პოლიტიკოსებს; მასზე იგივე პასუხი უნდა გავცე, რაც მმარველობის ნებიმიერ ფორმასთან დაკავშირებით ზემოთ მოგახსენეთ.

მარტივი მმართველობა თავისთავად საუკეთესო ფორმაა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მარტივია. მაგრამ როდესაც ხელისუფლება გარკვეულ წილად დამოკიდებული არაა საკანონმდებლო ხელისუფლებაზე ე.ი. როდესაც ხელმწიფესა და სუვერენს შორის უფრო მეტი მიმართებაა, ვიდრე ხალხსა და ხელმწიფეს შორის, ასეთ შემთხვევაში თანაფარდობის ნაკლი მმართველობის დაყოფით უნდა გამოვასწოროთ; მაშინ ამ დაყოფით მიღებულ მის ყველა ნაწილთა ძალაუფლება ქვეშევრდომების მიმართ არ შემცირდება, ხოლო ხელისულების ამგვარი და-

ყოფით ერთად აღებული ყველა ნაწილი, სუვერენის მიმართ ნაკლები ძლიერებით ხასიათდება.

იმავე შეუსაბამობის აღმოფხვრა შესაძლებელია შუალედური თანამდებობების დაწესებითაც: უნარჩუნებს რა მთლიანობას მმართველობას, ისინი მხოლოდ ორი ხელისუფლების გაწონასწორებასა და ერთმანეთის მიმართ მათი უფლებების შენარჩუნებას ემსახურებიან. ასეთ შემთხვევაში მმართველობა შერეული კი არა, ზომიერი იქნება.

მსგავსი საშუალებებით შესაძლებელია საპირისპირო შეუსაბამობების აღკვეთაც; როდესაც მმართველობა ძალზე სუსტია, მისი ძალების კონცენტრირების მიზნით უნდა შეიქმნას ტრიბუნალები; ეს საშუალება გამოიყენება ყველა დემოკრატიულ მმართველობაში. პირველ შემთხვევაში მმართველობას ყოფენ, რათა დაასუსტონ, მეორე შემთხვევაში, რათა გააძლიერონ. მარტივ მმართველობას ძალისა და სისუსტის მაქსიმუმი ერთნაირად ახასიათებს მაშინ, როდესაც შერეული ფორმები ძალის საშუალო ხასიათს უზრუნველყოფენ.

VIII თავი

მმართველობის ნებისმიერი ფორმა ყველა ქვეყნისათვის არ გამოდგება.

თავისუფლება ყოველნაირი ჰავის პირობებში ჩვეული ხილი არ გახლავთ, ამდენად, არც ყველა ხალხისთვისაა მისაწვდომი. რაც უფრო მეტს ფიქრობენ მონტესკიეს მიერ დადგენილ ამ პრინციპზე, მით უფრო მეტად რწმუნდებიან მის ჭეშმარიტებაში; რაც უფრო მეტს დავობენ მასზე, მით უფრო მეტი ახალი საბუთი ჩნდება მის დასადასტურებლად.

ამქვეყნად არსებულ ყველა სახის მმართველობაში საზოგადოებრივი პირი მომსმარებელია, მაგრამ არაფერს ქმნის. მაშ, საიდან ღებულობს იგი თავისთვის საჭირო საგნებს? – თავის წევრთა შრომიდან; კერძო პირია მიერ შექმნილი ჭარბი პროდუქტი ქმნის საზოგადოებისათვის აუცილებელ საგნებს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო მდგომარეობას არსებობა ძალუძს იმდენად, რამდენადაც ადამიანთა შრომა ქმნის იმაზე მეტს, რაც მათ ესაჭიროებათ.

მაგრამ ეს ნამეტი პროდუქტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ გახლავთ: მრავალ ქვეყანაში იგი მნიშვნელოვანია, სხვებში – საშუალო, ზოგში საერთოდ არ არსებობს, ზოგში კი აუცილებელიც არა

აქვთ. ეს მიმართება დამოკიდებულია კლიმატზე, ნიადაგის შემადგენლობაზე, საჭირო შრომის რაობაზე, მიწის ნაყოფიერებაზე, ქვეყნის მკვიდრთა თვისებებზე, ბევრს მოიხმარენ თუ ცოტას, და მრავალ სხვა მსგავს მიმართებაზე, რასაც ეფუძნება ნამეტი პროდუქტი.

გარდა ამისა, ყველა მმართველობას თავისი სახე აქვს. მათ შორისაც შეინიშნება მეტად ან ნაკლებად გაუმაძღარი. მმართველობათა შორის სხვადასხვაობა ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დაშორებულია საზოგადოებრივი გადასახადები საგადასახადო წყაროს, მით უფრო დამამძიმებელია ისინი. ეს სიმძიმე არა გადასახადთა რაოდენობით, არამედ იმ მანძილით უნდა გავზომოთ, რომელიც მათ უნდა გაიარონ, რათა კვლავ იმ ხელში მოხვდნენ, საიდანაც წამოვიდნენ. როდესაც ეს ბრუნვა სწრაფად ხდება და კარგადაა ორგანიზებული, მაშინ სულ ერთია, ხალხი ცოტას იხდის, თუ ბევრს. სახელმწიფო მაინც მდიდარია, ფინანსების საქმეც კარგად მიდის; და პირიქით, რა ცოტასაც არ უნდა იხდიდეს ხალხი, თუ ეს მცირეოდენი მას არ უბრუნდება, მუდმივი გაღებით ხალხს სახსრები მალე ელევა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო არასოდეს არ არის მდიდარი და ხალხიც ღატაკია.

აქედან გამომდინარე, რაც მეტად იზრდება მანძილი ხალხსა და მმართველობას შორის, მით უფრო დამამძიმებელი ხდება გადასახადები. ამგვარად, ხალხი ყველაზე ნაკლებადაა დაბეგრილი დემოკრატიული მმართველობის დროს, არისტოკრატიული მმართველობისას უფრო მეტ ბეგარას იხდიან, ხოლო გადასახადთა ყველაზე დიდი სიმძიმე ხალხს მონარქიული მმართველობის დროს აწვება. მაშასადამე, მონარქიული მმართველობა მხოლოდ მდიდარ ხალხებს შეჰფერით, არისტოკრატიული მმართველობა – როგორც სიმდიდრით, ისე ფართობით საშუალო შეძლების მქონე ქვეყნებს, დემოკრატიული მმართველობა კი – ღატაკ და პატარა ქვეყნებს.

მართლაც, რაც უფრო ღრმად ჩავუფიქრდებით ამ საკითხს, ამ მხრივ მით უფრო მეტ სხვაობას დავინახავთ თავისუფალ და მონარქიულ სახელმწიფოებს შორის; პირველში ყველაფერი საერთო სარგებლისკენაა მიმართული; მონარქიულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი და კერძო ძალები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ერთი მეორის დასუსტებით ძლიერდება. დაბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ ქვეშევრდომების ბედნიერება ჰქონდეს მიზნად, დესპოტურ მმართველობას მათთვის უბედურება მოაქვს და ამის მეშვეობით მართავს მათ.

ასეთია ყოველ კლიმატურ გარემოში ბუნებრივი მიზეზები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ კლიმატით განპირობებული მმართველობის ფორმა და ისიც მივუთითოთ, თუ ვინ უნდა იყვნენ ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრნი.

მწირი და უნაყოფო მიწები, რომელზეც მოწეული მოსავალი არ ღირს გაწეულ შრომად, არ უნდა დამუშავდეს და უდაბნოებად დარჩეს, ან მასზე მხოლოდ ველურები უნდა სახლობდნენ; ადგილები, სადაც ადამიანის შრომა მხოლოდ საარსებო მინიმუმს იძლევა, ბარბაროსი ხალხებით უნდა იყოს დასახლებული. აქ ყოველგვარი **სახელმწიფოებრივი ცხოვრება** (la politie) შეუძლებელი იქნებოდა. მხარეები, სადაც ნამეტი პროდუქტი გაწეულ შრომასთან შედარებით საშუალოა, თავისუფალ ხალხებს უნდა ეკუთვნოდეს; ის ადგილები, სადაც ბარაქიანი და მოსავალიანი ნიადაგი მცირეოდენი გარჯის საზღაურად ჭარბ პროდუქტს იძლევა, მონარქიული წესით უნდა იყოს მართული, რათა ხელმწიფის ფუფუნება შთანთქავდეს ქვეშევრდომების წილ ჭარბ პროდუქტს; ვინაიდან უმჯობესია, ეს ნამეტი მმართველობამ შთანთქას, ვიდრე იგი კერძო პირებმა გაანიავონ. ვიცი არსებობს გამონაკლისებიც, მაგრამ ასეთი გამონაკლისებიც ზოგად წესს იმით ადასტურებს, რომ ადრე თუ გვიან გამონაკლისები იწვევენ რევოლუციებს, რომლებიც საგანთა ბუნებრივ რიგს აღადგენენ.

ზოგადი წესები ყოველთვის უნდა გამოვყოთ კერძო მიზეზთაგან, რომელთაც აღნიშნული წესების შედეგების შეცვლა ძალუძთ. სამხრეთის ქვეყნებში მთლიანად რომ რესპუბლიკური მმართველობა ყოფილიყო, ჩრდილოეთის ყველა ქვეყანაში კი – დესპოტური, მაინც სწორი იქნებოდა შემდეგი აზრი: კლიმატის მიხედვით, დესპოტიზმი უმალ ცხელ ქვეყნებს შეეფერება, ბარბაროსობა – ცივ ქვეყნებს, კარგი **სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესი** (la politie) კი – ზომიერი ჰავის რეგიონებს. მე მესმის, რომ შეიძლება პრინციპს დავეთანხმოთ, მაგრამ მის გამოყენებაზე ვიკამათოთ; შეიძლება გვითხრან, რომ არის დიდად დოვლათიანი ცივი ქვეყნები და სამხრეთის ძალზე უნაყოფო ქვეყნები, მაგრამ ასეთ სირთულეს მხოლოდ ის აწყდება, ვინც მოვლენებს ყოველმხრივ არ იხილავს. როგორც უკვე ვთქვი, აუცილებელია გავითვალისწინოთ შრომის, უნარის, მოხმარების და სხვა საკითხები.

დავუშვათ, მიწის ორი ერთნაირი ნაკვეთიდან ერთი ხუთ ერთეულს იძლევა, მეორე – ათს. თუ პირველის მკვიდრნი ოთხს, ხოლო მეორისა ცხრა ნაწილს მოიხმარენ, მაშინ პირველის ნამეტი წარმოებული პროდუქტის ერთი მეხუთედი იქნება, ხოლო მეორისა – ერთი მეათედი. ვინაიდან ამ ნამეტთა შორის მიმართება პროდუქტთა შორის არსებული მიმართების უკუპროპორციულია, ამდენად, მიწის ის ნაკვეთი, რომელიც მხოლოდ ხუთ ერთეულს აწარმოებს, ორჯერ მეტ ნამეტს მოგვცემს იმ მიწის ნაკვეთან შედარებით, რომელიც ათს აწარმოებს.

აქ ორმაგ პროდუქტებზე არ არის ლაპარაკი, და არა მგონია, ვინმემ დააპიროს ზოგადად ცივი და თბილი ქვეყნებს დოვლათიანობის შედარება. ნათქვამის მიუხედავად, დავუშვათ, რომ ასეთი თანაფარდობა არსებობს. თუ გნებავთ ინგლისი და სიცილია, ან პოლონეთი და ეგვიპტე შევადაროთ ერთმანეთს; უფრო სამხრეთით აფრიკა და ინდოეთი გვექნება, უფრო ჩრდილოეთით – არაფერი. პროდუქტის ასეთი თანაფარდობის შემთხვევაშიც როგორი სხვაობაა მიწის დამუშავებაში! სიცილიაში მიწის მოჩიჩქვნაც კმარა, ინგლისში კი საოცრად დიდი ჯაფაა საჭირო მის დასამუშავებლად. იქ კი, სადაც მეტი ხელია საჭირო იმავე რაოდენობის პროდუქტის მისაღებად, ნამეტი უცილობლად მცირე უნდა იყოს.

გარდა ამისა, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ადამიანთა იგივე რაოდენობა ცხელ ქვეყნებში გაცილებით ნაკლებ პროდუქტს მოიხმარს; ადგილობრივი კლიმატი ითხოვს, ადამიანები ზომიერებას იჩენდნენ ჭამაში, რათა ჯანმრთელი იყონ. ევროპელები, რომელთაც სურთ აქაც ისევე იცხოვრონ, როგორც თავიანთ ქვეყნებში, დეზინტერიისა და საჭმლის მოუნებლობისაგან იღუპებიან. "ჩვენ, – ამბობს შარდენი,[72] – აზიელებთან შედარებით მტაცებელი ცხოველები, მგლები, ვართ. ზოგი სპარსელთა ზომიერი კვების მიზეზად მათ ნაკლებად დამუშავებულ მიწებს მიიჩნევს; პირიქით, ჩემი აზრით აქ სურსათი მცირეა იმიტომ, რომ ქვეყნის მკვიდრთ ნაკლები პროდუქტი ესაჭიროებათ". შარდენი განაგრძობს: „მათი ზომიერება ქვეყნის მოუსავლიანობის შედეგი რომ იყოს, ცოტა საკვებს მხოლოდ ღარიბები დასჯერდებოდნენ. სინამდვილეში, აქ ყველა ცოტას ჭამს. შეიძლება გვეფიქრა, რომ თითოეულ მხარეში ნიადაგის ნაყოფიერებისდა მიხედვით მეტ ან ნაკლებ პროდუქტს მოიხმარენ. ეს ასე არ არის – მთელ სამეფოში ჭამისადმი ერთნაირი თავშეკავებული დამოკიდებულებაა. მათ ძალზე ეამაყებათ თავიანთი ცხოვრების წესი და აცხადებენ, რომ ჩვენი სახის კანის ფერის ერთი დანახვაც კმარა, რათა ქრისტიანულთან შედარებით ჩვენი წესის უპირატესობა დადასტურდესო. მართლაც, სპარსელთა სახის კანი დაწმენდილი, ლამაზი, ნატიფი და კრიალაა; ევროპულ ყაიდაზე მცხოვრებ მათ ქვეშევრდომ სომხებს კანი უხეში, წითლად დალაქავებული აქვთ, ხოლო სხეული მძიმე და სქელი."

ეკვატორს რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით, ვამჩნევთ, რომ ადამიანები უფრო ნაკლებ საკვებს საჭიროებენ; ისინი თითქმის არ შეექცევიან ხორცს, ჩვეულებრივ მათი კვების პროდუქტებია ბრინჯი, სიმინდი, კუსკუსი,[73] სორგო, მანიოკის[74] ფქვილისაგან გამომცხვარი პური. ინდოეთში მილიონობით ადამიანის საკვების ღირებულება დღეში ერთი სუც არ არის. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ხალხთა მადას შორის სხვაობა ევროპაშიც შეიმჩნევა. ერთი გერმანელის სადილით ესპანელი რვა დღეს გაიტანს თავს. იმ ქვეყნებში, სადაც ადამიანები უფრო გაუმაძღარნი

არიან. ფუფუნებად საკვების სიუხვეს მიიჩნევენ. ხორციანი კერძების სიუხვე ინგლისურ სუფრაზე ფუფუნების ნიშანია; იტალიაში კი თქვენ შაქრით გაგიმასპინძლდებიან და ყვავილებს მოგართმევენ.

ტანსაცმლით გამოვლენილი ფუფუნება მსგავს სხვაობას ადასტურებს. ისეთი კლიმატური პირობების მქონე ქვეყნებში, სადაც წელიწადის დროთა ცვალებადობა სწრაფი და მკვეთრია, სამოსელიც უკეთესი და სადაა. ისეთი კლიმატის ქვეყნებში, სადაც სამოსელი სამკაულად იხმარება, მორთულობის ბრწყინვალებას უფრო აქცევენ ყურადღებას, ვიდრე მის პრაქტიკულ დანიშნულებას; აქ თვით ტანსაცმელიც ფუფუნებაა. ნეაპოლში ყოველდღე გადააწყდებით ოქროქსოვილ ქურთუკებში გამოწყობილ, უწინდები, ლამის ფეხშიშველ ადამიანებს, რომლებიც პოზილიპოზზე[75] დასეირნობენ. ნაგებობებზეც იგივე შეიძლება ითქვას. როდესაც უამინდობა საფრთხეს არ ქმნის, მთელი ყურადღება შენობის გარეგნულ სილამაზეზე გადააქვთ. პარიზსა და ლონდონში მყუდრო და თბილი ბინების მოწყობას ცდილობენ. მადრიდში ბრწყინვალე სალონები აქვთ, მაგრამ არ არის ფანჯარა, რომელსაც დაკეტავთ, ადამიანებს კი ვირთხის სოროებში სძინავთ.

თბილი ქვეყნების საკვები პროდუქტი უფრო ყუათიანი და მაწიერია. ამ მესამე სხვაობამ შეუძლებელია გავლენა არ იქონიოს მეორე სხვაობაზე. რატომ ჭამენ ასე უხვად ბოსტნეულს იტალიაში? იმიტომ, რომ იქ ბოსტნეული კარგი, ყუათიანი და ძალზე გემრიელია. საფრანგეთში კი ბოსტნეული მხოლოდ წყლით საზრდოობს, ამდენად მაწიერი არაა და სუფრაზე ჩალის ფასი აქვს. თუმცა იქ ბოსტნეულს არანაკლები მიწის ფართობი უჭირავს და მისი მოყვანა არც ნაკლებ ჯაფას ითხოვს. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბერბერიის მარცვლეული უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე საფრანგეთისა, მაგრამ მეტ ფქვილს იძლევა. ჩრდილოურ მარცვლეულთან შედარებით საფრანგეთის მარცვლეული მეტ ფქვილს იძლევა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მსგავსი თანდათანობითი გადასვლა საერთოდ შეინიშნება ეკვატორიდან პოლუსისაკენ. თანაბარი რაოდენობის პროდუქტიდან ნაკლები საკვების მიღება ხომ აშკარა ზარალია?

ამ სხვადასხვა მოსაზრებებს მე შემიძლია დავუმატო კიდევ ერთი, მათგანვე მომდინარე და მათივე გამაძლიერებელი: ცივი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ცხელი ქვეყნები იმაზე ნაკლებ მოსახლეობას საჭიროებენ, ვიდრე მისი გამოკვება შეუძლიათ. ამას შედეგად ორმაგი ნამეტი მოაქვს კვლავ დესპოტიზმის სასარგებლოდ. ერთი და იმავე რაოდენობის ადამიანს რაც უფრო მეტი ფართობი უჭირავს, მით უფრო ძნელდება ამბოხებები, ვინაიდან არც სწრაფი შეკრებაა შესაძლებელი და არც ფარული, რის გამოც მმართველობას ყოველთვის უადვილდება მეამბოხეთა ზრახვების ჩაშლა, მათი დამაკავშირებელი გზების გადაკეტვა. რაც უფრო მჭიდროდაა დასახლებული მრავალრიცხოვანი ხალხი, მით უფრო ნაკლებ ძალუძს მმართველობას სუვერენის უფლების უზურპირება; ამბოხებათა მოთავეები ისევე უშიშრად თათბირობენ თავიანთ ბინებში, როგორც ხელმწიფე თავის საბჭოში, ხოლო ბრბო ისევე სწრაფად იყრის თავს მოედნებზე, როგორც – ჯარი თავის ყაზარმებში. იმ შემთხვევაში, როცა ტირანულ მმართველობას დიდ მანძილზე მოქმედების შესაძლებლობა აქვს, უპირატესობა მის მხარეზეა. გამგებლობის ხელთ არსებული საყრდენი პუნქტების მეშვეობით ასეთი მმართველობის ძალა დიდ სივრცეზე ბერკეტის ძალის მსგავსად იზრდება.* ხალხს კი პირიქით, მაშინ აქვს ძალა, როდესაც კონცენტრირებულია. როცა ეს ძალა დიდ სივრცეზე იფანტება, იგი ისევე იფერფლება და იკარგება, როგორც მიწაზე გაბნეული დენთი, ცეცხლი მარცვალ-მარცვალ რომ ეკიდება. ნაკლებად დასახლებულ ქვეყნებს უფრო ტირანია შეეფერება. მტაცებელი ცხოველები ძირითადად ხომ უდაბნოებში ბატონობენ.

IX თავი

კარგი მმართველობის ნიშნები

როდესაც რისამე მიუხედავად კითხულობენ – რომელი მმართველობაა საუკეთესო? – გადაუჭრელსა და განუსაზღვრელ კითხვას სვამენ. თუ ინებებთ, ამ კითხვას იმდენი სწორი პასუხი აქვს, ხალხთა აბსოლუტურ და შეფარდებით მდგომარეობას შორის რამდენი კომბინაციაც არის შესაძლებელი.

მაგრამ თუ იკითხეს: რა ნიშნის მიხედვით შეიძლება იმის გაგება, კარგად იმართება რომელიმე ხალხი თუ ცუდად – ეს კი სულ სხვა რამ არის. ასეთი საკითხი შეიძლება ფაქტობრივად გადაჭრილიყო კიდეც.

ნათქვამის მიუხედავად, ამ საკითხს მაინც ვერაფერს უხერხებენ, ვინაიდან ყველას თავისებურად სურს მისი გადაწყვეტა. ქვეშევრდომები საზოგადოებრივ სიმშვიდეს ასხამენ ხოტბას, მოქალაქეები – კერძო პირ-

* ეს არ ეწინააღმდეგება ჩემს სიტყვებს დიდ სახელმწიფოებში არსებული შეუსაბამობების შესახებ (წიგნი II, თ. IX), იქ ლაპარაკი იყო მმართველობის ძალაუფლებაზე მისი წევრების მიმართ, აქ კი მისივე ქვეშევრდომების წინააღმდეგ მიმართულ ძალაზე ვსაუბრობთ; ხელისუფლება მმართველობის დაქსაქსულ წევრებს ეყრდნობა, რათა შორეულ მხარეებში ხალხზე ზემოქმედება მოახდინოს, მაგრამ მას არ გააჩნია არავითარი საყრდენი წერტილი უშუალოდ თავის საკუთარ წევრებზე გავლენის მოსახდენად. ამგვარად, ერთ შემთხვევაში ბერკეტის სიგრძე მისი სისუსტეა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ძალა.

თა თავისუფლებას; ერთნი ქონების შეუვალობას ამჯობინებენ, მეორენი – პიროვნებისას; ერთი ირწმუნება, რომ საუკეთესოა მკაცრი მმართველობა, მეორეს სურს, იგი ყველაზე დამთმობი იყოს; ერთი დანაშაულთა გამო დასჯას ითხოვს, მეორე – მათ თავიდან აცილებას; ერთს ეამაყება მეზობელს რომ მისი შიში აქვს, მეორე განზე დგომას ამჯობინებს; ერთი, როცა ფული ბრუნვაშია, კმაყოფილია. მეორე იმას სჯერდება, რომ ხალხს პური ჰქონდეს. ამ უთანხმოებათა შემდეგ, ამ და მსგავს საკითხებზე, თუნდაც შეთანხმდნენ, განა ამით საქმეს რამე ეშველება?! რაკი ზნეობრივ თვისებათა ზუსტი საზომი არ არსებობს, ნიშნის თაობაზე შეთანხმება რომც მოხდეს, შეფასებისას ეს როგორღა მოხერხდება?

პირადად მე მუდამ ის მაოცებს, რომ ყურადღებას არ აქცევენ შემდეგ უბრალო ნიშანს, ან არაკეთილსინდისიერების გამო არ სურთ მისი დანახვა. რა არის პოლიტიკური ასოციაციის მიზანი? თავისი წევრების დაცვა და მათი კეთილდღეობა. რა არის ამის ყველაზე უტყუარი საფუძველი? მოსახლეობის რაოდენობა და მატება. ამ სადავო ნიშნის ძიებას სხვაგან ნუ დაიწყებთ. სხვა თანაბარ პირობებში, უდავოდ საუკეთესოა ის მმართველობა, რომლის დროსაც გარე საშუალებების, ნატურალიზაციისა[77] და კოლონიების გარეშე, მოსახლეობა მკვიდრდება და რაოდენობრივად მატულობს. მმართველობა, რომლის დროსაც ხალხი მცირდება და ღატაკდება, ყველაზე უარესია. აღმრიცხველებო, ახლა ჯერი თქვენზეა! – დათვალეთ, დაიანგარიშეთ, შეადარეთ.*

---

* ამავე პრინციპით უნდა ვიმსჯელოთ იმ საუკუნეებზე, ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობის თვალსაზრისით ხოტბას რომ იმსახურებენ.

ძალზე აღტაცებულნი იყვნენ იმ საუკუნეებით, როდესაც მეცნიერება და ხელოვნება ყვაოდა. თუმცა ამ საუკუნეთა კულტურის არც ფარულ მიზეზებს ეძიებდნენ და არც დამლუპველ შედეგებს ითვალისწინებდნენ.[78] „ის რაც უკვე დამონების საწყისი იყო, უგუნურები განათლებულობად ისესხიებენ“ (ტაციტუსი, აგრიკოლა, XXI) ნუთუ წიგნებში გადმოცემულ მაქსიმებიდან ვერასოდეს ვერ ამოვიკითხავთ იმ უტოფარ ანგარებას, რაც მათ ავტორებს ალაპარაკებს? რასაც არ უნდა ამბობდნენ ისინი, ქვეყნის მოსახლეობა როცა მცირდება, გარეგნული ბრწყინვალების მიუხედავად, სიცრუეა იმის მტკიცდება, თითქოს ამ ქვეყანაში ყველაფერი რიგზე იყოს; არ არის საკმარისი, რომელიმე პოეტს[79] რენტით[80] ასი ათასი ლიერი[81] შემოსავალი ჰქონდეს და ამის გამო მისი საუკუნე ყველაზე საუკეთესოდ ჩაითვალოს. ყურადღება მთელი ხალხის, პირველ ყოვლისა კი ყველაზე მრავალრიცხოვან ფენათა კეთილდღეობას უნდა მიექცეს და არა გამგებელთა მოჩვენებით სიმშვიდესა და გულარხეინობას. სეტყვა ქვეყნის ზოგიერთ მხარეს აჩანაგებს, მაგრამ იგი შიმშილობას იშვიათად იწვევს. თუმც კი აბოხებები და სამოქალაქო ომები ძალზე ამინებენ სახელმწიფოთა მეთაურებს, მაგრამ არც ეს გახლავთ ქვეშევრდომთა ნამდვილი უბედურების მიზეზი; მათ შეიძლება სულიც კი მოითქვან, სანამ იმაზე დავობენ, თუ ვინ გახდეს მათი ტირანი. ხალხთა ჭეშმარიტი კეთილდღეობა ან უბედურება მხოლოდ მათივე მყარი მდგომარეობის ნაყოფია. როდესაც ყველაფერი უღლის ქვეშ არის დათრგუნვილი, მაშინ ყველაფერი იღუპება – თანამდებობის პირები, თავიანთი სურვილისამებრ სწორედ ასეთ დროს აჩანაგებენ ხალხს.

X თავი

მმართველობის ბოროტად გამოყენება და მისი მიდრეკილება დაცემისაკენ

როგორც კერძო ნება ეწინააღმდეგება განუწყვეტლივ საერთოს, მმართველობაც თავის ძალებს სუვერენიტეტს ასევე განუწყვეტლივ უპირისპირებს. რაც უფრო მატულობს ეს ძალები, მით უფრო უარესდება სახელმწიფო წყობა; და ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს კორპუსის სხვა ნება, რომელიც შეეწინააღმდეგება ხელმწიფის ნებას, ან გააწონასწორებს მას, ამიტომ ადრე თუ გვიან ხელმწიფე საბოლოოდ დაძლევს სუვერენს და საზოგადოებრივ ხელშეკრულებასაც დაარღვევს. სწორედ ეს გახლავთ ის გარდუვალი და თანდაყოლილი ნაკლი, პოლიტიკური კორპუსის შექმნისთანავე განუწყვეტლივ მისი დანგრევისაკენ რომ ისწრაფვის; ეს ზუსტად ისევე ხდება, როგორც სიბერე და სიკვდილი უღლებს ბოლოს ადამიანის სხეულს.

არსებობს ორი ზოგადი გზა, რომელიც ნებისმიერი მმართველობის გადაგვარებას იწვევს: როდესაც მმართველობა იზღუდება ან როდესაც სახელმწიფო იშლება.

მმართველობა იზღუდება, როდესაც იგი რაოდენობრივად მცირდება, ე.ი. როდესაც იგი დემოკრატიული მმართველობიდან არისტოკრატიულზე, არისტოკრატიულიდან კი სამეფო მმართველობაზე გადადის; ეს მისი ბუნებრივი მიდრეკილებაა.* პირუკუ სვლის შემთხვევაში ე.ი. როდესაც შეზღუ-

---

„ქვეყნის გაუდაბურებას, ისინი მშვიდობის აღდგენას უწოდებენ“[82] ტაციტუსი, აგრიკოლა, XXX). როდესაც დიდებულთა ქიშპი საფრანგეთის სამეფოში მღელვარებას იწვევდა და როცა პარიზის კოადიუტორს[83] ჯიბეში დანით უხდებოდა პარლამენტში სიარული, ამას ფრანგი ხალხისათვის ხელი არ შეუშლია ყოფილიყო ბედნიერი და მრავალრიცხოვანი, ეცხოვრა რიგიანად და თავისუფლად. ოდესაც საბერძნეთი ყველაზე ულმობელი ომების დროსაც კი ყვაოდა; სისხლი ნაადვრებად მოედინებოდა და მთელი ქვეყანა მაინც ხალხით იყო სავსე. ასე გეგონებოდათ, – ამბობს მაკიველი,[84] – მკვლელობების, განდევნების, სამოქალაქო ომების დროს ჩვენი რესპუბლიკა უფრო ძლიერდებაო. მოქალაქეთა სიქველეს, ზნეჩვეულებებს, დამოუკიდებლობას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის განმტკიცებისათვის, ვიდრე მათ უთანხმოებებს, რასაც მათივე ქვეყნის დასუსტება მოსდევდა. მცირეოდენი მღელვარება ადამიანთა გულებს აღანთებს ხოლმე, კაცთა მოდგმის კეთილდღეობას, რეალურად, უფრო თავისუფლება უწყობს ხელს, და არა – მშვიდობა.

* ვენეციის რესპუბლიკის აუჩქარებელი ჩამოყალიბება და განვითარება მისსავე ლაგუნებს შიგნით, ამ თანმიმდევრობის ჩინებული მაგალითია; საოცარია, რომ უკვე ათას ორას წელზე მეტი ხანია, რაც ვენეციელები 1198 წელს Serrar di Consiglio-თი[85] დაწყებული განვითარების მხოლოდ მეორე სტადიაში იმყოფებიან, ძველ ჰერცოგებს რაც შეეხებათ, რომელთა გამოც მათ საყვედურობენ, Squittinio della libertà veneta-მ[86] რაც არ უნდა თქვას, დამტკიცებულია, რომ ისინი მათი სუვერენები არ ყოფილან.

დული მმართველობა რაოდენობრივად იზრდება, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მმართველობა სუსტდება, მაგრამ ასეთი უკუსვლა შეუძლებელია.

მართლაც, მმართველობა მხოლოდ მაშინ იცვლის ფორმას, როდესაც მისი მამოძრავებელი ზამბარა ყველა შესაძლებლობას ამოწურავს და იმდენად სუსტდება, რომ აღარ ძალუძს თავისი ძველი სახის შენარჩუნება. გაფართოებით იგი კიდევ უფრო მეტად სუსტდება, მისი ძალა არარაობამდე დადის და არსებობის დროც იწურება. ამრიგად, საჭიროა ხელახალი ძალისხმევა და მმართველობის მოშვებული ზამბარის შეკუმშვა; სხვაგვარად, სახელმწიფო, რომელიც ამ მმართველობას ემყარება, დაინგრევა.

სახელმწიფოს დაშლა შესაძლოა ორგვარად მოხდეს:

ჯერ ერთი, როდესაც ხელმწიფე კანონებით აღარ მართავს სახელმწიფოს და სუვერენული ხელისუფლების უზურპაციას ეწევა. ასეთ

შეიძლება, მიმითითონ რომის რესპუბლიკაზე, რომელიც ბევრის აზრით საპირისპირო გზით ვითარდებოდა – მონარქიულიდან არისტოკრატიულზე გადავიდა და არისტოკრატიულიდან – დემოკრატიულზე. მე ძალზე შორს ვარ ამგვარი მოსაზრებისაგან.

რომულუსის[87] პირველი პოლიტიკური ინსტიტუტი შერეული მმართველობა გახლდათ, რომელიც სწრაფად გადაიზარდა დესპოტიზმში. განსაკუთრებულმა მიზეზებმა სახელმწიფო, როგორც ახალშობილი, ნაადრევად დაღუპეს. ტარკვინიუსების გაძევება იყო მთელი ეპოქა, რომელმაც დასაბამი მისცა რესპუბლიკას. მაგრამ თავდაპირველად მას მყარი ფორმა არ ჰქონია, ვინაიდან პატრიციატის შეუცვლელობით საქმე სანახევროდ გასრულდა. ამრიგად, მემკვიდრეობით არისტოკრატიის, კანონიერ მმართველობათაგან ყველაზე უარეს ფორმას, უთანხმოება ჰქონდა დემოკრატიასთან; ამიტომ მმართველობის ამ გაურკვეველმა და მერყევმა ფორმამ, როგორც ეს მაკიაველიმ დაადგინა, მხოლოდ ტრიბუნატის დაწესებით მიიღო განსაზღვრული სახე, მხოლოდ მაშინ შეიქმნა ჭეშმარიტი მმართველობა და ნამდვილი დემოკრატია. მართლაც, მაშინ ხალხი არა მხოლოდ სუვერენი იყო, არამედ მაგისტრატიც და მოსამართლეც. სენატი დაქვემდებარებული ტრიბუნალი იყო, მის მოვალეობას მმართველობის კონცენტრირება და მისთვის ზომიერების მინიჭება წარმოადგენდა. თავად კონსულები, რომლებიც თუმცა პატრიციები, პირველი მაგისტრატები, მხედართმთავრები იყვნენ და ომის დროს აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდნენ, რომში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ მეთაურებს წარმოადგენდნენ.

ამის შემდეგ მმართველობამ ბუნებრივად იწყო სწრაფვა არისტოკრატიული მმართველობისაკენ. როდესაც ტრიბუნებმა თავის სასარგებლოდ იწყეს რეალური ძალაუფლების უზურპაცია, პატრიციატი, ასე ვთქვათ, თავისთავად უქმდებოდა. არისტოკრატია, ვენეციისა და გენუის[88] მსგავსად, პატრიცთა ფენაში კი არ იმყოფებოდა, არამედ პატრიციებისა და პლებეებისაგან შემდგარ სენატსა და თვით ტრიბუნათა ფენაშიც, როდესაც ტრიბუნებმა თავის სასარგებლოდ იწყეს რეალური ძალაუფლების უზურპაცია. სახელწოდებები არ ცვლიან საგანთა არსს; და თუ ქვეყანას ხალხის ნაცვლად გამგებლები მართავენ, ამ გამგებლებს რაც არ უნდა ერქვათ, ეს მმართველობა ყოველთვის არისტოკრატიულია.

არისტოკრატიული მმართველობის დროს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით დასაბამი მიეცა სამოქალაქო ომებსა და ტრიუმვირატს.[89] სულა,[90] იულიუს კეისარი,[91] ავგუსტუსი[92] ნამდვილი მონარქები იყვნენ, და ბოლოს, ტიბერიუსის[93] დესპოტიზმის დროს, სახელმწიფო დაიშალა. ამგვარად, რომის ისტორია ჩემეულ პრინციპს არ უარყოფს, იგი მას ადასტურებს.

დროს მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება: იზღუდება არა მმართველობა, არამედ სახელმწიფო. იმის თქმა მინდა, რომ იშლება დიდი სახელმწიფო და მის წიაღში ახალი სახელმწიფო იქმნება; იგი მართველობის წევრებისგანღა შედგება და დანარჩენი ხალხის მიმართ მხოლოდ გამგებელი და ტირანია. ამრიგად, იმ დროს, როდესაც მმართველობა სუვერენიტეტის უზურპაციას ეწევა, საზოგადოებრივი ხელშეკრულება დარღვეულია და ყველა რიგითი მოქალაქე, კანონით უბრუნდება რა ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობას, ვალდებულობის ნაცვლად იძულებით მორჩილებს.

იგივე შემთხვევა შეინიშნება მაშინაც, როდესაც მმართველობის წევრები, თითოეული ცალ-ცალკე ეწევა იმ ძალაუფლების უზურპაციას, რომელსაც ერთად უნდა ახორციელებდნენ. ასეთი უზურპაცია კანონების არანაკლები დარღვევაა და კიდევ უფრო მეტ არეულობას იწვევს სახელმწიფოში. ამ დროს, შეიძლება ითქვას, რამდენი მაგისტრატიცაა, იმდენი ხელმწიფეა. მმართველობაზე არანაკლებ დანაწევრებული სახელმწიფო იღუპება ან ფორმას იცვლის.

როდესაც სახელმწიფო იშლება, მმართველობის ნებისმიერი ბოროტი ქმედებანი ზოგადად ანარქიად იწოდება. ცალ-ცალკე თუ განვიხილავთ, დემოკრატია **ოქლოკრატიაში**[94] გადაიზრდება, არისტოკრატია – **ოლიგარქიაში.**[95] შემეძლო ისიც მეთქვა, რომ მონარქია **ტირანიად** გადაგვარდება. ეს უკანასკნელი ორაზროვანი სიტყვაა და განმარტებას საჭიროებს.

ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ტირანი ესაა მეფე, რომელიც მმართველობისას ძალადობას მიმართავს და სრულიად უგულებელყოფს სამართლიანობასა და კანონებს. ზუსტი მნიშვნელობით კი **ტირანი** კერძო პირია, რომელიც უკანონოდ ითვისებს მეფის ძალაუფლებას. ბერძნებს სწორედ ამ მნიშვნელობით ესმოდათ სიტყვა **ტირანი** და ამ სიტყვით განურჩევლად მოიხსენიებდნენ როგორც კარგ, ისე ცუდ მეფეებს, რომელთა ძალაუფლებაც არაკანონიერი იყო*. ამგვარად, **ტირანი** და **უზურპატორი** სინონიმებია.

---

* Omnes enim et habentur et dicuntur tyranni, qui potestsate utuntur perpetua in ea civitate quae libertate usa est – ყველა ისინი, ვისაც მტკიცე ძალაუფლება ჰქონდა სახელმწიფოში, ვინც თავისუფლებით ტკბებოდა, ტირანებად ითვლებოდნენ და იწოდებოდნენ. კორნელიუს ნეპოტი,[96] „მილტიადე“[97]. მართალია, არისტოტელე (Eth. Nicom VIII, X)[98] ტირანსა და მეფეს ერთმანეთისაგან იმით ასხვავებს, რომ პირველი სახელმწიფოს პირადი სარგებლობის საფუძველზე განაგებს, მეორე – მხოლოდ თავის ქვეშევრდომთა სასიკეთოდ. მაგრამ, იმას გარდა, რომ ყველა ბერძენ ავტორს, საერთოდ, სიტყვა „ტირანი“ სულ სხვა მნიშვნელობით ესმოდა, რასაც განსაკუთრებით ქსენოფონტის „ჰიერონე“[99] ადასტურებს, არისტოტელეს მიერ მოცემულ სხვაობას თუ დავეთანხმებით, მაშინ გამოდის რომ კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე არც ერთი მეფე არ არსებულა.

თუ ყველაფერს თავ-თავისი სახელი დაერქმევა, ტირანს მეფის ძალაუფლების უზურპატორს ვუწოდებდი, ხოლო დესპოტს – სუვერენული ძალაუფლების უზურპატორს. ტირანი ის არის, ვინც არაკანონიერად ითვისებს გამგებლობის უფლებას, რათა კანონთა თანახმად გამგებლობდეს. დესპოტი კი არის ის, ვინც თავს კანონებზე მაღლა აყენებს. ამგვარად, შესაძლოა ტირანი არ იყოს დესპოტი, მაგრამ დესპოტი ყოველთვის ტირანია.

XI თავი

პოლიტიკური კორპუსის კვდომა

ასეთი გახლავთ საუკეთესოდ მოწყობილი მმართველობების ბუნებრივი და გარდუვალი დაცემა. თუ სპარტაც დაიღუპა და რომიც, მაშ, რომელ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მარადჟამს იარსებებს? თუ მტკიცე სახელმწიფო ინსტიტუტის შექმნა გვსურს, მისი მარადიულობის უზრუნველყოფაზე ნუ ვიოცნებებთ. წარმატების მისაღწევად შეუძლებელს არ უნდა ვეცადოთ, ნურც იმით დავიიმედებთ თავს, რომ ადამიანთა შემოქმედების ნაყოფს ისეთ სიმტკიცეს მივანიჭებთ, რაც ადამიანის მიერ შექმნილისათვის უჩვეულოა.

პოლიტიკური კორპუსი, ისევე როგორც ადამიანის სხეული, დაბადებისთანავე იწყებს კვდომას და საკუთარ თავში ატარებს ნგრევის მიზეზებს. ერთმაც და მეორემაც შესაძლოა, მეტ-ნაკლები ძლიერების წყალობით, ხანგრძლივად შეინარჩუნოს თავისი აღნაგობა. ადამიანის სხეული ბუნების ქმნილებაა, სახელმწიფოს წყობა – ხელოვნების ნიმუში. ადამიანებზე არ არის დამოკიდებული საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივება. სამაგიეროდ მათზეა დამოკიდებული სახელმწიფოს არსებობის რაც შეიძლება მეტად გახანგრძლივება მისთვის შეძლებისდაგვარად საუკეთესო წყობის მინიჭებით. ასეთი წყობის მქონე სახელმწიფოსაც აქვს თავისი დასასრული, მაგრამ ეს უფრო გვიან მოხდება, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში (ცხადია, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა დროზე ადრე არ დაღუპავს მას).

პოლიტიკური ცხოვრების პრინციპი სუვერენულ ძალაუფლებაში მდგომარეობს. საკანონმდებლო ხელისუფლება სახელმწიფოს გულია, აღმასრულებელი – მისი ტვინი, რომელსაც ქვეყნის ყველა ნაწილი მოძრაობაში მოჰყავს. შესაძლოა, ტვინს დამბლა დაეცეს და პიროვნება მაინც ცოცხლობდეს. ადამიანი რჩება ჭკუასუსტი და ცოცხლობს, მაგრამ როგორც კი გული შეწყვეტს მუშაობას, ცოცხალი არსება კვდება.

სახელმწიფო არსებობს არა კანონებით, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლებით. გუშინდელი კანონი დღეს აღარაფერს გვავალდებულებს; დუმილი უსიტყვო თანხმობად აღიქმება და ჰგონიათ, რომ სუვერენი დაუსრულებლად ამტკიცებს კანონებს, რომელთა შეცვლაც მას ძალუძს, მაგრამ არ ცვლის. ყველაფერი რაც სუვერენმა ერთხელ თავის სურვილად გამოაცხადა, ასეთად რჩება მანამდე, სანამ იგი მას არ შეცვლის.

მაშ, რატომ ეკიდებიან ასეთი პატივით ძველ კანონებს? – სწორედ იმის გამო, რაც ზემოთ მოგახსენეთ. უნდა ვირწმუნოთ, რომ მხოლოდ ძველი დროის სრულქმნილმა ნებამ განაპირობა კანონთა ასეთი ხანგრძლივი არსებობა. სუვერენს ეს კანონები მარადჟამ ვარგისად რომ არ მიეჩნია, მათ ათასჯერ შეცვლიდა. აი, რატომაა, რომ ყოველ კარგად მოწყობილ სახელმწიფოში კანონები არათუ არ კარგავენ თავიანთ ძალას, არამედ გამუდმებით იძენენ ახალ მნიშვნელობას. განწყობა თვით ამ კანონთა სიძველისადმი, ძველ კანონებს ყოველდღიურად სულ უფრო საპატიოს ხდის. და ეს მაშინ, როდესაც ყველგან, სადაც კანონები ძველდება, სუსტდება კიდეც; ეს იმას მოწმობს, რომ იქ საკანონმდებლო ხელისუფლება აღარ არსებობს, რომ სახელმწიფო აღარ ცოცხლობს.

XII თავი

როგორ ინარჩუნებს არსებობას სუვერენული ძალაუფლება

სუვერენი მხოლოდ კანონებით მოქმედებს, ვინაიდან მისი ძალა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებაა. რაკი კანონები საერთო ნების უტყუარი აქტებია, ამდენად, სუვერენს მხოლოდ მაშინ ძალუძს მოქმედება, როცა ხალხი თავშეყრილია. თქვენ მეტყვით: ერთად შეყრილი ხალხი – ეს ხომ ქიმერაა! დიახ, დღეს ქიმერაა, მაგრამ ორი ათასი წლის წინ ხომ ასეთი არ ყოფილა. ნუთუ ადამიანის ბუნება შეიცვალა?

შესაძლებლის ზღვრები მორალის სამყაროში, ბევრად უფრო შეზღუდულია, ვიდრე ჩვენ გვგონია. მათ ჩვენივე სისუსტეები, ბიწიერებანი, ცრურწმენები ზღუდავენ. სულით მდაბლებს დიდი ადამიანების არ სჯერათ; როცა სიტყვა **თავისუფლება** ჩაესმით, მონებს გულისამრევად, დამცინავად ეღიმებათ.

იმის საფუძველზე რაც მოხდა, ვნახოთ თუ რა შეიძლება მოხდეს. ძველ ბერძნულ რესპუბლიკებზე არაფერს ვიტყვი. ვფიქრობ, რომის რესპუბლიკა დიდი სახელმწიფო იყო, ხოლო რომი – დიდი ქალაქი. ბოლო ცენზის[100] თანახმად, რომში ოთხასი ათასი იარაღის მტარებელი მოქალაქე ცხოვრობდა. მთელ იმპერიაში ბოლო აღწერის თანახმად – ოთხ მილიონზე მეტი და ეს ქვეშევრდომი ხალხების, უცხოელების, ქალების, ბავშვებისა და მონების გარდა.

გასაგებია, რაოდენ რთული უნდა ყოფილიყო დედაქალაქისა და მის გარეუბნებში მცხოვრები დიდძალი ხალხის შეკრება! ამის მიუხედავად, ცოტა კვირა თუ გავიდოდა ისე, რომაელები რამდენჯერმე მაინც რომ არ შეკრებილიყვნენ. ხალხი არა მარტო სუვერენიტეტის უფლებებს, არამედ მმართველობითი უფლებების რაღაც ნაწილსაც ახორციელებდა. იგი წყვეტდა გარკვეულ საქმეებს, ბჭობდა გარკვეულ სადავო საკითხებზე და სახალხო მოედანზე შეკრებილი მთელი ეს ხალხი, ისევე ხშირად იყო მაგისტრატი, როგორც მოქალაქე.

ხალხია ჩამოყალიბების პირველსავე ხანებში ვხედავთ, რომ ძველ მმართველობათა უმრავლესობას, თვით მაკედონელთა და ფრანკთა მონარქიულ მმართველობებსაც კი, მსგავსი საბჭოები ჰქონდათ. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, ეს ერთადერთი უდავო ფაქტი ნათელს ხდის ყველა სირთულეს; არსებულიდან – შესაძლებლისაკენ. ასეთი თანმიმდევრობა მე კარგი მგონია.

XIII თავი

გაგრძელება

არ არის საკმარისი, ხალხი შეიკრიბოს, ერთხელ დაადგინოს სახელმწიფოს წყობა, დაამტკიცოს კანონთა კოდექსი; ასევე არასაკმარისია, დაადგინოს მუდმივი მმართველობა, ანდა მაგისტრატების არჩევნებზე ერთხელ იხრუნოს. გაუთვალისწინებელი შემთხვევებით განპირობებული საგანგებო შეკრებების გარდა, აუცილებელია გარკვეული პერიოდული შეკრებები, რომელთაც ვერაფერი ვერც შეცვლიდა, ვერც გადაავადებდა და კანონის საფუძველზე გარკვეულ დღეს, ყოველგვარი ფორმალური მოწვევის გარეშე, ხალხი კანონიერადვე შეიკრიბებოდა.

მოწვევის კანონიერი ვადის მქონე ამ შეკრებების გარდა, ყოველი სახალხო შეკრება, რომელიც ამ საქმისათვის დანიშნული მაგისტრატების ნების გარეშე და დაუდგენელი წესების მიხედვით გაიმართება, უკანონოდ უნდა ჩითვალოს; ყველაფერი, რაც იქ მოხდება, ბათილი აღმოჩნდება, ვინაიდან თავად შეკრების მოწვევისთვის აუცილებელი განკარგულება კანონს უნდა დაეფუძნოს.

კანონიერი შეკრებების სიხშირეს რაც შეეხება, იგი იმდენ მოსაზრებაზეა დამოკიდებული, რომ მათი განსაზღვრა ძალზე ძნელი აღმოჩნდებოდა. ზოგადად შეიძლება ითქვას მხოლოდ შემდეგი: რაც უფრო ძლიერია მმართველობა, მით უფრო ხშირად უნდა გამოავლინოს თავი სუვერენმა.

მეტყვიან: შესაძლოა ეს ერთი ქალაქისათვის იყოს გამოსადეგი, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როცა სახელმწიფოში მრავალი ქალაქია? სუვერენული ხელისუფლება ხომ არ დაგვეყო, ანდა მხოლოდ ერთ ქალაქში ხომ არ მოგვეყარა და ყველა დანარჩენი დაგვექვემდებარებინა?

პასუხად მოგახსენებთ, რომ არც ერთია საჭირო, და არც მეორე. ჯერ ერთი, სუვერენული ხელისუფლება მარტივია და ერთი და შეუძლებელია, იგი ისე დავყოთ, რომ არ დავანგრიოთ. მეორე, რომელიმე ერთი ქალაქი, ისევე როგორც ერთი რომელიმე ხალხი, შეუძლებელია, კანონიერად ემორჩილებოდეს მეორე ქალაქს, ვინაიდან პოლიტიკური კორპუსის არსი მორჩილებისა და თავისუფლების თანხმობაშია, ხოლო სიტყვები **ქვეშევრდომი და სუვერენი** იდენტური თანაფარდობები გახლავთ, რომელთა ცნებებიც ერთ სიტყვაში – **მოქალაქე** ერთიანდება.

ასევე მიზანშეუწონელია ბევრი ქალაქის ერთ სამოქალაქო საზოგადოებად (la cité) გაერთიანება; თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ ასეთ კავშირს შევქნით და თავიდან ავიცილებთ მისგან მომდინარე ბუნებრივ შეუსაბამობებს. დიდი სახელმწიფოების ბოროტ ქმედებათა საბაბით დავას ნუ დაუწყებთ იმათ, ვინც პატარა სახელმწიფოებს ემხრობა. მაგრამ როგორ შეიძინოს პატარა სახელმწიფომ საკმარისი ძალა, რათა დიდ სახელმწიფოებს ისე გაუწიოს წინააღმდეგობა, როგორც ოდესღაც ეს ბერძნულმა ქალაქებმა შეძლეს სპარსეთის დიდი მეფის[101] მიმართ, ან არცთუ დიდი ხნის წინ ჰოლანდიამ და შვეიცარიამ – ავსტრიის სამეფო სახლის[102] წინააღმდეგ?

და მაინც, თუ არ ხერხდება სახელმწიფოს ფართობის ზუსტ ზღვრებამდე დაყვანა, მაშინ გამოსავალი ერთია: არ დავუშვათ დედაქალაქის არსებობა, აიძულოთ მმართველობა, ყოველ ქალაქში თანმიმდევრულად დაიდოს ბინა და თითოეულ ამ ქალაქში რიგრიგობით დაიბაროს ამ ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა მაგისტრატები.

ქვეყნის ტერიტორია დაასახელეთ თანაბრად, ყველას ერთი და იგივე უფლებები დაუდგინეთ, ყველა მხარეში უზრუნველყავით სიუხვე და სიცოცხლე; სახელმწიფო სწორედ ასე გახდება მაშინვე ყველაზე ძლიე-

რიც, და შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ მართულიც. გახსოვდეთ, ქალაქის კედლები მხოლოდ სოფლის სახლების ნანგრევებზე აღიმართება. დედაქალაქის ყოველი მშენებარე სასახლის შემხედვარეს ასე მგონია, მთელი ქვეყანა ქოხმახებით როგორ იფარება, იმას ვუყურებდე.

XIV თავი

გაგრძელება

როგორც კი ხალხი კანონის საფუძველზე სუვერენული კორპუსის სახით შეიკრიბება, მმართველობის ყოველგვარი იურისდიქცია წყდება, აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება ჩერდება და უკანასკნელი მოქალაქის პიროვნებაც ისეთივე წმინდა და ხელშეუხები ხდება, როგორც პირველი მაგისტრატისა, ვინაიდან იქ, სადაც არის წარმომადგენელი, წარმომდგენი ვერ იქნება. რომში კომიციების[103] უმრავლეს მღელვარებათა მიზეზი ის გახლდათ, რომ მათ ეს წესი არ იცოდნენ, ან უგულებელყოფდნენ. მაშინ კონსულები მხოლოდ ხალხის პრეზიდენტები იყვნენ, ტრიბუნები — უბრალო ორატორები,* სენატს კი არავითარი წონა არ გააჩნდა.

როდესაც ხელმწიფე თავის ძალაუფლებას დროებით შეაჩერებდა და რეალურ მეუფეს აღიარებდა (ან აღიარებას აპირებდა), ძალაუფლების შეწყვეტის ეს შუალედები მისთვის მუდამ სახიფათო იყო. პოლიტიკური კორპუსის მფარველი და მმართველობის შემზღუდავი ეს სახალხო კრებები ყველა დროს შიშის ზარს სცემდნენ ქვეყნის გამგებლებს; ამიტომ ისინი დიდი მონდომებით უპირისპირდებოდნენ ამ კრებებს, წინააღმდეგობებსა და სირთულეებს უქმნიდნენ მათ, დაპირებებსაც არ ერიდებოდნენ, რათა მოქალაქეებში ამ კრებების სურვილი ჩაეხშოთ. ძუნწ, მხდალ, სულმოკლე მოქალაქეებს თავისუფლებას სიმშვიდე ურჩევნიათ; ამდენად, ისინი დიდხანს ვერ ითმენენ მმართველობის გაორმაგებულ ზეწოლას, წინააღმდეგობის ძალა სულ უფრო და უფრო მატულობს, საბოლოოდ, სუვერენულ ძალაუფლებას ერევა და აქრობს. სამოქალაქო საზოგადოებათა (les cités) დიდი ნაწილი ეცემა და ნაადრევად იღუპება.

მაგრამ ზოგჯერ სუვერენულ ხელისუფლებასა და თვითნებურ მმართველობას შორის ადგილს იკავებს შუალედური ხელისუფლება, რაც ასევე უნდა განვიხილოთ.

---

* დაახლოებით იმავე მნიშვნელობით, როგორსაც ინგლისის პარლამენტში ანიჭებენ ამ სიტყვას. ამ მოვალეობათა ერთგვარობა კონსულებსა და ტრიბუნებს შორის უთანხმოებას გამოიწვევდა, მთელი იურისდიქციის ქმედება თუნდაც შეჩერებულიყო.

XV თავი

დეპუტატები ანუ წარმომადგენლები

როგორც კი საზოგადოების სამსახური მოქალაქეთა ძირითადი საქმიანობა აღარ იქნება და პირადად სამსახურს, საკუთარი ქისით სამსახურს ამჯობინებენ, სახელმწიფო დაღუპვის ზღურბლზე აღმოჩნდება. თუ საბრძოლველად წასვლა იქნება საჭირო, ასეთი პიროვნებები ჯარს დაიქირავებენ, თვითონ კი შინ დარჩებიან; თუ საბჭოში წასვლა იქნება საჭირო, ისინი დეპუტატებს დანიშნავენ, თვითონ კი საკუთარ სახლს არ მოშორდებიან. დაბოლოს, სიზარმაცისა და ფულის წყალობით, მათ ეყოლებათ ჯარისკაცები, რათა საკუთარი სამშობლო დაიმონონ, და წარმომადგენლები, რათა იგი გაყიდონ.

კომერციასა და ხელოსნობასთან დაკავშირებული ფუსფუსი, მოგებისადმი ხარბი ინტერესი, მოყირჭებული ცხოვრებით გამოწვეული მოდუნება და კომფორტის სიყვარული — აი ის, რაც პიროვნებას საქვეყნო სამსახურს ფულზე აცვლევინებს. საკუთარი სარგებლის რაღაც ნაწილს თმობენ, რათა მშვიდად გაზარდონ იგი. გაიღეთ ფული და მალე ბორკილებში აღმოჩნდებით. სიტყვა **ფინანსები** მონობის აღმნიშვნელი სიტყვაა, სამოქალაქო საზოგადოებისათვის იგი უცნობია. ჭეშმარიტად თავისუფალ ქვეყანაში მოქალაქეები ყველაფერს საკუთარი მარჯვენით ქმნიან და არა — ფულით. საკუთარი მოვალეობებისაგან თავის დასახსნელად ფულის გაღება მათ აზრადაც არ მოსდით, პირიქით, უმალ იმისთვის გადაიხდიდნენ, რომ პირადად შეესრულებინათ ისინი. მე ძალზე შორს ვარ ზოგადად გავრცელებულ მოსაზრებათაგან და მიმაჩნია, რომ საბატონო ბეგარა უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგება თავისუფლებას, ვიდრე ფულადი გადასახადები.

რაც უფრო უკეთაა მოწყობილი სახელმწიფო, მოქალაქეების შეგნებაში საზოგადოებრივ საქმეებს კერძოსთან შედარებით მით უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება. ასეთ სახელმწიფოში კერძო საქმეებს გაცილებით ნაკლებად მისდევენ, საერთო კეთილდღეობის ჯამიდან მიღებული წილი იმდენად მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდისათვის, რომ კეთილდღეობის მისაღწევად პირადი ფაცაფუცი ნაკლებად სჭირდება. კარგად მართულ სამოქალაქო საზოგადოებაში სახალხო კრებებზე დასასწრებად ყველა ხალისით მიიჩქარის, ცუდი მმართველობის ქვეყანაში კი ნებიჯის გადადგმაც არ სურთ კრებაზე წასასვლელად, ვინაიდან რაც იქ ხდება, არავის აინტერესებს, რადგან წინასწარ იციან, რომ კრება საერთო ნების

[illegible] არ იქნება; გარდა ამისა, პიროვნების შეგნებაში საოჯახო სიბრუნავები ნთქავენ ყველა მოწოდებას. კარგი კანონები საუკეთესოთა დასაბამია, ცუდი — უარესებისა.

როგორც კი ვინმე საქვეყნო საქმეების შესახებ იტყვის: „რა ჩემი საქმეაო?“ — ის სახელმწიფო დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

სამშობლოს სიყვარულის განელებამ, კერძო ინტერესის გაძლიერებამ, თვალუწვდენელმა სახელმწიფოებმა, დაპყრობებმა, მმართველობის ბოროტად გამოყენებამ წარმოშვეს სახელმწიფო კრებებზე დეპუტატები ანუ ხალხის წარმომადგენლები. ეს ისაა, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში ბედავენ და „მესამე წოდებას“ ეძახიან. ამგვარად, პირველ და მეორე ადგილზეა ორი წოდების კერძო ინტერესი, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესი — მხოლოდ მესამეზე.

სუვერენიტეტი არ შეიძლება წარმოდგენილი იქნას იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეიძლება მისი გასხვისება. სუვერენიტეტი მხოლოდ საყოველთაო ნებაშია გაცხადებული, მისი წარმოდგენა კი შეუძლებელია: იგი ან საყოველთაოა, ან სხვა რამ ნებაა, საშუალო აქ არ შეიძლება იყოს. ხალხის დეპუტატები არ არიან და არც შეიძლება ხალხის წარმომადგენელები იყვნენ, ისინი მხოლოდ მისი რწმუნებულები არიან; საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მათ არ შეუძლიათ. ნებისმიერი კანონი, რომელიც ხალხის მიერ პირადად არ არის დამტკიცებული, ფუჭია; მას კანონიც არ ეთქმის. ინგლისელებს თუ მიაჩნიათ, რომ თავისუფალნი არიან, ძლიერ ცდებიან; ისინი თავისუფალნი არიან მხოლოდ პარლამენტის წევრთა არჩევის დროს; როგორც კი მათ აირჩევენ, მონებად, არარაობად იქცევიან. საკუთარი თავისუფლებით ხანმოკლე სარგებლობა იმას იმსახურებს, რომ იგი დაკარგონ.

წარმომადგენელთა არსებობა თანამედროვე იდეაა. იგი მომდინარეობს ფეოდალური მმართველობიდან, ამ უსამართლო და აბსურდული მმართველობის ფორმიდან, რომლის დროსაც ადამიანის მოდგმა დამცირებულია, პიროვნება — პატივაყრილი. ძველ რესპუბლიკებში, თვით მონარქიებშიც, ხალხს წარმომადგენლები არასოდეს ჰყოლია. მისთვის ეს სიტყვაც კი უცნობი იყო. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია — რომში ტრიბუნები იმდენად სპეტაკნი იყვნენ, რომ ვერც კი წარმოედგინათ ხალხის უფლებების უზურპირება თუ შეეძლოთ. მათ არასოდეს უცდიათ, მრავალრიცხოვან მასაში საკუთარი სახელით თუნდაც ერთი პლებისციტის გატანა. ზოგჯერ ბრბო საოცარ სირთულეებს ქმნიდა. ამის შესახებ თუნდაც იმის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რაც გრაკჭუსების დროს[104] ხდებოდა, როდესაც მოქალაქეთა ერთი ნაწილი ხმას სახურავებიდან იძლეოდა.

სადაც სამართალი და თავისუფლება ზეიმობს, შეუსაბამობებს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებათ. რომაელებში — ამ გონიერ ხალხში — ყველაფერი ზუსტად შეესაბამებოდა ერთმანეთს; იგი თავის ლიქტორებს[105] იმის ნებას რთავდა, რასაც ტრიბუნები ვერ გაბედავდნენ. მას არ აშინებდა, რომ ლიქტორებს შეიძლება ხალხის წარმომადგენლობა მოესურვებინათ.

იმის ასახსნელად, თუ რატომ წარმომადგენლობდნენ ზოგჯერ ტრიბუნები ხალხს, საკმარისია გავიგოთ, როგორ წარმომადგენლობს მმართველობა სუვერენს. ვინაიდან კანონი მხოლოდ საერთო ნების გამოხატულებაა, ცხადია, საკანონმდებლო ხელისუფლებაში ხალხი არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს, მაგრამ მას შეუძლია და უნდა იყოს კიდეც წარმოდგენილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა კანონს მინიჭებული ძალა; ეს მოწმობს შემდეგს: თუ კარგად შევისწავლით საგანთა არსს, დავრწმუნდებით, რომ ძალზე ცოტა ხალხსა აქვს კანონები. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ცხადია ტრიბუნებს, რომელთაც არავითარი წილი არ ედოთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, თავიანთ თანამდებობრივ უფლებათა საფუძველზე არასოდეს შეეძლოთ რომაელთა წარმომადგენლობა გაეწიათ; ასეთი რამ მათ მხოლოდ სენატის უფლებათა უზურპაციით თუ შეეძლოთ.

ბერძნები თავად აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი ევალებოდათ; ისინი განუწყვეტლივ იკრიბებოდნენ მოედანზე. თბილი ჰავის პირობებში მცხოვრები ეს ხალხი, არ იყო ხარბი; ყველა სამუშაოს მონები ასრულებდნენ; ბერძნები ყველაზე მეტად საკუთარი თავისუფლებისათვის იღვწოდნენ. იგივე უპირატესობანი თუ აღარ გაბადიათ, იმავე უფლებებს როგორღა შეინარჩუნებთ? თქვენი ქვეყნის მკაცრი ჰავა მეტ თავსატეხს გიჩენთ.* წელიწადში ექვსი თვის მანძილზე სახალხო მოედანი კრებებისათვის არ გამოგადგებათ; თქვენი ყრუ ბგერები ღია სივრცეში არ გაისმის; თავისუფლებაზე მეტად სარგებელზე ზრუნავთ და მონობაზე მეტად სიღარიბე გაშინებთ.

როგორ? თავისუფლების შენარჩუნება მხოლოდ მონობის საფუძველზეა შესაძლებელი?! არ არის გამორიცხული, ეს ორი უკიდურესობა ებება ერთმანეთს. რაც ბუნებაში არ გვხვდება, ყველაფერს თავისი შეუსაბამობები ახასიათებს და სამოქალაქო საზოგადოებაში ეს კიდევ უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე სხვაგან. არსებობს ისეთი წყეული მომენტი, როდესაც საკუთარი თავისუფლების შენარჩუნება მხოლოდ სხვისი თავისუფლების ხარჯზეა შესაძლებელი, როდესაც მოქალაქე საკუთარი თავისუფალი მხოლოდ მაშინაა, როცა მონა უკიდურესად დამონებულია. ასეთი იყო სპარტის მდგო-

* ცივ ქვეყნებში აღმოსავლური ფუფუნებისა და განცხრომის შეტანა ნიშნავს, რომ გსურთ, მათი ბორკილები დაიდოთ;

მარეობა. თქვენ, თანამედროვე ხალხებს რაც შეგეხებათ, მონები თქვენ არა გყავთ, მაგრამ თავადა ხართ მონები; მათ თავისუფლებას თქვენივე საკუთარით ზღავთ; ამ უპირატესობით შეგიძლიათ დაიკვეხნოთ კიდეც, მაგრამ მე მას უფრო სიმხდალედ მივიჩნევ და არა – ჰუმანურობად.

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს მონების ყოლაა საჭირო, ანდა მონობის უფლებაა კანონიერი; საპირისპირო რამ უკვე დავამტკიცე, მე მხოლოდ მივუთითე ბიზუხებზე, თუ თანამედროვე ხალხებს, რომლებიც თავს თავისუფლად მიიჩნევენ, რატომ ჰყავთ წარმომადგენლები და რატომ არ ჰყავდათ ისინი ძველ ხალხებს. როგორც არ უნდა იყოს, ხალხი წარმომადგენლებს დაინიშნავს თუ არა, უკვე აღარაა თავისუფალი, იგი აღარ არსებობს.

ყოველივე ამის საფძველიანი შესწავლით დავრწმუნდი, რომ ამიერიდან სუვერენი თავის უფლებების შენარჩუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ სამოქალაქო საზოგადოება ძალზე მცირეა. მაგრამ თუ იგი ძალზე პატარაა, დაპყრობილი არ იქნება? არა! ქვემოთ გიჩვენებთ*, დიდი ხალხის საგარეო ძლიერება თუ როგორ შევახამოთ პატარა ქვეყნის მოხერხებულ მმართველობასა და კარგ წესრიგთან.

XVI თავი

მმართველობის დადგენა ხელშეკრულება არ გახლავთ

საკანონმდებლო ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯერი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მიდგება; ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ კერძო აქტებით მოქმედებს, იგი პირველისაგან თავისი არსით განსხვავდება და მისგან ბუნებრივად არის გამოყოფილი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სუვერენს აღმასრულებელი ხელისუფლება ჰქონოდა, მაშინ უფლება და ქმედება ერთმანეთში აღირეოდა და შეუძლებელი იქნებოდა იმის გარჩევა, რა არის კანონი და რა არა. ამასთან, შერყვნილი პოლიტიკური კორპუსი გახდებოდა მსხვერპლი ძალადობისა, რის საწინააღმდეგოდაც იგი შეიქმნა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანახმად, ვინაიდან ყველა მოქალაქე თანასწორია, ყველას შეუძლია დააწესოს ის, რაც ყველამ უნდა შეასრულოს. ეს მაშინ, როდესაც არავისა აქვს უფლება სხვას მოსთხოვოს ის, რასაც თავად არ აკეთებს. სწორედ პოლიტიკური კორპუსის არსებობისა და მოქმედების განმსაზღვრელ ამ აუცილებელ უფლებას გადასცემს სუვერენი ხელმწიფეს მმართველობის დადგენით.

ბევრი ამტკიცებდა, რომ მმართველობის დადგენის ეს აქტი არის ხელშეკრულება ხალხსა და გამგებლებს შორის, რომელთაც ხალხი ნიშნავს. ხელშეკრულების თანახმად ორივე მხარე ადგენს პირობებს, თანაც ერთი მხარე გამგებლობას, მეორე მორჩილებას კისრულობს. დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ ასეთი რამ საკმაოდ უცნაური პირობაა ხელშეკრულების დასადებად. ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია ასეთი რამ.

ჯერ ერთი, უმაღლესი ხელისუფლების შეცვლა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მისი გასხვისება; მისი შეზღუდვა ნიშნავს მის მოსპობას. უაზრო წინააღმდეგობა იქნებოდა, სუვერენს მასზე ზემდგომი რომ დაენიშნა; რომელიმე ბრძანებელს დამორჩილებით თავის დავალდებულება სრული თავისუფლებისაკენ მიბრუნებაა.

გარდა ამისა, ხალხის მიერ ამა თუ იმ პიროვნებებთან დადებული ასეთი ხელშეკრულება არის კერძო აქტი; აქედან გამომდინარე, ეს ხელშეკრულება ვერც კანონი იქნება და ვერც – სუვერენიტეტის აქტი; მაშასადამე, აღნიშნული ხელშეკრულება არაკანონიერი იქნება.

ისიც ნათელია, რომ ხელისმომწერი მხარეები კანონის თანახმად, იქნებიან ურთიერთდაქვემდებარებულნი და ერთმანეთის წინაშე მათ მოვალეობებს არავითარი თავდები არ ეყოლება, რაც ყოველმხრივ ეწინააღმდეგება სამოქალაქო მდგომარობას: ვის ხელშიც ძალაა, აღმასრულებელიც ის იქნება. ასე რომ შეიძლებოდა, ხელშეკრულება გვეწოდებინა აქტებისათვის, რითაც ერთი კაცი მეორეს ეტყვის: „მე მთელ ჩემ ქონებას გაძლევთ იმ პირობით, რომ დაიბრუნებთ იმას, რასაც თქვენ მოისურვებთ“.

სახელმწიფოში ერთადერთია საზოგადოების ხელშეკრულება, იგი გამორიცხავს ყველა სხვა ხელშეკრულებას. შეუძლებელია წარმოიდგინოთ რაიმე სხვა საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომელიც პირველის დარღვევა არ იქნებოდა.

XVII თავი

მმართველობის დადგენა

ამრიგად, რა მნიშვნელობით უნდა გავიგოთ აქტი, რითაც მმართველობა დგინდება? თავიდანვე შევნიშნავ, რომ ეს რთული აქტია და ორი

* აქაზე საუბარს ვფიქრობდი ამ ტრაქტატის გაგრძელებაში; კერძოდ, საგარეო ურთიერთობების განხილვისას კონფედერაციის საკითხებზეც მსურდა მესაუბრა. ეს სრულიად ახალი თემაა, რომლის პრინციპებიც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

სხვა ქვეაქტისაგან – კანონის დადგენისაგან და კანონის აღსრულებისაგან – შედგება.

პირველი აქტით, სუვერენი ადგენს, რომ იქმნება მმართველობითი კორპუსი ამა თუ იმ ფორმით; ცხადია, ეს აქტი არის კანონი.

მეორე აქტით, ხალხი ნიშნავს გამგებლებს, რომელთაც დაევალებათ დადგენილი მმართველობის აღსრულება. ვინაიდან ეს დანიშვნა კერძო აქტია, ამდენად, ეს არაა დამოუკიდებელი მეორე კანონი, არამედ მხოლოდ პირველის გაგრძელება და მმართველობის ფუნქციაა.

როული გასაგებია ის, თუ როგორაა შესაძლებელი, მმართველობითი აქტი წინ უსწრებდეს მის შექმნას და როგორ შეიძლება, ხალხი რომელიც მხოლოდ სუვერენი ან ქვეშევრდომია, გარკვეულ შემთხვევაში ხელმწიფე ან მაგისტრატი გახდეს.

ამ შემთხვევაშიც მოწმე ვხდებით პოლიტიკური კორპუსის კიდევ ერთი უცნაური თვისებისა, რითაც ეს კორპუსი ერთმანეთს უთანხმებს გარეგნულად წინააღმდეგობრივ ქმედებებს; ეს თვისება ვლინდება სუვერენიტეტის დემოკრატიად უეცარი გარდაქმნით, ყოველგვარი საგრძნობი ცვლილებების გარეშე, მხოლოდ ყველასადმი ყველას ახალი მიმართებით; მაგისტრატებად ქცეული მოქალაქეები ზოგადი აქტებიდან კერძოზე და კანონიდან მის აღსრულებაზე გადადიან.

შეფარდების ეს ცვლილება პრაქტიკულად გამოუყენებელი სპეკულაციური გამჭრიახობის შედეგი როდი გახლავთ. ასეთი რამ ყოველდღიურად ხდება ინგლისის პარლამენტში, სადაც გარკვეულ შემთხვევებში ქვედა პალატა დიდ კომიტეტად გარდაიქმნება ხოლმე, რათა უკეთ განაგოს საქმეები; ამრიგად, იგი ცოტა ხნის წინანდელი სუვერენული კრებიდან უბრალო კომისიად გადაიქცევა, შემდეგ საკუთარ თავს როგორც თემთა პალატას, მოახსენებს ყოველივეს, რაც დიდი კომიტეტის სახელით დაადგინა.

ამგვარი გახლავთ დემოკრატიული მმართველობის უპირატესობა; იგი რეალურად შეიძლება დადგინდეს საერთო ნების მარტივი აქტით; რის შემდეგაც ეს წინასწარი მმართველობა რჩება ხელისუფლების სათავეში (თუ მიიღებს ამ ფორმას) ან სუვერენის სახელით ადგენს კანონით დაწესებულ მმართველობას. ამრიგად, ყველაფერი წესის შესაბამისად ხდება. ზემოთ დადგენილ პრინციპებზე უარის უთქმელად, რომელიმე სხვა კანონიერი საშუალებით, მმართველობის დამყარება შეუძლებელია.

XVIII თავი

მმართველობის უზურპაციის თავიდან ასაცილებელი საშუალებები

ამ განმარტებებიდან გამომდინარეობს ასევე (და XVI თავს ემოწმება), რომ მმართველობის დადგენის აქტი არის კანონი და არა ხელშეკრულება. აღმასრულებელი ხელისუფლების დამცველნი ხალხის ჩინოვნიკები არიან და არა მბრძანებლები. მათი დანიშვნა და შეცვლა ხალხს სურვილისამებრ შეუძლია. ამ ჩინოვნიკთა მოვალეობაა მორჩილება და არა ხელშეკრულების დადება; სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებით ისინი მხოლოდ თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს აღასრულებენ და არავითარი უფლება აქვთ, პირობებზე იდავონ.

როდესაც ხალხი ადგენს მემკვიდრეობითი მმართველობის ფორმას, – ან მონარქიულს ერთ რომელიმე ოჯახში, ან არისტოკრატიულს – მოქალაქეთა გარკვეულ ფენაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ვალდებულებას კისრულობს; ეს არის რაღაც დროებითი ფორმა, რასაც იგი ანიჭებს მმართველობას მანამ, ვიდრე მის სხვაგვარად მოწყობას მოისურვებს.

ცხადია, ეს ცვლილებები ყოველთვის სახიფათოა. დადგენილი მმართველობის ფორმა მხოლოდ მაშინ უნდა შევცვალოთ, როდესაც იგი საზოგადოებრივ კეთილდღეობას აღარ უპასუხებს. ასეთი სიფრთხილე პოლიტიკური მაქსიმაა და არა სამართლის წესი. სახელმწიფო თანაბრად უნდა ცდილობდეს სამოქალაქო ძალაუფლება თავის გამგებლებს არ დაუტოვოს და სამხედრო ძალაუფლება გენერლებს.

ასეთივე სიმართლეა ისიც, რომ მსგავს შემთხვევაში, გულითაც რომ მოინდომონ, ვერც სწორი და კანონიერი აქტის ყველა დადგენილი ფორმალობის გამორჩევას მოახერხებენ საამბოხო შფოთისაგან და ვერც მთელი ხალხის ნებას განასხვავებენ ერთი რომელიმე ფრაქციის შეძახილისაგან. ასეთი სახიფათო გამონაკლისის წილად უნდა დავიტოვოთ მხოლოდ ის, რისი უარყოფაც სამართლის მთელი სიმკაცრით შეუძლებელია. თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად სწორედ ამ ვალდებულებიდან იღებს ხელმწიფე დიდ უპირატესობას ხალხის ნების მიუხედავად, თანაც ისე, რომ ვერ იტყვით, იგი ძალაუფლების უზურპაციას ეწეოდაო, ვინაიდან, გარეგნულად, მხოლოდ თავისი უფლებების მიხედვით მოქმედებდა და ძალზე იოლად შეუძლია მათი გაფართოება-გავრცობა, საზოგადოებრივი სიმშვიდის საბაბით კი შეუძლია ხელი შეუშალოს ნამდვილი წესრიგის აღსადგენად დანიშნულ კრებებს.

ამგვარად, სარგებლობს სიჩუმით, რის დარღვევასაც თავადვე უშლის ხელს და უწესრიგობებით, რასაც თავადვე ხდის შესაძლებელს, რათა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იმათი თანხმობა, ვინც შიშის გამო დუმს და დასაჯოს ისინი, ვინც ლაპარაკს ბედავს. სწორედ ასე, თავდაპირველად ერთი წლის ვადით არჩეულმა დეცემვირებმა, კიდევ ამდენივე ხნით რომ გაიხანგრძლივეს თავიანთი უფლებამოსილება, მისი სამუდამოდ შენარჩუნება სცადეს და კომიციებს შეკრების ნება აღარ დართეს. სწორედ ამ იოლი საშუალების წყალობით, იმთავითვე საზოგადოებრივი ძალით აღჭურვილი მსოფლიოს ყველა მმართველობა ადრე თუ გვიან სუვერენული ძალაუფლების უზურპაციას ახდენს.

პერიოდულ კრებებს, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, შეუძლიათ ამ უბედურების თავიდან არიდება ან აღკვეთა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი მოწვევა ფორმალობებს არ საჭიროებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ხელმწიფე ვერ შეძლებს მათთვის ხელის შეშლას, თავი თუ საჯაროდ კანონთა დამრღვევად და სახელმწიფოს მტრად არ გამოავლინა.

ეს კრებები, რომელთა მიზანიც მხოლოდ საზოგადოებრივი ხელშეკრულების შენარჩუნებაა, უნდა დაიწყოს ორი წინადადებით, რომელთაც ვერასოდეს ვერ შეცვლიან და ცალ-ცალკე უყრიან კენჭს:

პირველი: „სურს თუ არა სუვერენს მმართველობის არსებული ფორმის შენარჩუნება?“

მეორე: „სურს თუ არა ხალხს მმართველობა შეუნარჩუნოს კვლავ იმათ, ვისაც იგი ამჟამად აბარია?“

აქ მე იმას ვგულისხმობ, რაც, მგონი, უკვე დავამტკიცე; კერძოდ: სახელმწიფოში არ არსებობს არც ერთი ძირითადი კანონი (თვით საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც კი), რომლის შეცვლაც არ შეიძლებოდეს; ვინაიდან, თუ საერთო თანხმობის საფუძველზე ყველა მოქალაქე ამ ხელშეკრულების დასარღვევად შეიკრიბება, უეჭველია, მისი დარღვევა სრულიად კანონიერად მოხდება. გროციუსი იმასაც კი ფიქრობს, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია უარი თქვას სახელმწიფოზე, რომლის წევრიცაა, ქვეყნიდან გასვლისას* დაიბრუნოს საკუთარი ბუნებრივი თავისუფლება და თავისი ქონება. უგულურება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა მოქალაქეს ერთად არ შეუძლია ის, რაც თითოეულ მათგანს ცალკე შეუძლია.

---

* ცხადია, ქვეყანას, როდესაც მას ჩვენი თავი სჭირდება, იმ დროს იმისთვის არ ტოვებენ, რომ მოვალეობას თავი აარიდონ და სამშობლოს სამსახურს თავი დააღწიონ. ასეთ შემთხვევაში გაქცევა დანაშაული იქნებოდა, რომელიც სასჯელს იმსახურებს. ეს წასვლა კი არა, დეზერტირობა იქნებოდა.

წიგნი მეოთხე

I თავი

საერთო ნების დაურღვევლობა

ვიდრე ადამიანთა გარკვეული ერთობლიობა თავს ერთ კორპუსად მიიჩნევს, მათი აქვთ ერთი ნება, რომლის მიზანი ამ მთელის შენარჩუნებასა და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მამოძრავებელი ძალები ძლიერი და მარტივია, მაქსიმები – ნათელი და მკაფიო; ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ ინტერესებს ადგილი არ აქვს, საერთო კეთილდღეობა ყველგან ნათლად იგრძნობა და მხოლოდ საღი გონებაა საჭირო მის დასანახავად. მშვიდობა, ერთობა, თანასწორობა პოლიტიკური ფანდების მტერია. გულუბრყვილო და უბრალო ადამიანთა მოტყუება მათივე უბრალოების გამოა ძნელი: სატყუარები, რაფინირებული საამებლები, მათზე არ მოქმედებენ; ისინი არც ისე ბრიყვები არიან, რომ ანკესზე წამოეგონ. როდესაც ხედავთ ქვეყნად ყველაზე ბედნიერ ხალხში როგორ წყვეტენ სახელმწიფო საქმეებს მუხის ძირას შეკრებილი გლეხები და დღენიადაგ როგორ გონივრულად იქცევიან, ნუთუ შეიძლება სიძულვილით არ განიმსჭვალოთ სხვა ხალხთა სინატიფის მიმართ, ამდენი მონდომებითა და იდუმალებით სახელი რომ მოუხვეჭიათ და შესაბრალისი გამხდარან?

ასე მართული სახელმწიფო ძალზე ცოტა კანონებს საჭიროებს და ახალი კანონების შექმნა თუ აუცილებელი ხდება, ეს აუცილებლობა ყველგან იგრძნობა. პირველი, ვინც ხალხს ახალ კანონებს შესთავაზებს, მხოლოდ იმას განაცხადებს, რასაც ისედაც ყველა გრძნობს; ამდენად, არც პოლიტიკური ხრიკებია საჭირო და არც მჭევრმეტყველება, რათა კანონად აქციონ ის, რისი ქმნაც ყველას გადაუწყვეტია, ოღონდ თითოეული უნდა დარწმუნდეს, რომ სხვებიც მასავით მოიქცევიან.

რეზონიორები შეცდომაში შეჰყავს შემდეგ გარემოებას: მათ თვალწინ უდგათ მხოლოდ დასაბამიდანვე ცუდად მოწყობილი სახელმწიფოები და ამიტომ გაოცებულნი არიან მსგავსი საზოგადოებრივი წყობის შენარჩუნების შეუძლებლობით. მათ ეცინებათ იმის წარმოდგენისას, თუ მარჯვე თაღლითი ან ურცხვი ყბედი როგორ დააჯერებს ყველა უაზრობაში პარიზის ან ლონდონის მკვიდრთ. მათ არ იციან, რომ კრომველი[106] ბერნის მცხოვრებლებმა დასაჯეს, ხოლო ბოფორის ჰერცოგი[107] ჟენეველებმა გაშოლტეს.

როდესაც საზოგადოებრივი კავშირი მოეშვება და სახელმწიფო დაუძლურებას იწყებს, როდესაც შეიმჩნევა კერძო ინტერესებისა და პატარა საზოგადოებების ზეგავლენა დიდ საზოგადოებებზე, საერთო ინტერესი იცვლება და მოწინააღმდეგები უჩნდება; არჩევნებში აღარ არის ერთსულოვნება; საერთო ნება ყველას ნება აღარაა; იწყება წინააღმდეგობები, დებატები და საუკეთესო აზრს გასამარჯვებლად დიდი კამათი სჭირდება.

დაბოლოს, როდესაც დალუპვის პირას მისული სახელმწიფო არსებობს მხოლოდ ილუზორული და ფუჭი ფორმის წყალობით, როდესაც საზოგადოებრივი კავშირები ყველას შეგნებაში გაწყვეტილია, როდესაც ყველაზე მდაბალი ინტერესი უტიფრად ინიღბება საზოგადოებრივი კეთილდღეობის წმინდა სახელით, საერთო ნება მუნჯდება. ყველას ფარული მოტივები ეუფლება და მოქალაქეებივით არავინ მსჯელობს, თითქოს ოდესმე არც მათი სახელმწიფო არსებულა და კანონის სახელით თაღლითურად ატარებენ უსამართლო დეკრეტებს, რომელთაც მხოლოდ კერძო ინტერესი აქვთ.

ყოველივე ეს საერთო ნების გაუქმებასა და გახრწნაზე ხომ არ მიუთითებს? არა, საერთო ნება ყოველთვის უცვლელი, მტკიცე და წმინდაა, მაგრამ იგი ექვემდებარება სხვა ნებებს, რომლებიც მას აღემატებიან. თითოეულ მოქალაქეს კარგად ესმის, რომ საერთო ინტერესისაგან საკუთარის გამოყოფით, მაინც არ ძალუძს აბსოლუტურად გამოაცალკეოს თავისი ინტერესი; მაგრამ საერთო ბოროტებაში თავისი წილი მას უმნიშვნელოდ ეჩვენება იმ განკერძოებულ კეთილდღეობასთან შედარებით, რისი დასაკუთრებაც მას სწადია. გარდა პირადი კეთილდღეობისა, იგი, თავისივე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ისევე ძალუმად ილტვის საერთო კეთილდღეობისაკენ როგორც ნებისმიერი სხვა; საკუთარი ხმის ფულზე გაყიდვითაც კი არ ახშობს თავის თავში საერთო ნებას, იგი მას მხოლოდ თავს არიდებს. მისი შეცდომა ის გახლავთ, რომ ცვლის კითხვის არსს და თავს არიდებს სწორ პასუხს; ნაცვლად იმისა, ხმის მიცემით განაცხადოს: სახელმწიფოსათვის ხელსაყრელია, იგი ამბობს: ამა თუ იმ კაცისა თუ პარტიისათვის ასეთი აზრის გამარჯვება ხელსაყრელია. ამგვარად, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კრებების დროს კანონის მიზანი უნდა იყოს არა საერთო ნების მხარდაჭერა, არამედ ის, რომ მუდამჟამ ამ ნებას ეკითხებოდნენ და ისიც მუდამჟამ პასუხობდეს.

აქ შემეძლო მრავალი მოსაზრება გამომეთქვა სუვერენიტეტის ყოველი აქტის დროს ხმის მიცემის უბრალო უფლების შესახებ, რომელსაც ვერაფერი ჩამოართმევს მოქალაქეებს; ასევე შეიძლება ითქვას აზრის გამოთქმის, წინადადების შემოტანის, გაყოფის, კამათის უფლების

შესახებ, რაზეც მართველობა ყოველთვის ზრუნავს, რათა იგი მხოლოდ მის წევრებს ჰქონდეთ. მაგრამ ამ მნიშვნელოვანი თემის განხილვას ცალკე ტრაქტატი დასჭირდებოდა, ყველაფრის აქ თქმა მე არ ძალმიძს.

II თავი

საარჩევნო ხმები

წინა თავიდან ნათელი ხდება, რომ იმ სახით როგორაც საერთო საქმეები წარიმართება, შეიძლება არსებული პოლიტიკური კორპუსის ზნე-ჩვეულებათა და სიჯანსაღის საკმაოდ სანდო მაჩვენებელი იყოს. რაც უფრო მეტი თანხმობა სუფევს კრებებზე, ე.ი. რაც უფრო უახლოვდება აზრები ერთსულოვნებას, მით უფრო მეტად ბატონობს საერთო ნება; ხანგრძლივი კამათები, უთანხმოებები, აყალ-მაყალი კერძო ინტერესების უპირატესობასა და სახელმწიფოს დაცემაზე მიუთითებს.

ეს ნაკლებად იჩენს თავს, როდესაც სახელმწიფოში ორი ან, რომში პატრიციებისა და პლებეების არ იყოს, მეტი ფენებია, რომელთა შორის უთანხმოებებიც რესპუბლიკის არსებობის ყველაზე საუკეთესო ხანაშიც კომიციათა წესრიგს ხშირად არღვევდნენ. მაგრამ ეს გამონაკლისი მოჩვენებითი უფროა, ვიდრე რეალური, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური კორპუსისათვის ნიშანდობლივი ნაკლის წყალობით, რეალურად, ერთ სახელმწიფოში ასე ვთქვათ, ორი სახელმწიფოა და, რაც ორივესათვის მიუღებელია ის, ცალ-ცალკე თითოეული მათგანისათვის მისაღებია. მართლაც, ყველაზე მღელვარე პერიოდებშიც კი, ხალხის პლებისციტები, თუ მათში სენატი არ ჩაერეოდა, მუდამჟამ მშვიდად და საარჩევნო ხმათა დიდი უპირატესობით გადიოდა; მოქალაქეებს ერთი ინტერესი ჰქონდა, ხალხს – ერთი ნება.

ახალ წრეზე, ერთსულოვნება აღდენას იწყებს, კერძოდ, მაშინ, როდესაც მონადქცეულ მოქალაქეებს აღარც თავისუფლება ექნებათ და აღარც ნება, მაშინ შიშისა და მლიქვნელობის წყალობით, ხმის მიცემა შეძახილებით იცვლება; აღარ ბჭობენ, რაიმეს ან ვინმეს აღმერთებენ ან წყევლიან. ხმის მიცემის ასეთი გულისამრევი ფორმა სუფევდა სენატში იმპერატორების დროს ზოგჯერ ამას სასაცილო სიფრთხილეც ახლდა. ტაციტუსი[108] შენიშნავს,* რომ ოთონის[109] დროს სენატორებმა ლანძღვა-

*ტაციტუსი, „ისტორია“,1,85.

გინებით აიკლეს ვიტელიუსი,[110] თანაც ცდილობდნენ, ისეთი საზარელი ხმაური აეტეხათ, რომ შემთხვევით ვიტელიუსი მბრძანებელი თუ გახდებოდა, არ ცოდნოდა, რა თქვა თითოეულმა მათგანმა.

ამ სხვადასხვა მოსაზრებიდან მომდინარეობს მაქსიმები, რომელთა საფუძველზეც უნდა დადგინდეს, რა ფორმით დაითვალოს ხმები და შეჯერდეს აზრები, თანაც გათვალისწინებულ იქნას, რამდენად იოლი შესაცნობია საერთო ნება და სახელმწიფო რამდენად არის დაუძლურებული.

ერთსულოვან თანხმობას ერთადერთი კანონი ითხოვს თავისი ბუნებით; ეს არის საზოგადოებრივი ხელშეკრულება. მოქალაქეთა მიერ ასოციაციის შექმნა ქვეყნად ყველაზე ნებაყოფლობითი აქტია, ვინაიდან ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და საკუთარი თავის ბატონ-პატრონი; მისი თანხმობის გარეშე არავისა აქვს უფლება, იგი რაიმე საბაბით დაიმორჩილოს. იმის აღიარება, რომ მონის შვილი მონად იბადება, ნიშნავს იმის აღიარებას, რომ იგი ადამიანად არ ჩნდება.

თუ საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადების დროს მას მოწინააღმდეგები აღმოუჩნდებიან, მათი ოპოზიცია ხელშეკრულებას ვერ გააბათილებს. იგი მხოლოდ ხელს შეუშლის ამ ხელშეკრულებაში მათ შეყვანას; ისინი უცხონი არიან მოქალაქეთა შორის. როდესაც სახელმწიფო შექმნილია, თანხმობა საცხოვრებელი ადგილით განისაზღვრება; ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრება ნიშნავს სუვერენიტეტის მორჩილებას.*

ამ პირველადი ხელშეკრულების გარდა უმრავლესობის გადაწყვეტილება სხვა დანარჩენთ მუდამ ავალდებულებს; ეს თვით ხელშეკრულების შედეგია. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ შეიძლება, ადამიანი თავისუფალი იყოს და თანაც იძულებით სხვის ნებას მორჩილებდეს? როგორ შეიძლება, ისინი, ვინც არ ეთანხმებიან უმრავლესობის გადაწყვეტილებას, იყვნენ თავისუფალნი და იმავდროულად დაქვემდებარებულნი კანონებს, რომლებზეც თანხმობა არ მიუციათ?

გიპასუხებთ: კითხვა არასწორადაა დასმული. მოქალაქე თანხმობას აცხადებს ყველა კანონზე – იმათზეც, რომლებიც მისი სურვილის წინააღმდეგ იქნა მიღებული, და იმათზეც, რომელთა მიხედვითაც მას დასჯიან, თუ რომელიმეს დარღვევას გაბედავს. სახელმწიფოს ყოველი წევრის მუდმივი ნება არის საერთო ნება; ისინი მოქალაქეები და

* ეს ყოველთვის თავისუფალ ქვეყანას გულისხმობს, ვინაიდან სხვაგვარად ოჯახმა, ქონებამ, თავშესაფრის უქონლობამ, ძალმომრეობამ, შესაძლოა, ნებისმიერი მკვიდრი, მისი სურვილის მიუხედავად ქვეყანაში დაკავოს; მაშინ ქვეყანაში მხოლოდ მისი ყოფნა აღარ გულისხმობს, რომ იგი ეთანხმება ან არღვევს ამ ხელშეკრულებას.

თავისუფლები* მისი წყალობით არიან. როდესაც სახალხო კრებას კანონს სთავაზობენ, იმას კი არ ეკითხებიან, ეთანხმებიან თუ არა ისინი მას, არამედ იმას, გამოხატავს თუ არა იგი საერთო ნებას, რომელიც მათი ნებაცაა. ამასთან დაკავშირებით, ხმის მიცემით თითოეული საკუთარ აზრს გამოთქვამს და საერთო ნების განცხადება ხმათა დაანგარიშებით ხდება. როდესაც ჩემი აზრის საწინააღმდეგო აზრი იმარჯვებს, ეს მხოლოდ ჩემს შეცდომაზე მოწმობს; თურმე ის, რაც საერთო ნება მეგონა, ასეთი არ ყოფილა. ჩემს აზრს რომ გაემარჯვა, მაშინ რაღაც სხვას მოვიმოქმედებდი და არა იმას, რაც მეწადა, და ასეთ შემთხვევაში მე თავისუფალი არ ვიქნებოდი.

მართალია, ეს იმასაც გულისხმობს, რომ საერთო ნების ყველა ნიშანი ხმათა უმრავლესობაშია; როდესაც ეს ნიშნები აღარაა საერთო ნებაში, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მივიღოთ, თავისუფლებას უნდა დავემშვიდობოთ.

ზემოთ იმის შესახებ ვისაუბრე, თუ როგორ იცვლება საჯარო განხილვის დროს საერთო ნება კერძო ნებით, იმავდროულად, საკმაოდ ნათლად მივუთითე ამ ბოროტებათა აღმკვეთ საშუალებებზეც (ქვემოთ კიდევ მექნება ამის შესახებ საუბარი); ასევე დავადგინე პრინციპები, რომელთა თანახმადაც საერთო ნებას საარჩევნო ხმათა პროპორციული რაოდენობა განსაზღვრავს. თუნდაც ერთი ხმის სხვაობა არღვევს თანასწორობას; ერთსულოვნებას ერთი მოწინააღმდეგეც კი უშლის ხელს; მაგრამ ერთსულოვნებასა და თანასწორობას შორის კიდევ მრავალი უთანასწორო დაყოფაა, რომელთაგანაც თითოეულს შეუძლია განსაზღვროს ეს რაოდენობა პოლიტიკური კორპუსის მდგომარეობისა და საჭიროების მიხედვით.

ამ მიმართებათა წარმართვა შესაძლებელია ორი ზოგადი მაქსიმით: პირველი – გადაწყვეტილებები რაც უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზულია, გამარჯვებული აზრი მით უფრო ახლოს უნდა იყოს ერთსულოვნებასთან; მეორე – რაც უფრო სწრაფ გადაწყვეტას ითხოვს აღძრული საკითხი, აზრთა გაყოფისას სხვაობა მით უფრო მეტად უნდა შეამცირონ. დაუყოვნებლივ მისაღები გადაწყვეტილებებისათვის ერთი ხმის უპირატესობა საკმარისი უნდა აღმოჩნდეს. პირველი ეს მაქსიმა თითქოს კანონებს უფრო ეთანადება, მეორე საქმეებს, როგორადაც არ უნდა იყოს, ამ მაქსიმათა შეხამებით დგინდება საუკეთესო მიმართება – შევუქმნათ უმრავლესობას შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილება მიიღოს.

* გენუაში ციხეებსა და ტუსაღთა ბორკილებს სიტყვა თავისუფლება აწერია. დევიზის ასეთი გამოყენება ჩინებული და სამართლიანია. მართლაც, ნებისმიერი ფენის დამნაშავენი უშლიან ხელს მოქალაქეთა თავისუფლებას. ქვეყანაში, სადაც ყველა ეს ხალხი გალერეაზე[111] აღმოჩნდებოდა, ყველაზე უფრო უზადო თავისუფლებით დატკბებოდნენ.

III თავი

არჩევნები

როგორც უკვე მოგახსენეთ, ხელმწიფისა და მაგისტრატთა არჩევნები რთული აქტებია, მისთვის ორი საშუალება გამოიყენება: არჩევა და კენჭისყრა. ზოგიერთ რესპუბლიკაში ერთიც გამოიყენებოდა და მეორეც. ორივე ამ საშუალების ძალზე რთულ ნაზავს დღესაც ვხვდებით ვენეციის დოჟის[112] არჩევისას.

„არჩევნები კენჭისყრით, – აბობს მონტესკიე, – უფრო დემოკრატიას ეთანადება.“ ვეთანხმები, მაგრამ რანაირად? „კენჭისყრა, – განაგრძობს მონტესკიე, – არჩევანის ისეთი ფორმაა, რომელიც არავის შეურაცხყოფს; იგი ნებისმიერ მოქალაქეს საკმაო იმედს უტოვებს სამშობლოსათვის სამსახურის გასაწევად“* ეს საფუძვლები არ გახლავთ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაგისტრატთა არჩევა მმართველობის მოვალეობაა და არა – სუვერენიტეტისა, დავრწმუნდებით, დემოკრატიული მმართველობის ბუნებას უფრო მეტად რატომ ეთანადება კენჭისყრით არჩევნები, რომლის დროსაც, რაც უფრო შემცირებულია მმართველობითი აქტები, მით უკეთესია გამგებლობა.

ჭეშმარიტად დემოკრატიულ ყველა ქვეყანაში თანამდებობა უპირატესობა კი არა, მძიმე ტვირთია; შეუძლებელია ერთს მეორეზე უფრო მეტად დააკისროთ იგი. მხოლოდ კანონს ძალუძს დააკისროს ეს ვალდებულება კენჭისყრით არჩეულს. ასეთ შემთხვევაში პირობები ყველასათვის თანაბარია და არჩევანი არავის ადამიანურ ნებაზე დამოკიდებული არ არის; გამორიცხულია ყოველგვარი კერძო, კანონის საყოველთაობის დამრღვევი გადახრა.

არისტოკრატიული მმართველობის დროს ხელმწიფეს ხელმწიფე ირჩევს; მმართველობა თავისთავად შენარჩუნებულია, ამდენად, არჩევნები აქ სავსებით მართებულია.

ვენეციის დოჟის არჩევნები ამ სხვაობას კი არ აბათილებს, უმალ ადასტურებს; ეს შერეული ფორმა მმართველობის შერეულ ფორმას ესადაგება.

შეცდომა იქნებოდა, ვენეციის მმართველობა ჭეშმარიტად არისტოკრატიულ მმართველობად მიგვეჩნია. ხალხი თუ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მმართველობაში ეს იმიტომ, რომ იქ თავად თავადაზნაურობაა ხალხი. ღატაკ ბარნაბოტთა[113] ბრბოს არასოდეს ღირსებია თანამდებობა; მათ აზნაურობას მხოლოდ ფუჭი უპირატესობის გამომხატველი ტიტული და დიდ საბჭოზე დასწრების უფლება ენიჭება. ეს დიდი საბჭო ისევე მრავალრიცხოვანია, როგორც ჩვენი გენერალური საბჭო ჟენევაში; მის სახელოვან წევრებს ჩვენს რიგით მოქალაქეებზე მეტი პრივილეგიები როდი აქვთ. ცხადია, ორივე რესპუბლიკას შორის არსებულ უდიდეს სხვაობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ჟენევის ბურჟუაზია ზუსტად ვენეციის პატრიციატს ჰგავს, ჩვენს ქვეყანაში დაბადებულები და მცხოვრებნი – ვენეციის მოქალაქეებს და ხალხს, აქაური გლეხობა – ვენეციაში, მატერიკზე მცხოვრებ ქვეშევრდომებს. რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ეს რესპუბლიკა (მის სიდიდეზე რომ არაფერი ვთქვათ), მისი მმართველობა ჩვენსაზე უფრო მეტად არისტოკრატიული არ არის. მთელი სხვაობა ის გახლავთ, რომ ვინაიდან ჩვენ სახელმწიფო მეთაური არა გვყავს, არც კენჭისყრით არჩევნებს ვსაჭიროებთ.

კენჭისყრით არჩევნებს ნაკლები შეუსაბამობები ექნებოდა ჭეშმარიტ დემოკრატიულ მმართველობაში, სადაც როგორც ზნეთა და ნიჭთა, ისე მაქსიმათა და ქონების საყოველთაო თანასწორობის პირობებში არჩევანი თითქმის განურჩეველი იქნებოდა. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჭეშმარიტი დემოკრატია არასოდეს არსებულა.

როდესაც ერთდროულად არჩევნებსაც მიმართავენ და კენჭისყრასაც, მაშინ, პირველის მეშვეობით, ის თანამდებობები უნდა შეივსოს, განსაკუთრებულ ნიჭს რომ საჭიროებენ (კერძოდ სამხედრო თანამდებობები); მეორის მეშვეობით – ის თანამდებობები, რომელთა დამკავებელთათვის საღი გონება, სამართლიანობა და უანგარობაც კმარა, (ასეთია სამართლის თანამდებობები). ვინაიდან კარგად მართულ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს ასეთი თვისებები ახასიათებს.

მონარქიულ მმართველობაში არც არჩევნებს მიმართავენ და არც კენჭისყრას. მონარქი კანონიერად არის სახელმწიფოს ერთადერთი მეფე და მაგისტრატი; ამდენად, თანაშემწეთა არჩევანი მის ნებაზეა დამოკიდებული. როდესაც სენ-პიერის აბატმა[114] მეფეს საფრანგეთის საბჭოების გაზრდა და მისი წევრების კენჭისყრით არჩევა შესთავაზა, ვერ მიხვდა, რომ ამით მმართველობის ფორმის შეცვლას ითხოვდა.

ისღა მრჩება, რამდენიმე სიტყვით სახალხო კრებებზე ხმათა მიცემისა და დათვლის ფორმებსაც შევეხო; შეიძლება რომის მმართველობის ისტორიამ ამ მიმართებით ყველა მაქსიმის ახსნა უფრო ნათლად შეძლოს, ვიდრე მათ დადგენას მე შევძლებდი. ყურადღებიანი მკითხვე-

* მონტესკიე, „კანონთა გონი“, წიგნი II, თ.II.

ლისათვის სასარგებლო იქნება, უფრო დაწვრილებით გაეცნოს, თუ როგორ წყვეტდა საზოგადოებრივ და კერძო საქმეებს ორი ათასი კაცისაგან შემდგარი საბჭო.

IV თავი

რომის კომიციები

რომის დაარსების საწყისი პერიოდის შესახებ არავითარი სარწმუნო წყაროები არ მოგვეპოვება. ადვილად დასაშვებია, რომ ამ პერიოდის ისტორიათა უმეტესი ნაწილი იგავებს შეიცავს,* საერთოდ, ხალხთა მატიანეთაგან ყველაზე ყურადსაღები მათი წარმოშობის ისტორიაა, სწორედ ის ნაწილი, რომლის მასალებსაც ყველაზე მეტად ვსაჭიროებთ. ყოველდღიურად გამოცდილება იმპერიებში მომხდარ რევოლუციათა გამომწვევ მიზეზებს შეგვაცნობინებს. ვინაიდან ხალხებად ჩამოყალიბების პროცესი დღეს აღარ მიმდინარეობს, ამდენად, ამ ფაქტის ასახსნელად ვარაუდებიღა გვრჩება.

უკვე დადგენილი ტრადიციები, რომელთაც ჩვენ დღეს ვაწყდებით იმას მაინც მოწმობს, რომ ისინი საიდანღაც მომდინარეობენ. მათგან ყველაზე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს ისინი, რომელთა ძირებსაც მათი წარმოშობის დასაწყისამდე მივყავართ. ყველაზე დიდი ავტორიტეტები მნიშვნელოვან მოსაზრებებს სწორედ ასეთ ტრადიციებზე დაყრდნობით გამოთქვამენ. – აი, მაქსიმები, რომელთა მეშვეობითაც შევეცადე შემესწავლა, როგორ ახორციელებდა თავის უმაღლეს ხელისუფლებას ქვეყნად ყველაზე ძლიერი და თავისუფალი ხალხი.

რომის დაარსების შემდეგ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რესპუბლიკა ე.ი. დამაარსებლის ჯარი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ალბანები, საბინები და სხვა უცხოელები, სამ კლასად დაყვეს და თითოეულს **ტომი** უწოდეს. თითოეული ტომი ათ კურიად, კურია კი დეკურიებად დაყვეს; მათ გამგებლებს **კურიონები და დეკურიონები** უწოდეს.

გარდა ამისა, თითოეულ ტომში შეიქმნა მხედართა ანუ რაინდთა კორპუსი ასი კაცის ოდენობით, რომელთაც ცენტურიები ეწოდათ. ამ

* ვარაუდობენ, რომ სახელწოდება – რომი ბერძნული სიტყვაა, იგი რომულუსიდან წარმოიშვა და ძალას ნიშნავს. ნუმაც ბერძნულია და კანონს ნიშნავს. შეიძლება თუ არა ეირწმუნოთ, რომ ამ ქალაქის ორივე პირველ მეფეს, რომულუსსა და ნუმას, თანდაყოლილი ჰქონდეთ ის სახელები, ასე კარგად რომ გამოხატავენ მათ ძალასა და სამართლიანობის სიყვარულს.

დაყოფათა არსიდან ნათელი ხდება, რომ თავდაპირველად მათ ქალაქის ადმინისტრირება კი არა, სამხედრო მიზანი ჰქონდათ დაკისრებული. ეტყობა, განდიდების ინსტიქტი იმთავითვე უბიძგებდა პატარა ქალაქ რომს მსოფლიო დედაქალაქის სადარი საქალაქო წყობისაკენ (la police).

მალე ამ თავდაპირველმა დაყოფამ ერთი შეუსაბამისობა გამოიწვია; კერძოდ, ალბანთა* და საბინთა** ტომები რიცხობრივად მდგრადობას ინარჩუნებდნენ, უცხოელთა*** რიცხვი კი დაუსრულებლად იზრდებოდა გარე ქვეყნებიდან მოზღვავებული ხალხის ხარჯზე. შედეგმაც არ დააყოვნა და მალე ამ მესამე ტომმა პირველ ორს გადაამეტა. ამ სახიფათო შეუსაბამობის აღსაკვეთად სერვიუსმა ტომებად დაყოფის პრინციპი გააუქმა და ახალი დაყოფა დაეფუძნა თითოეული ტომის მიერ დაკავებულ ადგილს; სამი ტომის ნაცვლად მან დაადგინა ოთხი, რომელთაგან თითოეულს რომის ერთ-ერთი ბორცვთაგანი ეკავა და მის სახელს ატარებდა. ამგვარად, ამ რეფორმით სერვიუსმა არა თუ არსებული უთანასწორობა მოსპო, არამედ მოსალოდნელი საფრთხეც აღკვეთა; ახალი დაყოფის გასავრცელებლად, მან ქალაქის ერთი უბნის მკვიდრთ მეორეში საცხოვრებლად გადასვლა აუკრძალა; ამან ტომების ერთმანეთში აღრევასაც შეუშალა ხელი.

სერვიუსმა მხედართა სამი ძველი ცენტურია გაორმაგა და მათ კიდევ თორმეტი ცენტურია დაუმატა, თან ადრინდელი სახელი შეუნარჩუნა. ამ მარტივი და სამართლიანი ხერხით, მან მხედართა კორპუსი საბოლოოდ გამოყო ხალხისაგან ისე, რომ ხალხის უკმაყოფილებაც არ გამოუწვევია.

ქალაქის ოთხ დანაყოფს სერვიუსმა სოფლელებისაგან შედგენილი კიდევ თხუთმეტი დაუმატა, რის გამოც მათ სოფლის ტომები ეწოდათ; თავის მხრივ ისინიც თხუთმეტ კანტონად დაყვეს. მოგვიანებით, ამდენივე ახალი ტომი დაადგინეს. ასე რომ, საბოლოოდ რომაელები დაყვეს ოცდათხუთმეტ ტომად; ეს რიცხვი რესპუბლიკის დასასრულამდე არ შეცვლილა.

ასევე ყურადსაღებია ის შედეგი, რომელიც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის არსებულმა სხვაობამ გამოიღო; ამის მსგავსი სხვა მაგალითი არ არსებობს, მას უნდა უმადლოდეს რომი თავის ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნებასა და იმპერიის ზრდას. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ქალაქის გაერთიანებანი მალე მოიკრებდნენ ძალას და, პატივით

* Ramnenses
** Tatienses
*** Luceres

აღზევებულნი სოფლის თემთა დამდაბლებას არ დაახანებდნენ. მაგრამ პირიქით მოხდა. საყოველთაოდ არის ცნობილი ძირძველ რომაელთა ლტოლვა სოფლური ყოფისაკენ, რაც მათ გონიერმა რეფორმატორმა ჩააგონა. მან სასოფლო სამუშაოები და სამხედრო საქმე თავისუფლებასთან დააკავშირა, ქალაქს კი წილად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელოვნება, ხელოსნობა, ინტრიგები, ფუფუნება და მონობა არგუნა.

რომის ყველა სახელოვანი პიროვნება სოფლად ცხოვრობდა და მიწათმოქმედებას მისდევდა; ამიტომაც, რესპუბლიკის საყრდენი, ჩვეულებრივ, იქ ეგულებოდათ. ყველაზე ღირსეული პატრიცები ცხოვრების ამგვარ წესს მისდევდნენ, ასეთ ყოფას ყველა პატივს მიაგებდა. რომის რესპუბლიკაში ქალაქელთა უსაქმურ და გარყვნილ ყოფას, სოფლის მკვიდრთა სადა, შრომა-გარჯით აღსავსე ცხოვრებას ამჯობინებდნენ და თუ საბრალო ქალაქელი პროლეტარი სოფლად მიწათმოქმედებას მიჰყოფდა ხელს, იგი პატივსაცემი მოქალაქე ხდებოდა. ვარონი[115] არცთუ უსაფუძვლოდ ამბობდა: ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა სოფელი იმ ახოვან და მამაც ადამიანთა სანაშენედ აქციეს, რომელნიც ომის დროს ქვეყანას იცავდნენ და მშვიდობის დროს კი ხალხს კვებავდნენ. პლინიუსი[116] საგანგებოდ მიუთითებს, რომ სოფლის თემებს თავიანთი წევრების წყალობით მიაგებდნენ პატივს, ხოლო ქალაქში გადაჰყავდათ მხდალები, რათა ამით თავლაფდასხმული ჯაბანი დაემცირებინათ. საბინი აპიუს კლავდიუსი[117] რომში ჩავიდა და იქ დამკვიდრდა. როცა ქება-დიდება დაიმსახურა, იგი ჩარიცხეს სოფლის ტომში, რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა. დაბოლოს, ყველა გაზატებული მხოლოდ ქალაქის მოსახლეობაში ირიცხებოდა და არასოდეს სოფლისაში. რესპუბლიკის არსებობის მანძილზე ერთი შემთხვევაც არ ყოფილა გაზატებულს, მოქალაქეობის მიღების შემდეგ მაინც მიეღწია რაიმე თანამდებობისათვის.

ამ ჩინებულ მაქსიმას ისე მკაცრად იცავდნენ, რომ ბოლოს ცვლილება როგორც კი მოხდა, მმართველობაში ბოროტმა ქმედებებმაც არ დაახანეს.

ჯერ ერთი, ცენზორები, რომელთაც დიდი ხნით ადრე მიითვისეს ერთი ტომიდან მეორეში მოქალაქეთა თვითნებური გადაწერის უფლება, მაო უმრავლესობას საკუთარი სურვილისამებრ წერდნენ ამა თუ იმ ტომში. ამას არაფერი კარგი არ მოჰყოლია, ცენზურას კი მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოვალეობა ჩამოერთვა. გარდა ამისა, ძლიერი და მდიდარი ადამიანები უკლებლივ სოფლის ტომებში ეწერებოდნენ, მოქალაქეობამიღებული გაზატებულნი კი მდაბიოებთან ერთად ქალაქად რჩებოდნენ; ტომებს არც გარკვეული ადგილი ჰქონდათ, არც – ტერიტორია.

ყველაფერი ისე აირია, რომ თითოეული ტომის წევრები ერთმანეთისაგან სიებითღა შეიძლებოდა გაგერჩიათ. ასე რომ, სიტყვა **ტომის** იდეა საზოგადოებრივი მიმართებიდან პიროვნულში გადაიზარდა, ანდა უმალ ქიმერად იქცა.

ამას ისიც დაერთო, რომ ხელსაყრელი მდგომარეობის წყალობით ქალაქის ტომები, ხშირად კომიციებზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და ხელისუფლებას იმას მიჰყიდნენ ხოლმე, ვისაც ამ ტომის თაღლით წევრთა ხმების მოსყიდვა შეეძლო.

კურიებს რაც შეეხება, ვინაიდან მათმა დამაარსებელმა თითოეულ ტომში ათი კურია დააწესა, ქალაქის გალავანს შიგნით მოქცეული მთელი რომაელები დაყოფილი აღმოჩნდნენ ოცდაათ კურიად, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ტაძრები, ღმერთები, საკუთარი მოხელეები, საკუთარი ქურუმები ჰყავდა და საკუთარი დღესასწაულები – **კომპიტალიები**[118] ჰქონდა; ეს იყო იმ დღესასწაულთა მსგავსი, რომლებიც მოგვიანებით სოფლად იმართებოდა და **პაგანალიები**[119] ეწოდებოდა.

სერვიუსმა, ახალი დაყოფის შედეგად მიღებული ციფრი – ოცდაათი – ვინაიდან ოთხ ტომზე თანაბრად ვერ გაიყოფოდა, არ მოისურვა ეს დაყოფა შეეცვალა და მათგან დამოუკიდებელი კურიები რომის მკვიდრთა ახალი დაყოფა შეიქნა. მაგრამ კურიების საკითხი არც სოფლად მოსახლეობაში ტრიბებში დამდგარა, არც მათ შემადგენელი ხალხებში; ტომები მხოლოდ სამოქალაქო ინსტიტუტი იყო. ლაშქრის შესაგროვებლად ცალკე ინსტიტუტი შექმნეს. ამდენად, რომულუსისეული სამხედრო დაყოფა ზედმეტი შეიქნა. თუმცა ყოველი მოქალაქე ტომში იყო ჩაწერილი, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ იგი კურიის წევრიც გამხდარიყო.

სერვიუსმა მესამე დაყოფაც ჩაატარა. მას არავითარი მიმართება არ ჰქონია ორ წინამორბედთან, მაგრამ თავისი შედეგებით ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სერვიუსმა მთელი რომაელი ხალხი ექვს ფენად დაყო, რომლებიც ერთმანეთისაგან არა სადაურობითა და წარმომავლობით, არამედ ქონებით განსხვავდებოდნენ: პირველ ორ ფენაში მდიდრები შედიოდნენ, ბოლო ორში – ღარიბები, შუა ფენებში – საშუალო შეძლების მქონენი. ეს ექვსი ფენა, თვის მხრივ, ას ოთხმოცდაცამეტ ჯგუფად ანუ **ცენტურიად** დაიყო და ისე განაწილდა, რომ ნახევარზე მეტი ცენტურია პირველ ფენაში, ბოლო ფენაში კი მხოლოდ ერთი ცენტურია აღმოჩნდა. ამგვარად, ყველაზე მცირერიცხოვან ადამიანთა გამაერთიანებელ ფენაში ყველაზე მეტი ცენტურია იყო, ხოლო ბოლო ფენა, რომელშიც რომის მოსახლეობის ნახევარზე მეტი შევიდა, ერთ ცენტურიად გამოაცალკევეს.

ამ ბოლო რეფორმის შედეგები ხალხისათვის ნაკლებად გასაგები რომ გაეხადა, სერვიუსი შეეცადა, მისთვის სამხედრო სახე მიეცა. მეორე ფენაში მან ჩაწერა მესაჭურვლეთა ორი ცენტურია, ხოლო მეოთხეში – ომის იარაღთა[120] ასევე ორი ცენტურია. ოთოეული ფენა, ბოლოს გარდა, მან ახალგაზრდებად და მოხუცებად, ე.ი. სამხედროვალდებულ და ასაკის გამო ამ მოვალეობისაგან კანონის თანახმად განთავისუფლებულ პირებად დაყო. ასეთმა სხვაობამ ქონებრივი ნიშნით დაყოფაზე მეტად გამოიწვია ცენზის ანუ აღწერის სიხშირის აუცილებლობა. დაბოლოს, სერვიუსმა სახალხო კრებების ადგილად მარსის მოედანი დაადგინა, რათა სამხედროვალდებულნი თავყრილობაზე შეიარაღებულნი გამოცხადებულიყვნენ.

სერვიუსმა ბოლო მეექვსე ფენა ახალგაზრდებად და მოხუცებად იმიტომ არ დაყო, რომ აქ მხოლოდ მდაბიონი შედიოდნენ, რომელთაც საშშობლოს დასაცავად იარაღის ტარების პატივი აყრილი ჰქონდა. ოჯახი აუცილებლად უნდა გქონოდათ, რათა მისი დაცვის უფლება მიგეღოთ. ამ მრავალრიცხოვან არამზადათაგან, რომლებითაც თანამედროვე სამეფო ჯარები თავს იწონებენ, ალბათ, ერთი ჯარისკაციც არ მოიძებნებოდა, თავისუფლების დამცველი რომაული კოჰორტიდან ზიზღით რომ არ ყოფილიყო გაძევებული.

ბოლო ფენაში მაინც გამოყოფდნენ **პროლეტარებსა** და ე.წ. capite censi-ს.* პირველნი არარად მაინც არ მიიჩნეოდენ და სახელმწიფოს მოქალაქეებს, ზოგჯერ, უკიდურესი საჭიროების ჟამს, ჯარისკაცებსაც აძლევდნენ. მეორენი, რომელთა დათვლაც თავების რაოდენობის მიხედვით შეიძლებოდა, უქონელნი იყვნენ; ისინი არარად მიიჩნეოდენ; მარიუსი[121] იყო პირველი, ვინც მათი სამხედრო სამსახურში გაწვევა ინება.

ჩემი მიზანი სრულებითაც არ გახლავთ იმის დადგენა, ეს მესამე დაყოფა თავისთავად კარგი იყო, თუ ცუდი. მაგრამ, ვფიქრობ, იმის დასაბუთება მაინც შემიძლია, რომ ძირძველ რომაელთა ბუნების სისადავემ, ზნეთა უბრალოებამ, მათმა უანგარობამ, მიწათმოქმედებისაკენ მისწრაფებამ, კომერციის და მოგების მიმართ გამოჩენილი თავგამოდების სიძულვილმა, ეს დაყოფა რეალურად გახადა შესაძლებელი. აბა, მაჩვენეთ დღეს ხალხი, რომელსაც შემზარავი სიხარბე, დაუკმაყოფილებელი სული, ინტრიგები, აქეთ-იქით ხეტიალი, ქონებრივი მდგომარეობის დაუსრულებელი ცვლა შეაძლებინებდა, უზრუნველეყო რომაელთა მსგავსი ინსტიტუტის არსებობა ოცი წლის განმავლობაში ისე, რომ მთელი სახელმწიფო არ დამხობილიყო? ისიც უნდა ითქვას რომ უფრო ძლიერმა ზნე-ჩვეულებებმა და ცენზურამ, რომში ზემოთ აღწერილი ინსტიტუტის ნაკლოვანებებიც გამოასწორა და შესაძლებელი გახადა, ვინმე მდიდარი, თუკი იგი საკუთარი სიმდიდრის მეტისმეტად წარმოჩინებას მოისურვებდა, ღარიბთა ფენაში აღმოჩენილიყო.

* capite censi – ცენზში, ქონების გარეშე შეტანილი. (ლათ)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი გასაგებია, თუ რატომ იხსენიებენ ყოველთვის ხუთ ფენას, როდესაც სინამდვილეში ექვსი იყო. მეექვსე ფენა არც ჯარისკაცებს იძლეოდა ჯარისათვის, არც მარსის ველზე* ცხადდებოდა ხმის მისაცემად, ე.ი. თითქმის არავითარი ფუნქცია არ ჰქონდა რესპუბლიკაში; ამდენად, მას იშვიათად თუ აგდებდნენ რამედ.

ასეთი გახლდათ რომაელი ხალხის სხვადასხვაგვარი დაყოფა. ახლა განვიხილოთ, რა შედეგი მოჰყვა ამ დაყოფებს სახალხო კრებებზე. კანონის თანახმად მოწვეულ ამ კრებებს კომიციები ეწოდებოდა. კურიებად, ცენტურიებად და ტომებად დაყოფილი ეს კრებები, ჩვეულებრივ, რომის მოედანზე ან მარსის ველზე იმართებოდა ამ სამი ფორმიდან ერთ-ერთის მიხედვით; კურიების მიხედვით კომიციების მოწვევა რომულუსმა დააწესა, ცენტურიების მიხედვით – სერვიუსმა, ხოლო ტომების მიხედვით – სახალხო ტრიბუნებმა. კომიციების გარეშე არც ერთი კანონი არ დამტკიცდებოდა და არც ერთი მაგისტრატი არ იქნებოდა არჩეული; ვინაიდან ყოველი მოქალაქე კურიაში, ცენტურიაში ან ტომში იყო ჩაწერილი, ამდენად, ყველა მათგანს ჰქონდა ხმის უფლება. რომაელი ხალხი კანონითაც სუვერენი იყო და საქმითაც.

იმისთვის რომ კომიციების შეკრება კანონიერი ყოფილიყო და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებებსაც კანონის ძალა ჰქონოდათ, აუცილებელი იყო სამი პირობა: ჯერ ერთი მისი მომწვევი პირი მაგისტრატი ან კორპუსი სათანადო ძალაუფლებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი; მეორე, იგი უნდა გამართულიყო კრებებისათვის კანონით დადგენილ ერთ-ერთ დღეს; მესამე, წინასწარმეტყველებაც კარგის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო.

პირველი პირობის საფუძველს ახსნა არ სჭირდება; მეორე საზოგადოებრივი წესიდან (la police) მომდინარეობდა; კომიციების მოწვევა აკრძალული იყო დღესასწაულის ჟამს და ბაზრობის დღეებში, ვინაიდან ამ დღეს გლეხები რომში თავიანთ საქმეებზე ჩამოდიოდნენ და არ შეეძლოთ მთელი დღე სახალხო მოედანზე გაეტარებინათ; მესამე პირობა სენატს ამაყი და დაუმორჩილებელი ხალხის დაოკებაში ეხმარებოდა და დროუ-

* სწორედ ამ ადგილზე იკრიბებოდა კომიციები ცენტურიების მიხედვით; ორი სხვა ფორმის მიხედვით, ხალხი იკრიბებოდა ფორუმზე[122] ან სადმე სხვაგან; ასეთ შემთხვევაში capite censi-ებს ისეთივე გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდათ, როგორც პირველ მოქალაქეებს.

ლად აცხრობდა მეზნებარე ტრიბუნთა სიფიცხეს; თუმცა ტრიბუნებმა არაერთი საშუალება გამონახეს ამ შეზღუდვისაგან თავის დასაღწევად.

კომიციები მხოლოდ კანონთა მიღებითა და თანამდებობის პირთა არჩევით არ იფარგლებოდნენ; რამდენადაც რომაელებმა მმართველობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები მიითვისეს, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ კრებებზე ევროპის ბედი წყდებოდა. განსახილველ საკითხთა მრავალფეროვნება განაპირობებდა ამ კრებათა სხვადასხვა ფორმას, იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება.

ამ სხვადასხვა ფორმებზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ მათ ერთმანეთს შევადარებთ. როცა კურიებს ადგენდა, რომულუსს ხალხის მეშვეობით სენატის და სენატის მეშვეობით ხალხის დამორჩილება და ორივეზე ბატონობა სურდა. ამგვარი დაყოფით რომულუსმა პატრიცთა უფლებებისა და სიმდიდრის გასაწონაწორებლად ხალხის რაოდენობას მიანიჭა დიდი მნიშვნელობა. თუმცა გამომდინარე მონარქის სულისკვეთებიდან, მან მაინც უპირატესობა მიანიჭა პატრიცებს, რომლებიც თავიანთი კლიენტების[123] მეშვეობით ზემოქმედებდნენ საარჩევნო ხმათა განაწილებისას. პატრონებისა და კლიენტების ეს ჩინებული ინსტიტუტი პოლიტიკისა და ჰუმანურობის ნამდვილი შედევრი გახლდათ, ურომლისოდაც რესპუბლიკური სულისკვეთების საპირისპირო პატრიციატი, ვერ იარსებებდა. მხოლოდ რომს ხვდა პატივი მსოფლიოსათვის ასეთი საუცხოო მაგალითი მიეცა, და ამას არასოდეს მოჰყოლია უფლების ბოროტად გამოყენება; თქმულის მიუხედავად, ეს მაგალითი არასოდეს დაუცავთ.

კურიათა ეს ფორმა მეფეების დროსაც არსებობდა და სერვიუსამდე შემორჩა; ვინაიდან ბოლო ტარკვინიუსის[124] მეფობა კანონიერად არ მიიჩნეოდა, მეფის კანონებს საერთოდ leges curiates* ეწოდებოდა.

რესპუბლიკის დროს კურიები კვლავ ქალაქის ოთხი ტრიბათა იყო შემოფარგლული და რომის მდაბიოთაგან შედგებოდა; ამდენად, კურიები პატრიცების სათავეში მდგომი სენატისთვისაც მიუღებელი იყო და ტრიბუნთათვისაც, თუმცა ისინი პლებეები იყვნენ, მაგრამ შეძლებულ მოქალაქეებს ედგნენ სათავეში. კურიები აითვალწუნეს, მათი დაცემა იმდენად თვალნათლივი გახდა, რომ ერთად თავშეყრილი ოცდაათი ლიქტორი წყვეტდა იმას, რაც კურიების მიხედვით მოწვეულ კომიციებზე უნდა გადაწყვეტილიყო.

ცენტურიებად დაყოფა ძალზე ხელსაყრელი იყო არისტოკრატიისათვის, თუმცა ამთავითვე ძნელი გასაგებია, თუ რატომ არ იმარჯვებდა

* კურიათა მიერ მიღებული კანონები

ყოველთვის სენატი ცენტურიების მიხედვით მოწვეულ კომიციებზე, რომლებზეც ირჩევდნენ კონსულებს,[125] ცენზორებს[126] და კურულის[127] სხვა მაგისტრატებს. მართლაც, ეს ოთხმოცდაცამეტი ცენტურიიდან, რომის მოსახლეობის ექვს ფენას რომ ქმნიდნენ, პირველში ოთხმოცდათვრამეტი ცენტურია შედიოდა. ვინაიდან საარჩევნო ხმების რაოდენობას ცენტურიათა რაოდენობა განსაზღვრავდა, მხოლოდ პირველ ფენას ჰქონდა რაოდენობრივად მეტი ხმა, ვიდრე ყველა დანარჩენს ერთად აღებულს. როდესაც ყველა ეს ცენტურია შეთანხმდებოდა, ხმათა შეგროვებას წყვეტდნენ და უმცირესობის გადაწყვეტილება უმრავლესობის აზრად მიიჩნეოდა. შეიძლება ითქვას, რომ ცენტურიების მიხედვით მოწვეულ კომიციებზე საქმეები წყდებოდა უფრო ფულის და არა ხმათა უმრავლესობით.

მაგრამ ეს უზომო ძალაუფლება ორი საშუალებით იღებდა ზომიერ ხასიათს: ჯერ ერთი, ჩვეულებრივ, მდიდართა ფენაში მყოფი ტრიბუნები და რაოდენობრივად ყოველთვის ჭარბი პლებეები აწონასწორებდნენ პატრიცთა გავლენას აღნიშნულ ფენაში.

მეორეც, ნაცვლად იმისა, რომ ცენტურიებს თავიდანვე რიგის მიხედვით მიეცათ ხმა (ამის გამო კი ხმის მიცემა ყოველთვის პირველი ცენტურიით დაიწყებოდა), დაადგინეს, კენჭი ეყარათ ცენტურიისათვის და მხოლოდ ამგვარად არჩეულს* ჩაეტარებინა არჩევნები; ამის შემდეგ მეორე დღისათვის მოწვეული ყველა ცენტურია თავიანთი რანგის მიხედვით იმეორებდა ასეთივე არჩევნებს და, როგორც წესი, ამტკიცებდა მას. ამგვარად, დემოკრატიის პრინციპის თანახმად, რანგს მაგალითის ძალა ერთმეოდა და იგი კენჭისყრას ენიჭებოდა.

ამ ადათიდან ერთი უპირატესობაც მომდინარეობდა; კერძოდ: სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს არჩევნების ორ საფეხურს შორის არსებულ დროის ინტერვალში შესაძლებლობა ეძლეოდათ, გასცნობოდნენ წინასწარ დასახელებული კანდიდატურის დამსახურებას და შეგნებულად მიეცათ მისთვის ხმა. მაგრამ არჩევნების დაჩქარების საბაბით, საბოლოოდ ეს ადათი შეცვალეს და ორივე არჩევნები ერთ დღეს ტარდებოდა.

ტრიბების (ტომების) მიხედვით მოწვეული კომიციები სინამდვილეში რომაელი ხალხის საბჭო იყო; მათ მხოლოდ ტრიბუნები იწვევდნენ, აქვე ხდებოდა მათი არჩევნები და აქვე ღებულობდნენ ისინი თავიანთ პლებისციტებს. ამ კომიციებზე სენატს არათუ საპატიო ადგილი, დასწრების უფლებაც არ ჰქონდა; სენატორები ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ იმ კანონებს, რომლებისთვისაც ხმის მიცემა არ შეეძლოთ; ამ მიმართე-

* კენჭისყრით არჩეულ ცენტურიას **პრეროგატივა** ეწოდებოდა, ვინაიდან იგი პირველი აძლევდა ხმას; აქედან წარმოიშვა სიტყვა პრეროგატივა.

ბით ისინი ყველაზე უკანასკნელ მოქალაქეებზე ნაკლებ თავისუფალნი იყვნენ. ამ უმართებულო წესს იმდენად გაუცნობიერებლად ემორჩილებოდნენ, რომ მხოლოდ იგი იკმარებდა იმ კორპუსის დეკრეტთა ბათილად საცნობად, რომელზეც ყველა მისი წევრი არ დაიშვებოდა. ამ კომიციებს თუნდაც ყველა პატრიცი დასწრებოდა, იმ უფლების თანახმად, რაც მათ როგორც მოქალაქეებს ჰქონდათ მინიჭებული, მაინც როგორც რიგითი კერძო პირები, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდნენ არჩევნების სულადობრივ ფორმაზე, რომლის დროსაც ყველაზე უავტორიტეტო პროლეტარს და ყველაზე ავტორიტეტულ სენატორს ერთი ფასი ჰქონდათ.

ამგვარად, ვამჩნევთ რომ ეს სხვადასხვაგვარი დაყოფები მხოლოდ ეგზომ მრავალრიცხოვანი ხალხის ხმების დათვლას კი არ აწესრიგებდა, არამედ, ამის გარდა, ვერც თავისთავად უმნიშვნელო ფორმებამდე დაიყვანებოდა; თითოეულის შედეგები შეესაბამებოდა იმ მიზნებს, რომელთა გამოც სხვებთან შედარებით ამ ფორმას მიენიჭა უპირატესობა.

ამ საკითხის უფრო ღრმა განხილვისაგან თავს ვიკავებ, ვინაიდან წინამდებარე განმარტებებიც ცხადყოფენ, რომ ტრიბების (ტომების) მიხედვით კომიციების მოწვევა უფრო ხელსაყრელი იყო სახალხო მმართველობისათვის, ცენტურიების მიხედვით ხალხის მოწვევა კომიციებზე კი – არისტოკრატული მმართველობისათვის; რაც შეეხება კურიების მიხედვით ხალხის მოწვევას კომიციებზე, სადაც უმრავლესობას რომის მდაბიონი შეადგენდნენ, და მხოლოდ ტირანიასა და დანაშაულებრივ ზრახვებს ეწყობოდა ხელი, მათ თავიანთი დანიშნულება დაკარგული ჰქონდათ, ვინაიდან მეამბოხენიც კი თავს იკავებდნენ ისეთი საშუალებებისაგან, რაც მათ გეგმებს ძალზე გამოაშკარავებდა. ცხადია, რომაელი ხალხის მთელ სიდიადეს განასახიერებდა ცენტურიების მიხედვით მოწვეული კომიციები, მხოლოდ მათში იყო სრული წარმომადგენლობა, მაშინ როცა კურიების მიხედვით მოწვეულ კომიციებს სოფლის ტრიბები აკლდა, ტრიბების მიხედვით მოწვეულთ კი – სენატი და პატრიციები.

რაც შეეხება ხმათა შეკრების წესს, ძირძველ რომაელებში იგი ისევე მარტივი იყო, როგორც მათი ზნე-ჩვეულებანი, თუმცა არც ისე ზედმიწევნით მარტივი, როგორც სპარტაში მოქმედი წესი იყო. რომაელები საკუთარ ხმას ყველას გასაგონად აძლევდნენ, მდივანი კი მიყოლებით იწერდა მათ; თითოეულ ტრიბაში ხმათა უმრავლესობა განსაზღვრავდა ტრიბას საარჩევნო ხმას; ტრიბების ხმათა უმრავლესობა კი ხალხის მიერ მიცემული ხმის ზომას ადგენდა; ზუსტად ასევე ხდებოდა კურიებსა და ცენტურიებში. ეს ადათი მანამდე იყო კარგი, სანამ მოქალაქეებში პატიოსნება სუფევდა და სანამ თითოეულს ეთაკილებოდა, საჯაროდ მიეცა

ხმა უსამართლო აზრის ან უღირსი ადამიანისათვის. მაგრამ როდესაც ხალხი გაირყვნა და უკვე ხმებიც იყიდებოდა, მაშინ ხმის ფარული მიცემა უფრო ხელსაყრელი შეიქნა, რათა მყიდველები უნდობლობით შეეზღუდათ და არც გაიძვერებისათვის მიეცათ თაღლითობის საშუალება.

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ციცერონი გმობდა ამ ცვლილებას და ნაწილობრივ სწორედ მას მიიჩნევდა რესპუბლიკის დაცემის მიზეზად. ციცერონის ავტორიტეტის მიუხედავად მის აზრს ვერ დავეთანხმდები. მე პირიქით ვფიქრობ: სახელმწიფო მსგავსი ცვლილებების ზერელე გატარებამ დაღუპა. როგორც ჯანმრთელი ადამიანების ცხოვრების რეჟიმი არ გამოადგება სნეულებს, ასევე არც უზნეო ხალხის მართვა უნდა მოვინდომოთ იმავე კანონებით, რომლებიც ქველი ხალხისათვის შემუშავდა. ამ მაქსიმის საუკეთესო დადასტურებაა ხანგრძლივი არსებობა ვენეციის რესპუბლიკისა, რომლის მსგავსი დღესაც იმიტომ გვხვდება, რომ მისი კანონები მხოლოდ ბიწიერი ადამიანებისთვისაა გამოსადეგი.

მოქალაქეებს იქ პატარა ფირფიტებს ურიგებდნენ; მათი მეშვეობით თითოეული ხმას ისე აძლევდა, რომ შეუძლებელი იყო, პიროვნების აზრი გცოდნოდათ. ამ ფირფიტების შესაკრებად, ხმების დასათვლელად, რაოდენობათა დასადგენად და ა.შ. ახალი ფორმალობები შემოიღეს. ყოველივე ამის მიუხედავად, ხშირად ეჭვქვეშ დგებოდა ამ მოვალეობათა* შემსრულებელ მოხელეთა კეთილსინდისიერება. დაბოლოს, ინტრიგებისა და ხმებით ვაჭრობის აღსაკვეთად გამოიცა ედიქტები, რომელთა უმრავლესობაც მათსავე უსარგებლობაზე მეტყველებს.

კანონების ხარვეზთა შესავსებად რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში ხშირად იძულებულნი იყვნენ, განსაკუთრებული საშუალებებისათვის მიემართათ. ხან სასწაულებს მიმართავდნენ, მაგრამ მხოლოდ ხალხზე ზეგავლენის მომხდენი ეს საშუალება, გამგებლების მიმართ არ ჭრიდა; ხან მოულოდნელად კრებას მოიწვევდნენ, რათა კანდიდატებს ინტრიგების მოსაწყობად დრო არ დარჩენოდათ; ხან მთელი კრება ლაყბობაში გაჰყავდათ, თუკი შეამჩნევდნენ, რომ ხალხი უვარგისი გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა. მაგრამ, საბოლოოდ, პატივმოყვარეობა ყველაფერს გადალახავდა ხოლმე. დაუჯერებელია, რომ ამდენ ბოროტ ქმედებათა მიუხედავად, ეს მრავალრიცხოვანი ხალხი, თავისი ძველი დადგენილებების წყალობით, მაგისტრატებს მაინც ირჩევდა, კანონებს იღებდა, დამნაშავეებს სჯიდა და თითქმის ისევე იოლად წყვეტდა კერძო და საზოგადო საქმეებს, როგორც ამას თავად სენატი გააკეთებდა.

---

* Custodes, Diribitores, Rogatores suffragiorum ზედამხედველები, ფირფიტების დამრიგებლები, ხმების დამთვლელები

V თავი

ტრიბუნატი

როდესაც სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილთა შორის ზუსტი პროპორციის დადგენა შეუძლებელია, ანდა როდესაც მიზეზები, რომელთა აღკვეთასაც ვერ ახერხებენ, აღნიშნულ ნაწილთა შორის მიმართებებს დაუსრულებლად ცვლიან სახელმწიფოში, სპეციალური მაგისტრატურა მაშინ იქმნება. მას სხვა მაგისტრატურებთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგი იცავს თანაფარდობას თავის ყოველ წევრს შორის და ქმნის კავშირს ანუ პროპორციის საშუალო წევრს ან ხელმწიფესა და ხალხს, ან ხელმწიფესა და სუვერენს შორის ან, თუ აუცილებელია, ერთდროულად ორივე მიმართებას შორის.

ეს კორპუსი, რომელსაც ტრიბუნატს ვუწოდებ, კანონთა და საკანონმდებლო ხელისუფლების დამცველი გახლავთ. რომის სახალხო ტრიბუნების მსგავსად, იგი ზოგჯერ სუვერენს მმართველობისაგან იცავს, ზოგჯერ ხალხის წინააღმდეგ მმართველობას უჭერს მხარს, როგორც ათთა საბჭო დღევანდელ ვენეციაში, ზოგჯერ როგორც ერთს, ისე მეორეს თანასწორობას უნარჩუნებს, როგორც ამას სპარტაში ეფორები[128] აკეთებდნენ.

ტრიბუნატი სამოქალაქო საზოგადოების (la cité) შემადგენელი ნაწილი არ გახლავთ და არავითარ მონაწილეობას არ უნდა ღებულობდეს არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მაგრამ სწორედ ამიტომ არის მისი ძალაუფლება ორივე ზემოთ ხსენებულ ხელისუფლებაზე ფართო. არაფრის მაქნისი ტრიბუნატი ყველას ხელს შეუშლიდა. როგორც კანონთა დამცველი, იგი უფრო წმინდა და პატივსაცემია, ვიდრე ხელმწიფე, რომელიც ხელისუფლებას ახორციელებს და სუვერენი, რომელი კანონებს იღებს. ეს ნათლად ჩანდა რომში, სადაც მუდამჟამს ხალხის მოძულე, ქედმაღალი პატრიცები იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ უბრალო მდაბიო მოხელეს, რომელიც არც იურისდიქციას ფლობდა და არც რაიმეს განჭვრეტის უნარი ჰქონდა მომადლებული.

გონივრულად შერბილებული ტრიბუნატი კარგი მმართველობის ყველაზე მყარი საყრდენია; თუ იგი მცირედით მაინც არის იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე ეს საჭიროა, ყველაფერს გადალახავს. ხოლო სისუსტეს რაც შეეხება, იგი მის ბუნებასთან შეუთავსებელია. თუ ტრიბუნატი რაიმეს წარმოადგენს, იმიტომ რომ იგი მუდამ ის არის, რაც უნდა იყოს.

ტრიბუნატი ტირანიად მაშინ გადაგვარდება, როდესაც იგი აღმასრულებელი ხელისუფლების გაზომიერების მაგიერ, მის უზურპაციას ეწევა

და ლამობს სახე უცვალოს კანონებს, რომელთა დაცვაც ევალება მხოლოდ. ეფორთა უდიდესი ძალაუფლება, სპარტას საფრთხეს არ უქადდა, ვიდრე იგი თავის ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდა. მაგრამ მოგვიანებით სწორედ ეფორთა ძალაუფლებამ დააჩქარა მათი (ზნე-ჩვეულებათა) ხრწნა. ამ ტირანების მოკლული აგისის[129] სისხლი მისმა მემკვიდრემ აიღო. ეფორთა დანაშაულმა და დასჯამ თანაბრად დააჩქარა რესპუბლიკის დაცემა. კლეომენეს[130] შემდეგ სპარტამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა. რომიც ზუსტად ასევე დაიღუპა; თავისუფლების დასაცავად შექმნილი კანონების დახმარებით ტრიბუნთა უზომო ძალაუფლების თანდათანობითმა უზურპაციამ საბოლოოდ, იმპერატორთა ნების შეუვალობა განაპირობა; მათ თავისუფლება მოსპეს. ვენეციის ათთა საბჭოს რაც შეეხება, როგორც პატრიციების, ისე ხალხისთვის ერთნაირად საზარელი ეს სისხლიანი ტრიბუნალი იმის ნაცვლად, რომ კანონებს მტკიცედ იცავდეს, სინამდვილეში მათ ამდაბლებს და ეს ხდება ისე, თითქოს კანონებს სიბნელეში აყენებდეს დარტყმებს, რომელთა შემჩნევასაც ვერ ბედავენ.

ტრიბუნატი ისევე სუსტდება, როგორც მმართველობა; ამას წევრთა რაოდენობის ზრდა იწვევს. თავდაპირველად რომაელ ხალხს ორი ტრიბუნი ჰყავდა, შემდეგ ხუთი; როდესაც ამ ციფრის გაორმაგება განიზრახეს, სენატს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ერთის მეშვეობით მეორის შეკავებას შეძლებდა; ასეც მოხდა – წევრთა რაოდენობის გაზრდამ ტრიბუნატი დაასუსტა.

ასეთი საზარელი კორპუსის მიერ ჩადენილ უზურპაციათა აღსაკვეთად საუკეთესო საშუალება, რომლისთვისაც დღემდე არც ერთ მმართველობას არ მიუმართავს, ის იქნებოდა, რომ არ დაეშვათ ამ კორპუსის მუდმივობა და წესრიგი დაემყარებინათ დროის იმ შუალედებში, როდესაც იგი არსებობას შეწყვეტდა. ეს შუალედები ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო, რათა ამ დროის ბოროტად გამოყენება არ დამკვიდრებულიყო; ასეთი შუალედების განსაზღვრა კანონითაც შეიძლებოდა, თანაც ისე, რომ აუცილებლობის შემთხვევაში იოლი ყოფილიყო მათი შემცირება საგანგებო განკარგულებებით.

ჩემი აზრით, ეს საშუალება უხერხულობას არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან, როგორც მოგახსენეთ, ტრიბუნატი არ შედის სახელმწიფოს სტრუქტურაში და, ამდენად, შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ სახელმწიფოში არსებითი ცვლილება არ გამოიწვიოს. ასეთი საშუალება ქმედითად მესახება იმიტომაც, რომ ახალი მაგისტრატი თავის მოვალეობას დაიწყებს არა იმ ძალაუფლებით, რომელსაც მისი წინამორბედი ფლობდა, არამედ კანონით მინიჭებული ძალაუფლებით.

VI თავი

დიქტატურა

კანონთა მოუქნელობამ, რაც მოვლენებთან მათ მისადაგებას უშლის ხელს, ზოგიერთ შემთხვევაში, როცა კრიზისის ჟამი დგება, შეიძლება დამღუპველი სახე მიიღოს და სახელმწიფოს ბოლო მოუღოს კიდეც. წესრიგი და დაყოვნებული ფორმები გარკვეულ დროს ითხოვს, რასაც ზოგჯერ მოვლენები არ ითმენს. შესაძლოა თავი იჩინოს მრავალმა ისეთმა შემთხვევამ, რომელთა გათვალისწინება კანონმდებელს არც შეეძლო. ამდენად, ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება რომ შეუძლებელია, ეს არის ყველაზე საჭირო წინდახედულება.

ამრიგად, პოლიტიკური ინსტიტუტების განმტკიცება ისე არ უნდა ვცადოთ, რომ მათი მოქმედების შეჩერება ვეღარ შევძლოთ. კანონებს ზოგჯერ სპარტაც კი უგულებელყოფდა.

მხოლოდ დიდ საფრთხეებს ძალუძთ საზოგადოებრივი წყობის შეცვლიდან მომდინარე საშიშროების გაწონასწორება; კანონთა წმინდა ძალმოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს, როცა საქმე სამშობლოს ხსნას ეხება. ამ იშვიათ და მკაფიოდ გამოვლენილ შემთხვევებში საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა განსაკუთრებული აქტით ყველაზე ღირსეულს ევალება. ამ მოვალეობის დაკისრება საფრთხის ხასიათის მიხედვით ორი საშუალებით ხდება.

თუ საფრთხის აღსაკვეთად საკმარისია მმართველობის ქმედითუნარიანობის გაზრდა, მაშინ მმართველობას ერთი ან ორი წევრის ხელთ უყრიან თავს და ამგვარად იცვლება არა კანონთა ძალაუფლება, არამედ მხოლოდ მათი გამგებლობის ფორმა. თუ საფრთხე ისეთია, რომ კანონთა აპარატი მის აღკვეთას ეწინააღმდეგება, მაშინ ნიშნავენ უმაღლეს გამგებელს, რომელიც ყველა კანონს იძულებით დაადუმებს და სუვერენულ ძალაუფლებას გარკვეული დროით შეაჩერებს. ასეთ შემთხვევაში საერთო ნება ეჭვს არ ბადებს და სრულიად ნათელია ხალხის უმთავრესი მისწრაფება – არ დაუშვას სახელმწიფოს დაღუპვა. ამგვარად, საკანონმდებლო ხელისუფლების შეჩერება სახელმწიფოს არ აუქმებს. მაგისტრატი, რომელიც აიძულებს ამ ხელისუფლებას დადუმდეს, ვერ აიძულებს მას ილაპარაკოს. იგი მასზე (ამ ძალაუფლებაზე) ბატონობს, მაგრამ არ ძალუძს მას წარმომადგენლობდეს; მას ყველაფერი ძალუძს გარდა კანონების შექმნისა.

პირველ საშუალებას რომის სენატი იყენებდა მაშინ, როდესაც იგი სპეციალური ფორმულით ავალდებულებდა კონსულებს, რესპუბლიკის

ხსნაზე ეზრუნათ. მეორე საშუალებას მიმართავდნენ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი კონსული დიქტატორს* ნიშნავდა. რომი ამ ადათს ალბას[131] დაესესხა.

რესპუბლიკის არსებობის პირველ ხანებში დიქტატურას საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ, ვინაიდან სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო ისე მყარი, რომ მხოლოდ თავისი წყობით შეენარჩუნებინა არსებობა.

დროის ზნე-ჩვეულებათა წყალობით, მაშინ ზედმეტ სიფრთხილეს არც იჩენდნენ იმის მიმართ, რაც სხვა დროს ერთობ აუცილებელი იქნებოდა; არც ის აშინებდათ, რომ დიქტატორი ბოროტად გამოიყენებდა თავის ძალაუფლებას, არც ის, რომ იგი დაშვებულ ვადაზე მეტი ხნით შეეცდებოდა მის შენარჩუნებას. პირიქით, ასეთი დიდი ძალაუფლება თითქოს იმდენად სამძიმო იყო, რომ მისი მპყრობელი ძალზე ჩქარობდა მისგან თავის დახსნას; თითქოს კანონთა პირით ლაპარაკი ძალზე სამძიმო და სახიფათო მოვალეობა იყო.

ამგვარად, არა ბოროტი ქმედებების, არამედ გაუფასურების საფრთხე მაიძულებს გავკიცხო ასეთი უმაღლესი მაგისტრატურის ყოვლად მოურიდებელი გამოყენება რესპუბლიკის არსებობის პირველ ხანებში; არჩევნების, დღესასწაულების თუ სხვა ფორმალობების გამო დიქტატორების უთავბოლო დანიშვნა საშიში იყო, ვინაიდან ამ გაიაფებულ საშუალებას საჭიროების შემთხვევაში სათანადო ძლიერება აღარ შერჩებოდა და ამაო ცერემონიებისათვის გამოყენებულ ამ თანამდებობას საზოგადოება ისე დაუწყებდა ყურებას, როგორც ფუჭ ტიტულს.

რესპუბლიკის დასასრულის ჟამს, ადრინდელზე გაცილებით წინდახედული რომაელები დიქტატურას ისევე დაუფიქრებლად არიდებდნენ თავს, ოდესღაც როგორი ანგარიშმიუცემლობითაც მიმართავდნენ მას. მათი შიში რომ უსაფუძვლო იყო დედაქალაქის წიაღშივე მყოფი მაგისტრატების მხრიდან ხელყოფის თავიდან აცილების თავდები რომ თვით დედაქალაქის სისუსტე იყო; ამა თუ იმ შემთხვევაში დიქტატორს რომ საზოგადოებრივი თავისუფლების დაცვა შეეძლო, მაგრამ არამც და არამც – მისი ხელყოფა, რომის ბორკილები რომ მის არმიაში უნდა გამოჭედილიყო და არა თვით რომში – ყოველივე ეს სიხარულს იწვევდა. იმ უმნიშვნელო წინააღმდეგობამაც კი, როგორიც სულას მარიუსმა გაუწია და ცეზარს პომპეუსმა,[132] ნათლად წარმოაჩინა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შიდა ძალაუფლებას გარე ძალასთან ბრძოლაში.

---

* თითქოს კანონებზე მაღლა ადამიანის დაყენება რცხვენიათო, დასახელება დამით ფარულად ხდებოდა.

ამ შეცდომამ დიდი დანაშაულებები ჩაადენინა რომაელ ხალხს, კერძოდ, ერთი ასეთი დანაშაული გახლდათ კატილინას[133] საქმეში დიქტატურის დაუნიშვნელობა; ეს შემთხვევა თავად რომს და იტალიის კიდევ რომელიღაც პროვინციას ეხებოდა. კანონის მიერ მინიჭებული უსაზღვრო ძალაუფლების წყალობით, დიქტატორს ძალზე იოლად შეეძლო შეთქმულების გამომჟღავნება; არადა, მხოლოდ ბედნიერ შემთხვევითობათა წყალობით ჩაახშეს ეს შეთქმულება; შემთხვევის იმედი კი ადამიანის წინდახედულობას არასოდეს არ უნდა ჰქონდეს.

დიქტატორის დანიშვნის ნაცვლად სენატი იმით დაკმაყოფილდა, რომ მთელი თავისი ძალაუფლება კონსულებს გადასცა და შედეგმაც არ დააყოვნა; მეტი წარმატებით მოქმედებისათვის ციცერონი[134] იძულებული შეიქნა ერთ-ერთ არსებით პუნქტში კანონით მინიჭებული ძალაუფლებისათვის გადაეჭარბებინა. წარმატებით გამოწვეულმა პირველმა აღფრთოვანებამ მისი საქციელი მოსაწონი გახადა, მაგრამ სამართლიანი იყო ის საყვედურიც, როდესაც კანონთა საწინააღმდეგოდ მოქალაქეთა დაღვრილი სისხლისათვის მას ახსნა-განმარტება მოსთხოვეს; ასეთ საყვედურს დიქტატორს ვერ შეჰბედავდნენ. კონსულის მჭევრმეტყველებამ ყველა მოხიბლა; თავად ციცერონს, თუმც კი რომაელი იყო, სამშობლოზე მეტად საკუთარი დიდება ხიბლავდა და იმდენად სახელმწიფოს მხსნელ ყველაზე უფრო კანონიერ და ყველაზე უფრო ნაღდ საშუალებას კი არ ეძიებდა, არამედ იმას, რომელიც ამ საქმეში მთელ დამსახურებას მას არგუნებდა.* ამიტომ მას, როგორც რომის განმათავისუფლებელს, პატივიც მართებულად მიაგეს და კანონის დარღვევისათვის სასჯელიც ასევე სამართლიანად დაადეს. რაოდენ დიდებულიც არ უნდა ყოფილიყო ციცერონის გადასახლებიდან დაბრუნების აქტი, ცხადია, ეს მაინც ეროგვარი შეწყალება იყო.

როგორადაც არ უნდა ებოძოს ეს მნიშვნელოვანი მოვალეობა პიროვნებას, აუცილებელია იგი განისაზღვროს მოკლე ვადით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გახანგრძლივდება. კრიზისების დროს, როცა დიქტატურა აღორძინდება, სახელმწიფო ან სწრაფად ინგრევა ან თავს აღწევს მას; ამის მწვავე საჭიროება როგორც კი გაივლის, დიქტატურა ტირანული ან უსარგებლო ხდება. რომში დიქტატორები მხოლოდ ექვსი თვით ინიშებოდნენ, მათი უმრავლესობა ვადის გასვლამდე ამბობდა უარს თანამდებობაზე. ეს ვადა უფრო ხანგრძლივი რომ ყოფილიყო, შესაძლოა კიდეც ეცადათ მისი გახანგრძლივება, როგორც ეს დეცემვირებმა მოისურვეს ერთწლიანი ვადის მიმართ. დიქტატორს დრო ჰქონდა მიცემული მხოლოდ იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რისთვისაც იყო არჩეული და არა სხვა ზრახვათა განხორციელებაზე ფიქრისათვის.

* რაშიც დარწმუნებული ვერ იქნებოდა, თუ იგი დიქტატორის დანიშვნას შესთავაზებდა; ვერც თავის თავს დაასახელებდა დიქტატორად და ვერც იმის იმედი ექნებოდა, რომ კოლეგა მას დაასახელებდა.

VII თავი

ცენზურა

როგორც საერთო ნების გაცხადება ხდება კანონით, ასევე საზოგადოებრივი მსჯავრიც ცენზურის მეშვეობით ცხადდება. საზოგადოებრივი აზრი ერთგვარი კანონია, რომლის აღმასრულებელიც არის ცენზურა და ხელმწიფის მსგავსად კერძო შემთხვევებში იგი მხოლოდ ამ კანონს იყენებს.

ამგვარად, ცენზურის ტრიბუნალი არის არა ხალხის აზრის მსაჯული, არამედ მისი მაუწყებელი; როგორც კი განზე გადგება, მისი გადაწყვეტილებები ფუჭი და უშედეგო ხდება.

ხალხის ზნე-ჩვეულებების გამოყოფა მისი სათაყვანებელი საგნებისაგან ყოვლად უსარგებლოა, ვინაიდან ისინი ერთი და იმავე პრინციპიდან მომდინარეობენ და აუცილებლად ერწყმიან ერთმანეთს. მსოფლიოს ყველა ხალხში სიამოვნებათა არჩევანს არა ბუნება, არამედ თვალსაზრისი განსაზღვრავს. უკეთესი გახადეთ ადამიანთა აზრები და მათი ზნე-ჩვეულებები თავისთავად გაკეთილშობილდებიან. ადამიანებს ყოველთვის ის უყვართ, რაც მშვენიერია ან ასეთად მიაჩნიათ; ამგვარი მსჯელობა შეცდომაა; მაშასადამე, მთავარი სწორედ ამ მსჯელობის წარმართვაა. ვინც ზნე-ჩვეულებებზე მსჯელობს, ღირსებაზეც მსჯელობს; ხოლო ვინც ღირსებაზე მსჯელობს, მას კანონი აზრიდან გამოჰყავს.

ხალხის აზრები მისი კონსტიტუციიდან მომდინარეობს. თუმცა კანონი არ მართავს ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ ისინი კანონმდებლობის წყალობით აღმოცენდებიან. როცა კანონმდებლობა სუსტდება, ზნე-ჩვეულებები იხრწნება; ასეთ დროს ცენზორთა აზრი ისეთ შედეგს ვეღარ გამოიღებს, როგორც შეიძლებოდა კანონთა ძლიერების დროს გამოეღო.

აქედან გამომდინარე, ცენზურა შესაძლოა ზნე-ჩვეულებათა შესანარჩუნებლად იყოს სასარგებლო, მაგრამ არა მათ აღსადგენად. დანიშნეთ ცენზორები, ვიდრე კანონებს ძალა აქვთ. როგორც კი კანონები ძალას დაკარგავენ, ყველა სასწორკვეთილებას მიეცემა; კანონიერს არაფერს ძალა აღარ შერჩება, თუ ეს ძალა თვით კანონებს გამოელევათ.

ცენზურა იცავს ზნე-ჩვეულებებს, ხელს უშლის აზრთა გახრწნას და გონივრული წარმართვით პატიოსნებას უნარჩუნებს მათ; ზოგჯერ იგი

ჯერ კიდევ გაურკვეველ აზრებსაც აზუსტებს. საფრანგეთის სამეფოში ორთაბრძოლის დროს თანაშემწეების ადათი უგნურებამდე მივიდა; ეს ადათი მეფის ერთ-ერთი ედიქტის შემდეგი სიტყვებით შეიცვალა: „რაც შეეხება მხდალებს, რომლებიც თანაშემწეებს იწვევენ“... ამ სიტყვებმა საზოგადოებრივი აზრი გამოაფხიზლა, მყის განსაზღვრა იგი. „ორთაბრძოლაც ისეთივე სილაჩრეა“ – როცა ამ უდავო ჭეშმარიტების დადგენა ასევე ედიქტების მეშვეობით მოისურვეს, საზოგადოდ მიღებული აზრის საწინააღმდეგო ეს გადაწყვეტილება, საზოგადოებამ მასხრად აიგდო, ვინაიდან ამის თაობაზე თავისი მყარი მოსაზრება ჰქონდა შემუშავებული.

მე უკვე მოგახსენეთ*: საზოგადოებრივი აზრი არ შეიძლება იძულებას მორჩილებდეს; ამ აზრის წარმოსადგენად არც შექმნილი ტრიბუნალი საჭიროებს ძალდატანებას. შეუძლებელია აღფრთოვანება არ გამოიწვიოს იმან, თუ როგორი ხელოვნებით მოქმედებდა ეს ინსტიტუტი (სამწუხაროდ, თანამედროვე ხალხების მიერ სრულიად უარყოფილი) რომაელების ცხოვრებაში და კიდევ უფრო უკეთ ლაკედემონელებისაში;

როდესაც სპარტის საბჭოში რომელიმე უზნეო პიროვნება ბრძნულ აზრს გამოთქვამდა, ეფორები, მას თითქოს ყურადღებას არც აქცევდნენ, მაგრამ ეს სიბრძნე რომ არ დაკარგულიყო, იმავე აზრს ქველ მოქალაქეს გამოათქმევინებდნენ ხოლმე. ერთს პატივს მიაგებდნენ, მეორეს არაფრად აგდებდნენ, თუმცა არც ერთს ასხამდნენ ხოტბას და არც მეორეს ლანძღავდნენ! ვიღაც სამოსელმა ლოთებმა ეფორთა ტრიბუნალი დაებინძურეს. მეორე დღესვე საჯარო ედიქტით სამოსელებს სულმდაბლობის, სისაძაგლის ჩადენის ნება დაერთოთ. ამგვარი განაჩენი უმძიმეს სასჯელზე უფრო მკაცრი იყო. როდესაც სპარტა პატიოსნება-უპატიოსნების შესახებ თავის მოსაზრებას გამოთქვამდა, საბერძნეთი მის დასკვნებს უსიტყვოდ იზიარებდა.

VIII თავი

სამოქალაქო რელიგია

თავდაპირველად ადამიანებს მეფეებად ღმერთები ჰყავდათ, ხოლო მმართველობა თეოკრატიული ჰქონდათ. ისინი კალიგულასავით მსჯელობდნენ და იმ დროისათვის ასეთი მსჯელობა სწორიც გახლდათ. საჭიროა, გრძნობები და აზრები ხანგრძლივ იცვლებოდეს, რათა შენივე მსგავსი არსების ბატონად დასმის გადაწყვეტილებას შეეგუო და თანაც იფიქრო, რომ ასე იქნება უკეთესი.

იმის გამო, რომ ყოველი პოლიტიკური საზოგადოების სათავეში ღმერთს აყენებდნენ, ღმერთიც იმდენი აღმოჩნდა, რამდენი ხალხიც იყო. ერთმანეთის მიმართ თითქმის მუდამ მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი ორი უცხო ხალხი ერთსა და იმავე მმართებელს დიდხანს ვერ აღიარებდა; ერთმანეთთან მებრძოლ ორ ჯარს არ შეეძლო ერთი და იმავე მეთაურის მორჩილება. ამგვარად, ეროვნებებად დაყოფამ გამოიწვია პოლითეიზმი, რითაც დასაბამი მიეცა თეოლოგიურ და სამოქალაქო შეუწყნარებლობას, რაც, ცხადია, ერთი და იგივეა (როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები).

ბერძენთა მისწრაფება – თავიანთი ღმერთები ბარბაროს ხალხებში დაეძებნათ – იმის შედეგი გახლდათ, რომ ისინი საკუთარ თავს ამ ხალხთა ბუნებრივ გამგებლებად მიიჩნევდნენ. ჩვენს დროში სასაცილოა ისეთი ერუდიცია, რომელიც სხვადასხვა ხალხთა ღმერთების იდენტურობის ირგვლივ ტრიალებს; თითქოს მოლოქი,[135] სატურნი და არონოსი[136] ერთი და იგივე ღვთაება იყოს; თითქოს ფინიკიელთა ბაალი,[137] ბერძნების ზევსი, ლათინების იუპიტერი შეიძლება ერთი და იგივე იყოს; რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთთან სხვადასხვა სახელის მქონე ქიმერულ არსებებს!

თუ შემეკითხებიან, წარმართობის ჟამს, როდესაც ყოველ სახელმწიფოს თავისი კულტი და თავისი ღმერთები ჰყავდა, როგორ მოხდა, რელიგიური ომები რომ არ იყოო, ვუპასუხებ: ამის მიზეზი სწორედ ის გახლდათ, ყოველ სახელმწიფოს საკუთარი კულტი და საკუთარი მმართველობა რომ ჰქონდა და თავის ღმერთებს თავისი კანონებისაგან არ აცალკევებდა. პოლიტიკური ომი იმავდროულად თეოლოგიური ომიც იყო. ღმერთთა გავლენის სფეროები, ასე ვთქვათ, ხალხთა ცხოვრების საზღვრებით იფარგლებოდა. ერთი ხალხის ღმერთის უფლება არ ვრცელდებოდა სხვა ხალხებზე. წარმართა ღმერთები ანგარებიანნი არ იყვნენ. მათ იოლად გაიყვეს მსოფლიოს გამგებლობა. ზოგჯერ, როცა ისრაელთა ღმერთზე საუბრობდნენ, თვით მოსე და იუდეველებიც ეთანხმებოდნენ ამ აზრს. მზისქვეშეთში მათ დაწყევლილ და დასაღუპავად განწირულ ქანაანელთა[138] ადგილი უნდა დაეკავებინათ და ამდენად, ცხადია, მათი ღმერთებიც არარაობად მიაჩნდათ; მაგრამ დააკვირდით როგორ ლაპარაკობენ ისინი მეზობელ ხალხთა ღვთაებებზე, რომელთა ხელყოფაც ეკრძალებოდათ: „ის, რაც თქვენს ღმერთს, ქამოსს[139], ეკუთვნის, – მიმართავს იფთახი[140] ამონიტებს, – განა თქვენი კანონიერი სამფლობელო არ არის? ჩვენ მიწას იმავე უფლებით ვფლობთ, რომლითაც ჩვენმა

* ამ თავში მე მხოლოდ მივუთითებ იმას, რაც უფრო ვრცლად განვიხილე წერილში „ბატონ დ' ალამბერს“. (რუსოს მხედველობაში აქვს წერილი „ბატონ დ' ალამბერს სანახაობების შესახებ“ რუსო, რჩეული I ტ.).

ძლევამოსილმა ღმერთმა იგი თავისთვის მოიპოვა.* ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ნათლად იქნა გაცხადებული მიმართება ქამოსისა და იუდეველთა ღმერთის უფლებებს შორის.

მაგრამ, როდესაც ჯერ ბაბილონის, შემდეგ კი სირიის მეფეებს დამორჩილებულმა იუდეველებმა მტკიცე უარი განაცხადეს ყველა სხვა ღმერთის აღიარებაზე, გარდა საკუთარისა, ეს უარი გამარჯვებულის წინააღმდეგ ამბოხად ჩაუთვალეს და მათი დევნის საბაბი შეიქნა, რის შესახებაც გვამცნობს ისტორია (და რისი მსგავსიც ქრისტიანობამდე არ ყოფილა).**

ყოველი რელიგია მხოლოდ იმ სახელმწიფოს კანონებთან იყო დაკავშირებული, რომელიც ამ რწმენას ამკვიდრდებდა. თავის რწმენაზე ამა თუ იმ ხალხის მოსაქცევად ერთადერთი საშუალება მისი დაპყრობა იყო; მისიონერებიც დამპყრობლები იყვნენ, ვინაიდან კანონი დამარცხებულთ კულტის შეცვლას ავალდებულებდა. ამიტომ ისინი ჯერ უნდა დაგეპყროთ და კულტის შეცვლაზე შემდეგ გელაპარაკათ. არა ადმიანები იბრძოდნენ ღმერთების გამო, არამედ ღმერთები იბრძოდნენ მათ გამო, როგორც ეს ჰომეროსთანაა. თითოეული თავის ღმერთს გამარჯვებას ევედრებოდა და საზღაურად ახალ საკურთხევლებს უგებდა. ვიდრე რომაელები რომელიმე ქალაქს აიღებდნენ, ადგილობრივ ღმერთებს ევედრებოდნენ, ეს ქალაქი მიეტოვებინათ. ტარენტელებს[142] იმიტომ დაუტოვეს მათი განრისხებული ღმერთები, რომ მათ თავიანთ ღმერთთა ქვეშევრდომებად მიიჩნევდნენ და იძულებულნი იყვნენ, პატივი მიეგოთ მათთვის. ისინი დამარცხებულებს ხელუხლებლად უტოვებდნენ მათ ღმერთებსაც და კანონებსაც. ხშირად ერთადერთი ხარკი, რომელსაც ისინი მათ უწესებდნენ, გახლდათ გვირგვინი კაპიტოლიუმელი იუპიტერისათვის.

ბოლოს, იმპერიის გაფართოებასთან ერთად, რომაელებმა თავიანთი კულტისა და ღვთაებების გავრცელებაც დაიწყეს; ვინაიდან დამარცხებულთა ღმერთები ხშირად მათთვისაც მისაღები ხდებოდნენ, ერთთაც და მეორეთაც მოქალაქეობის უფლება ენიჭებოდა, ამდენად ამ უზარმაზარი იმპერიის ხალხები მათთვის შეუმჩნევლად მრავალი თითქმის ყველგან მსგავსი ღმერთისა და კულტის მფლობელები აღმოჩნდნენ. ამგვარად, წარმართობა მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი, როგორც ერთადერთი და ერთიანი რელიგია.

ასეთ ვითარებაში მოვლინა ქვეყნიერებას დედამიწაზე სულიერი მეუფების დასამკვიდრებლად იესო; პოლიტიკურისაგან თეოლოგიური სისტემის გამოყოფის შედეგი გახლდათ ის, რომ სახელმწიფო ერთიანი აღარ იყო; წარმოშობილი შიდა უთანხმოებები გამუდმებით აღელვებდა ქრისტიან ხალხებს. ვინაიდან იმქვეყნიური სამეფოს ახალი იდეა წარმართის გონებამ ვერაფრით ვერ გააცნობიერა, ამიტომ ისინი ქრისტიანებს როგორც ნამდვილ მეამბოხეებს ისე უყურებდნენ, მორჩილების ფარისევლური ნიღბით მხოლოდ ხელსაყრელ ჟამს რომ ეძიებდნენ დამოუკიდებლობისა და მბრძანებლობის მისაღწევად, მარჯვე ფანდების წყალობით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რომელსაც სანამ სუსტები იყვნენ მხოლოდ თვალთმაქცურად სცემდნენ პატივს. ეს გახლდათ დევნის მიზეზი.

მოხდა ის, რისაც წარმართებს ეშინოდათ. ყველაფერი შეიცვალა. მორჩილი ქრისტიანები სხვაგვარად ალაპარაკდნენ და მალე ნათელი შეიქნა ეს იმქვეყნიური სამეფო ხილული მიწიერი გამგებლით[143] როგორ იქცა ამქვეყნად ყველაზე სასტიკ დესპოტიზმად.

ვინაიდან ამქვეყნიურ სამეფოში ყოველთვის იყო ხელმწიფე და სამოქალაქო კანონები, ამდენად ეს ორმაგი ხელისუფლება იურიდიქციის დაუსრულებელი უთანხმოების საბაბი შეიქნა, რამაც ქრისტიანულ სახელმწიფოებში ყოველგვარი კარგი **სახელმწიფოებრივი** წყობა /politie/ შეუძლებელი გახადა; ხალხი დაბნეული იყო – ვერ გარკვეულიყო, მეუფის მორჩილება მართებდა თუ მღვდლისა.

საკუთრივ ევროპასა თუ მის მეზობელ ქვეყნებში მრავალ ხალხს მაინც სურდა შეენარჩუნებინა ან აღედგინა სარწმუნოების ძველი სისტემა, მაგრამ მათ სურვილს წარმატება არ მოჰყოლია. ქრისტიანულმა სულისკვეთებამ ყველგან შეაღწია. წმინდა კულტი სუვერენისაგან ყოველთვის დამოუკიდებლად არსებობდა ან ასეთი ხდებოდა და სახელმწიფო კორპუსთან არავითარი აუცილებელი კავშირი არ ჰქონდა. მაჰმადს ძალზე საღი მიზნები ჰქონდა. მან კარგად შეაკავშირა თავისი პოლიტიკური სისტემა და სანამ მისეული მმართველობის ფორმა ხალიფებისა და მათი შთამომავლების დროს ემთხვეოდა, ეს მმართველობა მართლაც ერთიანი და კარგი იყო. მაგრამ როდესაც არაბობა განვითარებულ, განათლებულ, ზრდილ, გაფაქიზებულ და მხდალ ხალხად იქცა, ის ბარბაროსებმა დაიპყრეს; მაშინ ძალაუფლება კვლავ ორად გაიყო,

*Nonne ea quoe possidet Chamos deus tuus tibi jure debentur?

ასეთი გახლავთ ვულგატის (წმინდა წიგნების) ლათინური თარგმანი. მამა დე კარიერმა კი იგი ასე თარგმნა: „ხომ არ გგონიათ, უფლება გქონდეთ, იმასვე ფლობდეთ, რაც თქვენს ღმერთს, ქამოსს, ეკუთვნის?“ ჩემთვის უცნობია ებრაული ტექსტი, მაგრამ ვულგატის თანახმად იფთახი დადებითად ეკიდება ქამოს ღმერთის უფლებას. ფრანგი მთარგმნელი ამ აღიარებას ასუსტებს სიტყვებით – „ხომ არ გგონიათ“, რაც ლათინურ ტექსტში არ გვხვდება.

** ნათელია, რომ „წმინდა ომად“ წოდებული, ფოკეველთა[141] ბრძოლა არ იყო რელიგიური. მისი მიზანი მკრეხელობის დასჯა იყო და არა – სხვაგვარად მორწმუნეთა დამორჩილება.

ოუმცა ეს გაყოფა ქრისტიანებში უფრო თვალნათლივია, ვიდრე მაჰმადიანებში; ეს განსაკუთრებით ალის[144] სექტაში იგრძნობა. არის ქვეყნები (მაგალითად, სპარსეთი), სადაც ეს გაყოფა მუდამ გამოჭვივის.

ჩვენში, ევროპაში, ინგლისის მეფეებმა თავი ეკლესიის მეთაურებადაც დაიმკვიდრეს,[145] რუსეთის მეფეებიც[146] ასევე მოიქცნენ. მაგრამ ამ ტიტულის მითვისებით ისინი უმალ ეკლესიის მსახურებად იქცნენ და არა – გამგებლებად. მათ მისი მხარდაჭერა უფრო შეეძლოთ, ვიდრე რამეს შეცვლა; სარწმუნოების მიმართ ისინი მხოლოდ ხელმწიფეები არიან და არა კანონმდებლები. ყველგან, სადაც კი სამღვდელოება ცალკე კორპუსის სახით წარმოგვიდგება*, საკუთარი სამშობლოს გამგებელიცაა და კანონმდებელიც. ამგვარად, ინგლისსა და რუსეთში, ისევე როგორც საერთოდ ყველგან, ორი ძალაუფლება და ორი სუვერენი არსებობს.

ქრისტიან ავტორთაგან მხოლოდ ფილოსოფოს ჰობსს ესმოდა ჩინებულად ამ მდგომარეობის მთელი სიავე და მის აღმკვეთ საშუალებასაც ხედავდა; ჰობსმა გაბედა და წინადადება შეიტანა არწივის ორი თავი შეერთებინათ, აღედგინათ პოლიტიკური ერთიანობა, რის გარეშეც სახელმწიფოს და მმართველობას არასოდეს არ ექნებოდა კარგი წყობილება. მაგრამ ჰობსს ისიც უნდა შეენიშნა, რომ ქრისტიანობის ძალაუფლების მოყვარე სულისკვეთება მის სისტემას არ შეესაბამებოდა, რომ მღვდლის ინტერესი ყოველთვის უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე სახელმწიფოსი. ჰობსის პოლიტიკური მოძღვრება საძულველი გახადა არა იმან, რაც მასში საშიში და ყალბი იყო, არამედ იმან, რაც სამართლიანი და ჭეშმარიტი იყო.**

თუ ისტორიულ მოვლენებს ამ თვალთახედვით განვიხილავთ, ვფიქრობ, ადვილად შევძლებთ ბეილისა[147] და უორბერტონის საპირისპირო მოსაზრებათა უარყოფას; ერთი მათგანის თანახმად, პოლიტიკური კორპუსისათვის რელიგიას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს; მეორე, პირიქით, ამტკიცებს, რომ ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფოსათვის ყველაზე მყარი საყრდენია. პირველს შეიძლებოდა შევდავებოდით, რომ რელიგიური საწყისის გარეშე არც ერთი სახელმწიფო არ შექმნილა; ხოლო მეორისათვის შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მტკიცე სახელმწიფოებრივი წყობისათვის ქრისტიანული კანონი არსებითად უფრო საზიანოა და არა – სასარგებლო. იმისთვის რომ სწორად გამიგოთ, ცოტაოდენ უნდა დავაზუსტო ის ძალზე ბუნდოვანი რელიგიური იდეები, რომლებიც ჩემი მსჯელობის საგანს ეხება.

რელიგია განხილული საზოგადოებასთან მიმართებაში რომელსაც აქვს ზოგადი ან ვიწრო მნიშვნელობა,[148] შეიძლება ასევე ორად – პიროვნებისა და მოქალაქის რელიგიად – დავყოთ. პიროვნების რელიგიას არც ტაძრები მოეპოვება, არც საკურთხევლები, არც – რიტუალები; იგი კმაყოფილდება მარტოოდენ უზენაესი ღვთაების შინაგანი რწმენით და ქრისტიანული ზნეობის მარადიული მოვალეობებით ცხოვრობს; ესაა ჭეშმარიტი და გასაგები სახარებისეული რელიგია, ნამდვილი თეიზმი, რასაც შეიძლება საღვთო ბუნებრივი სამართალი ვუწოდოთ. მეორე რელიგია, როგორც მარტოოდენ ერთი ქვეყნის კუთვნილება, ამ ქვეყანას მისივე ღმერთებით, მისივე პატრონებითა და მფარველებით უზრუნველყოფს; ამ რელიგიას თავისი დოგმები, თავისი რიტუალები, კანონებით დაწესებული თავისი საკულტო წესები აქვს. თავისი მიმდევარი ხალხის გარდა, სხვა დანარჩენს ყველას ორგულად, უცხოდ და ბარბაროსად მიიჩნევს. იგი ადამიანს მოვალეობებსა და უფლებებს უსაზღვრავს მხოლოდ იმ სივრცეზე, რომელიც საკურთხეველს ეკუთვნის. ასეთი გახლდათ პირველყოფილ ხალხთა რელიგიები, რომელთაც შეიძლება საღვთო სამოქალაქო სამართალი ანუ პოზიტიური ვუწოდოთ.

არსებობს რელიგიის მესამე, უფრო უცნაური სახეობა, რომელიც ადამიანებს ორ კანონმდებლობას, ორ მეთაურს, ორ სამშობლოს უწესებს, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობებს უქვემდებარებს და ხელს უშლის იმაში, რომ ერთდროულად ღვთისმოსავნიც იყვნენ და მოქალაქეებიც. ასეთია ლამაისტური რელიგია, ასეთია იაპონელთა რელიგია, ასეთია რომაული ქრისტიანობა. ბოლოს ხსენებულს შეიძლება მღვდელის რელიგიაც ვუწოდოთ. აქედან მომდინარეობს რაღაც შერეული და არასაზოგადოებრივი სამართალი, რომელსაც სახელი არა აქვს.

თუ რელიგიის ამ სამ სახეს პოლიტიკური თვალთახედვით განვიხილავთ, ყველას თავისი ნაკლოვანებები აღმოაჩნდება. მესამე სახე იმდენად ცუდია, რომ ამის დასაბუთება თავის შესაქცევად დროის ფლანგვა იქნებოდა. ყველაფერს, რაც სოციალურ ერთობლიობას არღვევს, ფასი

* აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სამღვდელოებას ერთ კორპუსად არა ფორმალური კრებები კრავს, როგორც ეს საფრანგეთშია, არამედ – აღსარების ერთიანობა; აღსარება და განკვეთა სამღვდელოებისათვის საზოგადოებრივი ხელშეკრულებაა, რითაც იგი მუდამ დარჩება ხალხთა და ხელმწიფეთა გამგებელი. მღვდლები, რომლებიც ერთად წარმოთქვამენ აღსარებას, თუნდაც ისინი ქვეყნის სხვადასხვა ბოლოში ცხოვრობდნენ, თანამოქალაქეები არიან. ეს მიგნება პოლიტიკის შედეგრია, რისი მსგავსიც წარმართ ქურუმებს არ ჰქონდათ; ამიტომაც ვერ შექმნეს სამღვდელოების კორპუსი.

**სხვათა შორის, საყურადღებოა 1643 წლის 11 აპრილს გროციუსის მიერ ძმისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც გადმოცემულია, თუ რას ეთანხმება და რას კიცხავს ეს განსწავლული კაცი წიგნში „მოქალაქე“. შემწყნარებლურად განწყობილი გროციუსი თითქოს მზად არის ავტორს ბოროტების სახელით მიუტევოს სიკეთე, მაგრამ ყველა მასავით მოწყალე როდია.

არ ადევს. ყველა ინსტიტუტი, რომელსაც ადამიანი თავის თავთან წინააღმდეგობაში მოჰყავს, უვარგისია.

რელიგიის მეორე სახე კარგია იმ მიმართებით, რომ იგი ღვთაების კულტს და კანონთა სიყვარულს აერთიანებს, სამშობლოს მოქალაქეთა სათაყვანებელს ხდის და ამით ასწავლის მათ, რომ სახელმწიფოს სამსახური მფარველი ღმერთის სამსახურის ტოლფასია. ეს თეოკრატიის სახეობაა, სადაც ხელმწიფის გარდა სხვა მღვდელმთავარი არ უნდა იყოს, არც სხვა მღვდლები, გარდა მაგისტრატებისა. ასეთ შემთხვევაში სამშობლოსათვის სიკვდილი მარტვილობაა, კანონთა დარღვევა – მკრეხელობა, ხოლო დამნაშავის საზოგადოებრივი გაკიცხვა, იგივეა, რომ იგი ღმერთებს გაამეტებინო – Sacer esto*.

თუმცა, შეცდომასა და სიცრუეზე დაფუძნებული ეს ფორმა იმითაა ცუდი, რომ იგი ადამიანებს ატყუებს, მათ გულუბრყვილოებად და ცრუმორწმუნეებად აქცევს, ღვთაების ჭეშმარიტ კულტს ფუჭ ცერემონიებში ნოქავს. ეს რელიგია კიდევ უფრო ცუდია მაშინ, როდესაც ხდება განსაკუთრებული და ტირანული და ხალხს სისხლით გაუმაძღარსა და შეუწყნარებლად აქცევს. ასეთ შემთხვევაში იგი მხოლოდ მკვლელობებსა და ხოცვა-ჟლეტაზე ფიქრობს, დარწმუნებულია, რომ იმათი მოკვლით, ვინც მის ღმერთს არ აღიარებს, წმინდა საქმესა იქმს. ასეთი განწყობილება ამ ხალხს სხვა ხალხების მიმართ ომის ბუნებრივ განწყობილებას უქმნის, რაც ამავე ხალხის უსაფრთხოებისათვის ძალზე საზიანოა.

ამგვარად, რჩება ადმიანის რელიგია ანუ ქრისტიანობა არა თანამედროვე, არამედ სახარებისეული, სრულიად განსხვავებული. ამ წმინდა, ამაღლებული, ჭეშმარიტი რელიგიის მეშვეობით, ადამიანები – ერთი ღმერთის შვილები – ერთმანეთს ძმებად მიიჩნევენ, ხოლო ამ სულიერი ძმობით გაერთიანებული საზოგადოება, მათი სიკვდილის შემდეგიც არ იშლება.

ამ რელიგიას პოლიტიკურ კორპუსთან არავითარი განსაკუთრებული მიმართება არა აქვს. იგი კანონებს მხოლოდ იმ ძალას უტოვებს, რაც თავად მათ გააჩნიათ და სხვა არავითარ ძალას არ მატებს; ამის წყალობით, ერთ-ერთი დიდი სიკეთე კერძო საზოგადოებისა უშედეგო რჩება; უფრო მეტიც, ეს რელიგია მოქალაქეთა გულებს სახელმწიფოსთან არათუ აკავშირებს, არამედ ისევე აშორებს, როგორც ყველაფერ ამქვეყნიურს. არ მეგულება საზოგადოებრივი სულისკვეთებისთვის ამაზე მეტად საპირისპირო რამ.

შეიძლება გვითხრან: ადამიანს როგორი სრულყოფილი საზოგადოების მოაზრებაც კი შეეძლო, ის ჭეშმარიტ ქრისტიანთაგან შემდგარ ხალხს შეუძლია. ამ ვარაუდში მხოლოდ ერთ დიდ დაბრკოლებას ვხედავ: ჭეშმარიტ ქრისტიანთა საზოგადოება ადამიანთა საზოგადოება აღარ იქნებოდა.

ასევე მიმაჩნია, რომ ეს გამოგონილი საზოგადოება, მისი სრულყოფილების მიუხედავად, არც უფრო მტკიცე იქნებოდა, არც უფრო ხანგრძლივი; მისივე სრულყოფილების გამო, აქ არ იქნებოდა კავშირი; მისი ნგრევის მიზეზი მისივე სრულყოფილებიდან მომდინარე ბიწიერება გახდებოდა.

თითოეული ადამიანი თავის მოვალეობას შეასრულებდა, ხალხი კანონს დამორჩილებოდა, გამგებლები სამართლიანნი და ზომიერნი, მოსამართლეები პატიოსანნი და მოუსყიდავნი იქნებოდნენ; ჯარისკაცები გადაეჩვეოდნენ სხვათა კვლას, არ იქნებოდა ამაობა და ფუფუნება. ყველაფერი ეს ძალზე კარგია, მაგრამ ვნახოთ, რა მოჰყვება ყოველივე ამას.

ქრისტიანობა სულის რელიგიაა, იგი მხოლოდ ზეციურ საქმეებზე ფიქრობს. ეს ქვეყანა ქრისტიანის სამშობლო არ არის. ცხადია, იგი თავის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ სრულიად გულგრილია თავისი საზრუნავების როგორც კარგი, ისე ცუდი შედეგების მიმართ. მისთვის სულ ერთია, როგორ მიდის საქმეები დედამიწაზე – კარგად თუ ცუდად; მისთვის არსებითია, რომ საკუთარი თავის მიმართ არ ჰქონდეს სასაყვედურო. თუ სახელმწიფო წინ მიდის, იგი ძლივსღა ბედავს საზოგადოებრივი კეთილდღეობით ტკბობას, ეშინია, მისი ქვეყნის დიდებამ არ გააყოყოჩოს. თუ ქვეყანა ილუპება, იგი ღვთის მარჯვენას საკუთარი ხალხის დასასჯელად ლოცავს.

საზოგადოებაში მშვიდობა და ჰარმონია რომ სუფევდეს, უკლებლივ ყველა მოქალაქე თანაბრად კარგი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო; მაგრამ თუ ამ საზოგადოებაში, საუბედუროდ, კატილინას ან კრომველის მსგავსი თუნდაც ერთი პატივმოყვარე, თუნდაც ერთი პირმოთნე აღმოჩნდება, მაშინ ასეთ ადამიანს ძალზე გაუიოლდება თავის ღვთისმოსავ თანამემამულეებს გაუსწორდეს. ქრისტიანული გულმოწყალება ასე იოლად ვერ იგუებს მოყვასზე აუგ ფიქრს. როგორც კი პატივმოყვარე ან პირმოთნე კაცი რაიმე ფანდით თანამემამულეებზე გავლენას მოახდენს და საზოგადოებრივი ძალაუფლების რაღაც ნაწილს ხელში ჩაიგდებს, იგი მორწმუნეთა თვალში მყისვე პატივსაცემ ადამიანად იქცევა. სწამთ, რომ ღვთის სურვილია, მას პატივს სცემდნენ; მალე ეს კაცი ძალაუფლებასაც მოიხვეჭს. ისევ და ისევ ღმერთს სურს, რომ მას მორჩილებდნენ. თუ იგი ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას დაიწყებს, მაშინაც სჯერათ, რომ ღმერთი თავისი კვერთხით სჯის შვილებს. უზურპატორის გაძევების სურვილი თუ გაჩნდა, მას ყველა გაითავისებს, მაგრამ ამას ხომ საზოგადოებრივი მშვიდობის დარღვევა, ძალის გამოყენება, სისხლისღვრა მოჰყვება; ყოვე-

* მწყეულიმც იყოს!

ლივე ეს კი ცუდად ეთანხმება ქრისტიანის ლმობიერებას. დაბოლოს, მისთვის განა სულერთი არაა, ამქვეყნიურ ჭირ-ვარამში თავისუფალი იქნება თუ მონა? მთავარია სამოთხეში მოხვედრა, ბედის მორჩილება მხოლოდ საშუალებაა ამ ნატვრის ასახდენად.

რომელიმე უცხო ქვეყნის წინააღმდეგ საომრად მოქალაქეები დაუზარებლად მიდიან, არც ერთი მათგანი გაქცევაზე არ ფიქრობს; ისინი თავიანთ ვალს იხდიან, მტრის დამარცხებაზე ნაკლებად ფიქობენ; გამარჯვებისათვის დიდად არ ირჯებიან, სიკვდილს უფრო იოლად ხვდებიან; რა აზრი აქვს მათთვის გამარჯვებას ან დამარცხებას? ბედისწერამ ხომ უკეთ უწყის, მათ რაც სჭირდებათ? წარმოგიდგენიათ, რაოდენ სასარგებლო იქნება ასეთი სტოიციზმი ამაყი, დაუდგრომელი და უდრეკი მოწინააღმდეგისათვის? შეადარეთ მათ დიდებისა და სამშობლოს დაუოკებელი სიყვარულით გამსჭვალული კეთილშობილი ხალხები; დაუპირისპირეთ თქვენი ქრისტიანული რესპუბლიკა სპარტას ან რომს; ვიდრე ღვთისმოსავი ქრისტიანები გონს მოეგებიან, მტერი მათ დაამარცხებს, ამოჟლეტს გაანადგურებს, ან თუ გადარჩებიან, იმიტომ რომ მტერს ისინი სასტიკად სძულს და სამარცხვინო სიცოცხლისათვის ჰყავს სამუდამოდ გამეტებული. ჩემი აზრით, ძალზე მშვენიერი ფიცი ფაბიუსის[149] ჯარისკაცებმა დადეს. მათ არ უთქვამთ – სიკვდილი ან გამარჯვება! უბრალოდ დაიფიცეს, რომ გამარჯვებულები დაბრუნდებოდნენ და თავიანთი სიტყვა კიდეც შეასრულეს. ქრისტიანები ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ მსგავსი ფიცის დადებას, ამას ისინი ღვთისმგმობელ ცდუნებად ჩათვლიდნენ.

ვცდები, როდესაც ვამბობ: ქრისტიანული რესპუბლიკა. ერთი სიტყვა მეორეს გამორიცხავს, ქრისტიანობა მხოლოდ მონობასა და მორჩილებას ქადაგებს. ასეთი სულისკვეთება ზედგამოჭრილია ტირანიისათვის, ამით მან თუნდაც ყოველთვის არც ისარგებლოს. ჭეშმარიტი ქრისტიანები მონობისთვის არიან გაჩენილნი; ეს მათ იციან და სრულებით არ აღელვებთ; ხანმოკლე მიწიერ სიცოცხლეს მათ თვალში ძალზე მცირე ღირებულება აქვს.

იმასაც გვეტყვიან, რომ ქრისტიანთაგან შემდგარი ჯარები ჩინებულია. მე არ ვეთანხმები ამას; მიჩვენეთ ასეთი ჯარები; პირადად მე, ასეთი ქრისტიანული ჯარები არ მინახავს. ჯვაროსანთა ლაშქრობებზე თუ მიმითითებენ, მათ სიმამაცეზე არ ვდაობ; უბრალოდ შევნიშნავ, რომ ისინი ქრისტიანები კი არა, მღვდელმთავრის ჯარისკაცები, ეკლესიის მოქალაქეები იყვნენ. ისინი მისი სულიერი სამყაროსთვის იბრძოდნენ; გაუგებარია, როგორ აქცია ეკლესიამ მიწიერად. თუ ჯვაროსნული ლაშქრობების არსს კარგად ჩავუკვირდებით, ისინი უფრო წარმართული ხასიათის ბრძოლებს ჰგვანან; სახარება ეროვნულ რელიგიას არ ქადაგებს ამდენად, სამშობლოს დამცველი ყოველგვარი წმინდა ომი ქრისტიანთათვის შეუძლებელია.

წარმართი იმპერატორების დროს ქრისტიანი ჯარისკაცები სიმამაცით გამოირჩეოდნენ; ამ ფაქტს ყველა ქრისტიანი ავტორი ადასტურებს და მე ეს მჯერა. წარმართულ ჯარებს ღირსება ასე უწევდა ერთგვარ მეტოქეობას. როგორც კი იმპერატორები ქრისტიანები გახდნენ, ეს მეტოქეობაც შეწყდა; ხოლო როდესაც ჯვარმა არწივიც განდევნა, რომაული სიმამაცეც გაქრა.

შევწყვიტოთ პოლიტიკური მსჯელობები, დავუბრუნდეთ სამართალს და დავადგინოთ ამ მნიშვნელოვანი საკითხის პრინციპები. როგორც უკვე ვთქვი, უფლება, რომელსაც სუვერენს საზოგადოებრივი ხელშეკრულება ანიჭებს ქვეშევრდომების მიმართ, საზოგადოებრივი სარგებლის ზღვრებს არ სცილდება.* ქვეშევრდომები თავიანთი შეხედულებების გამო პასუხს უნდა აგებდნენ სუვერენის წინაშე, ვინაიდან მათ აზრებს ანგარიშს უწევს საზოგადოება. ამგვარად, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია, თითოეული მოქალაქე ისეთ რელიგიას აღიარებდეს, რომელიც მისივე მოვალეობების სიყვარულს შთააგონებს; მაგრამ ამ რელიგიის დოგმები იმდენად აინტერესებს სახელმწიფოსა და მის წევრებს, რამდენადაც ისინი ეხებიან ზნეობასა და მოვალეობებს, რომელთა შესრულებაც ევალება მათ აღმსარებელს სხვათა მიმართ. გარდა ამისა, თითოეულს შეუძლია ისეთი რელიგიური შეხედულებები ჰქონდეს, როგორიც მას სურს, სუვერენს მათი ცოდნა არ სჭირდება; ვინაიდან იმქვეყნიური სამეფო მისი კომპეტენტეცია არ გახლავთ, რა ბედი ეწევა მის ქვეშევრდომებს საიქიო ცხოვრებაში, ეს მისი საქმე არაა. მისთვის არსებითია, რომ ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაში იყვნენ კარგი მოქალაქეები.

ამგვარად, არსებობს რწმენის წმინდა სამოქალაქო აღსარება, რომლის მუხლების დადგენაც სუვერენს ევალება და ეს რელიგიის დოგმატების სახით კი არ უნდა მოხდეს, არამედ თანაცხოვრების წესების სახით, რომელთა გარეშეც პიროვნება ვერც კარგი მოქალაქე იქნება და ვერც

* „რესპუბლიკაში, – ამბობს მარკიზი დ'* არჟანსონი, – თითოეული სავსებით თავისუფალია იმაში, რასაც ზიანი არ მოაქვს სხვებისათვის". აი, უცვლელი ზღვარი. შეუძლებელია ამ აზრის უფრო ზუსტი გამოთქმა. საზოგადოებისათვის უცნობი ამ ხელნაწერის დროდადრო ციტირებისაგან თავი იმიტომ ვერ შევიკავე, რათა პატივი მიმეგო სახელოვანი და პატივცემული ადამიანის ხსოვნისათვის, რომელმაც მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისასაც კი შეინარჩუნა ჭეშმარიტი მოქალაქის გული, თავისი ქვეყნის მმართველობის შესახებ სწორი და ჯანსაღი თვალსაზრისი.

ერთგული ქვეშევრდომი.* სუვერენს არ ძალუძს ვინმე აიძულოს სწამდეს ეს წესები, მაგრამ შეუძლია სახელმწიფოდან გააძევოს ნებისმიერი მოქალაქე, ვისაც ისინი არ სწამს, არა როგორც არასოციალური, ურწმუნო არსება, არამედ როგორც მოქალაქე, რომელსაც ძალა არ შესწევს, გულწრფელად უყვარდეს კანონები, სამართლიანობა, არ შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოვალეობას საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შეწიროს. თუ მოქალაქე ამ დოგმების საჯაროდ აღიარების შემდეგ თავისი მოქმედებით საპირისპიროს დაამტკიცებს, უდიდესი დანაშაულისათვის – კანონთა წინაშე ჩადენილი სიცრუისათვის, სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

სამოქალაქო რელიგიის დოგმები უნდა იყოს მარტივი, არამრავალრიცხოვანი, ნათლად გამოთქმული, განმარტებებისა და კომენტარების გარეშე. ძლიერი, გონიერი, კეთილისმყოფელი, შორსმჭვრეტელი და მზრუნველი ღვთაების არსებობა, მომავალი ცხოვრების იმედი, სამართლიანთა ნეტარება, ცოდვილთა დასჯა, საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და კანონების სიწმინდე – აი, პოზიტიური დოგმები. რაც შეეხება უარყოფითებს, მე მხოლოდ ერთის დასახელებით დავკმაყოფილდები – შეუწყნარებლობა; იგი ჩვენს მიერ გამორიცხულ რელიგიურ კულტთა რიგს მიეკუთვნება.

ჩემი აზრით, ცდებიან, როდესაც სამოქალაქო და თეოლოგიურ შეუწყნარებლობას ერთმანეთს აშორებენ; ისინი განუყოფელია. შეუძლებელია მშვიდად ცხოვრობდე ადამიანებთან, რომლებიც შეჩვენებულები არიან. მათი სიყვარული ღმერთის სიძულვილი იქნებოდა, ვინაიდან იგი სჯის მათ. აუცილებლობის თანახმად, ისინი ან უნდა მოვაქციოთ, ან ვაწამოთ. ყველგან, სადაც თეოლოგიური შეუწყნარებლობა დაშვებულია, ასეთი ქმედება სამოქალაქო ცხოვრებაზე** გარკვეულ ზემოქმედებას იქონიებს. როგორც კი შეუწყნარებლობას ასეთი ქმედების საშუალება ეძლევა, თუნდაც დროებით, სუვერენი სუვერენობას წყვეტს საერო ხელი-

* კატილინას დასაცავად ცეზარი[150] სულის მოკვდავობის დოგმის დადგენას ცდილობდა. ამის უარსაყოფად კატონი და ციცერონი ზედმეტ ფილოსოფოსობას არ მოჰყოლიან; ისინი იმაზე მითითებით დაკმაყოფილდნენ, რომ ცეზარი ცუდ მოქალაქესავით მსჯელობდა და სახელმწიფოს დამღუპველი დოქტრინა წამოაყენა. მართლაც, სენატს ამაზე უნდა ემსჯელა და არა თეოლოგიის საკითხზე.

** მაგალითად, ქორწინება, როგორც სამოქალაქო ხელშეკრულება, ისეთ სამოქალაქო უფლებებს იძლევა, რომელთა გათვალისწინების გარეშეც საზოგადოება ვერ იარსებებდა. დავუშვათ, სამღდელოებამ შეძლო ამ უფლების მითვისება და მხოლოდ მას ევალება ამ აქტის აღსრულება. ნებისმიერ არაშემწყნარებელ სარწმუნოებაში იგი აუცილებლად მოახდენს ამ უფლების უზურპაციას. ასეთ შემთხვევაში განა ნათელი არ არის, რომ სათანადო დროს, საეკლესიო ძალაუფლების განხორციელებით, იგი სამეფო ხელისუფლებას ზედმეტს გახდის და ხელმწიფეს მხოლოდ ის ქვეშევრდომები შერჩება, რო-

სუფლებაშიც კი. ამ დროიდან მოკიდებული ჭეშმარიტი გამგებლები მღვდლები ხდებიან, მეფეები კი მხოლოდ მათი მსახურნი არიან.

ახლა, როდესაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ცალკე ეროვნული რელიგია, აუცილებელია ყველა იმ რელიგიის აღიარება, რომელთაც სხვები სცემენ თაყვანს; მით უფრო, თუ მათი დოგმები მოქალაქის მოვალეობების საწინააღმდეგოს არაფერს ქადაგებენ. მაგრამ ვინც გაბედავს, თქვას – **ეკლესიის იქით ხსნა არ არსებობსო** – სახელმწიფოდან გაძევებული უნდა იქნეს, ცხადია, თუ სახელმწიფო იმავდროულად ეკლესიაც არ არის, ხოლო ხელმწიფე მღვდელმთავარი არ გახლავთ. ასეთი დოგმა მხოლოდ თეოკრატიული მმართველობის დროს არის ვარგისი; ნებისმიერი სხვა მმართველობისათვის იგი დამღუპველია. ამბობენ, მოტივი, რის საფუძველზეც ანრი IV-მ[151] კათოლიკობა მიიღო, ნებისმიერ პატიოსან კაცს, მით უფრო ნებისმიერ, განსჯის უნარის მქონე ხელმწიფეს ამ ნაბიჯს გადაადგმევინებდაო.*

მელთა დათმობასაც მისთვის სამღვდელოება მოისურვებს? საღმდელოება, რომელსაც სრული უფლება ექნება – დააქორწინოს ან არ დააქორწინოს ადამიანები, იმისდა მიხედვით, აღიარებენ თუ არა ისინი ამა თუ იმ მოძღვრებას, აღიარებენ თუ უარყოფენ აღსარების ამა თუ იმ ფორმას, ეკლესიის ერთგულნი არიან თუ არა – თავისი პოლიტიკის სათანადო სიმტკიცითა და გონივრულად წარმართვით, ცხადია, თავად გაანაწილებს მემკვიდრეობას და თანამდებობებს, მოქალაქეთა გამგებლებიც იქნება და სახელმწიფოსიც, ვინაიდან სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ მისი ყველა მოქალაქე უკანონოდ შობილი იქნება. შესაძლოა თქვან, რომ ასეთი ქმედება ბოროტებად გამოცხადდება, სასამართლოში შეიტანენ სარჩელს, მიიღებენ შესაბამის დეკრეტებს, მიმართავენ საერო ხელისუფლებას. რა დასანანია?! სამღვდელოებას თუ ცოტაოდენი საღი აზრი მაინც შერჩება (სიმამაცეზე არას ვამბობ), ყველაფრის ნებას დაგრთავთ და თავისას გააგრძელებს. იგი მშვიდად შეხვდება ჩივილს, სასამართლოში გამოძახებას, დეკრეტების გამოცემას, დაპატიმრებას და ყველაფერი იმით დასრულდება, რომ ისევ თვითონ დარჩება გამგებელი. ვფიქრობ, დიდ რამეს არ კარგავ ნაწილზე უარის თქმით, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ მთელის მფლობელი იქნები.

* პერეფიქსი[152] თხზულებაში „ანრი IV-ის ისტორია“ მოგვითხრობს ანეკდოტს, რაზეც რუსო გადაკვრით მიგვანიშნებს: „ერთი ისტორიკოსის თანახმად, მეფემ თავის თანდასწრებით გამართულ ორივე ეკლესიის სწავლულთა თათბირზე შენიშნა, თუ როგორ დაეთანხმა ერთი მღვდელი აზრს, რომ ხსნა კათოლიკეთა სარწმუნოებაშია. მისმა უდიდებულესობამ სიტყვა ითხოვა და მღვდელს მიმართა: „როგორ?! თქვენ ეთანხმებით, რომ ამ ბატონების (კათოლიკეთა) სარწმუნოებაშია ხსნა?“ მღვდელმა მიუგო, რომ ამაში ეჭვი არ ეპარებოდა; მაშინ მეფემ ძალზე სამართლიანად შენიშნა: „ამგვარად, წინდახედულება მკარნახობს, რომ მე კათოლიკეთა სარწმუნოება მივიღო და არა – თქვენი; თუ მათ სარწმუნოებას მივიღებ, ხსნა მელის როგორც მათი, ისე თქვენი სარწმუნოებით; თქვენი სარწმუნოების მიღებით, ხსნა მელის მხოლოდ თქვენი სარწმუნოებით, მათი სარწმუნოებით კი არა. ასე რომ, საიფრთხილეს თავი არ სტკივა, უფრო საიმედო რელიგიას უნდა მივყვე“.

IX თავი

დასკვნა

მას შემდეგ, რაც დადგინდა პოლიტიკური სამართლის ჭეშმარიტი პრინციპები და მის საფუძველზე იყო ცდა სახელმწიფოს დაფუძნებისა, საჭირო გახდა იგი საგარეო ურთიერთობებით განმტკიცებულიყო; ამაში უნდა ჩართულიყო საერთაშორისო სამართალი, ვაჭრობა, ომისა და დაპყრობების უფლება, საჯარო სამართალი, კავშირები, მოლაპარაკებები, ხელშეკრულებები და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს კი ახალი, მეტისმეტად ვრცელი თემაა, რომელსაც ჩემი შეზღუდული მზერა ვეღარ სწვდება. ამიტომ მუდამ იმით უნდა შემოვისაზღვრო, რაც ჩემთვის არის ახლობელი.

შენიშვნები

1. რუსო გულისხმობს თხზულებას „პოლიტიკური ინსტიტუტები“, რომლის წერაც მან დაახლოებით 1752 წელს დაიწყო.
2. ლაპარაკია ჟენევის რესპუბლიკაზე.
3. **გროციუსი ჰუგო დე გროოტი** (1583-1645) – ჰოლანდიელი იურისტი და სახელმწიფო მიღვაწე, ბუნებრივი სამართლისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. გროციუსის თანახმად, სამართალი და სახელმწიფო არა ღვთაებრივი, არამედ მიწიერი წარმოშობისაა; სახელმწიფო წარმოიშვა ადამიანთა შორის ხელშეკრულების შედეგად. გროციუსის ძირითადი თხზულებაა „ომისა და მშვიდობის უფლება, (1625).
4. რუსოს მხედველობაში აქვს ჰობსის თხზულება „ლევიათანი“ ნ. II. თ. XVIII.

   ჰობსი თომას (1588-1679) – ინგლისელი ფილოსოფოსი; სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში ჰობსმა უარყო საზოგადოების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია დაიცვა. ჰობსს სახელმწიფოს საუკეთესო ფორმად აბსოლუტური მონარქია მიაჩნდა, მაგრამ მისი იდეა იყო არა მონარქიული, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდული პრინციპი. ჰობსის ძირითადი თხზულებებია: „მოქალაქის შესახებ მოძღვრების ფილოსოფიური ელემენტები“ (1642), „ლევიათანი“ (1655). ფრაზა „ჰობსიც ამავე აზრისაა“ – სწორედ „ლევიათანში“ გამოთქმულ შეხედულებას გულისხმობს.
5. **მარკიზი დ' არჟანსონი რენე ლუი** (1694 – 1757) – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1744-47 წლებში.
6. **ფილონ ალექსანდრიელი** (ძვ. წ. დაახ. 13 – ახ. წ. 54) – ებრაული ელინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. იმპერატორი კალიგულა იუდეას ომით დაემუქრა იმის გამო, რომ იერუსალიმის ტაძარში მისი ქანდაკების დადგმაზე უარი განაცხადეს. ებრაელებმა რომში ელჩები გაგზავნეს. მათ შორის იყო ფილონიც. ამ ფაქტთან დაკავშირებით დაწერა ფილონმა საგანგებო თხზულება, რომელიც კალიგულას სიკვდილის შემდეგ წაიკითხეს რომის სენატში.
7. **კალიგულა გაიუს ცეზარი** (12-41) – რომის იმპერატორი, გერმანიკუსისა და აგრიპინას ვაჟი, ნახევრად შეშლილი; სახელმწიფოს განაგებდა ტირანულად, მოკლეს მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დროს.

8. **არისტოტელე** (ძვ. წ. 384-322) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, განათლება მიიღო ათენში, პლატონის სკოლაში. არისტოტელე დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებს. რუსოს მიერ მოხმობილი ფრაზა გვხვდება არისტოტელეს „პოლიტიკაში“, წ. I, თავი V.
9. **ულისე** – კუნძულ ითაკის მითიური მეფის ლაერტესა და ანტიკლეას ვაჟის, ტროას ომის გმირის, ოდისევსის, ლათინური სახელი; ჰომეროსის პოემის „ოდისეა“ და „ილიადა“-ს პერსონაჟი. ტროას დაცემის შემდეგ ოდისევსს მრავალი ფათერაკი შეემთხვა. ჯადოქარმა კირკემ კუნძული აიადან მისი თანამგზავრები ღორებად აქცია.
10. **მეფე ადამი** – თიხისაგან გამოძერწილი ადამიანის პირველი ირონიული მოხსენიება.
11. **ნოე** – ბიბლიური მამამთავარი, ადამის მეათე შთამომავალი. ღმერთის რჩევით ნოემ ააგო კიდობანი და გადაარჩინა სულდგმულნი. ნოე მიიჩნევა კაცობრიობის მხსნელად. რუსო ნოეს „იმპერატორს“ უწოდებს, ხოლო სამ დიდ მონარქში მის ვაჟებს – სემს, ქამს და იაფეტს – გულისხმობს.
12. **სატურნი** – მიწათმოქმედებისა და მოსავლის ღვთაება ძველ რომში, იუპიტერის მამა. თავდაპირველად ბერძნების ღვთაებასთან – კრონოსთან იყო გაიგივებული.
13. **რობინზონი** – რუსოს ნაგულისხმევი ჰყავს ინგლისელი მწერლის დანიელ დეფოს (1660-1731) რომანის, „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ -ს. მთავარი პერსონაჟი.
14. ყოველი ხელისუფლება ღმერთისგან მომდინარეობს – ახალი აღთქმის ერთი ფრაგმენტის პერიფრაზი. (იხ. პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 13. – 1.)
15. **რაბლე ფრანსუა** (1494-1553) – ფრანგი ჰუმანისტი მწერალი, ავტორი თხზულებისა „გარგანტუა და პანტაგრუელი“.
16. **ციკლოპი** (ბერძნ. კიკლოპი) – მითიური ცალთვალა ბუმბერაზი. რუსოს ნაგულისხმევი აქვს ჰომეროსის პოემა „ოდისეა“ – IX სიმღერა.
17. ავტორის მითითება მონტესკიეზე. იხ. მონტესკიე „კანონთა გონი“, წიგნი XV, თავი II.
18. **ლუი IX** (1214-1270) – საფრანგეთის მეფე, მეტსახელად „წმინდა“. კაპეტინგების დინასტიის წარმომადგენელი. მისმა დადგენილებებმა ხელი შეუწყო მეფის ხელისუფლების განმტკიცებას, ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და ანარქიის დაძლევას.

19. **საღვთო ზავი** – ასე იწოდებოდა საგანგებო დადგენილება, რომლითაც შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია, მოგვიანებით კი სამეფო კარიც, კრძალავდა საომარ მოქმედებებს დღესასწაულებისა და მარხვების ჟამს.
20. **კატონი მარკუს პორციუს უმცროსი** ძველი წელთაღრიცხვით 173 წელს ლიგურიაში (თანამედროვე საფრანგეთის სამხრეთი სანაპირო) რომაელთა ლეგიონებში მსახურობდა. იგი გარდაიცვალა ძვ. წ. 152 წელს.
21. **პოპილიუსი მარკუს ლენუსი** – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსულად მყოფი პოპილიუსი ძვ. წ. 173 წ. ლიგურიაში ბრძოლას წარმატებით მხედართმთავრობდა.
22. **კატონი მარკუს პორციუს უფროსი** (ძვ. წ. 234-149) – რომის სახელმწიფო მოღვაწე, ცენზორი.
23. **კლუზიუმი** – ქალაქი ეტრურიაში (მხარე იტალიის დასავლეთ სანაპიროზე). 225 წელს აქ გალებმა გაიმარჯვეს რომაელებთან ბრძოლაში.
24. იხ. მონტესკიე, „კანონთა გონი“, წიგნი X, თავი III.
25. **ბოდენი ჟან** (1530-1596) – ფრანგი ეკონომისტი, წერდა პოლიტიკაზეც. ავტორი თხზულებისა „ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ“. ჟან ბოდენს სახელმწიფო გადატრიალების მთავარ მიზეზად ქონებრივი უთანასწორობა მიაჩნდა.
26. **დ' ალამბერი ჟან ლე რონ** (1717-1783) – ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი. სხვა ფრანგ განმანათლებელთაგან განსხვავებით, იგი ამტკიცებდა, რომ ზნეობა არ არის განპირობებული საზოგადოებრივი გარემოთი.
27. **ნუნ'ეს დე ბალბოა** (ვასკო) (1475-1517) – ესპანელი მეზღვაური, ავანტიურისტი, კონკვისტადორი. 1513 წელს ცენტრალური ამერიკის ყელი გადაკვეთა და მიაღწია წყნარი ოკეანის სანაპიროს.
28. **კასტილია** – პირენეის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სახელმწიფო.
29. რუსო გულისხმობს გროციუსს, ბარბეირაკს და ბურლამაკს. მათი აზრით, სუვერენიტეტი უნდა გაყოფილიყო ცალკეულ პიროვნებებს ან დაწესებულებებს შორის.
30. იგულისხმება გროციუსის თხზულება „ომისა და მშვიდობის უფლება.“
31. **ლუი XIII** (1601-1643) – მეტსახელად „სამართლიანი“, საფრანგეთის მეფე, ანრი IV-ისა და მარია მედიჩის ვაჟი.
32. **გეორგ I** (1660-1727) – ინგლისისა და ირლანდიის მეფე 1714-1727 წლებში.

33. **იაკობ II** (1633-1701) – ინგლისის მეფე, სტიუარტების დინასტიის ჩამომავალი. იაკობ II-ის რეაქციულმა პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია. მის წინააღმდეგ შეთქმულებმა 1688 წელს ტახტზე მისი სიძე, ვილჰელმ III ორანელი, დასვეს; მან ნიდერლანდთა ფლოტის დახმარებით დაამარცხა იაკობ II.

34. **ვილჰელმ III** (1656-1702) – ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფე (1689-1702), პროტესტანტიზმის დამცველი.

35. **მაკიაველი ნიკოლო დი ბერნარდო** (1469-1527) – იტალიელი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი. მაკიაველის თანახმად, საზოგადოება ვითარდება ბუნებრივი მიზეზებით და არა ღმერთის ნებით. პოლიტიკურ ბრძოლაში მაკიაველს დასაშვებად მიაჩნდა მორალის კანონების უგულებელყოფა, მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალებების გამოყენება; ძალაუფლებისათვის ბრძოლაში იგი ამართლებდა მმართველთა სიმკაცრესა და მუხანათობას. მისი ძირითადი შრომებია: „მთავარი“, „ფლორენციის ისტორია“, „მსჯელობა ტიტუს ლივიუსზე“.

36. **სოლონი** (ძვ. წ. 640-558) – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და კანონმდებელი, ერთ–ერთი „შვიდ ბრძენთაგანი“. სოლონმა ჩაატარა რეფორმა, რომელიც მიმართული იყო ევპატრიდების (მსხვილი მიწათმფლობელები) წინააღმდეგ. სოლონმა აკრძალა ადამიანის დამონება და მისი გაყიდვა, შექმნა დემოკრატიული ხასიათის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც, ქონებრივი ცენზის მიხედვით, ათენის მოსახლეობა ოთხ კლასად დაიყო; ამით ევპატრიდებმა დაკარგეს პოლიტიკური პრივილეგიები.

37. **ნუმა პომპილიუსი** (ძვ. წ. 715-672) – გადმოცემის თანახმად რომის მეორე მეფე; მან განახორციელა რელიგიური და სამართლებრივი რეფორმები.

38. **სერვიუს ტულიუსი** (ძვ. წ. 578-535) – რომის მეექვსე მეფე. სერვიუსმა რომის მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით 193 ცენტურიად, ხოლო ტერიტორია 4 საქალაქო და 26 სასოფლო ოლქად ანუ ტრიბად დაყო. სერვიუსი მოკლა მისმა სიძემ ტარკვინიუს ამაყმა.

39. **პლატონი** (ძვ. წ. 428-348-347) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე. პლატონი ბევრს ფიქრობდა სახელმწიფოს პრობლემებზე; იგი ავტორია ოცდაათზე მეტი ფილოსოფიური დიალოგისა.

40. **მონტესკიე შარლ ლუი** (1689-1755) – ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი, პოლიტიკური მოაზროვნე, სოციოლოგი. მსოფლმ-

ხედველობით დეისტი. ავტორი თხზულებებისა: „სპარსული წერილები“, „განაზრებანი რომაელთა დიდებისა და დაცემის მიზეზებზე“, „კანონთა გონი“.

41. **ლიკურგე** (ძვ. წ. IX-VIII ს.) სპარტის ლეგენდარული კანონმდებელი.

42. **კალვინი ჟან** (1509-1564) – რეფორმაციის ფრანგი მოღვაწე, კალვინიზმის ფუძემდებელი. 1536 წელს კალვინი გადასახლდა ჟენევაში და 1541 წლიდან გახდა ქალაქის ფაქტობრივი დიქტატორი. კალვინიზმის საფუძველია მოძღვრება წინასწარგანსაზღვრულობაზე, რომლის თანახმადაც ადამიანთა ერთი ნაწილი „ხსნას“ მიიღებს, ხოლო სხვები განწირულნი არიან „განკითხვისათვის“. საუკეთესო სათნოებად კალვინიზმი აცხადებდა ზომიერებასა და მომჭირნეობას; კალვინიზმისათვის დამახასიათებელი იყო რელიგიური შეუწყნარებლობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ. მის დროს იდევნებოდა საერო გასართობი სანახაობები – თეატრი, ცეკვები, და ა.შ.

43. **დეცემვირები** – ათი თანამდებობის პირის ან ქურუმისაგან შემდგარი კოლეგია რომში. ძვ. წ. 451 წ. დეცემვირებმა ბრინჯაოს 10 დაფაზე ამოტვიფრეს კანონები, რომელთაც ძვ. წ. 450 წ. კიდევ ორი დაფა დაემატა. ამიტომ ეწოდა მათ „12 დაფის კანონი“.

44. **ძველ ებრაელთა** კანონი – იგულისხმება მოსეს კანონმდებლობა.

45. **ისმაილის შთამომავალი** – მაჰმადი; არაბებს მიაჩნიათ, რომ ისინი ისმაილისა და მისი თორმეტი ვაჟის ჩამომავლები არიან.

46. **უორბერტონი უილიამ** (1698-1779) – გლოჩესტერის ეპისკოპოსი; ავტორი ტრაქტატებისა: „ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი“, „მოსეს საღვთო კანონმდებლობა“.

47. **არკადიელები** – ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარის, არკადიის მკვიდრნი. (არკადია მდებარეობდა პელოპონესის ცენტრალურ ნაწილში.) რბილი ჰავის წყალობით ამ მხარეში განვითარდა მეცხოველეობა. არკადია ძველადვე უზრუნველი ცხოვრების სიმბოლოდ იქნა მიჩნეული.

48. **კირენელები** – ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე უხვმოსავლიანი მხარის, კირენეს, მკვიდრნი.

49. **მინოსი** – კუნძულ კრეტას მითიური მეფე, ზევსის და ევროპეს ვაჟი. მითების თანახმად, მინოსი სამართლიანი და ბრძენი მეფე ყოფილა, ზევსის დახმარებით შეუქმნია ძველი კრეტის კანონმდებლობა. კრეტა – ეგეოსის ზღვის სამხრეთში მდებარე კუნძული. მსოფ-

ლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა. კრეტამ უდიდეს აყვავებას მიაღწია ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში.

50. **ტარკვინიუსები** – იგულისხმებიან: ძველი რომის მეხუთე მეფე – ტარკვინიუს ლუციუს პრისკუსი (მეფობდა ძვ. წ. 616,615 – 578,577) და ძველი რომის მეშვიდე, უკანასკნელი მეფე – ტარკვინიუს ლუციუს სუპერბუსი (ამაყი), მეფობდა (ძვ. წ. 534,533 – 510,509)

51. რუსო გულისხმობს ჰაბსბურგთა წარმომადგენლების გაძევებას ნიდერლანდებიდან 1566-1609 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის დროს და შვეიცარიიდან – XIV-XV საუკუნეებში.

52. **პეტრე** – რუსეთის მეფე პეტრე დიდი (1672-1725). როგორც ცნობილია, ევროპაში მოგზაურობის შემდეგ მან სახელმწიფოში მთელი რიგი რეფორმები გაატარა, შექმნა ძლიერი ჯარი, ფლოტი. დაამარცხა შვეციის მეფე კარლოს XII.

53. **დეკარტი რენე** (1596-1650) – ფრანგი ფილოსოფოსი, რაციონალიზმის მამამთავარი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ანალიზური გეომეტრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დეკარტს კოსმიური მატერიის მოძრაობის ძირითად ფორმად მიაჩნდა მისი ნაწილაკების გრიგალისებრი მოძრაობა, რაც ასევე განაპირობებს სამყაროს აღნაგობას და წარმოშობს ციურ სხეულებს. დეკარტის ამ ჰიპოთეზამ ხელი შეუწყო ბუნების დიალექტიკურ გაგებას, თუმცა თვით დეკარტს განვითარება ჯერ ისევ მექანისტურად ესმოდა. მისი თხზულებებია: „მსჯელობა მეთოდის შესახებ“, „მეტაფიზიკური განაზრებანი“.

54. **ტლასკალას** რესპუბლიკა – ერთ-ერთი შტატი მექსიკაში. მექსიკის დაპყრობის შემდეგ ესპანელებმა ცნეს ტლასკალას რესპუბლიკა.

55. **კორსიკა** – კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, ეკუთვნის საფრანგეთს. რუსო გულისხმობს კორსიკის მკვიდრთა ბრძოლას გენუისა და საფრანგეთის წინააღმდეგ XVIII საუკუნის I ნახევარში.

56. **ტვიროსი** – ფინიკიელთა უძველესი ნავსადგური ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე; ტვიროსმა კომერციით გაითქვა სახელი.

57. **როდოსი** – მცირე აზიის ერთ-ერთი დიდი კუნძული ეგეოსის ზღვაში, ძლიერი კომერციით სახელგანთქმული რესპუბლიკა, ელინისტური კულტურის მძლავრი კერა.

58. აქ მონტესკიეს გავლენა იგრძნობა „თუმცა ზოგადად ყველა სახელმწიფოს ერთი და იგივე მიზანი – თავისთავის შენარჩუნება აქვს, მაინც თითოეულ სახელმწიფოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიზანიც გააჩნია. რომის მიზანი გაფართოება იყო, ლაკედამონისა – ომი, იუდეველთა კანონებისა – რელიგია, მარსელისა – ვაჭრობა, ჩინეთის კანონებისა – საზოგადოებრივი სიმშვიდე, როდოსელთა კანონებისა – ზღვაოსნობა, ველურთა თემობისა – ბუნებრივი თავისუფლება“. – მონტესკიე, „კანონთა გონი“, წიგნი XI, თავი V.

59. **რვა იმპერატორი** – იგულისხმება კრიზისის უკიდურესი გამწვავება რომის იმპერიაში (ახ. წ. III საუკუნე).

60. რომის იმპერიის საბოლოო დაყოფა, როგორც ცნობილია, ახ. წ. 395 წელს მოხდა.

61. იგულისხმება მონტესკიე: „სახალხო სახელმწიფო საჭიროებს დამატებით მამოძრავებელს, ეს მამოძრავებელი კი ქველობაა“. მონტესკიე, „კანონთა გონი“, წიგნი III, თავი III

62. **მამაცი ვოევოდა** – რუსო სქოლიოში ასეთ განმარტებას იძლევა: „პოზნანის ვოევოდა, პოლონეთის მეფის, ლოტარინგიის ჰერცოგის მამა“. იგულისხმება: პოლონეთის მეფე სტანისლავ ლეშჩინსკი (1705-1709), შვეციის მეფის კარლოს XII-ის კაცი.

63. **გერონტები** – ძველ საბერძნეთში გერუსიის (უხუცესთა საბჭო) წევრები.

64. **არქიმედე** (ძვ. წ. 287-212) – ბერძენი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. იგი II პუნიკური ომის დროს (ძვ. წ. 218-201) სამი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა რომაელებს, რომელთაც ალყაში ჰყავდათ მოქცეული მისი ქალაქი სირაკუსე. გადმოცემის თანახმად, არქიმედე დამანის მეშვეობით ხანძარს უჩენდა რომაელთა ხომალდებს. მოკლეს სირაკუსეს აღების დროს.

65. **სამუელი** – ისრაელის დიდი წინასწარმეტყველი და ბოლო მსაჯული. სამუელის წინასწარმეტყველება ახდა – ისრაელმა ფილისტიმელებს სძლია. დავით წინასწარმეტყველი მეფედ სამუელმა აკურთხა ფარულად. სამუელი მიიჩნევა მსაჯულთა, რუთის, მეფეთა პირველი და მეორე ბიბილიური წიგნების ავტორად.

66. **მედიჩები** – საგვარეულო, რომლიც XV-XVI საუკუნეებში მეფობდა ფლორენციაში.

67. **საზარელი გმირი** – მაკიაველი „მთავარში“ გვიხატავს ამაზრზენი ბოროტმოქმედებებით ცნობილ ცეზარ ბორჯიას (დაახ. 1476-1507), რომელიც არაფერს არ იშურებდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

68. **რომის კარი** – ფიქრობენ, რომ სინამდვილეში აქ უნდა იგულისხმებოდეს ვატიკანი, რომელმაც ამა თუ იმ წიგნის აკრძალვის უფ-

ლება მიითვისა. იმავდროულად აქ პაპის, როგორც საერო ხელისუფლის, კარსაც გულისხმობენ.

69. **ჰერაკლე** – ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირის, ზევსისა და ალკმენეს ძის, ჰერკულესის ლათინური სახელი: ჰერაკლემ, დელფოს სამისნოს დავალებით, აღასრულა თორმეტი საგმირო საქმე.

70. **დიონისე უმცროსი** (გარდ ძვ. წ. 344) – სირაკუსელი სახელმწიფო მოღვაწე, ძვ. წ. 367-357 სირაკუსეს ტირანი

71. იხ. მონტესკიე „კანონთა გონი", წიგნი XI, თავი VI.

72. **შარდენი ჟან** /1643-1713/ – ფრანგი მოგზაური. საკუთარი თვალით ნანახი მრავალი ფაქტი შარდენმა აღწერა თხზულებებში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში".

73. **კუსკუსი** – არაბული წარმომავლობის სიტყვაა და აღნიშნავს ზეთში შემწვარი ხორცისა და ფქვილისაგან დამზადებულ ბურთულებს

74. **მანიოკი** – ბუჩქოვანი მცენარე, რომლის ფესვებისაგან მიღებული ფქვილით სამხრეთ ამერიკის მკვიდრნი პურს აცხობენ.

75. **პოზილიპო** – ნეაპოლის ერთ-ერთი გარეუბანი.

76. **ბერბერია** – ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონების ძველი სახელწოდება. მის მკვიდრთა ძირითადი საქმიანობა იყო მესაქონლეობა და მიწათმოქმედება.

77. **ნატურალიზაცია** – სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის მოქალაქედ, ქვეშევრდომად მიღება.

78. რუსოს მიერ მოხმობილი ფრაზა გვხვდება ტაციტუსის „აგრიკოლაში", XXI. ტაციტუსი პუბლიუს კორნელიუს (55-120) რომაელი ისტორიკოსი.

79. რუსო გულისხმობს მარი ფრანსუა არუე ვოლტერს /1694-1778/ – ფრანგ მწერალს, ფილოსოფოსს, ისტორიკოსს, ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს.

80. **რენტა** – რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი. ქონება ან მიწა, ისე, რომ მის მფლობელს არ სჭირდება სამეწარმოო საქმიანობა.

81. **ლივრი** – ძველებური ფრანგული ვერცხლის ფული, ფრანკის შემოღებამდე.

82. რუსოს მიერ მოხმობილი ფრაზა გვხვდება ტაციტუსის „აგრიკოლაში", XXX.

83. კოადიუტორი – ეპისკოპოსის თანაშემწე, დამხმარე. რუსო გულისხმობს პარიზის არქიეპისკოპოსის კოადიუტორს პოლ დე გონდის

(ჟან დე რეს) (1613-1679); პოლ დე გონდი, ოპოზიციური პარტიის ლიდერი, დიდად ამბიციური პიროვნება იყო. 1648 წელს როგორც ამბოხების მოთავე დააპატიმრეს.

84. ეს არის მაკიაველის „ფლორენციის ისტორიის" შესავლის ერთი მონაკვეთის პერიფრაზი.

85. Serrar di Consiglo – „საბჭოს დახურვა" (იტალ.) აქტი, რომლითაც გაფორმდა ვენეციის არისტოკრატულ-ოლიგარქიული წყობილება და დაწესდა ამ საბჭოს წევრ პრივილიგირებულ ოჯახთა ე.წ. ნობილეთა, მემკვიდრეობითობა. შემდგომში მათი სახლები განსაკუთრებულ ოქროს წიგნში იქნა შეტანილი.

86. Squittinio della liberta veneta. „ვენეციის თავისუფლებისათვის მიცემული ხმები" (იტალ) ანონიმური პამფლეტი; გამოიცა 1612 წელს; იგი მიზნად ისახავდა ვენეციის რესპუბლიკაზე იმპერატორთა უფლებების დამტკიცებას.

87. **რომულუსი** (ძვ. წ. 753-715) – რომის ლეგენდარული დამაარსებელი, მისი პირველი მეფე.

88. **გენუა** – XII-XIV საუკუნეებში იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი ქალაქ-სახელმწიფო, არისტოკრატიული რესპუბლიკა.

89. **ტრიუმვირატი** – ძველ რომში სამი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის კავშირი (ძვ. წ. I ს.), რომლის მიზანი იყო უმაღლესი ძალაუფლების მითვისება.

90. **სულა** – სულა ლუციუს კორნელიუს (ძვ. წ. 138-78) – რომაელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, არისტოკრატიული პარტიის ბელადი

91. **იულიუს კეისარი** – გაიუს იულიუს ცეზარი (ძვ. წ. 101-44) – რომის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, სახელგანთქმული მხედართმთავარი. იულიუს კეისარი რომის ერთპიროვნული მმართველი, დიქტატორი, უმაღლესი ქურუმი და იმპერატორი გახდა. მან რომის დემოკრატია სენატზე ზეგავლენის მოსახდენად გამოიყენა; ამის გამო მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რასაც შუაგულ სენატში ემსხვერპლა.

92. **ავგუსტუსი** – ავგუსტუს ოქტავიანე (ძვ. წ. 63-14) – რომის იმპერატორი. მისი მეფობის ხანა ერთ-ერთი ბრწყინვალე პერიოდია რომის ისტორიაში. მმართველობის ცენტრალიზაციის მიზნით ავგუსტუსმა შექმნა სახელმწიფო საბჭო, დაარსა პრეფექტთა ინსტიტუტი.

93. **ტიბერიუსი** – ტიბერიუს კლავდიუს ნერონი (ძვ. წ. 42 – ახ. წ. 37) – რომაელი იმპერატორი, ახორციელებდა სისხლიან დიქტა-

ტურას. გაიხიზნა კუნძულ კაპრზე, სადაც გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები.

94. **ოქლოკრატია** – ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა; ნიშნავს მდაბიოთა, ბრბოს მმართველობას. ფიქრობენ, რომ ეს ტერმინი პირველად ბერძენი ისტორიკოსის, პოლიბიოსის (ძვ. წ. 200-125) მიერ უნდა ყოფილიფო გამოყენებული.

95. **ოლიგარქია** – არისტოტელეს თანახმად, სახელმწიფო, რომელშიც ძალაუფლება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის რამდენიმე გვარს ეკუთვნის.

96. Corn. nep. – კრონელიუს ნეპოტი (ძვ. წ. 99-24) – რომაელი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „De viris ilustribus" (გამოჩენილი ადამიანები).

97. **მილტიადე უმცროსი** (ძვ. წ. 540-489) – ათენელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. 490 წ. მარათონთან ბერძნებმა მილტიადეს მხედართმთავრობით დაამარცხეს სპარსელები.

98. იგულისხმება არისტოტელეს თხზულება „ნიკომაქეს ეთიკა".

99. **ჰიერონე** – ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტის (ძვ. წ. 430-355) დიალოგი „ჰიერონე", რომელშიც აღწერილია ის საშუალებები, რითაც ხელმწიფეს შეუძლია ბედნიერება მოუტანოს თავის ქვეყანას. თვით ჰიერონ უფროსი (ძვ. წ. 478-467) სირაკუსეს (ქალაქი სიცილიაში) ტირანი იყო.

100. **ცენზი** – რომის მოქალაქეებს ქონების მიხედვით აღწერდნენ და ხუთ ჯგუფად ყოფდნენ. ამ აღწერის, ცენზის, საფუძველზე ხდებოდა გამოსაღების დაწესება, მოქალაქეთა განაწილება ჯარში ცენტურიების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მინიჭება, უფლება, თვითონ ყოფილიყვნენ არჩეულნი და დაეკავებინათ გარკვეული თანამდებობები. მოსახლეობის აღწერა მხოლოდ რომის მოქალაქეებს ეხებოდა.

101. რუსოს ნაგულისხმევი ჰყავს სპარსეთის მეფე დარიოს I (ძვ. წ. 521-486). მან დაიპყრო თრაკია და მაკედონია. 490 ბერძნებმა დაამარცხეს მარათონთან.

102. **ავსტრიის სამეფო სახლი** – აქ რუსო გულისხმობს ჰაბსბურგთა დინასტიას.

103. **კომიციები** – სახალხო კრებები ძველ რომში.

104. **გრაკქუსები** – რომის სახალხო ტრიბუნები. გრაკქუს გაუსი (ძვ. წ. 153-121) და გრაკქუს ტიბერიუსი (ძვ. წ. 163-132) პლებეების ინტერესების დასაცავად ცდილობდნენ აგრარული თუ სხვა სახის რეფორმების გატარებას, რამაც არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოიწვია. ორივე გრაკქუსი მოკლულ იქნა.

105. **ლიქტორები** – ძველ რომში: უმაღლესი თანამდებობის პირთა (კონსულების, დიქტატორების) თანმხლები პირები; ლიქტორებს ევალებოდათ სასჯელის სისრულეში მოყვანა; ამიტომ დაჰქონდათ თან წკეპლების კონა. ლიქტორები გაზატებულნი იყვნენ.

106. **კრომველი ოლივერი** (1599-1658) – ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ-პროტექტორი; ოპოზიციის ლიდერი. მის მიერ დაარსებულმა უზენაესმა სასამართლომ ინგლისის მეფე ჩარლზ I 1649 სიკვდილით დასაჯა. ლორდ-პროტექტორი კრომველი დიქტატურულად ახორციელებდა ძალაუფლებას.

107. **ბოფორის ჰერცოგი** – ფრანსუა დე ბურბონი (1616-1669) მეფე ანრი IV-ის შვილიშვილი, „ფრონდას" ერთ-ერთი მეთაური (ეს ამბოხება ლუი XIV-ის მეფობის დროს, 1648-52 წლებში მოხდა).

108. **ტაციტუსი პუბლიუს კორნელიუს** (55-120) – რომაელი ისტორიკოსი; ავტორი სახელგანთქმული თხზულებებისა „ისტორია", „ანალები".

109. **ოთონი მარკუს სალვიუს** (32-69) – მცირე ხნით რომის იმპერატორი. ვიტელიუსის ჯარებთან დამარცხებულმა თავი მოიკლა.

110. **ვიტელიუსი ავლუს** (15-69) – რომის იმპერატორი; მან მხოლოდ რვა თვე იმეფა; ულმობელობით გამორჩეული იმპერატორი მოკლეს.

111. **გალერა** – მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო ხომალდი რომლის მენიჩბეებიც უმეტესწილად იყვნენ კატორღამისჯილი დამნაშავეები, ტყვეები, მონები.

112. **დოჟი** – ძველად ვენეციისა და ჟენევის რესპუბლიკაში არჩეული გამგებელი.

113. **ღატაკი ბარნაბოტები** – ასე ეძახდნენ ვენეციაში გაღარიბებულ დიდგვაროვნებს, რომლებიც წმ. ბარნაბის სახელობის უბანში ცხოვრობდნენ.

114. **სენ პიერის აბატი** – შარლ ირენეე კასტელი (1688-1743) ფრანგი მწერალი. რუსოს ნაგულისხმევი აქვს მისი თხზულება „მსჯელობა პოლისინოდის თაობაზე„ (1718).

115. **ვარონი მარკუს ტერენციუს** (ძვ. წ. 116-27) – რომაელი ადვოკატი, ისტორიკოსი. მისი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომიდან მცირე ნაწილი შემორჩა.

116. **პლინიუსი გაიუს ცეცილიუსი** – პლინიუს უფროსი (23-79) – რომაელი მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, მისი თხზულე-

ბა „ბუნების ისტორია“ წარმოადგენს ანტიკური ხანის საბუნებისმეტყველო ცოდნათა ენციკლოპედიას.

117. **აპიუს კლავდიუსი** – ძვ. წ. 504 წელს გადასახლდა რომში. სათავე დაუდო კლავდიელთა ტრიბას. სახელი მისი ხალხის სახელწოდების მიხედვით შეერქვა.

118. **კომპიტალიები** – (compita ლათ. – გზაჯვარედინი) კერიისა და ქალაქის ქუჩების მფარველი კეთილი სულების პატივსაცემად გამართული დღესასწაული; აღინიშნებოდა 2 მაისს.

119. **პაგანალიები** (paganus ლათ. – გლეხი) სერვიუს ტულიუსის მიერ დაწესებული რელიგიური დღესასწაული; აღინიშნებოდა 24 იანვარს.

120. **„ომის იარღები“** – რომაელთა ჯარში ასე უწოდებდნენ მესანგრეებს.

121. **მარიუსი გაუს** (157-86 წ. ძვ. წ.) სახელმწიფო მიღვაწე, მხედართმთავარი; წარმოშობით – უბრალო ოჯახის შვილი; არისტოკრატიის მოწინააღმდეგე.

122 **ფორუმი** – მოედანი ძველ რომში, სადაც სახალხო კრებები და სხვა თავყრილობები იმართებოდა.

123. **კლიენტი** – ძველ რომში: უუფლებო, ღარიბი მოქალაქე, რომელიც თავის მფარველზე, მდიდარ და გავლენიან მოქალაქეზე – „პატრონზე“ იყო დამოკიდებული.

124. **ბოლო ტარკვინიუსი** – ტარკვინიუს ლუციუს სუპერბუს (ამაყი) (534-509 წ. ძვ. წ.) – რომის ბოლო მეფე. ტარკვინიუსის ვაჟის მიერ შეურაცხყოფილმა რომაელმა ქალმა, ლუკრეციამ, თავი მოიკლა. ეს ფაქტი ამბოხების მიზეზი შეიქნა; 509 წელს ტარკვინიუსი ტახტიდან ჩამოაგდეს და მეფის ძალაუფლება დაამხეს.

125. **კონსული** – უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ რომში; კონსულს ირჩევდნენ ერთი წლის ვადით;

126. **ცენზორი** – თანამდებობის პირი ძველ რომში, რომელიც ხელმძღვანელობდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას, თვალყურს ადევნებდა გადასახადების აკრეფას, ქონების დაბეგვრას.

127. **კურულის მაგისტრატი** – ძველ რომში მაგისტრატები დაყოფილნი იყვნენ რანგებად. მაღალი რანგის მაგისტრატები, ვისაც ასეთი სავარძლები ჰქონდათ, კურულის მაგისტრატებად იწოდებოდნენ. (კურული – საპატიო სავარძელი სპილოს ძვლისა)

128. **ეფორები** – ხუთი მაგისტრატი, რომელთაც სპარტაში ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. გადმოცემის თანახმად ეს თანამდებობა ლიკურგეს შემოუღია.

129. **აგისი** IV 244-241 (წ. ძვ. წ.) სპარტის მეფე. მან განიზრახა აღედგინა ლიკურგესეული სახელმწიფო ინსტიტუტი, მაგრამ 241 წ. ეფორებმა იგი სიკვდილით დასაჯეს.

130. **კლეომენე III** (მეფობდა 235-222 წ. ძვ. წ.) სპარტის მეფე. მისი ბრძანებით გაუქმდა ეფორთა მაგისტრატი. კლეომენეს სურდა აღედგინა ძველი წყობილება, სამეფო ხელისუფლება, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. კლეომენე ეგვიპტეში გაიქცა და 220 წელს თავი მოიკლა. ეფორთა მაგისტრატი კვლავ აღდგა.

131. **ალბა** – აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარე ერთ-ერთი მხარის – ლაციუმის – ქალაქი.

132. **პომპეუსი გნეუს მაგნუს** (106-48 წ. ძვ. წ.) – რომაელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. 63 წელს დაამარცხა პონტოს მეფე მითრიდატე. 60 წელს იულიუს ცეზარსა და კრასუსთან ერთად შექმნა „პირველი ტრიუმვირატი“. მეტოქეობდა იულიუს ცეზარს; დამარცხებული პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა, სადაც იგი მოკლეს.

133. **კატილინა ლუციუს სერგიუს** (108-62 წ. ძვ. წ) – რომაელი პატრიცი, სენატის საწინააღმდეგო წარუმატებელი შეთქმულების მოთავე.

134. **ციცერონი მარკუს ტულიუს** (106–43 წ. ძვ. წ.) რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ორატორი. რომის რესპუბლიკის კონსტიტუციას ციცერონი დემოკრატიის, არისტოკრატიისა და მონარქიის კარგ შეხამებად მიიჩნევდა. ციცერონი იბრძოდა კატილინას წინააღმდეგ.

135. **მოლოქი** – ამონიტელთა ღვთაება, რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანს.

136. **ქრონოსი** – დროის ღვთვება ძველ საბერძნეთში. რომში ქრონოსი სატურნთან გაიგივდა.

137. **ბაალი** – ქანაანელთა უმაღლესი ღვთაება, ზევსისა და იუპიტერის მსგავსად, ზეციურ ძალთა მბრძანებელი.

138. **ქანაანელები** – პალესტინისა და ფინიკიის მოსაზღვრე მხარის მაცხოვრებელნი.

139. **ქამოსი** – ამონიტელების ღმერთი

140. **იფთახი** – ისრაელის ერთ-ერთი მსაჯული, რომლის წინამძღოლობითაც ამონიტელები იქნენ დამარცხებულნი. ციტირებული სიტყვები გვხვდება მსაჯულთა წიგნში, თავი XI.

141. **ფოკეა** – ქალაქი იონიის (მცირე აზიის დასავლეთი მხარე) სანაპირზე, ათენის კოლონია; 546 წ. (ძვ. წ.) დაროის I-ის მეფობის დროს სპარსელებმა დაიპყრეს.

142. **ტარენტელები** – ქ. ტარენტის (სამხრეთ იტალია) მკვიდრნი.

143. მონტესკიესაგან ნასესხები გამონათქვამი. იხ. მონტესკიე, „კანონთა გონი“ წიგნი XXIV, თ. V. იგულისხმება რომის პაპი.

144. **ალი იბნ-აბუ-თალიბი** (დაახ. 600-661 წ.წ.) მაჰმადის ძმისშვილი და სიძე, 658 წლიდან – ხალიფა. იმათ, ვინც მას წინასწარმეტყველის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, შექმნეს შიიტთა სექტა. ამ სექტამ ისლამში შეიტანა მისტიკისა და პანთეიზმის ელემენტები. შიიტური მოძღვრება გავრცელდა სპარსეთსა და ინდოეთში.

145. იგულისხმება ე.წ. „სამეფო რეფორმაცია“ ინგლისში, როცა ჰენრიხ VIII-მ 1533 წელს სუპრემატიის შესახებ აქტით თავი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად გამოაცხადა.

146. 1721 წელს ეკლესიაზე საერთო ზედამხედველობის მიზნით რუსეთის მეფე პეტრე I-მა სინოდი დაარსა.

147. **ბეილი პიერი** (1647-1706 წ.წ.) პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ფრაგნული განმანათლებლობის ერთ-ერთი წარმომადგენელი. მისი ძირითადი თხზულებაა „ისტორიული და კრიტიკული ლექსიკონი“ (1695-97); ბეილი ქადაგებდა რჯულშემწყნარებლობას. მისი რელიგიური ინდიფერენტულობის გამო თქვა ვოლტერმა: „მართალია, ბეილი ურწმუნო არ არის, მაგრამ იგი სხვებს აქცევს ურწმუნოებად.“ რუსო კარგად იცნობდა და იზიარებდა კიდეც ბეილის შეხედულებებს.

148. რუსო გულისხმობს რელიგიის ორ ასპექტს – წმინდა იდეოლოგიურს და პოლიტიკურს.

149. **ფაბიუსი კვინტუს მაქსიმუსი** – კუნქტატორი (ძვ. წ. 275-203). რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსული, დიქტატორი, მხედარმთავარი მეორე პუნიკური ომების დროს (218 – 201 ძვ. წ.).

150. კატილინას შეთქმულება როცა დამარცხდა, იულიუს ცეზარი მისი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა.

151. **ანრი IV** (1553-1610) – საფრანგეთის მეფე. 1593 წ. ანრი IV-მ კათოლიკობა მიიღო პოლიტიკური მოსაზრებით.

152. **ჰარდუენ დე პერეფიქსი** (1605-1670) – პარიზის არქიეპისკოპოსი. რუსო მიანიშნებს მის თხზულებაზე „ანრი IV-ის ისტორია“.